

ქვირის პალიტრა

პეპსი



რა მოხდება, თუ ოპოზიციის პარლამენტში არ შევა

N22 (416) 29/IV-4/VI.2008

პარსკვლავების საკადრები



ფანები, ფავორიტები და ჟიურის სიმკაცრე

ეკა კახიანი 15 წლის ქალიშვილი მილანის პოლიტექნიკის უმაღლესი სკოლაში

ემიგრანტი მართვლის უბრალო კოგიდან შექმნილი მილიონდოლარიანი ბიზნესი

როგორ გახდა „ნაციონალი“ აქტივისტების მიერ შეურაცხყოფილი ჟურნალისტი მინისტრის მრჩეველი



ცხენით მოტაცებული 70 წლის ქალბატონი



იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

შურნალისტები, როგორც „იმედში“ დარჩნენ

„იმედის“ ერთგული დავრჩი. რატომღაც მივიჩინე, რომ იმ შემთავებების მიღება, იმ დროს, როცა ტელეკომპანია „იმედს“ მხარდაჭერა სჭირდებოდა, ჩემგან მიუღებელი საქციელი იქნებოდა“.



28

მოქიბულთა მოტოპინასული რევიტი




„საკუთარი გარეგნობა აბსოლუტურად მაკმაყოფილებს. რატომღაც, ამ საკითხს, უარყოფითად ვუდგები. ოპერაციას არასოდეს ვაფიქსურებ, თუ ეს ჯანმრთელობასთან არ იქნება დაკავშირებული“.

18

შურნალი შურნალი მსტერნილები



აჯახუაი მამქანუაი — ჟმააი ამაყს სჯამს, ცალი — მუშხუნებს.



გამოუყანებალი მანსი



გოლოდ გულადი მამაუაბისაღვის



ფოტოგრაფი

39-70



№22 (416)
29 მაისი - 4 ივნისი,
2008 წ.
ფასი 80 თეთრი

- **მინიაიურები**
„მასაჟი თვალით“ დანახული 26 მაისი ანუ „სისკრის პარსკვლავი ამოდის“, „თუ ასლით ამოსვლას!“... 5
- **შაჟი და კომენტარი**
„რა მოხდება, თუ ოპოზიციის პარლამენტში არ შევა“ 6
- **არჩევნები**
„დაპირვების აღარაქვის სჯარა“... 7
- **პოლიტიკა**
„ხალხი უსამართლოვამ კი არა, სპარსკვლავით მამაშოვა...“ 9
- **კონკურსი**
„პარსკვლავების აკადემია“ — შანები, შავოკრები და შიურის სიმპათია 10
- **გაუფთხა დღე**
პატარა „გაღვარების“ სეზონი ამბავი 14
- **მამამორფოზები**
„საქმიანი გარემოება აბსოლუტურად მაკმაყოფილებს“ 18
- **ერუდიტი**
სმოზილი მოაზროვნის საყვარელი სჯარო 20
- **ამაღვა**
ეკა კახიანი 15 წლის ქალიშვილი მილანის პოლიციისთვის ეგზაღვა 22
- **თავა**
მოგახება ქართულად 24
- **ამხანაღი**
კარგი ამბავი 26
- **შურნალისტის როლი**
„1-ელი ივნისიდან გელაქომანია ჩავულ რიგმს დანიგრუნებს“... 28
- **ანტიღარკანანები** 30
- **საგანქარი**
„ღიღ ბრკოლას ვინყავ“ 30



გასამრჯელოს ელოდა სარბევად მოსული სელჩუკი. რით უნდა მიეცა საფასური „ემემე“ ნადირობით გაგაცეხულ მეფეს? „დონდუგს“ არ ჭამენ თურქულ ვერ დაპატივებდა სანადიროდ და სანადიმოდ. თანაც თურქნი საქართველოში ამისთვის არც იყვნენ მოსულნი... იერის ხეობა სარბევად დაუთმო თურქებს გიორგიმ!..

დიდმოკის საჯა ფჩინაღი ის აჯარი

82

„მესამე თვალში“ დანახული 26 მაისი სხე „წისყრის ვარსკვლავი ამოდის“, „თუ ავტოში ამოსვლასი..“



რა კარგი რამ ყოფილა ეს მესამე თვალი. ნეტავ, აქამდე გამეხილა! როგორ სხვაგვარად და საინტერესოდ ჩანს ყველაფერი. ნეტავ, მართლა გამეხილა აქამდე! მაგრამ ვერ ვხედავდი: იმ ორით რას ვხედავ კარგს, მესამეც არ გავიწვავლო-მეთქი. ახლა იმას ვხედავ, რასაც სხვა ვერ ხედავს და იმას ვაკეთებ, რაც სხვას არ ხელეწიფება: ვხსნი ჯადოს, ვამზადებ თილისმას, ვაბრუნებ ოჯახიდან გაქცეულ ქმარს, მაგრამ პარლამენტიდან გაქცეული ოპოზიციის დაბრუნება ვერ ვერ მოვახერხებ.

თურმე, რა მოხერხება უნდა, როცა, სწავლასმონწყურებულნი მოსწავლე კვირადღეს რომ მიადგება სკოლას, ისე მივიდნენ 26 მაისს მოქმედი პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები, მაგრამ შენობაში სპეცრაზმმა არ შეუშვა — დღეს „სწავლა“ არ არისო...

მოკლედ, ასეთი საოცარი 26 მაისი მგონი, 1918 წელსაც არ გვექონია. ბოლო წლებიდან განსხვავებით, სამხედრო აღლუმი მოკრძალებული იყო და საქართველომ სამხედრო სიმძლავრის დემონსტრირება სულ რაღაც, 40 წუთში შეძლო. ალბათ, მთავრობა ასე იმიტომაც მოიქცა, რომ წინასწარ იცოდა — ოპოზიცია ხალხს კრება და აღლუმის შემდეგ აქციის გამართვას აპირებდა. ჰოდა, მათ დროზე განარიდა ჯარიცა და სტუმრებიც.

შე კაი დედამამიშვილო, რას გაიძახი წინასწარ, აღლუმს ჩავშლილი?! რომ არ გელიან და ამაყი სახით „ამარი-აიუბენ“ ქვემეხ-ზარბაზნებს, ევროკავშირულ „ბოსებთან“, მაშინ მიადექი მოულოდნელად და მიახალე, ქართველებს არა ჰყავთ მე-ზარბაზნენი-თქო! ასე უფრო არ შეარცხვენ, იმ უცხოელ სტუმრებთან?! მე ხომ არ გიკარნახებთ ყველაფერს!.. კიდევ, რომ ექაჩები პარლამენტის კარს და თან, რაიძახი — არ მინდა ამ პარლამენტში ყოფნაო! — ეგ, შიგნიდან გოცა ექაჩები, მაშინ უნდა თქვა!..

ახლა მივიღეთ ის, რომ ორი აღლუმი ჩატარდა — მთავრობის მხარდამჭერი ჯარის და ოპოზიციის მხარდამჭერი ხალხის, რასაც შეფასებაც შესაბამისი მოჰყავა, — ორი 26 მაისი გვაქვს, ცალ-ცალკეო. ჰოდა, ოღონდ შეერთდით თქვენ და თუ გინდათ, ორი 26 მაისის ნაცვლად, 52 მაისი დავარქვათ, ერთად ვიზეიმოთ დამოუკიდებლობა და თითო კი არა, ორ-ორი ჭიქაც ავწიოთ ჯიჯრულად (!). აბა, ასე დაყოფით კიდევ უფრო „ვანერვიულვით“ საქართველოს დამოუკიდებლობას. არადა, 90 წლისაა და ამ ასაკში ნერვიულობა არ შეიძლება. პირიქით, სიმშვიდე და მაღალი — 100-დოლარიანი პენსია სჭირდება... მაგრამ იმაშიც მართლები ხართ, ბატონო ოპოზიციონერებო, რომ არ გინდათ, მართლ მთავრობამ იზრუნოს და თქვენც გასურთ, მონაწილეობა მიიღოთ ქვეყნის დალაგებაში, მით უმეტეს, რომ ამ მთავრობის დალაგებული არ მოგწონთ — რაიმეს რომ აიღებს, სად დებს, ვედარ ვაგნებთო...

ამიტომ, ერთად დაალაგეთ, ბატონო, და ისე დაალაგეთ, რომ აქაურსაც ესაიამოვნოს ქვეყანაში ყოფნა და მომსვენელსაც: ოღონდ,

ნარწერა მივაკრათ, რომ იატაკი ახალი მოწმენდილია და ტალახიანი ფეხებით ნუ შემოვლენ.

ახლა, თუ იმას ფიქრობთ, რომ პარლამენტში ოპოზიციის არმესვლით ლოყები დაუნითლდება უმრავლესობას და თითო კაცი ორ-ორი აგურის მოძებნას დაიწყებს თავში სარტყმელად, ძალიან შემცდარხართ! და კიდევ, შენ იქნება, მოგებზრდა 4 ან 8 წელი დარბაზში ჯდომა, მაგრამ იმათ რას ერჩი, ვისაც ძლივს აუხდა ოცნება?! ხათრს ვერ გიტყვენ, თორემ სინამდვილეში, ერთი სული აქვთ, როდის დადგება „1-ელი სექტემბერი“ (10 ივნისი), უკვე ჩანთაც ნაყიდი აქვთ და ფერადი ფანქრებიც. აგერ, სულ 2-3 თვის წინ



შეწილმა პარტიამ „ბარე ორ“ სტაჟიანს რომ ავობა, ყურნალისტები დეპუტატებად აქცია, კი უნდა შესვლა, მაგრამ ამბობს, მარტო არ შევალ პარლამენტშიო. რა თქმა უნდა, არ შევა, პატარაა და ეშინია. ხომ შეიძლება, იქ ვინმემ აიყოლიოს და პაპიროსის მოწვევა და კანონებზე ხმის მიცემა ასწავლოს. ხმა თუ მისცა, რაღა ოპოზიცია გამოვა?!

ამიტომ, მოჰკიდეთ ხელი ამ ბავშვებს, ნურც ლეიბორისტებს ატყენთ გულს,

ძლივს გადააბიჯეს დაწეულ ბარიერს და შედით პარლამენტში. მერე რა, რომ „ისინი“ მეტნი არიან. გადმოიბირეთ და თქვენ იქნებით მეტნი. თუ გგონიათ, რომ პოლიტიკური სიბრძნე ყველას ყურებიდან გადმოსდის, ტყუილად შიშობთ. არც თქვენს რიგებშია ნაკლები ინტელექტუალური „ბაგაჟი“. მიდით, თქვენ თქვენი თქვით, ისინი თავისას იტყვიან და რაღაცა გამოვა, თორემ ჩემი პროვოკატორული მესამე თვალით ვხედავ, რომ 10 ივნისის პარლამენტის ალყით და აჯანყებით კარგი არაფერი მოხდება — მაგ ჭკუაზეა მიშა, 60-პროცენტადებული არჩევნები

გააუქმოს და ხელახალი დანიშნოს!.. ამიტომ, შეიტანეთ პოლიტიკა ქუჩიდან შენობაში და იქ იმიტინგეთ, რამდენიც გინდათ. რა უნდა მიტინგს ქუჩაში, ბავშვს ვერ გაუვლია პარლამენტთან ისე, რომ სახლში რაღაც უზრდელი სიტყვა არ მოიტანოს. მოდი, ერთ რჩევას მოგცემთ: 10-ში დილით ადრე შედით დარბაზში; რომ არ გელოდებიან და უცებ დაგინახავენ, აბა, ვნახოთ, რა დაემართებათ. იქ შალვა დაჰყვირებს, აქ ჯონდი „დოუნანას“ იღეთებს გააკეთებს, ბატონი ნუგზარ ერგემლიძე „თუთიყუში მარჩელოს“ შემოსძახებს და უმრავლესობიდან 60 კი არა, შეიძლება, 10 პროცენტით აღარ დარჩეს დარბაზში. თუ ჩემი არ გჯერათ, მაშინ საკუთარი მესამე თვალი გაახილეთ. კარგად დაძებნეთ, სადმე გექნებათ!..

PS. სატელეფონო საუბარი:

— სად ხარ აქამდე?

— რა ვქნა, გარეთ ვდგავარ, მაგრამ ოპოზიცია არ მიშვებს შენობაში.

— არც მე მიშვებდა, მაგრამ მოვიმიზნე, შეყვარებულს ვნახე და გამოვალ-მეთქი. შენც მოიფიქრე რამე.

— მაშინ, მე ვუტყვი, უთო დამარჩა ჩართული-მეთქი.

— რაიმე სხვა მოიფიქრე, უთოთი ზუთი კაცი უკვე შემოვიყვანეთ!..

პროვოკატორი

რა მოხდება, თუ ოპოზიციის პარლამენტში არ შევა

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაკვირველია, საპარლამენტო არჩევნების შედეგები იყო, რომლის მიხედვითაც, ოპოზიციის წარმომადგენლებს პარლამენტში მხოლოდ 4 მაჟორიტარული მანდატი ერგოთ. სწორედ ამ ფაქტის გამო, ოპოზიციის მასობრივ აქციებს აწყობს და იმუქრება, რომ პარლამენტში არ შევა. საზოგადოების ერთ ნაწილს შემდეგი შეკითხვით მივმართეთ: თქვენი აზრით, ოპოზიციის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ თუ არა პარლამენტში?



„რა უნდა ასანიძეს პარლამენტში, იქაც შეგანგა უნდა აგვიწიოს?“ ნათია ჰივიძე

მიხაილ აზიანიძე, ეკონომისტი, 42 წლის:

— მიმაჩნია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში შესვლას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდნენ. 75 მანდატიდან 71 „ნაციონალებს“ ეკუთვნით, 4 კი — ოპოზიციის წარმომადგენლებს. ეს დაცინვა არ არის?! როგორ დავიჯეროთ, რომ „ნაციონალებმა“ 80 პროცენტით გაიმარჯვეს. მაშინ საიდან მივიდა ის 150000 ადამიანი ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგზე? ოპოზიციამ მათი დაცინვა არ უნდა გადაყლაპოს. მივესალმები იმ ფაქტს, რომ მასობრივ გამოსვლებს კვლავაც გეგმავენ. ვიდრე ჩვენს ქვეყანას რაიმე არ ეშველება, მანამდე მთელი მოსახლეობა ქუჩაში უნდა ვიყოთ გასულელები და ხელისუფლებას საკუთარი პოზიციების დათმობა უნდა ვაიძულოთ...

იკატერინე გოგოლაშვილი, იურისტი, 35 წლის:

— იცით, რას გეტყვით? ოპოზიციის წარმომადგენლებს ცოტა ზედმეტი ხომ არ მოსდით? რა საქციელია, ტელევიზიის ხელმძღვანელის კაბინეტში შეჭრა? ყველანაირი მორალი დაკარგეს? აღარ იციან, ხელისუფლების წარმომადგენლებს რაზე მოედაონ და ათას სისულელეს იგონებენ. იმ მანდატებზეც მადლობა თქვან, რაც მოიპოვეს, პარლამენტში რატომ არ უნდა შევიდნენ? თუ ფიქრობენ, რომ ამ ბოიკოტით „ნაციონალებს“ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებენ და ამით რამეს დააკლებენ, ძალიან ცდებიან. არაჩვეულებრივმა ხალხმა იყარა კენჭი და ისინი გამარჯვების ღირსნი წამდვილად იყვნენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ მომავალი პარლამენტი ქართველ ხალხზე გაცილებით უკეთესად იზრუნებს და საქართველოსთვისაც ბევრ რამეს გააკეთებს. არ აცალეს სააკაშვილს, თორემ მასაც ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. რაც ის ქვეყნის პრეზიდენტია, აღარც შუქის პრობლემა გვაქვს, აღარც გაზის და არც ქუჩებია ნაგვით სავსე. ამ ადამიანმა რაც შეძლო, მაქსიმალური გააკეთა და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გააკეთებს.

არნოლდ გვაგიძე, პენსიონერი, 73 წლის:

— ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არაერთი მიტინგი გაიმართა. მათ ხალხის მაინც არ შეშინებიათ და საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო „ხარისხიანად“ გააყალბეს. ვიდრე სააკაშვილს პრეზიდენტის სკამი არ მოჰბერდება, მშვიდობაზე არც კი უნდა ვიფიქროთ. მდიდარი ბიზნესმენებიც იმიტომ შემოიკრიბა გარშემო, რომ მათ ხარჯზე ჯიბეები კიდევ უფრო გაიჭელოს. ამბობენ, ყველა იმ ბიზნესმენს, ვინც დებუტატობაზე კენჭი იყარა, მილიონი გადაახდევინა. საინტერესოა, სად მიაქვს ამდენი ფული? აღარ ეყოფა ჩვენი ძარცვა და გამწარება?!

ნატო ეზრალიძე, დიასახლისი, 32 წლის:

— ოპოზიციის პარლამენტში შესვლაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს. თუ ისინი მაინც შევლენ, ამით თავიანთ მომხრეებს იმედს გაუცრუებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში, ოპოზიციის გამოსვლები და მოსაზრებები არ მომწონს, მაინც მათ მხარეს ვარ. აბა, კრიმინალ „ნაციონალებს“ ხომ არ მივემსრობი?! ქვეყანაში ასეთი არეული პერიოდი 90-იანი წლების მერე არ ყოფილა. ასე მგონია, აფხაზეთსა და ცხინვალში რომ სროლებია, იმასაც სააკაშვილი აწყობს. უნდა, რომ ხალხის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. ამით თავის მოწინააღმდეგეებს ასუსტებს. ჩემი აზრით, აღარაფერი გვეშველება. ნეტავ, ამ მთავრობის შეცვლას მოვესწრო და სანერვიულო აღარაფერი მექნება.

ავთანდილ გაბნიძე, ეკონომისტი, 45 წლის:

— ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში რატომ არ უნდა შევიდნენ? მადლობა თქვან, 4 მანდატი მაინც რომ მოიპოვეს. სანამ დროა, შეიფერონ ეს მანდატები და ქუჩაში ნუ ყვირიან, თორემ „ნაციონალები“ მაგათ გარეშე არაჩვეულებრივად მოახერხებენ ახალი კანონების მიღებას და ქვეყნის აშენებას. ოპოზიციის წარმომადგენლები მხოლოდ ლაპარაკობენ, თორემ არაფრის გამკეთებლები რომ არ არიან, ყველამ კარგად იცის. სხვებზე რომ ლაპარაკობენ, მხოლოდ საკუთარ სკამებსა და ჯიბეებზე ფიქრობენო, თვითონ რაზე ფიქრობენ, საინტერესოა. ძალიან მეჭკვება, გოგა ხანდრავას და მისთანებს ქვეყნის ბედი ალელვებდეს...

მარიამ გვარამია, ინჟინერი, 50 წლის:

— დავით ბაქრაძე დემაგოგია. განაცხადა, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში არ შევლენ, ეს მათი პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე იქნებაო. რაც თვითონ გააკეთეს, ის ხომ არის თაღლითობის მაღალი დონე? თუ ოპოზიციის პარლამენტში არ შევა, ის ამით მომხრეებს კი არ დაკარგავს, პირიქით, შეიძენს. მე ოპოზიციის მივეცი ხმა და ისინი პარლამენტში რომ შევიდნენ, მხოლოდ მაშინ დავკარგავ მათ ნდობას... პრეზიდენტი ყველაფერს უსინდისოდ გვატყუებს. თან მასხარად გვიგდებს, ხალხის ნება უნდა აღსრულდესო. მისი მორჩილი უმრავლესობის წევრები მისივე ლაქები არიან. მერაბიშვილის ფამისტური უწყების მეშვეობით მოხდნენ პარლამენტში. გული მწყდება, ვაჟკაცობა რომ არ ჰყოფნით, ამას არ აღიარებენ და უსინდისოდ აცხადებენ, გავიმარჯვეთო. ვინ არიან პარლამენტის სახეები? ორ შაურად გაყიდული, სკამებზე ჩაბლაჭებულები და ღირსება აყრილი ქართველები. სააკაშვილს ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ასანიძის, როინიშვილის, ნიკლაურის, სუბელიანისა და ხერხეულიძის კანონები. ქვეყნის ლალატი არ არის, კუკავა და ასანიძე ერთმანეთს რომ დააპირი-სპირეს?! ასანიძემ ლაპარაკი არ იცის, ტვინი არ უმუშავებს, განათლება არა აქვს. ასეთ ადამიანს რა უნდა პარლამენტში?! იქაც შტანგა უნდა აგვინოს?!

„დაპირაზების აღიარების სჯერა“...

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ დღეს, რომლის პერიპეტეციებიც ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ფართო მსჯელობისა და დავა-კამათის საგანი. ჩვენი კორესპონდენტები, ქუთაისსა და სიღნაღში 21 მაისს მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ, დასასრულს კი, ერთ-ერთი საერთაშორისო დამკვირვებლის შეხედულებებსაც შემოგთავაზებთ.

ქუთაისური არჩევნები ანუ პოლიტიკური პროსტიტუციის აქოქა...!

„ჩვენ ვცხოვრობთ პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქაში!“ — ეს ფრაზა იმერეთის ყოფილმა (შევარდნაძის დროინდელმა!) გუბერნატორმა, თეიმურაზ შამიაშვილმა ჯერ კიდევ 1998 წელს თქვა და ისიც დასძინა: „ძალა, რომელიც „მოქცავს“ სახით, ხელისუფლებაში მოდის, არის უბედურება“. ბატონი თემური განსაკუთრებით, მიხეილ სააკაშვილს ვერ ეგუებოდა და იყო დრო, როცა მას ქუთაისში გავლასაც უკრძალავდა(!). ახლა კი ქუთაისი, ისევე, როგორც მთელი საქართველო, მიხეილ სააკაშვილის „საკუთრება“ და თემურ შამიაშვილს, რომელიც 21 მაისის არჩევნებისას ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი გახლდათ, არაფერს უკრძალავს, მაგრამ უკეთებს სრულ იგნორირებას, რაც კიდევ უფრო ეფექტური იარაღი აღმოჩნდა მისი, როგორც კონკურენტუნარიანი პოლიტიკოსის „ცოცხლად დასამარხავად“...

21 მაისი ქუთაისში იმდენად მშვიდი და უემოციო იყო, ქუჩებში მოსიარულე ვერც მიხვდებოდით, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო მისაღები. ამომრჩეველს არც საპრეზიდენტო არჩევნებისას მოუკლავს თავი, თორემ საპარლამენტოზე კიდევ უფრო ნაკლები იყო აქტიურობა და ისიც კი ვიფიქრე, რომ არჩევნები ჩაიშლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... ქუჩაში მოხუცი შევნიშნე,

რომელიც ურიკას მიაგორებდა. რატომღაც, მისი მოსაზრებით დავინტერესდი.

ვზიხი, 76 წლის, მეზარგული:
— ჩემი ასაკის კაცი ამ ურიკას კი არ უნდა ათრევდეს, შინ უნდა იჯდეს და სიბერით ტკბებოდეს. მთელი ცხოვრება შრომაში გავატარე, მაგრამ ახლა, ჩემი პენსიით ტკბილული ვერ მიყივია შვილიშვილებსთვის. რა არჩევნები, სად მცალია ამისთვის? მირჩევნია, ქუჩა-ქუჩა ვინანწალო და 2 თეთრი ვიშოვო.

რომანი, 68 წლის, უმუშევარი:
— მე იმას ვდარდობ, რომ არჩევნებამდე ვერ დავაგებინეთ ასფალტი ჩვენს ქუჩაზე, არც წყლის მილები შეგვიცვალეს. მომავალ არჩევნებამდე ვინლა მოგვაქცევს ყურადღებას?!

ზივი, 62 წლის, პენსიონერი:
— თუ ჟურნალისტი ხარ, ოპოზიციას უთხარი, — შეეშინა რევოლუციების მოწყობას და გვაცალონ მშვიდად ცხოვრება. უსუფაშვილი რომ გაიძახის: ხმებს ჰპარავენ ჩემს პარტიასო! — იმასაც უთხარი, — ტყუილია მაგი. ათასი კაცის აზრი ვიცი და ჩემს საახლობლოში „რესპუბლიკელების“ არჩევას არავინ აპირებდა. არ ხართ ისეთი მაგრები, თქვენ რომ გგონიათ, ბაბაიებო, არა-ა!..

ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დარღვევების მომსწრეც ვაგვხდი, მაგრამ ყველაზე საინტერესო, პრაქტიკულად კურიოზული დარღვევა იმ უბანზე მოხდა, სადაც **ქალპატონმა თამარამ** აღმოაჩინა, რომ მის ორ ვაჟს, რომლებიც 2 ნელია, რუსეთში სამუშაოდ არიან წასულელები, დილაადრიან გაუუკეთებიათ არჩევანი, რაც ხელმოწერილთა დაუდასტურებიათ:

— ქალი მათი მონატრებით ვკვდები და ხმის მისაცემად ჩამოსულები, ისე გაბრუნდნენ უკან, არ მნახეს? — ცრემლებიც წა-

მოსცივდა. — თავს საოცრად შეურაცხყოფილად ვგრძნობ! ამის მკადრებელი უარესზეც წავა, მაგრამ არ მინდა, შვილებს პრობლემები შევუქმნა და პირში წყალი უნდა ჩავიგუხო!..

მინდა, არჩევნების წინააღმდეგ მომხდარ ფაქტზეც გავამახვილო ყურადღება: ქუთაისის ერთადერთი ტელეკომპანიის — „რიონის“ ეთერში ყველა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიიწვიეს. ისინი თავიანთი პროგრამების პრეზენტაციას კიდევ ერთხელ ცდილობდნენ, მაგრამ ხალხს მხოლოდ ის დაამახსოვრდა (და კარგა ხანსაც ეყოფა საქილიკოდ!), თუ როგორ „ეხვეწებოდა“ ყველა ერთად და ცალცალკე აკაკი ბობოხიძეს, რომ მას თავისი კანდიდატურა მოეხსნა, — შენ მაინც გავცალეო! მაგრამ ბობოხიძემ ისინი პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა არც იმ დღეს და არც არჩევნების შემდეგ, როცა გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარმა — გუბაზ სანიკიძემ მას „პოლიტიკური გვამი“ უწოდა და დასძინა: „შენ „ნაციონალებთან“ კავშირით, მათთან დამონებით, ნაშალე შენი ღირსეული წარსული!“

აკაკი ბობოხიძე წარსულზე მეტად, მომავალზე ფიქრობს და ქუთაისელებს იმედი აქვთ, რომ ეს მომავალი მათ ქალაქსაც უკავშირდება...

საქორწინო ცერემონიად ქცეული არჩევნები და ჰირი, რომელმაც საარჩევნო უბანი ააწიო

საპარლამენტო არჩევნებს ქიზიყშიც დიდი ამბით ელოდნენ. ჩემმა მეზობელმა, იზოლდა ბაბომ მითხრა: კარგი იქნება, არჩევნები ხშირ-ხშირად რომ ჩაატარონ. ახალგაზრდებისგან დაცარიელებული სოფელი ამ დღეს მაინც აივსებოდაო. მართლაც, 21 მაისს სოფელში სიცოცხლე აჩქევდა, დიდი ხნის უნახავი თანასოფლელები ერთმანეთს შეხვდნენ და მონატრების წყურვილი მოიკლეს...

საარჩევნო ციებ-ცხელებაში, საბავშვო ბაღის პედაგოგებიდან დაწყებული, ტრაქტორისტიტ დამთავრებული, დიდი თუ პატარა აქტიურად იყო ჩამოყალიბებული. არჩევნების სამართლიანად ჩატარების იმედი არცთუ ისე ბევრს ჰქონდა, მაგრამ უფროსი თაობისგან განსხვავებით, ახალგაზრდების განწყობილება უფრო ოპტიმისტური იყო...

საბავშვო ბაღს, სადაც ჩვენი სოფლის საარჩევნო უბანი იყო განთავსებული, დილაადრიან მივადექი. იქაუ-



რობა დიდი ხნის უნახავი მეგობრები-
თა და ნაცნობი სახეებით იყო სავსე
და მაშინვე იზოლდა ბაბოს ნათქვამი
გამახსენდა... როგორც ხუთი იანვრის
საპრეზიდენტო არჩევნებისას, ამომრჩევე-
ლების უმეტესობამ, კედელზე გამოკ-
რულ საარჩევნო სიაში საკუთარი თავი
ვერ იპოვა, სამაგიეროდ, გარდაცვლილი
ნათესავებისა თუ მშობლების სახელსა
და გვარს ნაანყდა და უკმაყოფილება
ხმამალა დააფიქსირა...

საარჩევნო კაბინაში შესულმა, ინ-
სტრუქტურად შევთვალე იქაურობა
— სადმე ვიდეთვალე ხომ არ დაა-
მონტაჟეს-მეთქი (ბოლო დროს გან-
ვითარებული პოლიტიკური „სმენა-
დობის“ შემდეგ, ყველაფრის შემონ-
გება დამჩემდა)?.. საკუთარი არჩევა-
ნის გაკეთების შემდეგ, გარეთ გამ-
ოვედი, სადაც ხალხის ხარხარი და
აქა-იქ ყვირილიც ისმოდა: არყის
სუნით გაჟღერებულმა პაპამ, ახალ-
გაზრდების რჩევით, თითქოსდა ჭა-
მას გადაჩვეული ვირი, რომელსაც
კისერზე „ხუთიანი“ ეკიდა, საბავშვო
ბაღის კართან მიიბა. ყროყინით შეწუხ-
ებულმა ხალხმა ვირი აუშვა, ის კი
ეზოში შევარდა და აკუნტრუშდა. ამ
აშბით გამწარებული პაპა ვირს დასაჭ-
ერად დასდევდა და თან, უშვერი
სიტყვებით იგინებოდა. სიტუაციის
განეიტრალებას იქ მყოფი პოლ-
იცელები ოპერატიულად შეეცადნენ
და იმის ნაცვლად, რომ ვირი
დაეჭირათ, ის ეზოდან პანჩურებით
გააგდეს. ამის შემხედვარე პაპამ ახლა
პოლიციას დაუწყო გინება, მერე კი
თავის ვირს დაედევნა...

ეზოში ვილაც რადიოს უსმენდა.
კახეთში ერთადერთი რადიოს —
„პერეთის“ საინფორმაციო გამოშვე-
ბა დაიწყო. წამყვანმა გადმოსცა:
როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი,
სიღნაღის რაიონის ერთ-ერთ
საარჩევნო უბანზე, ოპოზიციის

დამკვირვებელს საარჩევნო უბანი იმის
გამო დაატოვებინეს, თითქოს მან
„ნაცმოძრაობის“ დამკვირვებელს
ოთახის კარში თითი მოაყოლა. ამ
ფაქტს ოპოზიციის წარმომადგენელი
უარყოფს და აცხადებს, — როდენ
სასაცილოც უნდა იყოს, დავინახე, ამ
„პოზიციონერმა“ თითზე როგორ იკ-
ბინა და ახლა რაღაცას მპარალებ-
სო... ჩვენ უახლესი ინფორმაციით
რამდენიმე წუთში დაგზრუნდებით...
საინფორმაციო პროგრამა სიმღერამ
— „ქუთაისო ჩემო“ შეცვალა. რა-
დიონამყვანის მიერ გადმოცემულმა
ახალმა ამბავმა ეზოში მყოფთა სახ-
ეებს ღიმილი მოჰგინა, ზოგიც —
გულიანად აცინა. ერთ-ერთმა ჩაილ-
აპარაკა, — სასაცილოა, სატირალი
რომ არ იყოს!..

ეზოში სამოციოდე წლის ორი პაპა,
ბრახმურული ტონით ლაპარაკობდა:

— ყველაფერი ედვარდა პაპას სცე-
ნარით იქნება. როგორც უნდათ, ისე
გააკეთებენ.

— რას ამბობ, კაცო, ყურძენს ფასი
აენიოს და მიშკო გაიმარჯვებს თუ
შალიკო, რა მნიშვნელობა აქვს?!

ამ დროს შენობაში ხმაური ატყდა.
მოხუცები დავტოვე და ცნობისმოყ-
ვარუბის დასაკმაყოფილებლად ოთახში
შვედი, სადაც კომისიის წევრი ქალები
ერთმანეთს საქმეს ურჩევდნენ. ბო-
ლოს, ისინი ხელითაც შეეხნენ ერთმა-
ნეთს და ბიულეტენზე დასარტყამ „ბე-
ჭდებს“ ურთიერთს სახეზე ურტყამდ-
ნენ. სიტუაცია პატრულის თანამშრომ-
ლებმა ძლივს განმუხტეს...

არჩევნების დღეს კახეთის ერთ-ერთი
სოფელში მომინია წასვლამ, სადაც
საოცარი სანახაობის მომსწრე გავხდი:
საარჩევნო უბანთან ნეფე-პატარძალი
მაყართან ერთად იყო მოსული, ხმის
მისაცემად. წყვილს ყველა ოვაციითა
და ტაშით ხვდებოდა. როგორც შემ-
დეგ გაირკვა, ახალდაქორწინებულებმა
ქორწილი სპეციალურად ამ დღეს
დაამთხვეს!..

**„ეთარი ჰეპს რინგს,
სადაც „მსაჯი“ დარბყმის
უფლბას არ აძლავს“...**

„ეს არ იყო დემოკრატიული არჩევნე-
ბი“, — ამბობს საპარლამენტო
არჩევნების დამოუკიდებელი
დამკვირვებელი, „ევროპული კომუნი-
კაციებისა და მარკეტინგის სააგენ-
ტოს“ ხელმძღვანელი, ლატვიელი
კლავს რაძინში — ყოფილი ჟუ-
რნალისტი და ლატვიის სამთავრობო
პარტიის ყოფილი პიარტექნოლოგი...

— ამ არჩევნებზე ჩემს სტატუსს
უფრო, ტურისტი დამკვირვებლისას
დავარქმევდი. ტურისტი დამკვირვე-
ბლისთვის კი, ერთი შეხედვით, ყვე-



კლავს რაძინში: დავაკვირდეთ, ვინ რას ხარ-
ჯავდა წინასაარჩევნო პიარისთვის

ლაფერი კარგად ჩანს, რადგან ხალხი
მშვიდად მიდი-მოდის, არჩევანს
აკეთებს, თუ ვინმეს პროტესტი გაუჩნ-
დება და ხმაურს ატყვს, დაამოშ-
მინებენ და ინციდენტი არ ჩაითვლე-
ბა განსაკუთრებულ შემთხვევად, რად-
გან მსგავსი რამ ყველგან შეიძლება
მოხდეს... ამიტომაც, ასეთი დამკვირვე-
ბელი არჩევნების დასრულების შემ-
დეგ, ბუნებრივია, იტყვის, რომ არ
აღუნუსხავს ხმების გაყალბება. დიახ,
იმას აღნიშნავს, რასაც ხედავდა, მა-
გრამ ამ „ლამაზად შეფუთული“
საარჩევნო პროცესის მიღმა უნდა
დაინახოს ის, რის გარეშეც ლოგიკურ
დასკვნას ვერ გააკეთებ.

**— თქვენ რა ხარვეზები შეამჩ-
ნით?**

— მე ვერ დავაფიქსირებდი და არც
მინახავს ხმების გაყალბების ფაქტი,
მაგრამ თუ დავაკვირდებოდით წინა-
საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას,
პროცესებს, რომლებიც ოპოზიციური
პარტიების მიერ იმართებოდა და
ყოველივე ამას საზოგადოების განწყ-
ობილებასაც დაუმატებდით, საინ-
ტერესო სურათს მიიღებდით.

**— აბა, რას იწუნებთ და რას
ხედავთ ამ არჩევნებში არადემოკრა-
ტიულს?**

— დავაკვირდეთ, ვინ რას ხარ-
ჯავდა წინასაარჩევნო პიარისთვის,
რამდენი ფული იხარჯებოდა „ნ“ ნომ-
რისთვის და საიდან მოდიოდა იგი;
შემდეგ დავაკვირდეთ დანარჩენი პარ-
ტიების წინასაარჩევნო კამპანიას, მათ
მიერ დახარჯულ თანხებს... ყოველივე
ამის განალიზების შემდეგ მე ველ-
არ დავარქმევ ამ არჩევნებს დემოკრა-
ტიულს.

**— სახელისუფლებო პარტია წინა-
საარჩევნო კამპანიაში თავისივე წევრე-
ბის — არჩევნებში მონაწილე ბი-
ზნესმენების ფულს ხარჯავდა.**

— არასწორია ბიზნესის ძალიან
დაახლოება პოლიტიკასთან, ეს არის
არადემოკრატიული მოვლენა. ამიტო-
მაც, ლატვიაში მიიჩნევენ, რომ შემდე-
გი საპარლამენტო არჩევნები უნდა
დაფინანსდეს მხოლოდ სახელმწიფო
ბიუჯეტიდან და ყველა პარტიას

საოცარი სანახაობის მომსწრე გავხდი:
საარჩევნო უბანთან ნეფე-პატარძალი
მაყართან ერთად იყო მოსული



„პარსკვლავების აკადემია“ — ფანები და ფავორიტები

„ვარსკვლავების აკადემიის“ დამთავრებამდე რამდენიმე კვირაღა დარჩა და უკვე ფინალისტებიც გამოვლინდნენ: ქეთი, მარიკო, ანი და დიტო. მესამე ფინალისტი კი ლევანსა და მიშას შორის, მომავალ კვირას გამოვლინდება. „ვარსკვლავების აკადემიის“ თითოეულ წევრს, მისივე ფანები ამხნევენ. ისინი კონცერტის წინ, რამდენიმე საათით ადრე იკრიბებიან და პლაკატებით, დროშებითა და ბუსტებით „შეიარაღებულნი“ თავთავთან ფავორიტებს ელიან. გასულ კვირას, ყველაზე მეტად, ნათიასა და ლევანის ფანები აქტიურობდნენ და ლელავდნენ, რადგანაც ისინი აუტსაიდერები იყვნენ. ნათიას ფანებს არ გაუმართლათ — ის გასულ კვირას კონკურსს გამოეთიშა.



მარკო ჭონიშვილი

მარიკო, ნათიას მეგობარი და ფანი:

— დღეს ნათიას ფანები ძალიან ვლელავთ. გვინდა, რომ ის პროექტში დარჩეს... მე და ნათიამ ერთმანეთი თეატრალურ უნივერსიტეტში გავიცანით და მალევე დავეგობრდით. როცა გავიგეთ, რომ მას ამ პროექტში უნდა მიეღო მონაწილეობა, ძალიან გაგვიხარდა. ნათიას უხდება სიმღერა და სცენაზე დგომა. მას მეგობრებთან ყოფნა და მათთან გართობა ძალიან უყვარს. სუფრასთან შეკრებილები სშირად ვმღერით. ის თბილი და უკონფლიქტო, განონასწორებული ადამიანია.

— **ამბობ**, — უკონფლიქტოაო, მაგრამ მან ნინოსთან რამდენჯერმე იკამათა.

— ეს ნათიას ბრალი სულაც არ იყო. ნინომ მისი წონასწორობიდან

გამოყვანა ბევრჯერ ცადა. თავიდან ნათია უთმენდა, მის უხეშ რეპლიკებს არ პასუხობდა, მაგრამ ბოლოს, მოთმინება დაკარგა. ნათიას ადგილას ბევრი ამდენსაც არ მოითმენდა.

ჩვენს საუბარში ნათიას და ჩართო: — ნათიამ ანკეტა ისე შეავსო, მამისთვის არაფერი უთქვამს. მას მხოლოდ ბოლო დღეს გაუმხილა, — „ვარსკვლავების აკადემიაში“ შევდივარო. მამასაც, სხვა გზა აღარ ჰქონდა და შოუში გაუშვა. ძალიან მიყვარს ჩემი და და მინდა, გაიმარჯვოს. ყოველი გამოსვლისას ძალიან ლელავს და ეს მუსიკალური მონაცემების სრულყოფილად გამოვლენაში უშლის ხელს...

ამ დროს ლევანის ფანები ძალიან აქტიურობდნენ და ისე გაჰყვიროდნენ — ლევან, ლევან, — რომ ყურთასმენას ახშობდნენ. მათ გაუმართლათ — მათი ფავორიტი პროექტში დარჩა, მაგრამ ის კვლავ აუტსაიდერია და ამიტომაც, ლევანის გულშემატკივრებს მომდევნო კვირასაც მოუწევთ ნერვიულობა.

ირაკლი:

— მე და ლევანი ბავშვობიდანვე ვძმავაცობთ. „ვარსკვლავების აკადემიაში“ საბუთების შეტანა მეგობრებმა ვურჩიეთ, მანამდე კი „ჯეობარსა“ და „ჯეოსტარისკენ“ ვუბიძგებდით. მაშინ უარი გვითხრა. ალბათ, „ვარსკვლავების აკადემიის“ დაწყებას ელოდა.

ზაძრო:

— ჩვენ კი ვურჩიეთ, მაგრამ თავად ლევანს რომ არ მოენდომებინა, არაფერი გამოვიდოდა. დღეს, მისი მეგობრები და ფანები ძალიან ვლელავთ. გვინდა, რომ ის შოუში დარჩეს.

ირაკლი:

— ლევანს მუსიკალური განათლება არა აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, მანოტებიც კი არ იცის, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორი ნიჭიერია. ამასთან, ის კარგი ადამიანი და მეგობარია. ბევრს უყვარს და ამაზე მისი ფანების სიმრავლაც მეტყველებს. ხალხს თავი პროექტიდანაც შეაყვარა.

ზაძრო:

— ლევანი უკონფლიქტო ადამიანია. მასთან ქეიფი და დროს ტარება ყველას სიამოვნებს.

— ლევანსა და ანის ურთიერთობაზე რას იტყვით? როგორ გგონიათ, მათ ერთმანეთი უყვართ?

— ლევანს კარგად ვიცნობ და ვხვდები, რომ ანი არ უყვარს. უბრალოდ, მასთან მეგობრული ურთიერთობა აქვს. რაც შეეხება ანის, რატომღაც მგონია, რომ მას ლევანი უყვარს.

— ლევანმა პროექტი თუ დატოვა, ვის უგულშემატკივრებთ?

— ანის, — ლევანის ორივე ფანმა ერთდროულად, ისე წამოიყვირა, რომ გამეცინა. ეს ირაკლის არ გამო-

მართი ჭიჭიჭა

— **გჯერათ თუ არა „მირტუალური“ სიყვარულის?**

მკბ, 29 წლის:

— უცხო ადამიანს მესიჯს ცხოვრებაში აღარ მივწერ: მესიჯების წერით, მეგობარი გამიუბედურდა. ისეთი შეცდომა დაუშვა, მთელი ცხოვრება რომ ვერ გამოასწორებს. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ვირტუალური სიყვარულის არ დაიჯერონ. ასეთი რამ შეუძლებელია. განსაკუთრებით, გოგონებს არის და იმიტომ ვამბობ. არ შეიძლება, ადამიანს უნახავად ენდო.



ვავრთხილებ. ვიცი, ეს რაც ადამიანს უნახავად ენდო.

— ალბათ, უჭირს, მაგრამ რადგან იქაა, უნდა შეეგუოს. ყოველ მის გამოსვლას გულდასმით ვაკვირდები. სახლიდან თითქმის არ გავდივარ, მაგრამ თუ გასვლა მომიხდა, შინ აუცილებლად მანამ ვბრუნდები, ვიდრე „ვარსკვლავების აკადემიის“ ჩვენება დაიწყება. დიტო ხანდახან ზარმაცობს და ამ დროს ძალიან ვნერვიულობ. მინდა, უფრო მეტად იაქტიუროს, მაგრამ ის პროექტშიც ისეთივეა, როგორც სახლში ან მეგობრებთან. კამერასთან არ თამაშობს. დიტო წყნარია, მაგრამ საკმაოდ კომუნიკაბელური — საერთო ენას ყველასთან იოლად პოულობს.

— რას საქმიანობს?



„ვარსკვლავების აკადემიის“ რექტორი

— სტუდენტია. ჯერ კოლეჯში ჩააბარა, შემდეგ კი ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ორივეგან პირველ კურსზეა.

— როგორც ვიცი, სოსუმიდან ხართ.

— დიახ, სოსუმიდან ვართ. ზღვასთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდით. იქ გატარებული დღეები ძალიან მენატრება. ყველამ იცის, რა საშინელებაც მოხდა და თბილისში წამოსვლა რატომ მოგვიხდა. მაშინ დიტო პატარა იყო, მაგრამ იმ საშინელი დღეებიდან ბევრი რამ ახსოვს.

— მოგწონს ის სიმღერები, რომლებსაც დიტო მღერის?

— რა თქმა უნდა! ამ სიმღერების წყალობით ის თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს ამჟღავნებს. ვფიქრობ, დიტო ამ პროექტის ღირსეული კონკურსანტია და მინდა, გაიმარჯვოს.

— პროექტის სხვა მონაწილეებზე რას იტყვი?

— თითოეულს ვგულშემატკივრობ. ყველა ძალიან შემეყვარდა. ახლა ძალიან დაძაბული პერიოდია, „აკადემია-

ში“ მხოლოდ ძლიერი კონკურსანტები დარჩნენ და თითოეული მათგანი გამარჯვებას იმსახურებს. თუმცა, რა თქმა უნდა, დიტოს ფინალისტობა მინდა.

თიბო, ქეთის მეგობარი:

— ქეთი რომ მაგარია, ეს უკვე მთელმა საქართველომ გაიგო და აღიარა. ის აუცილებლად ამ პროექტის გამარჯვებული იქნება. ქეთი თავდაუზოგავად მუშაობს და ამიტომაც მიაღწია ამხელა წარმატებას. ჩვენ, მისი მეგობრებიც ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ გაიმარჯვოს. ის საოცრად პოპულარულია და ჟიურის წევრებისგან ყოველთვის დადებით შეფასებას იმსახურებს. ვფიქრობ, ის გამარჯვებულია!

ქეთის მეგობართან საუბარს მოვრჩი თუ არა, მიშას ფანებისკენ გადავინაცვლე, სადაც დედამისი, ქალბატონი **გიია შილორაგაძე** შევნიშნე:


— მიშას მუსიკალური ნიჭი ბავშვობიდან ჰქონდა. კონსერვატორიაში ისე მოეწყო, რომ არც კი მომიზადებია. მე თვითონ მუსიკოსი ვარ და ჩემ გარდა, მას სხვა პედაგოგი არ ჰყოლია. მიშა ტრადიციულ ოჯახშია გაზრდილი. განსაკუთრებით, ქართული ხალხური სიმღერები უყვარს, მაგრამ ნებისმიერი ჟანრის სიმღერას კარგად მღერის და სცენაზე დგომის გამოცდილებაც აქვს.

— მიუხედავად ამისა, მიშა ძალიან სწირადაა აუტსაიდერი...

— თავისებური პროექტია და რეპერტუარიც თავისებური აქვთ. პირველი სიმღერა რომ მისცეს, მაშინვე განიცადა და თქვა: რაღა ეს სიმღერა შემხვდაო? მე დავაწყნარე და ვუთხარი, რომ ის ნებისმიერი სიმღერის კარგად შესრულებას შეძლებდა და სირთულეებს თავს გაართმევდა. დღესაც განსხვავებული სიმღერა აქვს და იმედი მაქვს, ჟიურის წევრებს თავს მოაწონებს.

— ალბათ, სცენაზე მის ყოველ გამოსვლას განიცდით, არა?

— ძალიან ემოციური ადამიანი ვარ. მიშას ყოველი გამოსვლისას



დიტოს მუსიკალურ სკოლაში არასოდეს უსწავლია

ვლელავ და ისიც, სანერვიულოს არ მაკლებს. ჯერ იყო და, „ნუცას სკოლაში“ მონაწილეობდა და მაშინ მანერვიულა, ახლა კიდევ — „ვარსკვლავების აკადემიაში“.

— თქვენი შვილის გარდა, პროექტში ვინ მოგწონთ?

— მარიკო და ქეთი ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე გოგონები არიან. მიმაჩნია, მარიკო, ქეთი და მიშა ამ პროექტის განსაკუთრებული კონკურსანტები არიან.

მაშინ, როდესაც მიშას დედას ვესაუბრებოდი, იქვე პატარა გოგო შევნიშნე, რომელიც ძალიან ლელავდა. ამიტომაც, მასთან მისვლა გადავწყვიტე.

— რა გქვია და ვისი ფანი ხარ?

— მაგდა ვარ, 11 წლის. მიშა ძალიან მიყვარს და მისი ფან-კლუბის წევრი გახლავართ.

— მაგდა, მიშას რატომ გულშემატკივრობ?

— იმიტომ, რომ სასაცილო ტიპია. თან, პროექტის მონაწილეებთან კარგი ურთიერთობა აქვს. მინდა, გავიცნო და ჩემი მეგობარი გახდეს.

— მიშას გარდა, ამ პროექტში კიდევ თუ გყავს ფავორიტი? —

მაგდამ ისეთი გაბრაზებული სახით შემომხედა, მივხვდი, ეს შეკითხვა არ უნდა დამესვა. თუმცა, მაინც მიპასუხა:

— მხოლოდ მიშას ვგულშემატკივრობ და ის აუცილებლად გაიმარჯვებს!

— კონცერტი ხომ გვიან მთავრდება. სახლში ვის მიჰყავხარ?

— აქ ბიძაშვილებთან ერთად მოვდივარ. ისინი დიდი გოგოები არიან და ლევანსა და დიტოს გულშემატკივრობენ. როცა მათ ვუბნები, რომ მიშა გაიმარჯვებს, ძალიან ბრაზდებიან (იცინის).



ფანები კონცერტის დაწყების წინ

ელიტ ელექტრონიქსი



„ელიტ ელექტრონიქსი“ საქართველოს ყველა რეგიონში

ხალხმრავლობა დედოფლისწყაროში. დგანან ქოლგებით, სიცხისაგან შეწუხებული, მაგრამ არ იძვრიან ადგილიდან. ხუმრობა ხომ არ არის, მათთან „ელიტ ელექტრონიქსის“ მალაზია იხსნება. უკვე შექმლებათ, დინჯად აირჩიონ საქონელი, იმედიანად წაიღონ შინ, არც წუნის ეშინოდეთ, არც არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების, თუ საკმარისი თანხა არ ექნებათ, განვადებითაც ისარგებლებენ... მოკლედ, თავს ღირსეულად იგრძნობენ!

ხალხმრავლობა ლაგოდეხშიც... აქაც იგივე ხდება — „ელიტ ელექტრონიქსის“ მალაზია იხსნება.

კითხვა საჭირო არაა, თავისთავად ჩანს, რას ნიშნავს აქაურებისათვის ეს ფაქტი.

„ელიტ ელექტრონიქსი“ კარგი პარტნიორია და გულუხვი მასპინძელი. პირველ დღეს ყველას ტკბილი ნუგბარით უმასპინძლებდა და პირველ მყიდველებს საჩუქრებსაც სთავაზობს...

ყველა ბედნიერია!

ეითარ ძოძოლაძე, „ელიტ ელექტრონიქსის“ მთავარი მენეჯერი:

— „ელიტ ელექტრონიქსი“ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე 12 წელია, ფუნქციონირებს. დღესდღეობით კომპანია საქართველოს მასშტაბით, „ელიტ ელექტრონიქსის“ 40-მდე, ხოლო ამდენივე — სადილერო მალაზიის მოიცავს. კომპანიის ზრდასთან ერთად, „ელიტ ელექტრონიქსში“ დასაქმებულთა რაოდენობაც იზრდება, რაც მართლაც, სასიხარულოა. ამჟამად ქსელში 800-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპანია ყოველწლიურად ფართოვდება, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. ვცდილობთ, ჩვენი ქსელი საქართველოს ყველა ქალაქში იყოს. ახლა დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხში ვხსნით მალაზიას, აქაურ მოსახლეობას შეეძლება ისარგებლოს მაღალი ხარისხის მომსახურებით, შესყიდული საქონლის ადგილზე უფასო მიტანის სერვისით... ადამიანებს აღარ მოუწევთ თბილისში ჩამოსვლა, რომ შეიძინონ მაღალი ხარისხის ტექნიკა გარანტიით. ამასთანავე, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს აქციებსა და გათამაშებებში...

— რეგიონის მალაზია თუ განსხვავდება წარმოდგენილი პროდუქციით, თბილისში არსებული „ელიტ ელექტრონიქსის“ მალაზიებისაგან?

— არავითარი განსხვავება არ არის, ყველა პროდუქცია მაღალი დონისაა და იმავე ფასადაა წარმოდგენილი, როგორც თბილისში...

კმაყოფილებას ვერც უცხოელი სტუმარი — ტუვის ოფიციალური წარმომადგენელი ფარავს:

— რასაც ვხედავ, აქ ყველაფერი ევროპულ დონეზეა, დარწმუნებული ვარ, მალე რეგიონებშიც ამალდება ცხოვრების დონე და თბილისის სტანდარტებს მიუახლოვდება. „ელიტ ელექტრონიქსი“ თავის კლიენტებს უკვე რეგიონებშიც მაღალი დონის სერვისს სთავაზობს...

— როგორ ფიქრობთ — ჯერ კიდევ ბევრი გვაშორებს ცნობილ გერმანულ მალაზიებს?

— „ელიტ ელექტრონიქსის“ მალაზიებში პროდუქცია შერჩეულია მყიდველთა მოთხოვნის მიხედვით; აი, მომსახურება კი ისეთივეა, როგორც ევროპაში. ამ მალაზიებში მომსახურების

დონე ჩვენთან, გერმანიაში არსებულ მომხმარებელთა მოთხოვნასაც აკმაყოფილებს.

— როგორ ვითარდება „ელიტ ელექტრონიქსი“?

— გულწრფელად უნდა გითხრათ, გაკვირვებულნიც კი ვარ, როგორი ტემპით ვითარდება ეს კომპანია. ასეთი განვითარების ტემპზე ჩვენში მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება...

საბუნა ხუციშვილი, „ელიტ ელექტრონიქსის“ საცალო გაყიდვების მენეჯერი:

— წელს „ელიტ ელექტრონიქსის“ მალაზიები გაიხსნა დასავლეთ საქართველოშიც და აღმოსავლეთ საქართველოშიც. კახეთში უკვე მეოთხე მალაზია გახსენით. თვითონ შეგიძლიათ ნახოთ, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა. უკვე ერთი კვირაა, მოდიან, ათვალეერებენ, რა მდგომარეობაა ახალ მალაზიაში, გვეკითხებიან, როდის გაიხსნება. მალაზიაში თითქმის ყველა ნივთს ჰყავს თავისი მყიდველი... ზოგმა ჯერ კიდევ დაკეტილი მალაზიის ვიტრინიდან შეარჩია სასურველი მაცივარი თუ გაზქურა...

— თბილისში, თქვენს მთავარ ოფისში წარმოდგენილია განსხვავებული პროდუქცია, მალაზიებისა და ძვირად ღირებული ტექნიკა, რომელიც თბილისშიც არ არის სხვა მალაზიებში და არც რეგიონში გაქვთ... თუკი მყიდველი დაინტერესდება და მოითხოვს, მიანვით დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხსაც?

— გაგენაუს ტექნიკა თუ ვინმეს მოუნდება, ცხადია, ჩამოვუტანთ. მომხმარებლის სურვილი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია! საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, სოფელში, ჩავიტანთ ტექნიკას იმავე ფასად, როგორც თბილისშია.

სოსო ჯავახიშვილი, „ელიტ ელექტრონიქსის“ სადილერო მალაზიის ერთ-ერთი მფლობელი:

— ყველა რეგიონს თავისი ნიუანსები აქვს... დეკემბრის ბოლომდე ტექნიკის მომსახურება გვინდა გაიხსნას და იმავე სერვისით ისარგებლონ კახეთშიც, როგორც თბილისშია.

— მომსახურე პერსონალი ადგილობრივი გყავთ?

— ჩვენს სადილერო კომპანიაში უკვე 35 თანამშრომელია, ისინი ადგილობრივები არიან.

— აქ ძალიან ბევრი მყიდველი მოვიდა, კახეთის სხვა მალაზიებშიც ასეთი ხალხმრავლობაა?

— კახეთი ძალიან აუთვისებელი სეგმენტია, როგორც საბანკო თვალსაზრისით, ისე ელექტროპროდუქციის მალაზიების თვალსაზრისით... განვადებთ ადგილობრივებისათვის „ახალი ხილია“... როგორც თბილისში ხდება, მხოლოდ პირადობის მონაწილეთა განვადება, აქაც ისევე...

— თბილისში განვადებისთვის საჭიროა, სამსახური გქონდეს და მინიმალური ხელფასი... მევენახეს, რომელსაც ოფიციალური სახელმწიფო სამსახური არ აქვს, განვადების საშუალება ექნება?

— არანაირ ცნობას გლუხს ბანკი არ მოსთხოვს, მთავარია, ბანკი დარწმუნდეს, რომ ოჯახს შემოსავლის წყარო აქვს. სხვათა შორის, დაინტერესდი, როგორ იხდიან ის კახეთის მკვიდრები, რომლებმაც განვადებით გაიტანეს ტექნიკა... აღმოჩნდა, მხოლოდ 1%-ია ურჩი გადახდელი, დანარჩენები კარგად იხდიან...

პატარა „ბელურების“ სავლიანი ამბავი

1-ელი იენისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ალბათ არავინ შემეძგება, თუ ვიტყვი, რომ დაცვა და მზრუნველობა ყველაზე მეტად, მიუსაფარ ბავშვებს სჭირდებათ. ვინ ზრუნავს დღეს მათზე? როგორია ამ კატეგორიის ბავშვთა მდგომარეობა? რატომ უფროსიან და გაურბიან ადამიანებს? სანამ ბავშვთა ცენტრს ვესტუმრებოდი და პატარა „ბელურებს“ გავესაუბრებოდი, ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაში უკეთ გასარკვევად, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ბავშვი და გარემო“ — ხელმძღვანელს, ნანა იაშვილს დავუკავშირდი.



ანუ ხარგი სახლი ისაა, სადაც... არ ჩხუბობან

თამუნა კვინიკაძე

— 13 წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ არსებობს. თავდაპირველად, ქუჩაში მომრავლებულ მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებზე ზრუნვა მეგობრებთან ერთად დავიწყე. ვიცოდით, რომ ალექსანდრეს ბაღში 5 ბავშვი ათევეა ლამეს. გადავწყვიტეთ, პატარებს დავხმარებოდით, მაგრამ მათთან კონტაქტში შესვლა ადვილი არ აღმოჩნდა — გაგვიბოძდნენ, არ გვენდობოდნენ, ვერ ხვდებოდნენ, რატომ მივდიოდით მათთან, რა მიზნები გვაქონებდა. ჩვენ შორის ურთიერთობა თანდათან აენციო. შემდეგ ამ ბავშვებმა სხვა უბნებიდან თავიანთი თანატოლებიც მოგვიყვანეს. იმ პერიოდში ჩვენ შესახებ ერთ-ერთ

უსვლში, ორგანიზაცია „ტასისის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენი პროგრამა დააფინანსეს. პირველ ეტაპზე ჩამოვყალიბეთ მობილური ჯგუფი, რომლის წევრებიც თბილისის ქუჩებში დადიოდნენ და მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებს სწავლობდნენ. ამ ბავშვებთან მათ ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ, ქუჩაში ამეცადინებდნენ და საჭიროების მიხედვით, დახმარების ხელს უწვდიდნენ. შემდეგ, ბავშვთა ცენტრი გავხსენით, სადაც უამრავმა პატარამ მოიყარა თავი. მოგვიანებით, ჩვენ მიერ გახსნილ სარეაბილიტაციო ცენტრს „ბელურები“ ვუწოდეთ.

ეს ცენტრი სხვა ბავშვთა სახლებისგან რით განსხვავდება?

— ეს არის ღია ტიპის დაწესებულება. ჩვენს ცენტრში დარჩენას არც ერთ ბავშვს არ ვავალდებულებთ, ყველაფერი მათი სურვილის მიხედვით ხდება. მოზარდებს, რომლებიც ქუჩის თავისუფლებას ეჩვევიან, რეჟიმში ჩადგომა ძალიან უჭირთ.

როგორც ვიცი, თქვენთან დღის და ღამის სექტორები არსებობს...

— დიახ. ბავშვების ნაწილი დღე და ღამე ჩვენთანაა, ნაწილი კი საღამოს სახლში ბრუნდება, მათ შინ მშობლები ელოდებიან.

მშობლის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობას თუ აწყდებიან?

— სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გვეწინააღმდეგებიან. მიუსაფარ ბავშვთა მშობლების ნაწილი ასოციალური ქცევის ადამიანები არიან. შვილებს ექსპლუატაციას უწევენ, მთელი დღე ქუჩაში ამყოფებენ და ამათხოვრებენ. იმ ფაქტს, რომ საღამომობით შვილი მათ გარკვეულ თანხას ვეღარ მიუტანს, ვერ ეგუებიან და აღშფოთებულები, სარეაბილიტაციო ცენტრში მოდიან. მათ რამდენჯერმე ფანჯრებიც კი ჩავგვიმსხვრიეს. ბუნებრივია, მშობლების ძალადობას ძალადობითვე

არ ვუპასუხებთ. — ქუჩის ბავშვთა რაოდენობამ, წინა წლებთან შედარებით, იკლო თუ იმატა?


— 1996 წელს, მარტო დედაქალაქის მასშტაბით 800-დან 1200-მდე მიუსაფარი ბავშვი იყო. მათი რაოდენობა სეზონების მიხედვით იცვლებოდა. ცოტა ხნის წინ კვლევა კვლავ ჩატარდა, მაგრამ მონაცემები დამუშავების სტადიაშია და ზუსტ ციფრს ვერ დავისახელებთ. მაგრამ გეტყვი, რომ კატასტროფული მატება არ შეინიშნება. დღეს ჩვენ აშშ-ის განვითარების სააგენტოსა და ორგანიზაციის — „გადავარჩინოთ ბავშვები“ — ფინანსური მხარდაჭერით ვმუშაობთ. ამ პროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად, სხვადასხვა ქალაქში 350-მდე ბავშვს ვენმარები, სათანადო განათლებას ვაძლევთ, ხელობას ვასწავლით და 18 წლის შესრულების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, მათ დასაქმებაზეც ვზრუნავთ. სხვათა შორის, წარმატებული სტუდენტებიც გვყავს.

მათი სწავლის საფასურს თქვენი ორგანიზაცია იხდის?

— არა, ჩვენ მათ სტიპენდიას ვუნიშნავთ. ეს ბავშვები იმდენად კარგად სწავლობენ, რომ სახელმწიფოსგან გრანტი მიიღეს.

თქვენი ორგანიზაციისთვის პრობლემას რა წარმოადგენს?

— დაარსების დღიდან, თითქმის 100%-ით, უცხოელი დონორები გვაფინანსებენ. სამწუხაროდ, 1-ელ ივლისს მათგან დაფინანსება შევიწყვეტა. გვეუბნებიან: ჩვენ დაგეხმარეთ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, გაგაძლიერეთ, მაგრამ რას აკეთებთ თქვენი სახელმწიფოო?.. რა მოხდება 1-ელი ივლისის შემდეგ, არ ვიცი. გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე ის შენობა, რომელიც სახელმწიფომ გადმოგვცა, ავარიულია. უბედურ შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, დროებით, ბავშვები სხვა შენობაში გადავიყვანეთ. 3 ოთახში 50 მოზარდია „გამომწყვდეული“. დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ, ამ 350 მიუსაფარ ბავშვსა და



ლელი

გაზეთში ინფორმაცია დაიბეჭდა, რის შემდეგაც თბილისში მცხოვრებმა იტალიელმა დახმარების სურვილი გამოთქვა. ის ყოველ შაბათს ბავშვებს შინ ეპატიჟებოდა, მათზე ზრუნავდა, ექიმს ახვედრებდა. შემდეგ, მისი რჩევით, დავწერეთ სოციალური პროგრამა და ბრი-

— მინდა, ოლონდ — კარგ სახლში.
— კარგი სახლი როგორია?

— სადაც არ ჩხუბობენ.

ვიქტორი, 12 წლის:

— დედა და მამა სულ კამათობდნენ. მერე მამა მოკვდა და უფროსმა დამ აქ მომიყვანა. კარგ ოჯახში ყოფნას რა სჯობია?! მე მოსაყოლი არაფერი მაქვს.

ლელა, 13 წლის:

— 7 წელია, რაც აქ ვცხოვრობ.

— 7 წლის წინ სად იყავი?

— ქუჩაში, ვმათხოვრობდი.

— ვაიმე!!! — შეიცხადა ოლეგმა.

— პურის ფული არ მქონდა და აბა, რა მექნა?! — თავი იმართლა ლელამ და თხრობა განაგრძო: — მერე პარკებს ვყიდულობდი და ვყიდდი, მაგრამ ბევრი არაფერი მრჩებოდა. დედაჩემი სოფელში ცხოვრობს, ჩამოდის და მნახულობს... ყველაზე მეტად, ჩემი პატარა და — მარიკო მენატრება.



ლერი

— ალბათ, აქ მცხოვრები ბავშვები მეგობრობთ. ერთმანეთს თავს გადახდენილ ამბებს უყვებით?

— ყველას არ უყვებით, გულახდილები მხოლოდ მათთან ვართ, ვისთანაც ვმეგობრობთ, — საუბარში 11 წლის ლერი ჩაერთო: — მე ლელას ძმა ვარ. ერთ დროს მეც ქუჩაში ვიყავი და დედასთან ერთად ვმათხოვრობდი.

— მერე რა მოხდა?

— მერე ტელევიზორში გამოვჩნდი. ეს ძალიან მეუხერხულა და დედას ვთხოვე, აღარ ემათხოვრა. თან, პოლიცია დაგვდევდა და არ მინდოდა, დავეჭირეთ. დედა სოფელში ცხოვრობს, მე და ლელა აქ წამოვდით...

ამ სიტყვებზე მეტი ლერისა და მისი თანატოლების სევდიან თვალებში იკითხება... თუ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები გულისხმიერებას არ გამოიჩენენ, შესაძლოა, ამ ბავშვებისთვის წარსული კვლავ გამეორდეს, რაც მათთვის ორმაგად მტკივნეული იქნება.

როგორ აღმოჩნდა შინისპირის პირველის სპეკიელში „ნახიონალი“ აქტივისტების პირი უეუჩასყოფილი გელეუჩნალისში

ჟურნალისტი თეა ბოლქვაძის ფართო საზოგადოება ტელეკომპანია „იმედის“ ეთერიდან იცნობს. ის ყოველთვის, ცხელ-ცხელი პოლიტიკური მოვლენის ეპიცენტრში იმყოფებოდა. უცხოეთში ვიზიტისას, სწორად ახლდა მაღალი ეშვლონის სახელისუფლებო დელეგაციებს. ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს კი რუსთაველის გამზირი ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა. ამჟამად თეა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მრჩეველი და ამავე სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.



თეა ბოლქვაძე

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ჩვენმა დეკანმა, ნიკო ლეონიძემ ტელეკომპანია „იბერვიზიის“ წარმომადგენლებთან რეკომენდაცია გამინია და 17 წლის ასაკში ჟურნალისტიკად დავინწყე მუშაობა. „იბერვიზიის“ ეთერით გადაიოდა საინფორმაციო გადაცემა „მონიტორი“ და ამ გადაცემისთვის სიუჟეტებს ვამზადებდი. გადაღებებზე ფეხით დავდიოდი, ტელევიზია და სამონტაჟო სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული. იმ დროს „იბერვიზიაში“ მუშაობდნენ ტელეკომპანია „იმედის“ ახლანდელი გენერალური დირექტორი ბიძინა ბარათაშვილი, ასევე, ზაზა შენგელია; გიორგი თარგამაძე კი იქიდან ახალი გადასული იყო. მოგვიანებით ამ ტელევიზიას „მხედრიონი“ დაეპატრონა. „მხედრიონიცა“ და ტელეკომპანიაც ერთი შენობის სხვადასხვა სართულზე იყო განთავსებული. ამიტომ ლიფტი შენობის მხოლოდ ამ ორ სართულზე ჩერდებოდა. მაშინდელი ელექტრომომარაგების პირობებში, ვინ იცის, ლიფტში რამდენჯერ გავეჭვდილვართ ჩვენ და „მხედრიონელები“!.. შემდეგ მუშაობა განვაგრძე ტელეკომპანიებში: „საქართველოს ხმა“, „იბერია“ (სადაც მუშაობდნენ: ეკა ხოფერი, გიორგი სანაია, გიგი უგულავა. მახსოვს, გიგის მაშინდელი ერთი

სახასიათო დეტალი — ეს ზოლებიანი კაშენი იყო, რომელიც გადაღებებზე ეკეთა ხოლმე. ცოტა ხნის წინ მითხრა: ის კაშენი დღემდე მაქვს შენახული). რამდენჯერმე მქონდა შემოთავაზება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან, მაგრამ ისე მოხდა, რომ იქ სამუშაოდ არ წავედი... მოგვიანებით, სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე გადავედი, სადაც ორი წელი დავყავი... „იმედში“ კი მაშინ მივედი, როდესაც ტელეკომპანია ჯერ მხოლოდ ქალაქში არსებობდა. ამ ტელევიზიის შექმნაში ლომის წილი ჩემს მეგობარს, ჟურნალისტ ზვიად ქორიძეს მიუძღვის. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო.

— პროფესიონალური ზრდის თვალსაზრისით, რა მოგცა ტელეკომპანია „იმედმა“?

— „იმედი“ რომ არ ყოფილიყო, ბევრი ქართველი ჟურნალისტი საზოგადოების თვალთახედვის მიღმა დარჩებოდა. ეს იყო ტელევიზია, რომელმაც საშუალება მოგვცა, თანამედროვე ქართულ სინამდვილეში საზოგადოებისთვის პროფესიონალური დონის ჟურნალისტიკა წარმოგვეჩინა. როდესაც რეპორტაჟებს ვამზადებდით, სიუჟეტის ობიექტრობაში დარწმუნებულები ვიყავით (საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკას“ ვგულისხმობ). მათგან თითზე ჩამოსათვლელია რეპორტაჟები, რომელთა ობიექტრობაში ჩვენც, ჟურნალისტებსაც შეგვექონდა ეჭვი.

— როგორც მასსოვს, შენი რეპორტაჟები ძირითადად, მთავარ პოლიტიკურ თემებს ეძღვნებოდა. მივლინებაში სწორად ახლდი სახელისუფლებო დელეგაციას. შემდეგ, „იმედის“ ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება შეიცვალა. შენც გრძნობდი ამას მუშაობის პროცესში?

— პიროვნულად, ჟურნალისტებს არავინ არაფერს ერჩოდა. ერთადერთი შემთხვევა მასსოვს, როდესაც 7 ნოემბერს რუსთაველზე აქციის დარბევის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა მადლობა გადაუხადეს ჯარისკაცებს: გახსოვთ ალბათ, ის ცნობილი კადრები, როდესაც ზაზა ბეგაშვილი, ბადრი პატარკაციშვილს აგინებდა... იმ დროს მასთან მიკროფონით მივედი, მისი სიტყვების ჩანერა მინდოდა და ვუთხარი: გაიმეორე, რასაც ამბობდი-მეთქი (თავზე ქუდი მესურა, პირბადე მეკვთა, რომელიც „სასწრაფო დახმარების“ ექიმმა მომცა). მაშინ ბეგაშვილმა ხელში ჩამართყა...

— მე მასსოვს, რომ დათო კირკიტაძემ ჩაგანწევინა უხეშად მიკროფონი, ასე არ იყო?

— ასე იყო, კირკიტაძემ უხეშად ჩამანწევინა მისკენ მიმართული მიკროფონი. მაგ დროს ბეგაშვილი უკან მოჰყვებოდა. მან დრო იხელთა და მწარედ ჩამართყა ხელში. ძალიან გავბრაზდი, რადგან ასეთი შეურაცხყოფილი არასდროს ვყოფილვარ. მივვარდი დათო კირკიტაძეს: შემომხედე ერთი, ვის ჩაართყი-მეთქი?! ბოდიში მომიხსადა და იქვე გადამოკვცნა. ამის შემდეგ, დათოს წყენა დავივიწყე, მაგრამ არასდროს დამავიწყდება ბეგაშვილისგან მიღებული შეურაცხყოფა.

— პოლიტიკური პერიპეტეიების შემდეგ, „იმედის“ ჟურნალისტების ერთი ნაწილი პოლიტიკაში წავიდა, ზოგმა საქმიანობა ამა თუ იმ არხზე განაგრძო. საინტერესოა, შენი არჩევანი რამ განაპირობა?

— „იმედის“ დახურვის შემდეგ, ოთხი თვე სახლში, უმუშევარი ვიჯექი. ამ ხნის განმავლობაში მირეკავდნენ და მირჩევდნენ, ტელეკომპანია დამეტოვებინა. მქონდა შემოთავაზება, მუშაობა სხვადასხვა თანამდებობაზე დამენყო, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. სწორედ ამ პერიოდში, ეკატერინე შარაშიძემ დამირეკა. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რადგან ერთმანეთი ოფიციალურ ვითარებაში, ტოკიოში ვიზიტისას გავიცანით (ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა). როდესაც შევხვდით და ვისაუბრეთ, ეკატერინემ შემომთავაზა, გავმხდარიყავი მისი, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის, მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში და ამავე დროს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ვითხოვე და საბოლოოდ, შემოთავაზებას დავთანხმდი. გადანყვეტილები მიღებისთანავე შევუდექი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. სახელმწიფო უწყებაში არასდროს მიმუშავია და უნდა ვაღიარო, რომ სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა. 15 წლის განმავლობაში, ეკატერინე ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობდა და მუშაობდა, რაც სამინისტროს მუშაობის ტემპს ეტყობა. სამინისტროს მუშაობის სტილი თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. გადანყვეტილებების მიღება არასდროს ჭიანჭღადება. საქმის უსაფუძვლოდ გადადება არ ხდება. მოგეხსენებათ, ტელევიზიაში ნუთები და წამები წყვეტს ყველაფერს. ამიტომ, მუშაობის ასეთი რიტმი ჩემთვის ნაცნობი და საინტერესოა. თავად მინისტრი კი დილის ოთხ საათამდე მუშაობს. გაოცებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მას დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი სძინავს. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, დილაზე მუშაობა მინისტრის მოადგილეებსა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებსაც უხდებათ. მასსოვს, სამინისტროში რამდენიმე დღის მისული ვიყავი, როდესაც შენობის წინ ექიმებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ძალიან ვინერვიულე. შემდეგ, მინისტრმა აქციის მონაწილეები მოლაპარაკების მაგიდასთან მიიწვია და პრობლემა დიალოგის რეჟიმში გადაწყდა. აქამდე ასეთ მოვლენებს მხოლოდ გარეად ვუყურებდი. ამ შემთხვევამ კი დამანახვა, რომ მეორე მხარეს ყოფნა უფრო რთული ყოფილა...

— გულახდილად მითხარო,

რას ურჩევ მინისტრს, როდესაც საქმე მასმედიასთან ურთიერთობას ეხება?

— ტელევიზიებთან ურთიერთობა გაცილებით ადვილი ყოფილა, ვიდრე პრესასთან. ვაღიარებ, რომ ჟურნალისტად მუშაობის პერიოდში მეც ჩამიწერია ჩუმად რესპონდენტი, მაგრამ მისი აზრი არასდროს დამიმახინჯებია. პრესასთან ურთიერთობისას კი სხვა პრობლემას ვაწყდები: მაგალითად, ჟურნალისტები მირეკავენ და მთხოვენ, მივანოდო ინფორმაცია და შემდეგ ამას ინტერვიუს ფორმატით ბეჭდავენ. ეკატერინეს მიაჩნია, რომ მასმედისთვის სამინისტროს საქმიანობა მაქსიმალურად ღია უნდა იყოს. ამჟამად, სამინისტროს შენობის პირველ სართულზე მდებარე, მოქალაქეთა მისაღებში რემონტი მიმდინარეობს. იქ ნებისმიერ მსურველს მიეცემა შესაძლებლობა, მოიპოვოს ან დატოვოს ინფორმაცია. ეკატერინე არასდროს ამბობს უარს ამა თუ იმ ეკონომიკური საკითხის კომენტარებაზე. თუ თავად დაკავებულია, ამას სამინისტროს სხვა კომპეტენტური თანამშრომელი აკეთებს. არის შემთხვევები, როდესაც ზოგ გამოცემასთან თანამშრომლობისგან თავს ვიკავებ. მიმაჩნია, რომ პრესასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის პრობლემა მოიხსნება, თუ ყველა ჟურნალისტი და გამოცემა აამაღლებს წერისა და დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხს.

— ტელეკომპანია „იმედმა“ მათ წყებლობა განაახლა. როგორ ფიქრობ — შეძლებს ეს ტელევიზია ძველი პოპულარობის დაბრუნებას?

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, მინისტრთან ერთად, საქმიანი ვიზიტით გახლდით იერუსალიმში. სასტუმროში, სადაც ჩვენი დელეგაცია იყო დაბინავებული, შემთხვევით, ჯოზეფ ქეის შევხვდი. ერთგვარი „დეჟავიუ“ დამემართა: ოთხი წლის წინაც, იერუსალიმში ყოფნისას, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციას ვახლდი, იმავე სასტუმროში ბადრი პატარკაციშვილი ვნახე (მაშინ ის სამთავრობო დელეგაციას მასპინძლობდა)... პირველად შევხვდი ჯოზეფ ქეისს. რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი და „იმედის“ სამომავლო გეგმების შესახებ ვკითხე. ჯოზეფ ქეიმ ასეთი პასუხი გამცა: ეს ტელევიზია ისეთივე იქნება, როგორც პოლიტიკაში ბადრი პატარკაციშვილის წასვლამდე იყო. იმედს მაქვს, რომ ტელევიზია, რომელიც ჩემთვის საოცრად ახლობელია, კვლავაც შეძლებს საზოგადოების სიყვარულისა და ნდობის მოპოვებას.



გაოცებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მას დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი სძინავს

„სახუთარი გარეგნობა აბსოლუტურად მათმათვილებს“ ...

მოხიზვლადობის მოროზინასაული რეცეპტი

— იმისთვის, რომ ყოველთვის ლამაზად და მოხიზვლად გამოიყურებოდე და წლების მატება შენს გარეგნობაზე მკვეთრად არ აისახებოდეს, ბოლმინი და წუნუნა არ უნდა იყო. რაც უფრო ხალისიანი და მხიარული იქნები, მით უფრო დიდხანს იცოცხლებ და სასურველ გარეგნობასაც შეინარჩუნებ“, — ამბობს ლალი მოროშკინა, რომლის სილამაზის რეცეპტიც სწორედ ეს არის. ის საკუთარი თავის მოვლას ბევრ დროს არ უთმობს. მიაჩნია, რომ ისეთი გარეგნობა აქვს, რომელიც ზედმეტ ზრუნვას არ მოითხოვს.

სოფო ჭონიშვილი

— გაპრანჭვა და კვკლუცობა 8 წლის ასაკიდან დავიწყე. ეს ის პერიოდი იყო, როცა სახელმწიფო ტელევიზიაში გადაცემის — „შენსწავლოთ რუსული ენა“ — თანაწამყვანი



თინეიჯერი ლალი მოროშკინა

ვიყავი. პირველად მაკაიუი ამ გადაცემისთვის გამიკეთეს. სიმართლე გითხრათ, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი.

— თუ გახსოვთ, როგორი ბავშვი იყავით?

— ბავშვობიდან აქტიური და მიზანდასახული ვიყავი. ვცდილობდი, თანატოლებისგან განსხვავებული და გამორჩეული ვყოფილიყავი. მქონდა ჩემი გამორჩეული სტილი. სხვას არასდროს არაფერში ვბაძავდი. სხვათა შორის, ეს თვისება დღემდე მომყვება.

— ბავშვობის ფოტოებში, ყველგან გრძელი თმა გაქვთ. ბავშვებსაც ატარებდით?

— დიას, მთელი ბავშვობა გრძელი თმა მქონდა. მერე უკვე, როცა გაპრანჭვა დავიწყე, „პრიჩოსკებს“ ვიკეთებდი. თუმცა ზომიერად ვიპრანჭებოდი. ბავშვობიდან სპორტით ვიყავი დაკავებული. ამიტომ, ყოველთვის სპორტულად და თავისუფლად ვიცვამდი.

— სკოლის დამთავრების შემდეგ არ შეიცვალეთ?

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩემს გარეგნობაში რადიკალური ცვლილებები ნამდვილად არ შემიტანია. თუმცა, სკოლის დამთავრებამდე შევქმენი



ოჯახი. სკოლის პერიოდში ყოველთვის ვფიქრობდი და ვოცნებობდი იმაზე, თუ რა უნდა ჩამეცვა გამოსაშვებ საღამოზე და როგორ უნდა გაგპრანჭულიყავი. აღმოჩნდა, რომ ტყუილად ვოცნებობდი... სკოლის დამთავრების ბანკეტზე, უკვე 7 თვის ფეხმძიმე ვიყავი.

— ფეხმძიმობის პერიოდში ნონაში ბევრი მოიმატეთ?

— არც ისე. მშობიარობის შემდეგ კი საკუთარ თავს მკაცრად ვაკონტროლებდი. დიეტაც არ დამჭირვებია, სასურველ ფორმას მალევე დავუბრუნდი.

— წლების მატებასთან ერთად, ალბათ, სახის კანს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ, არა?

— მიმაჩნია, რომ სახის კანის სილამაზე, პირველ რიგში, გენეტიკაზეა დამოკიდებული. თუ პრობლემური კანი გაქვს, რამდენიც უნდა იზრუნო მასზე, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიიღებ. დედამჩემი ჩემზე 22 წლით უფროსია, დღემდე მშვენივრად გამოიყურება, სახის კანიც არაჩვეულებრივ ფორმაში აქვს. კოსმეტოლოგთან არასოდეს ვყოფილვარ. ხან-



შვილთან ერთად



სახის კანის სილამაზე, პირველ რიგში, გენეტიკაზეა დამოკიდებული



თმა ჩემი სუსტი წერტილია. დღის განმავლობაში შემიძლია, ვარცხნილობა რამდენჯერმე შევიცვალო

დახან, თუ განწყობილება მაქვს და არ მეზარება, სახეზე შეიძლება, არაუარსი წავისვა, რაც მერწმუნეთ, მართლა კარგ შედეგს იძლევა.

— **მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებთ? შეგიძლიათ, ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე ქუჩაში გასვდეთ?**

— ყოველდღიურად ძალიან მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ. არის შემთხვევები, როცა გარეთ ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე გავდივარ, რაც დისკომფორტს ნამდვილად არ მიქმნის.

— **როგორც ფოტოებიდან ჩანს, წლების მანძილზე, თმის ფერს და ვარცხნილობას ხშირად იცვლიდით. ერთ-ერთ ფეროვნება არ გიყვართ?**



მთავარი კი ის არის, იმ დღეს როგორი განწყობილება მაქვს...

— ოო... თმა ჩემი სუსტი წერტილია. დღის განმავლობაში შემიძლია, ვარცხნილობა რამდენჯერმე შევიცვალო. თმის ფერს ყველაზე ხშირად ტელევიზიაში მუშაობისას ვიცვლიდი (თითქმის ყველა ფერის თმა მქონია). რატომღაც მიიჩნია, რომ განსაკუთრებით, ახლა რა ფერიც მაქვს, ის მიხდება.

— **უმეტესად მოკლედ შეკრეჭილ თმას ატარებთ. არ გიფიქრიათ, რომ თმის სიგრძე აღარ დაიმოკლოთ?**

— ძირითადად, მოკლე თმას ბოლო პერიოდში ვატარებ; წინათ, ძალიან გრძელი არა, მაგრამ საკმაო სიგრძის თმა მქონდა. აი, ერთ-ერთ ფოტოზე ნანსაყვირებს კი მაქვს.

— **ოდესზე თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ გარეგნობა პლასტიკური, ოპერაციული ჩარევის გზით შეგიცვალათ?**

— მსგავს რამეზე არასოდეს მიფიქრია. საკუთარი გარეგნობა აბსოლუტურად მაკმაყოფილებს. რატომღაც, ამ საკითხს, უარყოფითად ვუდგები. ოპერაციას არასოდეს გავიკეთებ, თუ ეს ჯანმრთელობასთან არ იქნება დაკავშირებული. რამდენიმე წნის წინ მივხვდი და საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ამქვეყნად ადამიანმა ჯანმრთელობის მეტი არაფერი უნდა ინატრო. თუმცა ჩემ ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარი გარეგნობა პლასტიკური, ქირურგიული ჩარევით აქვთ შეცვლილი.

— **რადგან ჯანმრთელობას ასე უფროსილდებით, ალბათ, გასარუფავად სოლარიუმშიც არ დადიხართ?**

— მიუხედავად იმის, რომ ნამზეური ძალიან მიხდება, სოლარიუმში შესვლისგან ყოველთვის თავს ვიკავებ; ვიცი, რომ ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

ამიტომ, „ზაგარს“ მხოლოდ პლაჟზე, მზის სხივებით ვიღებ. აი, ნახეთ, ამ ფოტოზე რა მაგარი „ზაგარი“ მაქვს...

— **თქვენს გარდერობში, ძირითადად, რა ფერის სამოსი ქარბობს? ფოტოების მიხედვით თუ ვიზუალებით,**



სამკაულში ფულის გადახდა არასდრთს მენანება

შავს უპირატესობას არ უნდა ანიჭებდეთ...

— დიას, მუქი ფერის ტანსაცმელი ნაკლებად მიზიდავს. ჩემს გარდერობში ათასფერი სამოსია. მათ შორის, შავი — ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი. რატომღაც, ქართველ მანდილოსნებს მიაჩნიათ, რომ შავი ფერის ტანსაცმელი მათ დეფექტებს ან თუნდაც ზედმეტ წონას ფარავს, არადა, პირიქითაა.

შავი ფერი დეფექტს უფრო უსვამს ხაზს. ფერადი სამოსი ძალიან მომწონს და მასში თავს კომფორტულად ვგრძნობ.

— **როგორც ჩანს, ძირითადად, სპორტულად იმოსებით.**

— სპორტული სტილი ძალიან მომწონს. თუკი სხეული იმის საშუალებას გაძლევს, რომ ჯინსი ატარო, ამაზე უარი არ უნდა თქვა. თუმცა კლასიკური სტილიც საოცრად მიზიდავს. საერთოდ, ვიცვამ იმის მიხედვით, თუ სად მივდივარ. დღის განმავლობაში, შესაძლებელია, რამდენჯერმე გამოვიცვალო, რადგანაც შეიძლება სხვადასხვა ადგილზე წასვლამ მომიწიოს.

— **ლალი, სამკაულებს თუ ატარებთ?**

— სამკაულების ტარება ძალიან მიყვარს. უპირატესობას ოქროსა და ძვირფას ნივთებს ვანიჭებ. ბიჟუტერიას იშვიათად ვატარებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული ნაკეთობაა. სამკაულში ფულის გადახდა არასდროს მენანება, მომწონს იშვითი და უნიკალური ნივთები.

— **როცა სადმე მიდიხართ, სამოსის შერჩევაზე დიდხანს ფიქრობთ?**

— ძირითადად, სამოსს წინააღმდეგ ვამზადებ, მაგრამ იშვიათად, ხდება ისე, რომ ის ჩავიცვა, რაც მომზადებული მაქვს. მერე ვდგავარ კარადასთან და ვფიქრობ, რა უნდა ჩავიცვა. ისე, შემიძლია, 10 წუთშიც მოვემზადო. მაკიაჟის გაკეთებას 2-3 წუთს ვანდომებ. მთავარი კი ის არის, იმ დღეს როგორი განწყობილება მაქვს...



შემიძლია, 10 წუთშიც მოვემზადო



ჩემს გარდერობში ათასფერი სამოსია

- ირანი, იტალია, შვედეთი, ესპანეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი არ მდებარეობს ნახევარკუნძულზე?
- ირანი.
- რომელი ცეცხლასროლი იარაღის სახელწოდება ითარგმნება ლათინურიდან — „ემზადე ომისთვის“?
- „პარაბელუმი“.
- დაასახელეთ ალბანეთის დედაქალაქი.
- ტირანა.
- რა აქვთ საერთო კარიბის, ხმელთაშუა, ბალტიის, ეგეოსის, ადრიატიკის ზღვებს?
- ყველა ატლანტის ოკეანის აუზს განეკუთვნება.
- ძველ ქართულში რა დღე იყო კრონოსისა?
- ვერ გეტყვით. ვიცი, რომ მთვარისა ორშაბათი იყო.
- შაბათი. რას იჭერენ კაკანათით?
- ფრინველებს.
- სადაური იყო რობინზონ კრუზო?
- ინგლისელი.
- რა ეწოდებათ მომთაბარე არაბებს?
- ბედუინები.
- რომელ ქალაქში „მოღვაწეობდა“ ცნობილი განგ-სტერი ალ კაპონე?
- ჩიკაგოში.
- რომელ ზღვაში მდებარეობს კუნძული კუბა?
- კარიბის ზღვაში.
- ვინ არის 2-დოლარიანზე გამოსახული?
- ჯეფერსონი.
- ვინ არის ავტორი საბავშვო მოთხრობისა „უფლისწული და მათხოვარი“?
- მარკ ტვენი.
- რა გამოიგონა პოპოვმა 1895 წელს?
- რადიო.
- როგორ ჯარს ეწოდება კავალერია?
- ცხენოსანს, რადგან იტალიურად „კავალი“ ცხენს ნიშნავს.
- რა იქნებით თქვენი მამიდაშვილისთვის?
- ბიძაშვილი.
- რა ერქვა ძალღს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?
- მურია? არა, ვიცი, შეცდომით ვამბობ. ვერ გიპასუხებთ.
- მურადა. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „ხარება და გოგია“?
- გიორგი შენგელაია.
- რომელმა რომაელმა სარდალმა ჩაახშო სპარტაკის აჯანყება?

- მარკუს კრასუსმა.
- რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?
- არაფერი ხდებოდა, რადგან ასეთი დღეები არ არსებობდა. პაპმა გრიგორი XIII-მ ამ წელს გრიგორიანული კალენდარი შემოიღო.
- ეს კითხვა ამ რუბრიკაში სტუმრობის დროს ორ მოაზროვნეს დავესვი და ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიპასუხა. რომელ ინსტრუმენტს ფლობდა ვირტუოზი ჯიმი ჰენდრიქი?
- გიტარას.
- რომელი მეფე დაიღუპა მარისის ბრძოლაში?
- არ ვიცი.
- ლუარსაბ I. 1993 წელს პარიზში 100 ტილო გამოჰჩინეს. მათ შორის იყო მანეს, რენუარის, სეროვის ნამუშევრები. რა პრინციპით შეარჩიეს ეს ტილოები?
- (ფიქრობს) მათი დახატვიდან 100 წელი იყო გასული.
- მფრინავმა იური გლაზკოვმა კოსმოსში მისთვის საყვარელი წიგნის საიუბილეო გამოცემა წაიღო. კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ, ეს წიგნი თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს აჩუქა. რა წიგნი წაიღო იური გლაზკოვმა კოსმოსში?
- „ვეფხისტყაოსანი“.
- დალაგეთ ომები თარიღების მიხედვით, წარსულიდან მომავლისკენ: გარნისი, კრწანისი, ბაზალეთი, დიდგორი.
- დიდგორი, გარნისი, ბაზალეთი, კრწანისი.
- სენა, ტბორი, ტემაზა, სუანე — ამ მდინარეებიდან რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?
- სუანე.
- „კაცი ხარ მაშინ,/ თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,/ როდესაც იცი,/ ზედმიწევნით როდესაც იცი,/ რა არ უნდა თქვა,/ რა უნდა თქვა,/ როგორ უნდა თქვა,/ სად არ უნდა თქვა,/ სად უნდა თქვა,/ რატომ უნდა თქვა“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?
- რობერტ ბერნსი.
- ცდებით, მისი ავტორი შოთა ნოშინიძეა. ისინი 1960-1967 წ.წ. აღმოაჩინეს. ეს იყო მძლავრი კოსმოსური რენტგენული წყაროები და კოსმოსური სითბური გამოსხივება. მათ ცრუვარსკვლავური რადიოწყაროები ეწოდება. რას უწოდებენ მათ შემოკლებით?
- კვაზარებს. კვაზი — ცრუს ნიშნავს.
- რომელ ციურ სხეულებს უწოდებენ კუდიან ვარსკვლავებს?
- კომეტებს. ასტრონომია ჩემი საყვარელი სფეროა.

— ვინ შემოიღო ტელესკოპი პირველად სმარებაში?

— გალილეო გალილეი.

— რა აღმოაჩინა მან ტელესკოპით?

— მთები მთვარეზე. იუპიტერის თანამგზავრები, სატურნის რგოლები, მზეზე ლაქები, ვენერას ფაზები და ა.შ.

— რომელი პლანეტის თანამგზავრია არიელი?

— ურანოსის.

— დაასრულეთ ბუასტის ცნობილი გამონათქვამი: „ჭეშმარიტება სულელთათვის იგივეა, რაც ნისლში მაშხალა. მაშხალა ბრალეებს და...“

— „...ადამიანებს თვალებს უბრმავეებს...“

— „მაშხალა ბრალეებს და ნისლს კი ვერ ფანტავს“.

იკუდიტი +

ვინა ნომრის „ერუდიტი +“-ში დასმული კითხვის პასუხი.

გენიოსთა უნაბარი ხარკი არცოდნას

არ გვეგონოთ, აღწერილი დაავადება მხოლოდ გენიოსთა სვედრი იყოს. მათი ბიოგრაფიის უფრო დანჯივრებით შესწავლამ აჩვენა: ნიუტონს, ფარადეის და ლომონოსოვს ჯანმრთელობა მას შემდეგ შეერყაო, რაც მათ ვერცხლისწყალთან დაინწყეს ინტენსიური მუშაობა. ნიუტონის თმის სპექტროსკოპულმა ანალიზმა, მის ორგანიზმში ვერცხლისწყლის ზომამზე მეტი რაოდენობა აჩვენა. ეს არც არის გასაკვირი: გენიოსები ხომ კვირაობით არ გამოდიოდნენ ლაბორატორიებიდან.

ვიკიპიდიის გვანაბალთა ამბობება, ხახვი და უხანაუსი ქარუმი

მშენებელთა ქურუმი თავს დამნაშავედ ხრის ფარაონის წინაშე.

— დიდო მეფეო! ხახვისა და ნიჭის გარეშე პირამიდის მშენებელთა ამბოხების ჩახშობა შეუძლებელი ჩანს.

ფარაონი მზერას უზენაეს ქურუმს მიაპყრობს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იტყვის იგი. მაგრამ სად პირამიდის მშენებელთა ამბოხება, სად ხახვი და ნიორი და სად უზენაესი ქურუმი?

ამ კითხვაზე პასუხს შემდეგ „ერუდიტი +“-ში შემოგთავაზებთ.





ეკა ხახიანი 15 წლის ქალიშვილი მილანის პოდუმიისთვის ემზადება

„მოდალოა საქართველოში არ მინდა“...

ის, მისი ოჯახის სხვა წევრებისგან განსხვავებით, დღეს ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ისეთი ოცნება და გეგმები აქვს, რომ თუ გაუმართლა, შესაძლოა, ნებისმიერი მათგანის პოპულარობაც კი დაწრდილოს. **ანასტასია თოფურიძის** თავისი საქმიანობის გაგრძელება არა საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქვს გადაწყვეტილი. ჩემი რესპონდენტი მსახიობ ეკა ხახიანის შუათანა ქალიშვილი გახლავთ. ანასტასია ჯერ მხოლოდ 15 წლისაა (ის თბილისის 53-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა), მაგრამ უკვე მოდელობის 2-წლიანი სტაჟი აქვს...

ლალი შანია

— შენი გარეგნული მონაცემები: სიმაღლე (180 სმ) და პარამეტრები ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ მოდელის პროფესიას საფუძვლიანად დეფულსაინტერესოა, მხოლოდ შენი გარეგნული მონაცემები გახდა მიზეზი იმისა, რომ გადაწყვიტე, ამ პროფესიას გაჰყოლოდი?

— ბავშვობიდანვე Fashion TV-ის ვუყურებდი და სურვილი მქონდა, უცხოელი მოდელების გვერდით, რომლებიც იქ გამოდიოდნენ, მეც ვყოფილიყავი და მათთან ერთად, პოდუიმზე გამეცლო... დღეს ეს სურვილი უფრო გამომძაფრდა. მინდა, ოცნება რეალობად იქცეს: მივალნი იმას, რომ უცხოეთში წარმატებული მოდელი გახდეთ.

— დღემდე რა გააკეთე და რას აკეთებ ამისთვის?

— ახლა სამოდელო სააგენტო „ამსას“ მოდელი ვარ, რომლის ხელმძღვანელი სოფო ჭყონიაა. ამჟამად, ჯიჯი რეჯინის ხელმძღვანელობით, ჩემთვის სურათების გადაღება დაწყებული და სულ მალე ჩემი პორტფოლიო უნდა დამზადდეს. შემდგომ, ჯიჯი ნამუშევრებს მილანში გაგზავნის. რატომაც, დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმიდან რაღაც გამოვა ანუ ოცნება ამისრულდება.

— კერძოდ, რომელ სამოდელო სააგენტოს უნდა გაუგზავნონ შენი ფოტოები?

— რამდენიმე სააგენტოში გაგზავნიან და მოწვევა საიდანაც მომივა, იქ გავემგზავრები.

— უცხოეთში წასვლა და იქ კარიერის დაწყება ასე ძალიან რატომ გინდა? ნუთუ, აქ არ შეიძლება მოდელობა?



— საქართველოში მოდელობა არ მინდა და ამას თავისი მიზეზები აქვს...

— როგორც ვიცი, სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ დაიწყე ეს საქმიანობა. იქიდან რატომ წამოხვედი?

— კი, იქ დავიწყე, მაგრამ ცოტა ხნის წინ, „ნატალიდან“ „ამსაში“ გადავედი. სააგენტო „ნატალი“ მშვენიერია და მისი ხელმძღვანელი — ქალბატონი ნატა სამადალაშვილი ფანტასტიკური ხელმძღვანელია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მე უცხოეთში ვაპირებ მუშაობას და ამის პერ-

სპექტივა სოფო ჭყონიასთან და ჯიჯისთან მეტია.

— ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს შენი ეს გადაწყვეტილება?

— მხარს მიჭერენ და წინააღმდეგობას არავინ მიწევს.

— თქვენს ოჯახში ყველა მსახიობია, შენ კი მოდელობა გადაწყვიტე—

— საქართველოში მსახიობობის სურვილიც არ მაქვს, პოლივუდში კი — რატომაც არა (იღიმება)?! ისე, მსახიობობას მაინც მოდელობა მირჩევნია.

— ეი, მოდელობისთვის შინაგანად მზად ხარ?

— მზად ვარ, რომ წავიდე მილანში და ისეთი დატვირთული ცხოვრებით ვიცხოვრო, როგორცაც ვეროპელი მოდელები ცხოვრობენ; იმ დაძაბულ შრომასა და რეჟიმს გაუძლო, რაც მათ აქვთ. ასე რომ, მზად ვარ თავდადებული შრომისთვის. ამაზე მეტად, არაფერზე მიოცნებია. სხვათა შორის, პატარაობისას ბავშვური ოცნებაც არ მქონია, რადგანაც იმას, რაც მინდოდა, ოჯახის წევრები ყოველთვის მისრულებდნენ. ეს კი ჯერჯერობით, ჩემს აუსრულებელ ოცნებად რჩება. ამიტომ, თუ თვითონ არ მოვინდომე, არაფერი გამოვა. მომავალ წელს აბიტურიენტი ვიქნები, მაგრამ თუ უცხოეთში გამგზავრების შანსი გამიჩნდა, უკან არ დავიხევ იმის გამო, რომ უმაღლესში გამოცდები მექნება ჩასაბარებელი.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევენ? მეცადინეობა გიყვარს?

— ისე, გააჩნია, თუ საგანი მომწონს და მას ალღო ავუღე, სიამოვნებით ვმეცადინეობ და ხელს არ ვაკლებ. მიყვარს ქართული ლიტერატურა, ინგლისური ენა...

— ახლა მინდა, შენი და შენი დის — ნინის ურთიერთობას შევეხ-

— ერთ ზაფხულს, სიმაღლეში 6-7 სმ-ით გავიზარდე და კინალამ გავეცილი

ოთ. ნინი წარმატებული მომღერალი და პოპულარული გოგონაა. როგორც უმცროს დას და ადამიანს, რომელიც პოპულარობისთვის ემზადება, რა დარიგებებს გაძლევს?

— მე და ნინის მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. თუ რაიმეს ვკითხავ, რა თქმა უნდა, მირჩევს, როგორ უნდა მოვიქცე. ის ჩემი საუკეთესო დამრიგებელია.

— ნინის, როგორც მომღერალს, თავად როგორ აფასებ?

— დავინწყით იმით, რომ ის ჩემი დაა და ძალიან მიყვარს. მომწონს, რასაც აკეთებს. როცა რაიმე უკითხავს, მეც მიმიცია მისთვის ისეთი რჩევა, რასაც საკუთარ თავს ვურჩევდი.

— როგორ ფიქრობ, შენ და ნინი ერთმანეთისგან რით განსხვავდებით?

— განსხვავებული ხასიათი გვაქვს. თითქოს, ნინი უფრო დამჯერია (სახლში ასე ფიქრობენ). არადა, მგონია, რომ არც ისეთი წყნარია, როგორც სახელიც აქვს (ილიმბა). თუ რაიმე განსხვავებული აზრი გვაქვს, მაშინ ვკამათობთ ხოლმე.

— ანასტასია, რას ნიშნავს ის ოჯახი შენთვის, რომელშიც დაიბადე და გაიზარდე? მისი თითქმის ყველა წევრი ხომ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია...

— ოჯახი ჩემთვის უპირველესია. ვამაყობ მისი წევრებით. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, ასეთ კარგ ოჯახში რომ დავიბადე (თუმცა, ალბათ, ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ოჯახი ეამაყება), საწუნუნო არაფერი მაქვს... მიყვარს ბაბუაჩემი — იმედა. მისი ყველა თვისება მომწონს. მას არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს და შესანიშნავი ბაბუაა. ბავშვობიდანვე მანებვირებს, არაფერს მიშლის. პირიქით, ყველაფერში მხარს მიჭერს და ყოველთვის მიცავს (მაშინაც კი, როცა მართალი არ ვარ).

— ნინი სკოლა რომ დაამთავრა, მასსოვს, იმედა ბაბუამ მას მანქანა აჩუქა... შენ რას გპირდება?

— სკოლას რომ დავამთავრებ, ვიცი, მეც აუცილებლად მიყიდინა ისეთ მანქანას, როგორსაც მოვისურვებ (იციინის).

— მამაზე რას იტყვი?

— მამაც არაფერს მიშლის. თხოვნაც არ მჭირდება იმისათვის, რომ მამამ და ბაბუამ ყველაფერი შემისრულონ.

— ეკა მკაცრი დედაა?

— ეკა, ჩემი აზრით, იდეალური დედაა. ისიც არაფერს მიკრძალავს. ერთადერთი, რასაც მთხოვს, ის არის, რომ კარგად ვისწავლო.

— შენ, ნინი და ეკა გარეგნულად ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს. შინაგანად რამდენადაა თქვენ შორის მსგავსება? ერთნაირები ხართ?

— ეკა და ნინი ხასიათებით ძალიან ჰგავან ერთმანეთს, მე კი მათგან განსხვავდები — ჯიუტი ვარ და სულ ჩემი გამაქვს. სახლში თუ კამათია, მხოლოდ იმაზე, რომ მე რომელიმე მათგანს არ



ვუჯერებ. მოკლედ, ჩემი სიჯიუტის გამო, მუდმივად შენიშვნას ვიმსახურებ. ისეთი ხასიათი მაქვს, თუ ვინმე რამეს მიბრძანებს, არაფრით გავაკეთებ, თხოვნით თუ მომმართავენ, მაშინ სხვა საქმეა (იციინის). ამ შემთხვევაში, დედას ვგავარ. ეკასი ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მიზანდასახული ადამიანია. მეც ასეთი ვარ და მისგან მაგალითად ყოველთვის ამას ვიღებ.

— ანასტასია, დროის უმეტეს ნაწილს რას უთმობ?

— ძალიან ენერგიული ვარ და შინ ვერ ვჩერდები. სახლში მხოლოდ მაშინ ვარ, თუ რაიმე საქმე მაქვს, მაგრამ იქ უსაქმოდ ყოფნას, გარეთ, მეგობრებთან გართობა მირჩევნია. ძალიან მიყვარს მეგობრები და თავისუფალ დროს მათთან ერთად ვატარებ. საერთოდ, თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი ვარ. სააგენტოში კვირაში ერთხელ მივდივარ, სადაც 4 საათის განმავლობაში ვვარჯიშობთ, ვცეკვავთ, პოდიუმზე დავდივართ ანუ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც მოდელს სჭირდება.

— არ მღერო?

— კი, როგორ არა! მუსიკა ძალიან მიყვარს.

— ნინის მსგავსად, მომღერლობა არასდროს გნდომებია?

— არა, ისე არ ვმღერო, რომ სცენაზე გამოვიდე. ნინი ბევრად კარგად მღერის, მაგარია.

— შეყვარებული თუ გყავს?

— კი, მყავს (ილიმბა). მას ჩემი ოჯახის წევრებიც იცნობენ... ამ თემაზე სხვას არაფერს ვიტყვი...

— კარგად ჩაცმა, თავის მოვლა გიყვარს?

— კი, ძალიან. ეს ჩემთვის უპირველესი საქიანობაა. სალონსა და მაღაზიებში ხშირი ვიზიტი ძალიან მიყვარს.

— უზრატესობას ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ?

— სპორტულ სტილსაც ვირჩევ ხოლმე და კლასიკურსაც. გააჩნია, სად მივდივარ. სპორტულად თუ მაცვია, თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. ისე, გაპრანჭვა ბავშვობიდანვე მიყვარს. პატარაობაში ქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა მიყვარდა, ახლა კი „მაღლებს“ აღარ ვიცვამ.

— ძალიან მაღალი გოგონა ხარ და ამით სხვებისგან გამოირჩევი...

— ერთ ზაფხულს, სიმაღლეში 6-7 სმ-ით გავიზარდე და კინალამ გავეციდი. კიდევ ვიზრდები და მეტი აღარ შემიძლია (იციინის). ნინისა და ეკას სიმაღლე 172-173 სმ-ია, მე კი უკვე ბაბუის სიმაღლეს მივუახლოვდი.


— ვინ არის შენთვის იდეალური მოდელი?

— ბრაზილიელი ჟიზელ ბიუნდჰენი. ის ჩემთვის მართლაც იდეალური და მისაბამია.

— მაღლობა ინტერვიუსთვის. მინდა, ოცნების ახდენა და წარმატებები გისურვო!

— დიდი მაღლობა!

— ოჯახი ჩემთვის უპირველესია. ვამაყობ მისი წევრებით (მარჯვნიდან პირველი ანასტასია, 2001 წ.)



მოსხაჯა ქართულად...



საქართველოში ადრე ქალის მოტაცებით დაქორწინება, ძალიან სწორი მოვლენა იყო. მოტაცებამ ზოგი გააუბედურა, ზოგს კი დღესაც მშვენიერი ოჯახი აქვს და თავს ბედნიერად გრძნობს.

„ვერს ყი ვიფიქრებდი, თუ სიბერეში ვინმე მომიტაცებდა“...

მარეზ ჭონიძე

აბა, 45 წლის:

— მე და ვახო მეზობლები ვიყავით. საბავშვო ბაღშიც ერთად დავდიოდით. მახსოვს, ვახოს დედა დილით გამოვივლიდა, თვითონ მაცმევიდა და ბაღში მივყავდი, რადგან დედაჩემს ჩემთვის არასდროს ეცალა. ჩემს მშობლებს, ჩემ გარდა შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ ჩემი გაზრდა მაინც უჭირდათ. ღარიბულად ვცხოვრობდით. მამა არ მუშაობდა, დიდიდან საღამომდე ქუჩაში იყო და სვამდა. საღამოს კი სამსახურიდან დაბრუნებულ, დაღლილ-დაქანცულ დედას სცემდა. ალბათ, ამიტომაც მიიღო დედაჩემმა ჩემი გაშვილების გადაწყვეტილება: უნდოდა, ამ ჯოჯოხეთისთვის მე მაინც დამეღწია თავი. 5 წლის ვიყავი, როცა გამაშვილეს. ახლაც თვალწინ მიდგას ის საშინელი დღე. დედას ვეუბნობდი, ვტიროდი და ვეშუადრებოდი, არ დავეტოვებინე. ჩემმა ცრემლებმა შედეგი არ გამოიღო. ჩემი დედობილ-მამობილი კარგი ხალხი აღმოჩნდა. სიტბოს და ყურადღებას არ მაკლებდნენ და მეც მათ ნელ-ნელა შევეჩვიე, შემდეგ კი შევიყვარე კიდევ ისინი. ჩემი ნამდვილი მშობლები დავივიწყე და საკუთარ მშობლებად ის ხალხი ვაღიარე, რომელიც ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, რადგანაც მინდოდა, ჩემი აღმზრდელებისათვის ამაგი დამეფასებინა. თავს არ ვიქებ, მაგრამ ლამაზი გოგო ვიყავი. სოფელშიც ბევრს მოვწონდი, ბევრს უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა, მაგრამ მე არ ვქარობდი, რადგან სწავლა მინდოდა. ამაშიც ხელი შემინწყვეს ჩემმა მშობლებმა და სასწავლებლად თბილისში ჩამოვედი. უმაღლეს სასწავ-

ლებელში მისაღები გამოცდები რომ ჩავაბარე, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. პირველ კურსზე გახლდით, როცა ვახო მეგობრის დაბადების დღეზე ვნახე. გამიკვირდა, რომ მიცნო. მითხრა: ბავშვობიდან მიყვარდი, შენი თვალები არასოდეს დამვიწყებია და როგორც კი თვალებში ჩახედე, მაშინვე გიცანიო. გამიხარდა მისი ნახვა; სახლამდე გამომაცილა, ვიმეგობროთო, — მითხრა, მაგრამ მთელი თვე აღარ გამოჩენილა. ერთ დღეს კი სასწავლებელში მანქანით მომაკითხა. მეგობრებთან ერთად იყო. მითხრა: წამოდი, სახლში წაგიყვანო. დავუჯერე. ჩემი სახლისკენ მიმავალ გზას რომ გადაუხვია, ვკითხე: ვახო, სად მივდივართ-მეთქი? მიპასუხა: მიყვარხარ და ჩემი ცოლი უნდა გახდეო. ეს ამბავი ჩვეულებრივად მივიღე, ნივილ-კვიციანი არ ამიტყენია. მივხვდი, მაინც არაფერი გამომივიდოდა. მან ახლობელთან სოფელში მიმიყვანა. როგორც კი დაღამდა, ისე მოვახერხე, რომ გამოვიპარე. ღამით სოფლის გზებზე რომ მოვდიოდი, შიშისგან გული მისკდებოდა, არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. გზაში მანქანა შემხვდა, გავაჩერე და დახმარება ვთხოვე. კარგი კაცი აღმოჩნდა, შევეცოდე. თავის ოჯახში მიმიყვანა, დილით კი ჩემს მშობლებთან წამიყვანა. მშობლებისთვის არაფერი მითქვამს, არ მინდოდა, ენერვიულათ... მეორედ, ერთ თვეში, ჩემი სახლიდან მომიტაცა, არ მიყვარხარ და თავი დამანებე-მეთქი! — გავკიოდი. მანქანიდან გადახტომაც ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არ მიყვარდა და მასთან ცხოვრებას არ ვაპირებდი. რომ არ ვნებდებოდი, ხელი გამარტყა. გონება დავკარგეთვალე რომ გავახილე, ლოგინში შიშველი ვინქეი და ვახო გვერდით მწვნა. რალაცებს მელაპარაკებოდა, მაგრამ არაფერი მესმოდა. მივხვდი, რომ თავისი სურვილი აესრულებინა. სიცოცხლე აღარ მინდოდა. კიდევ უფრო მეტად შემზიზღდა. როგორც კი ოთახიდან გავიდა, ჩავიცვი და მე-3 სართულიდან გადმოვხტი.

სასწავლი მოხდა — გადავრჩი. 3 თვე საავადმყოფოში გავატარე. ცოტა რომ დავწყნარდი, ექიმებმა მითხრეს, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. აბორტი ისე გავიკეთე, არც კი დავფიქრებულვარ, თუმცა შემდეგ ვინანე, შვილს სიცოცხლე რომ მოვუსწრაფე. ვახომ ჩემი აბორტის გაკეთების ამბავი რომ გაიგო, საშინლად გაბრაზდა. მეუბნებოდა, — ჩემი შვილის მოკვლას არ გაპატიებ. იცოდე, სიცოცხლეს გაგიმწარებო! — და მართლაც, ასე მოიქცა. ჩემი მოტაცება მესამედ, საავადმყოფოდან მოახერხა.

— ნუთუ დახმარებისათვის არავისთვის მიგიმართავენ?

— აბა, ვისთვის უნდა მეთხოვა, დახმარება? ჩემმა მშობლებმა პოლიციას გააგებინეს, მაგრამ ვახომ ისე მოახერხა, რომ არავის დაუსჯია. ჩემს მშობლებს კი, აბა, რა შეეძლოთ?! თან იმ დროისათვის უკვე მოხუცები იყვნენ. ჩემს ამბავს ძალიან განიცდიდნენ; იმ პერიოდში მამას ნერვიულობისგან ინფარქტი დაემართა და გარდაიცვალა. დედას რომ არ ენერვიულა, ვახოს ცოლი გავხდი და ბედს შევეგუე. თუმცა ერთი დღე არ მქონია ბედნიერი: ვახოს ვერ ვიტანდი და ჩემს ზიზხს არც ვმაღავდი. ის ყოველთვის ძალით ცდილობდა ჩემს დამორჩილებას. შემდეგ ცემაც დამიწყო. ასეთ საშინელ დღეში ვიყავი, როცა მეორედ დავფეხმძიმდი. ვახო თვალს არ მაცილებდა, ეშინოდა, ისევ აბორტი არ გამეკეთებინა, მაგრამ



არ მიყვარდა და მასთან ცხოვრებას არ ვაპირებდი, რომ არ ვნებდებოდი, ხელი გამარტყა

ამ საშინელების ჩადენას აღარ ვაპირებდი... მშვენიერი ბიჭი გავაჩინე. შვილის გარდა, უკვე არაფერი მაინტერესებდა. მთელი ყურადღება მასზე გადავიტანე. ვახოც შეცვალა შვილმა, ისეთი სასტიკი აღარ იყო. თუმცა შემდეგ დამცირება დამინყო. ამდენმა ნერვიულობამ თავისი შედეგი გამოიღო და საშინლად გავსუქდი. ის ეკა აღარ ვიყავი. ვახო კი მეუბნებოდა, — რას ჰგავხარ, საშინლად დამახინჯდიო... თუმცა მის სიტყვებს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მან საყვარელი გაიჩინა და მასთან ერთად მოსკოვში წავიდა. ამის შემდეგ ჩემი ბედნიერი ცხოვრებაც დაიწყო. შვილს ხელი მოვკიდე და საცხოვრებლად სოფელში, დედასთან წავიდი. ჩემი ბიჭი ხშირად მეკითხებოდა მამამისზე, მე კი ვაბუყებდი, რომ მოკვდა... თუმცა ვიცი, რომ ის დროც დადგება, როცა მისთვის სიმართლის თქმა მომიწევს.

თაზუნა, 35 წლის:

— გელა ჩემს დედულეთში გავიცანი, თბილისელი ბიჭი იყო და მამიდასთან სტუმრად ჩადიოდა ხოლმე. სოფელი ბიჭებისგან ძალიან განსხვავდებოდა; ბევრ გოგოს მასზე თვალი რჩებოდა, ბევრი ეპრანჭებოდა, მას კი ჩემი მეგობარი ნინო შეუყვარდა. ლამაზი ნყვილი იყო. ერთხელ სოფელში გელას დედა ჩამოვიდა. იმ დღიდან დაიწყო ყველაფერი. იმ ქალს სარძლოდ მე მოვეწონე და გელას მოსთხოვა, რომ ცოლად მოვეყვანე. დედამის გელაზე დიდი გავლენა ჰქონდა; რასაც ეტყოდა, იმას აკეთებდა. გელამ იცოდა, რომ ნებით არასოდეს წავყვებოდი, ამიტომაც მომიტაცა. საშინელ დღეში ჩავვარდი. სახლში სულ დაველენე ყველაფერი. გელას ლაჩარს, მოლაღატეს ვეძახდი. ოთახში დედამისი შემოვიდა და მასთან საუბარი ვცადე: ვემუდარებოდი — გამიშვით, თქვენი შვილი არ მიყვარს, არც მას ვუყვარვარ და ცხოვრებას ნუ დამინგრევთ-მეთქი. — შენ არავინ გეკითხება, მე მომწონხარ, ჩემი რძალი უნდა გახდე, ქმარი კი დროთა განმავლობაში შეგიყვარდებაო, — მიპასუხა. შემდეგ კი შვილს უთხრა: ხომ ხედავ, თანახმა არაა და სანამ მშობლები მოვლენ, მანამ გააკეთე შენი საქმე, თორემ მერე წაიყვანენო. ამ ნათქვამმა კიდევ უფრო გამაცოფა, გელას ვეცი, დედამისის სახე სულ დავუკანრე, მაგრამ მან ჩემი გაკავება შეძლო. გელამ დედამისის თანდასწრებით ძალა იხმარა და გამაუპატიურა. ჩემი მშობლები რომ მოვიდნენ, ბევრი ვებყვანე, ვემუდარე, რომ სახლში წავყვანე, მაგრამ „შერცხვენილი“ შვილის უკან წაყვანა არ ისურვეს.

დედაჩემმა ისიც კი მითხრა: სოფელი გოგო თბილისში გათხოვდი, ხომ ხედავ, რა კარგად ცხოვრობენ, შენთვის უკეთეს ბედს ვერც კი ვინატრებდიო. რა უნდა მექნა, დავრჩი. რამდენიმე ხნის შემდეგ ნინოსთან დალაპარაკება ვცადე, მეგონა, ის მაინც გამოიგებდა, მაგრამ არც კი მომისმინა, მოლაღატე მეძახა. ჩემს მდგომარეობას ვერავის ვუმხელდი. ძალიან ცუდად ვიყავი. გელაც მეცოდებოდა, არც მას ვუყვარდი, მაგრამ დედის შიში ჰქონდა. წინააღმდეგობას ვერაფერზე უწევდა. ერთად ცხოვრება მაინც ვერ შევძელით და დავშორდით. ჩემი ყოფილი დედამთილი ახლა ძალიან ცუდადაა, ლოგინადაა ჩავარდნილი, სინდისმა ახლა შეანუხა და რამდენჯერმე დამირეკა: მოდი, პატიება უნდა გთხოვოო. — მაგრამ რა ვქნა, ვერ ვაპატიებ. არ შემიძლია იმ საშინელი დღეების დავიწყება.

ნინო, 38 წლის:

— სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინოზე ჩაბარება ვცადე, მაგრამ ქულები არ მეყო და მშობლებმა მოსამზადებლად, რაიონში წამიყვანეს. გია ჩემი მასწავლებლის მეზობელი იყო. ხშირად მხვდებოდა გზაში, დადგებოდა ხოლმე და მიყურებდა. ერთხელ კი მოვიდა და მითხრა: ჩემი ცოლი უნდა გახდე და წამომყევით. სიცილი დავიწყე, ის კი გაბრაზდა და მითხრა: იცოდე, მოგატაცებო. ეს ამბავი სახლში მშობლებს მოუყევი. დედა მარტო აღარ მიშვებდა და მასწავლებელთან დამყვებოდა. მაგრამ დედამ ვერ მიშველა და გიამ ჩემი მოტაცება მაინც მოახერხა. ერთ დღეს, გზაში მანქანით დამხვდნენ. ორმა ბიჭმა დედაჩემი გააკავა, ორმა კი მანქანაში ძალით

ჩამტენა. მთელი ორი თვე მმაღავდა, ერთი ნათესავიდან მეორესთან მიყვავდი. თავიდან მისი მეშინოდა, მეგონა, ძალას იხმარდა, მაგრამ პირველსავე დღეს მითხრა: ნუ გეშინია, სანამ შენი სურვილი არ იქნება, ხელს არ გახლებ, მაგრამ იცოდე, უნდა შემეყვაროო. მაშინ ამ სიტყვებზე ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი: მოკვდები და შენ მაინც არ შეგიყვარებ-მეთქი. — მე ჩემსას ვცდი, თუ არ შეგიყვარდები, სახლში დაგაბრუნებო. მისი საქციელით გაცოცხლები ვიყავი. ერთი ნუთითაც არ მშორდებოდა, ყოველნაირად ცდილობდა, მომწონებოდა. თანდათან ვხვდებოდი, რომ შევეჩვიე, მაგრამ არ ვუმხელდი. ერთ დღეს ჩემებმა მოგვაგნეს, თან პოლიციაც მოიყვანეს. გია დააპატიმრეს, მე კი მშობლებმა წამომიყვანეს. გიას რომ დავშორდი, მივხვდი, რომ მიყვარდა. ჩემს მშობლებს დაველაპარაკე და ვუთხარი: გია ძალიან მიყვარს და თუ არ გაათავისუფლებთ, თავს მოვიკლავ-მეთქი. რაღას იზამდა მამაჩემი? — საჩივარი გამოიტანა და დიდი ქორწილიც გადამიხადა. დღეს ორი შვილი გყავს და ბედნიერი ნყვილი ვართ.

ბაია, 25 წლის:

— გოგა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ გამხელას ვერ ვებდავდი. სკოლას რომ ვამთავრებდი, ჩემი მოტაცება სცადა. ერთხელ სახლში რომ ვბრუნდებოდი, ძმაცაცებთან ერთად დამხვდა, მითხრა: მანქანაში ჩაჯექი, მიყვარხარ და ცოლად უნდა შეგირთოო. გავიქეცი. იქვე ხე იდგა და მას ორივე ხელი შემოვხვავი. გამხდარი, პატარა გოგო ვიყავი და ახლაც მიკვირს, საიდან მომეცა იხელა ძალა. ბიჭებმა ხეს ვერაფერი

კალიფორნია

შურისმაძიებელი მუშა

კომპანია „ბონინგის“ ფილადელფიაში მდებარე ერთ-ერთი ქარხნის უკმაყოფილო მუშამ სამსახურში დივერსია მოაწყო. სხვა სამუშაოზე გადაყვანით უკმაყოფილო მეტიუ მონტგომერიმ ძველ ადგილზე მუშაობის ბოლო დღეს, ამწყობ საზღვრს განთავსებული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი H-47 Chinook შეგნებულად დააზიანა. დაზიანებული საფრენი აპარატის ფასი 20-30 მლნ დოლარს შეადგენს. დამნაშავე დააპატიმრეს და ბრალდებულად, „ამერიკის შეერთებული შტატების ქონების დაზიანება“ წაუყენეს. მონტგომერიმ დანაშაული აღიარა და გირაოს გადახდის შემდეგ, სასამართლო პროცესის დაწყებამდე გაათავისუფლეს. შურისმაძიებელ მუშას ფსიქიატრიული ექსპერტიზის გავლა მოუწევს.



მომამორეს. ჩემი ქმარი კი გვერდზე იდგა და ბიჭებს ეძახდა: ფრთხილად იყავით, არაფერი ატკინოთო. ამასობაში მშველელიც გამოემიჩნდა და გოგა განბილებული წავიდა. ორი კვირის შემდეგ, კვლავ მნახა, ბოდიში მომიხადა და სიყვარულში გამომიტყდა. ვუთხარი, თავიდანვე ასე გეთქვა, მეც მიყვარხარ და ჩემი ძალით წაყვანა საჭირო არაა, ჩემი ნებით გამოგყვები-მეთქი. იმ დღესვე გავიპარეთ, ჩემი მშობლები კი გამიბრაზდნენ, ადრიაანად რომ გავთხოვდი, მაგრამ ახლა შევირიგე და ყველაფერი კარგადაა.

ნანი, 75 წლის:

— 15 წლის გავთხოვდი. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. 5 შვილი გვაჩინე. ვზრდიდით შვილებს და ერთმანეთის ბედნიერებით ვხარობდით. მაგრამ 24 წლის ვიყავი, რომ დავექრივდი. ჩემი ქმარი ავარიში მოყვა და დაიღუპა. რა უნდა მექნა?! ბავშვების გაზრდა მარტომ გავაგრძელე. ლამაზი, მოხდენილი ქალი ვიყავი, ბევრი მთხოვნელიც გამომიჩნდა, მაგრამ ყველას უარით ვისტუმრებდი, სოფელში ოთარაანთ ქვრივს მეძახდნენ. შემდეგ შვილები დაიზარდნენ და ყველანი თავ-თავიანთი გზით წავიდნენ. მარტო დავრჩი. ზაფხულის დადგომას სიხარულით ველოდი. რადგან, ქალაქიდან შვილები და შვილიშვილები ჩამოდიოდნენ. ბევრჯერ ვთხოვე ჩემს შვილებს, ბავშვები სკოლაში აქ, სოფელში შევიყვანოთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს, ქალაქში უფრო კარგად სწავლობენო. დილიდან საღამომდე მარტო ვიყავი, გათხოვებაზე არც კი ვფიქრობდი, 70 წლის რომ გავხდო, მეზობელი სოფლიდან ერთი კაცი გადაამეკიდა. მაშვალს მაშვალზე მიგზავნიდა, რამდენჯერმე მაშვალი სახლიდანაც გავაგდე, მაგრამ ის კაცი არა და არ მომეშვა. ერთ დღეს ძროხა საბალახოდ მყავდა წაყვანილი, მინდორში მომაკითხა, ცხენზე იჯდა. მითხრა: ცოდო ხარ, არ დაილაღე მარტოობით?.. მეც მარტო ვარ და ერთად ვიცხოვროთო. ლამის გავგიჟდი მას სულ ჩერჩეტი ბერიკაცი ვეძახე, მაგრამ ხელი დამავლო, ცხენზე შემომისვა და თავის სახლში მიმიყვანა. არ ესიამოვნათ მის შვილებს ეს ამბავი, ჩემი შვილებიც საშინლად გაბრაზდნენ. სანახავადაც არ მოვიდნენ. შემომითვალეს, — ჩვენ დედა მოგვიკვდაო. ვერც კი ვიფიქრებდი თუ სიბერეში ვინმე მომიტაცებდა... ■

ჩემი თაობა მის ლექსებზე გაიზარდა. ის თავის ხალხს შედეგებს მათთვის ქმნიდა, ვისაც „წითელი“ იდეოლოგიის ტყვეობაში უხდებოდა პირველი ნაბიჯების გადადგმა. იქნებ, ამიტომაც გავუძელით ბევრ განსაცდელს? იქნებ, მისმა ლექსებმა შეგვმატა ძალა?.. მერწმუნეთ, კეთილი ემოცია შეუდარებელი საზრდოა ახალი სიცოცხლისთვის. ჰოდა, გამორთეთ ტელევიზორები, როდესაც ისინი ცუდ ამბებს გამცნობენ და თქვენს პატარებს ყველაზე საბავშვო პოეტის — გივი ჭიჭინაძის ლექსები წაუკითხეთ. ეს პატარა ამბავიც მისი ლექსების ემოციით დაინერა.



კარგი ამბავი

ღვა სუსტირიბა

ოთარიკო მუყაოს ყუთიდან ხვნეშით გამოძვრა, მაგიდის კიდეც თავი მსუბუქად მიარტყა და ტელეფონს, რომელიც მონოტონურად რეკავდა, უპასუხა. მამა იყო. იკითხა, — როგორ ხართო? მაგრამ უმცროსმა ვაჟმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ ის ჰკითხა, — დღეს რას მოგიტანო? მამამ უპასუხა: კარგ ამბავს მოგიტანთო და ისე გაიცინა, რომ ოთარიკომ მისი თეთრი კბილებიც კი დაინახა. პატარა ბიჭმა გაოცებისგან პირი დააფრინა და წამით გაირინდა. რა არ მოუტანია სამსახურიდან დაბრუნებულ მამას შვილებისთვის, მაგრამ „კარგი ამბავი“ არასოდეს. გიორგიმ ოთარიკოს მდგომარეობით ისარგებლა, კარადიდან გადმოხტა და მძას მხრებზე დაახტა. ოთარიკოს ეწყინა და ეტკინა კიდევ, მაგრამ ტირილი ცხვირის წვერთან შეიკავა. — მამამ თქვა, მოვალ და რაღაცას მოგიტანთო, მაგრამ რას, არ გეტყვი! — „დასაჯა“ ძმა. — მამა იკო? — იკითხა პატარა ლიზიმ, რომელმაც ხელში ატატებული, ლამის ოთარიკოს სიმაღლე თეთრი დათუნია იატაკზე დასვა და ძმებთან მიიბრინა. ლიზის მარიამი, თეონა, არჩილი და ანა მოჰყვნენ. მათ მძას წრე შემოარტყეს და ინტერესით მიაცქერდნენ, მაგრამ ოთარიკომ თავისი საიდუმლო არ გაამჟღავნა... ლიზიმ მძას ფუნთულა ხელი ჩაავლო, თავისკენ ფრთხილად მოქაჩა და თვალეში სანყალობლად ჩახედა. — კარგი, მხოლოდ შენ გეტყვი. მამამ თქვა, — კარგ ამბავს მოგიტანთო! — დედაა, მამამ დარეკა, კარგ ამბავს მოგიტანთოო! — ლიზი სამზა-

რეულოსკენ ყვირილით გაიქცა. — დებილო! — ახლა მართლა გაბრაზდა ოთარიკო, იატაკზე დაჯდა და ტირილი დაიწყო. ჯერ ჩუმად გამოიტირა თავისი დამარცხება, მერე იფიქრა, სხვებმა თუ არ გაიგეს, ისე ტირილს რა ფასი აქვსო და ხმამაღლა, მოთქმით ატირდა. ანამ იცის, როგორც უნდა გააჩუმოს ოთარიკო. ახლა მოვა, ფეხებთან ჩამოუჯდება უმცროს მძას და მოწყენილი სახით დაინყებს: „ძლიერ წუხდნენ ზღარბები...“ მერე, თავადვე ამოიზღუტუნებს და გააგრძელებს: „რატომ წუხდნენ?“ და მაშინვე პასუხობს დასმულ კითხვას: „ვამლი ჰქონდათ საკრეფი...“ „რა ქნეს მერე?“ „ჟირაფს წერილი მისწერეს...“ ამასობაში ოთარიკოს თვალეში გაუფართოვდება, ვითომდა არ იცის, რა მისწერეს ზღარბებმა ჟირაფს და დას ჰკითხავს: „— რა მისწერეს?“ უფროსი დაც არ დაამადლის და მხიარულად უპასუხებს: „— აგრემც უფრო გაგებრდება ეგ ლამაზი კისერიო, აფრიკიდან ჩამოდი და გვისხენიო.“ მერე, ერთად იცინებენ და ყველა დაივინყებს, რომ ოთარიკო ნაწყენია... მაგრამ ამჯერად, ასე არ მოხდა — ატირებულ ბიჭთან არც ანა მივიდა და არც სხვა ვინმე. სამაგიეროდ, ტირილი მოჰბეზრდა და გადანყვინტა, ლიზისთვის სამაგიერო გადაეხადა. მაგრამ მამამ ხომ გააფრთხილა: ქალს არასდროს დაარტყაო! ოთარიკო ვაჟკაცია და ისე აატირებს დას, რომ

თითსაც არ დააკარებს. თან, ღიმილი რა ქალია, ერთი მსუქანა მეტიჩარაა. ჰოდა, მივა მასთან, თვალეში ჩახედავს, რომ კარგად გააგონოს ნათქვამი და დაინწყებს:

„ვარსკვლავები ტირიან.

რა ატირებთ ვარსკვლავებს?

დანა გალესილია,

ხვალ თეთრ ბატკანს დაკვავენ.

წყაროს დარდით დანრეტილს,

სცივია ცრემლის ნვეთები:

ღამევ, ღამევ გაგრძელდი,

დიდხანს ნუ გათენდები!“

ასეც მოიქცა. ისე ჩააბუღებულა ლექსი, რომ დისტოვის თვალი არ მოუშორებია, მაგრამ მაინც ვერ აატირა. ამიტომაც, დასძინა: ღამე არასოდეს გრძელდება! დაკვავენ თეთრ ბატკანს და ღირსი იქნები!.. რაკი მისმა ხერხმა არ გაჭრა, დასწვრილ კვიანაში სწვდა და მაგრად მოქაჩა. ღიმილი ახლა მართლა ატირდა, მაგრამ რატომღაც, ოთარიკოს შეეცოდა და თავადაც მოუწდა ტირილი. არა, დღეს არ უმართლებს!

დედამ ატირებული ღიმილი სამზარეულოში გაიყვანა და ახლა, იმის მაგივრად, რომ „გამყიდველობისთვის“ ისჯებოდეს, დედასთან ერთად ცომს აბრტყელებს. „მკვლავებს დაიკაპინებს, გათავდა და მორჩა!“ ანა და არჩილი თავის ოთახში მეცადინეობენ, გიორგი, მარიამი და თეონაც ჩუმად არიან. ოთარიკომ გაიფიქრა: „ყველას მეგობარი ჰყავს, ჩემთვის არავის სცალია, ნეტავ, რისი ბრალია, უჭკუო ვარ ძალიან?“ და ბავშვების საძინებელში ჩუმად შეიჭყიტა. ისინი თეონას თეთრ სანოლზე მოკალათებულან და შოკოლადს მიირთმევენ! ამათ არ იციან, რომ „ერთი დიდი შოკოლადი ათ ტოლ ფილად განაწილდა?!“ რომ „მეგობრობა შოკოლადზე უფრო ტკბილი რამ ყოფილა?“ არა, იციან, როგორ არ იციან, რადგან შოკოლადით პირგამო-

ტენილი მარიამი ახლა სწორედ ამ ლექსს ამბობს. ე.ი. თან იციან და თან — არა? იქნებ, ოთარიკოს დასცინიან? კარს ჩუმად ხურავს, ისე რომ ვერავინ შეამჩნიოს და თავის საყვარელ ლექსს ფიქრებში აგრძელებს:

„ერთი — კენტი! ორი — ლუნი!

თხილს ჭამს ციყვი კნანავუნით.

გვერდით კინა ციყვი უზის:

მაჭამეო! — თათებს უწვდის.

სამი — კენტი! ოთხი — ლუნი!

კვლავ გრძელდება კნანავუნით.

რამდენჯერაც — კნან! გაისმის,

კინა ბრაზობს: — ძუნწი! ძუნწი!“

„მეტისმეტი ჯავრისგან გულს ნუ გადაიქნაცვ, შენს ქომაგად სულ მალე გამოჩნდება ვილაცა“, — თავს ირწმუნებს ბიჭი. მამა კარგ ამბავს მოიტანს, მას ოთარიკო ძუნწის ლექსს ეტყვის და ის ყველაფერს მიხვდება! მამას ხომ ყველა შვილზე მეტად, ოთარიკო უყვარს!

მისაღებ ოთახში ღიმილი უზარმაზარი თეთრი დათუნია ზის. ისიც მოწყენილია. ოთარიკო ტელევიზორს რთავს. იქ ამბობენ, რომ რუსებს ქართველები არ უყვართ. ოთარიკოს კი, ქვედა სართულზე რომ ზინა ცხოვრობს, სიგიჟემდე უყვარს. ვითომ, უფროსები იტყუებინან? ბიჭმა ისიც არ იცის, რატომ ნერვიულობენ მისი მშობლები, როდესაც სალამო ხანს საინფორმაციო გადაცემას უყურებენ. სამაგიეროდ, ბევრი ისეთი რამ იცის, რაც მათ არ გაეგებათ. მაგალითად, ის, „ბანზე რომ თვლებს კატა ჭრელი, ბრჭყალები აქვს დასაჭრელი“ და ისიც, რომ „მზესუმზირებს სშირ-სშირად, თავი მოაქვთ მზის შვილად“, „ცხრათვალა მზე რატომ არის მუდამ ასე ფრთაგამოლილი“, „დაბრანულს და თეთრგულას, რა ახარებს ბედურას?“, „ულრან ტყეში, მუხის ტოტზე ვინ ხმაურობს“, „ლომი რად თვლემს დღე და ღამე“ და ისიც იცის, რომ „მონყენილია დრუბელი, ატირდება და ინვიმებს“.

— ოთარიკოოო! — ეს დედაა, ვახშმად უხმობს. „გული ძალზე კეთილია“, ოთარიკოს გული კი — ყველა გულზე მეტად და ამიტომაც, დედასთან არაფერს დაიჩვილებს. „კუჭმა კუჭმაჭელამ“, დაძმებს თავი შეახსენა და ახლა, ყველანი მაგიდასთან ტრიალებენ. ოთარიკოს ჯერ არავინ ანდობს თეთრი, ვარდისფერყვავილებიანი თევზების სამზარეულოდან გამოტანას, მაგრამ დანა-ჩანგლის მაგიდაზე დაწყობის უფლება მოპოვებული აქვს. ეს ანას, დედას, არჩილს, მარიამს.

აი, ღიზის კი დანას არ აძლევენ, რადგან ყოველთვის ხელს იჭრის, თეონას კი ორი ჩანგალი სჭირდება (თავად ასე თქვა და). „თეთრ სუფრაზე თეთრი სურა, თეთრ სურაში ნუშის ტოტი“. ჰო, ნუშის ტოტი არა აქვთ, მაგრამ სუფრა ძალიან ლამაზადაა განწყობილი. მამისთვისაც დადეს თევში. იქნებ, მალე მოვიდეს და კარგი ამბავიც მოიტანოს! სალამო ხანს, როცა მისთვის თევზს დებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად ელიან, ვიდრე ოდესმე. გამოდის, რომ სულ ელიან? ოთარიკოს უნდა ყველას



გასაგონად თქვას: „აბა, ჩქარა, მოგელით, გამოლილი გვაქვს მაგიდა, აირჩიეთ, მიირთვიეთ, სულო, გულო, რა გინდა!“ მაგრამ ახლა, ურჩევნია გაჩუმდეს, რადგან დედამ მარიამის თეთრ მისისურზე შოკოლადის ლაქა დაინახა და ბრაზობს... ესეც ერთ ძუნწს, სასჯელი!..

დედას სულაც არა აქვს დალილი სახე. ე.ი. გამოლილ სუფრასთან ლაპარაკი შეიძლება. „ახლა ბებომ, ალბათ, უკვე დააპურა კრუხ-წინილია, დაქანცული სამფეხაზე ზის და კვენისის ბუხრისწინა“. დედას სიამოვნებისგან ეღიმება, მაგრამ არაფერს ამბობს. ბავშვები ახმაურდნენ — ყველა რალაცის თქმას ცდილობს. ოთარიკო გაიტკინა, მოითენთა და მიეყრდა. ბავშვები სოფელზე ლაპარაკობენ და თვალები უციმციმებთ...

— ოთარიკოს ისევ ჩაეძინა? — კითხულობს მამა და შვილი საძინებელში გაჰყავს. მამის მტკიცე მკვლავებში ძილი — ეს ყველაზე კარგი შეგრძნებაა, რაც კი ოთარიკოს თავის სიცოცხლეში გამოუცდია. შეფხიზლდა. ახლა თვალებს სიამოვნებისგან ნაბავს და ამ სიამოვნების გასახანგრძლივებლად მამას ეკითხება: „ულრან ტყეში, მუხის ტოტზე, ვინ ხმაურობს ნეტავ, ვინ?“ პასუხი სადღაც შორიდან ესმის: „ლექსებს ბეჭდავს რემინგტონზე ხეკაკუნა მბეჭდავი“... ძილი ნებისა, ოთარიკოოო!



სოფო ჯონიშვილი

ქართლისტი – თამუნა ზოგორაძე
რედაქტორი 3060 (ბაჟი წაუკვირე)

ყურანისტაზი, როგორც „იბეზი“ ღარიანი

— ვინ, როგორ ხარ, მისარა, დღეს ერთმანეთის რეპონდენტები რომ ვართ. „იმედის“ დარბევის შემდეგ გამორჩეულად აქტიური იყავი, ვგულისხმობ იმას, რომ სხვაგვარად განცხადებებს აკეთებდი. ანუ ამბობდი, იმას, რაც მოხდა, რაც შენი თვალთ ნახე, როგორც ვიცი, ეს აქტიურობა შენს ოჯახზე ცუდად აისახა. რა მოხდა კონკრეტულად, თუ შეგიძლია, მითხარო?

— ტელეკომპანიის დარბევის შემდეგ, იმ მიტინგში მივიღე მონაწილეობა, რომელიც „ტელეიმედის“ მხარდასაჭერად გაიმართა. იმავე საღამოს კი, ბატონმა დავით აქუბარდიამ თავის გადაცემაში, მე და ზურა მანჯავიძე მიგვიწვია. ზედმეტი არაფერი მითქვამს. ვთქვი ის, რასაც „იმედის“ ნებისმიერი თანამშრომელი ფიქრობდა. თუმცა ზოგიერთი მათგანი საკუთარი აზრის სხვაგვარად დაფიქსირებას ერიდებოდა.


— რატომ გადაწყვიტე, რომ სათქმელი ასე სხვაგვარად უნდა გეთქვა?

— ეს ყველაფერი საკუთარი ადამიანური პოზიციიდან გამომდინარე გავაკეთე. „იმედის“ გათიშვის შემდეგ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოვიარე. გაცივებული ვიყავი იმ ფაქტით, თუ როგორ განიცდიდა ნებისმიერი ადამიანი 7 ნოემბერს მომხდარ ფაქტს. ჩემი ამ აქტიურობის შემდეგ მოხდა ის, რომ მამა სამსახურიდან გამითავისუფლეს.

— სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობდა?

— დიას. მიმანია, რომ ეს არაკაცური საქციელია. გათავისუფლების დოკუმენტში კი სხვა რიცხვი ჩაუნერეს და უთხრეს, რომ თურმე ერთი თვის წინ ყოფილა გათავისუფლებული. ეს ყველაფერი ჩვენი ოჯახის ბიუჯეტზე ცუდად აისახა. მეც უმუშევარი, მამაც, საშინელ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როცა

ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები — თამუნა ზოგორაძე და ვინი, იგივე ზაალ ნულუკიძე, ერთმანეთს „ჟურნალისტის როლში“ შევხვედრეთ. აღმოჩნდა, რომ მათ თავიანთი საქმიანობა ძალიან მონატრებით. ამ მონატრების ერთგვარი კომპენსაცია კი მათ ჩვენი რუბრიკის საშუალებით შეძლეს. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, 1-ელი ივნისიდან, ისინი ერთგულ მაყურებელს კვლავ „იმედის“ ტალღიდან მიესალმებიან.



„1-ელი ივნისიდან ბაქოშია რვაჯერ ჩიბხს დაიხრუნეს...“

დედამ სამსახურიდან მამის გათავისუფლების ამბავი გაიგო, იმ საღამოს „სასწრაფო დახმარება“ რამდენჯერმე გამოვიძახეთ.

— მამამ ხომ არ გისაყვედურა, არ გითხრა — სამსახური შენ გამო დავკარგეო?

— მსგავსი არაფერი უთქვამს, პირიქით, ჩემ მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. ცუდი რა გავაკეთე?! რაც მოხდა და რაც საკუთარი თვალთ ვნახე, ის ვთქვი.

— ახლა რა ხდება, მამა ისევ უმუშევარა?

— მას არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში არ იღებენ... იმედი მაქვს, რალაც შეიცვლება...

— ტელეკომპანია „იმედიდან“ ჟურნალისტების წასვლის სეზონი ზურაბ შარიაშვილს გახსნა; წასულმა კოლეგებმა სხვადასხვა შეთავაზება მიიღეს და დასაქმდნენ კიდეც, ამ ხნის განმავლობაში შენ თუ გქონდა რაიმე შემოთავაზება?

— „იმედის“ დარბევის შემდეგ, ზუსტად მახსოვს, 8 ნოემბერს, ერთ-ერთი არხიდან დამირეკეს და სამსახური შემომთავაზეს (გაგიკვირდება და 4-ჯერ მეტი ხელფასი მექნებოდა, ვიდრე — „იმედში“). როგორც გაირკვა, ჩვენი ხელფასის შესახებ ინფორმაცია უკვე ჰქონდათ და იცოდნენ, ვინ რამდენს იღებდა.

— და რა უპასუხე?

— რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ბოლომდე „იმედის“ ერთგული დავრჩი. რატომღაც მივიჩნიე, რომ იმ შემოთავაზების მიღება, იმ დროს, როცა ტელეკომპანია „იმედს“ მხარდაჭერა სჭირდებოდა, ჩემგან მიუღებელი საქციელი იქნებოდა. სხვა შემთხვევაში, მსგავსი შემოთავაზება, შეიძლება, დაუფიქრებლად მიმეღო. ადამიანი უმადური არ უნდა იყო. როდესაც ჩაგაცემევენ, დაგახურ-



ამ ეტაპზე ჩემს ოჯახს ძალიან უჭირს, მაგრამ ვაშენების ყიდვა მაინც არ მიფიქრია

ავენ, კაცს ან ქალს დაგარქმევენ, პროფესიონალს გინოდებენ და შენ ყველაზე რთულ მომენტში ვირთხასავით დატოვებ იმ ხომალდს, რომელიც ჯერ არ ჩაძირულა, ეს მართლაც არაადამიანური საქციელია. არ შეიძლება, მართო ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე იფიქრო და სხვაზე არაფერზე. ამ ეტაპზე ჩემს ოჯახს ძალიან უჭირს, მაგრამ ვაზელინის ყიდვა მაინც არ მიფიქრია. ალბათ, ხვდები, რასაც და ვისაც ვგულისხმობ.

— ეს ის ადამიანია, რომელმაც „იმედში“ ერთი რეპორტაჟი გააკეთა, მეორე დღეს ხელფასიც აიღო, პრემიაც და მერე სასურავზე იდგა და „ტელეიმედზე“ კრიტიკულ განცხადებებს აკეთებდა. ვინ, ამ ხნის მანძილზე თუ გქონია ისეთი შეგრძნება, რომ „იმედი“ აღარ ჩაირთვებოდა?

— შეიძლება, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მსგავს რამეზე ამ ხნის განმავლობაში არასოდეს მიფიქრია. „იმედი“ ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოებას ძალიან სჭირდება. 1-ელ ივნისს არხი საბოლოოდ ჩაირთვება და მჯერა, რომ აღარასოდეს გამოირთვება.

— მგონი, აგვისტოში შევბუღებაც არ გვექნება (იცინის). შენ როგორ ფიქრობ?

— მზად ვარ, შეუსვენებლად ვიმუშაო. ჩემი საქმე ძალიან მომენატრა. ჩვენ მსაყურებელი გველოდება. საქართველოს „იმედი“ ნამდვილად სჭირდება. ვიცი ადამიანები, რომლებიც გათიშული „იმედის“ არხის შიშის უსმენდნენ.

— გასაგებია, საქმეს ასეთი შემართებით იწყებ. იქნებ, ისიც მითხრა, შენ პირად ცხოვრებაში რა ხდება, ხომ არაფერი შეცვლილა?

— სერიოზული არაფერი ხდება, ოჯახის შექმნა გეგმაში მაქვს, მაგრამ ამას როდის შეეძლება, ზუსტად ვერ გეტყვი.

— ეი, არსებობს ადამიანი, რომლის მიმართაც სიმპათია გაქვს?

— სიმპათია არის, ვნახოთ, რა იქნება. ისე, ამ მხრივ, ცხოვრებაში ბევრი

იმედგაცრუება მქონდა. ვინც ჩემს სიყვარულს დაიმსახურებს, ჩემ გვერდითაც ის იქნება.

— წარმატებას გისურვებ, როგორც კარიერაში, ასევე — პირად ცხოვრებაში. შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ, ყველაფერ კარგს და საუკეთესოს იმსახურებ.

ქართული — ვინ (გალ წულუკიძე)
რესპონდენტი — თაყუნა ჯობართელი

— თაყუნა, სულ რაღაც 8 თვეა, რაც ოჯახი შექმნი. ხარ მეუღლე ანუ მეორე ნახევარი...

— მეორე — არა, პირველი ნახევარი ვარ (იცინის). ჩემმა მეუღლემ მითხრა, რომ ჩვენ ორივენი ერთმანეთისთვის პირველი ნახევრები ვართ.

— როგორ გრძნობ თავს, კარგია საკუთარი ოჯახი?

— ჩვენი ქორწინებიდან, შენ ზუსტად აღნიშნე, 8 თვე გავიდა. გულწრფელად გეტყვი, რომ 8-ჯერ უფრო მეტად მიყვარს ჩემი მეუღლე და 8-ჯერ უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მანამდე ვიყავი.

— როგორც ინტერვიუს დანერგვამდე მითხარი, 8 კვ მოიმატე (იცინის).

— ვინი, იქნებ, ამის საჯაროდ გამხელა არ მინდოდა, შენ საიდუმლოდ გაგიმხილე (იღიმება)?

— კარგი, არ ინერვიულო, არა უშავს. როგორც ვიცი, შენი მეუღლე, სამსახურებრივი საქმეებიდან გამომდინარე, ხშირად საქართველოში არ იმყოფება, როგორც უმკლავდები მონატრებას?

— რა ვქნა! ძალიან მიჭირს, სულ მენატრება. ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ და ეს ცოტა მამშვიდებს.

— წონაში მომატება იმან ხომ არ გამოიწვია, უსაქმოდ რომ ხარ?

— დიახ. მიზეზი სწორედ ეს არის. სამუშაო რეჟიმიდან უცებ ამოვვარდი. 8 თვის წინ, 6 საათის შემდეგ აღარ ვჭამდი. ადრე ვიძინებდი და ადრე ვდგებოდი. ახლა ყველაფერი შეიცვალა, გვიან ვჭამ, გვიან ვიძინებ და გვიან ვიღვიძებ. იმედი მაქვს, რომ 1-ელი ივნისიდან სამუშაო რეჟიმს ისევ დავუბრუნდები

და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

— როგორც ვიცი, დილის პროგრამის პროდიუსერმა სერიოზული კასტინგი ჩაატარა, ახალი თანამშრომლები მიიღო. რას იტყვი ამის შესახებ?

— დიახ, ახალი თანამშრომლები გვეყოლება. დილის პროგრამის წამყვანები საინფორმაციო სამსახურში გადავიდნენ. ამიტომ საჭირო გახდა, დილის პროგრამაში ახალი სახეები მიეღოთ. უამრავი მსურველი იყო, ათასობით განცხადება შემოდიოდა. ვიცნობ ჟურნალისტებს, რომლებიც სხვა არხებზე მუშაობენ, მაგრამ ნატრობენ, რომ „იმედში“ იყვნენ. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ადამიანია, ნურავინ იფიქრებს იმას, რომ შეუცვლელია და შემცვლელი არ მოეძებნება.

— თაყუნა, ხომ არ გიფიქრია იმაზე, რომ საინფორმაციოში გემუშავა?

— მსგავსი რამ გამორიცხულია, ასეთი სურვილი არასოდეს გამჩენია. სხვისი დაწერილი ტექსტების კითხვა, არ მსიბილავს.

— რატომ? 4 წელი წაიკითხე და მერე პოლიტიკაში წახვალ (იცინიან).

— ???

— თაყუნა, ვიცი, რომ უამრავი მეგობარი გყავს, მათ შორის ბევრი ცნობილი ადამიანიცაა; მათი ნაწილი შენგან განსხვავებული აზრის არის, „პოლიცია“ „პოპოლიცის“ ვგულისხმობ. თუმცა, შეკრებებსა და „ტუსოვკებზე“ მაინც ერთად ხარ. რას გუუბნებია ისინი?

— რამდენიმე მათგანთან არასასიამოვნო ლაპარაკი მქონდა. ისინი ის ადამიანები არიან, რომლებთან მეგობრობაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს, უბრალოდ, სათქმელი ვუთხარი. თუმცა ჩვენს ურთიერთობაში ამით არაფერი შეცვლილა.

— რამდენი წელია, რაც საზოგადოებამ გაგიცნო?

— უკვე 15 წელია, რაც ჩემი პროფესიული საქმიანობით საზოგადოებამ გამიცნო. ერთმა ქვეყანამ ადამიანმა მითხრა და სხვათა შორის, სიმართლეა: შენ ძალიან პოპულარული არასოდეს ყოფილხარ და არც ჩრდილში მდგარხარო. ეს არის, ალბათ, ის „ოქროსი შეაღწევი“, რომლითაც შესაძლებელია, ადამიანებს თავი არ მოაბეზრო და არც იმდენად დაავინყო, რომ აღარ გაახსენდე.

— რას აპირებთ, ოჯახში მატებას არ გეგმავთ?

— რა თქმა უნდა, ვგეგმავთ. ჯერ ერთი და მერე 2 წევრით გავიზრდებით.

— წარმატებას გისურვებ. მინდა, „გზას“ მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ ერთმანეთს შეგვახვედრა. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები ვართ, ერთმანეთის ხშირად ნახვას ვერ ვახერხებთ.

ერთი კითხვა

— გავრამთ თუ არა „ვირტუალური“ სიყვარული?

თამაზა, 21 წლის, სტუდენტი:

— ვირტუალური სიყვარულის? როგორ არ მჯერა?! მსგავსი შემთხვევა ჩემ ირგვლივ ბევრი ყოფილა. დღესდღეობით, 50% ინტერნეტითა და მესიჯინგის საშუალებით ქორწინდება. ჩემი აზრით, გარეგნობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როცა ადამიანთან, თვეების განმავლობაში ტელეფონით, მესიჯინგითა და ინტერნეტით ურთიერთობ, მის შესახებ უკვე ყველაფერი იცი, აქედან გამომდინარე, შეიძლება, გრძნობაც გაგიჩნდეს.



ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეოზა დვალის
უბის წიგნაკრები:

1. მინას 1600 გრადუსზე ადნობენ.
2. ჩინეთში რიცხვი 8 ბედნიერ რიცხვად მიიჩნევა.
3. ლადო გუდიაშვილს ხატვის დროს სტვენა უყვარდა.
4. ფილმი „მზიური“ ლაინერ „შოთა რუსთაველზე“ გადაღებული.
5. „გლაგოლამ ჟგი სერდცა ლიუდეი“, — ნერდა ალექსანდრ ბუშკინი.
6. ფრედერიკ ბულსარი ფრედი მერკურის ნამდვილი სახელი და გვარია.
7. ნაგავში გადაგდებული პლასტიკური ბოთლის გახრწნას ათასი წელი სჭირდება.
8. „აჟურული“ ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და ბადისებრს, გამჭვირვალეს ნიშნავს.
9. ამსტერდამში, ნითელი ფარნების უბანში ფოტო და ვიდეოგადაღება კანონით აკრძალულია.
10. იუნესკოს გადანაწევტლებით, 1966 წელს მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნა რუსთაველის იუბილე.
11. კარიბის კრიზისის დროს კაცობრიობა 136 საათის განმავლობაში იდგა დალუპვის საფრთხის წინაშე.
12. კენედის მკვლეელი ლი ჰარლი ოსვალდი სასამართლო დარბაზიდან გამოსვლისას ჯეკ რუბიმ მოკლა.
13. „ეს ერთადერთი ხალხია, რომელიც ფსიქონალიზს არ ექვემდებარება“, — ამბობდა ფროიდი ირლანდიელების შესახებ.
14. „ჩვენი თაობის ხუროთმოძღვარი“ — ამ სიტყვებით მოიხსენიებდა ილია ჭავჭავაძე დიმიტრი ყიფიანს. როცა მისი მკვლელობის ამბავი შეიტყო, ილიამ მწარედ იტირა.
15. კანადელი ტყისმჭრელები ყოველწლიურად მილიონ კუმბეტრ ტყეს ჩეხენ. ციმბირსა და ბრაზილიაში ოთხჯერ მეტი ფართობი იჩეხება.
16. პავიანები დროდადრო კურდღლებს იჭერენ და სიამოვნებით მიირთმევენ მათ ხორცს. ამ ჯიშის მიმზუნთა ერთი ჯგუფი ფლამინგოებზე ნადირობაშიც არის განაწული.
17. ზოოლოგები მძინარე სელაპებს ზურგზე კამერებს ამარებენ და მუქთა წყალქვეშა ოპერატორის წყალობით, საკუთარი თვალით ნახულობენ, თუ როგორ ნადირობს ეს ცხოველი.
18. მეკობრეების ხომალდი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ბამბის პლანტაციებიდან გაქცეული ზანგი მონები სრულ თანასწორუფლებიანობას აღწევდნენ.
19. დოდო აბაშიძე ერთ-ერთი პირველი იყო თბილისში, ვისაც ავტომობილი



20 და 21 მაისს თითქმის ორწლიანი განშორების შემდეგ, ანსამბლი „ერისიონი“ კვლავ რუსი მაცურებლის წინაშე წარდგა. ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს, დამსწრე საზოგადოების მოწიბვლა არც ამჯერად გასჭირვებიათ. „ერისიონის“ კონცერტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ადგილობრივ პრესაშიც. ჩვენ კი ამ გასტროლის შესახებ, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი მოგვითხრობს.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო ჯემალ, როგორც ცნობილია, ანსამბლი დღეს პროდიუსერის გარეშე დაჩრწილი. რა ხდება დღეს? ვინ აგვარებს იმ საკითხებს, რომლებიც პროდიუსერის მოვალეობაში შედიოდა?

— დიას, 2007 წლის 13 დეკემბრის შემდეგ ანსამბლს პროდიუსერი არ ჰყავს. მოგესვენებათ, ამ მოვალეობას ჩვენთან 7 წლის მანძილზე ამერიკელი ჯიმ ლო ასრულებდა. მისი მადლიერები ვართ, მაგრამ ამავდროულად, „ერისიონს“ ჰყავდა ფრანგი ხმის რეჟისორი ჯორდან პასკალი, რომელმაც ბოლო დროს, ჩვენს შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევის სურვილი გამოთქვა. ის მოითხოვდა, რომ კონცერტებზე მოცეკვავე მამაკაცებს წელს ზემოთ გაეხადათ. ხოლო გოგონები დეკოლტეებით გამოსულიყვნენ, ქართული თვითმყოფადობის წაშლა განიზრახა. რატომღაც, ამ ფაქტზე ჯიმ ლომ დუმილი არჩია. ბუნებრივია, ჩვენ ამას შევეწინააღმდეგეთ და ხელშეკრულებას აღარ გავაგრძელებთ. ახლა, არც არავისთან გვეგმავთ ხელშეკრულების დადებას, რადგან არ გვინდა, ხელ-შეკრულები ვიყოთ.

პროდიუსერი ჩვენი გასტროლების საქმეს აგვარებდა. „ერისიონს“ მსოფლიო იცნობს, იმდენი მიწვევა გვაქვს, პროდიუსერის გარეშე ანსაბლს ნამდვილად არ გაუჭირდება.

— როგორ ჩაიარა გასტროლმა რუსეთის დედაქალაქში?

— იმაზე კარგად, ვიდრე ველოდით.

კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლის პრესტიჟულ დარბაზში გაემართეთ. ეს დარბაზი მსოფლიოს საუკეთესო დარბაზთა ჩამონათვალში მე-2 თუ მე-3 ადგილზეა. როცა ამ გასტროლის შესახებ იმ ადამიანებმა შეიტყვეს, რომლებიც სხვა გამოსვლების დროს განათების და გახმოვანების უზრუნველსაყოფად ჯორდან პასკალს ჰყავდა დაქირავებული, პარიზიდან გვაცნობეს — თქვენ გვერდით გვიგულეთო. ისინი პროფესიონალები არიან, პასკალს ბევრ რამეში არ ეთანხმებოდნენ. მოსკოვში ჩასვლისთანავე ჩვენთან გაჩნდნენ და მხარში ამოგვიდგნენ. ტექნიკურ მხარეს თავი შესანიშნავად გაართვეს. 6000-კაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო.

— მათ შორის, რუსი პოლიტკოსები თუ იყვნენ?

— რა თქმა უნდა. კონცერტს რუსეთის დუმის არაერთი წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის ისეთიც, ვინც ჩვენი ქვეყნისადმი კეთილგანწყობილებით არ გამოირჩევა. რუსმა ხალხმა ძალიან თბილად მიგვიღო. 2002 წლიდან მოყოლებული, მოსკოვში ეს ჩვენი მე-5 გასტროლი იყო. მერწმუნეთ, დაძაბული პოლიტიკური ვითარება ქართველ და რუს ხალხთა ურთიერთობაზე არ აისახება. სასტუმროს თანამშრომლებიდან დაწყებული, კონცერტზე მოსული ადამიანებით დამთავრებული, — ყველანი გვეფერებოდნენ; ბევრი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენს კონცერტზე დასწრება ვერ შეძლო. ერთ-ერთმა რუსმა ქალბატონმა, რომელიც კონცერტის დასრულების შემდეგ შეგვხვდა,

გვითხრა: არ ვიცი, შეამჩნიეთ თუ არა, კონცერტს ბორის გრიზლოვი ესწრებოდა, თქვენი შემოქმედებით აღფრთოვანებული, ფეხზე იდგა და ტაშს გიკრავდათ, მერე კი შევა დუმაში და ქართველებზე ჩვეული ტონით ილაპარაკებდა... კონცერტს კობზონიც ესწრებოდა.

— და ალბათ, არაერთი ქართველიც იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრა სომ არ მოგიწყვიათ?


— სამწუხაროდ, არა. ვიცი, რომ ორივე კონცერტს 800-დან 1000-მდე ქართველი ესწრებოდა. მაგრამ მათთან ცალკე შეხვედრის შესაძლებლობა არ გვქონია. ცალკეულ პირებს კრემლის კედლებთან ვხვდებოდით, აეროპორტშიც გამოგვაცილებს. ძალიან ამაყები და ბედნიერები იყვნენ.

— ამ გასტროლის დროს მიწვევა ალბათ არაერთი ქვეყნიდან მიიღეთ. ანსამბლის გვემებზე რას გვეტყვიან?

— მიწვევა მართლაც არაერთი ქვეყნიდან მივიღეთ. შორეულ გვემებზე ვერაფერს გეტყვიან. სექტემბერში 20 კონცერტი გვექნება ჰოლანდიაში, ხოლო 16 და 17 ნოემბერს — კიევიში. მოსკოვში გასტროლის დროს გაუყიდავი ბილეთები თითქმის არ დარჩენილა. მეორე კონცერტი 21 მაისს გვექონდა. ამ დღეს მოსკოვის ქუჩები უფვას თასის საფინანსო მატჩის გამო, გადაკეტილი იყო. კონცერტი 20 წუთის დაგვიანებით დავიწყეთ. სასახლის ადმინისტრაციამ გვაცნობა, ყველა ბილეთი გაყიდულია, მაგრამ ხალხი ვერ მოდისო. ერთ-ერთმა ქალბატონმა გვითხრა: სახლიდან 1-ელ საათზე გამოვედი და მაინც დავიგვიანეო. კონცერტი 7 საათზე იწყებოდა.

— ბატონო ჯემალ, ბოლოს მინდა, ისევე პასუხის შესახებ გკითხოთ: გაფრცხლდა სმა, რომ იგი ქართული ანსამბლის ჩამოყალიბებას აპირებს. მართალია?

— როცა პასუხი მიხვდა, რომ ჩვენ მასთან ხელშეკრულების გამგრძობლები აღარ ვიყავით ანსამბლის შესაქმნელად, ქართველებთან ჩალიჩი დაინყო. კარგია, რომ ამ თემას შეეხეთ. ამ ბოლო დროს მომრავალდა შემთხვევები, როცა უცხოეთში ქართული ვითომ ანსამბლები ჩადიან, ქუჩებში აფიშებს აკრავენ და ხალხს წარმოდგენაზე ეპატიჟებიან. ცოტა ხნის წინ, ასეთი რამ ერთ-ერთ ქართულ გაზეთს უნგრეთიდანაც აცნობეს. მათ კონცერტს ბუდაპეშტში მცხოვრები ქართველები ეს-



ჯემალ ჭუსელაშვილი

წრებოდნენ. საქართველოს სირცხვილი და თავის მოჭრა ვნახეთო, — გვითხრეს. მათ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. ჰყვებოდნენ, — სცენაზე წელს ზემოთ შიშველი მამაკაცები შემოლაგდნენ, რომლებიც ხმლებს უნიჭოდ იქნევდნენ, ქართველი გოგონები კი ჩაცმულობით, „მატრიოშკებს“ უფრო ჰგვანდნენო. ძალიან ცუდია, რომ ამ ყველაფერს საქართველოს კულტურის სამინისტრო ვერ აკონტროლებს: ისინი არ არიან უფლებამოსილინი, ასეთი „ანსამბლები“ ქვეყნიდან საგასტროლოდ არ გაუშვან; აქედან, როგორც ტურისტები, ისე მიდიან, იქ კი თავიანთი „ხელოვნებით“ თავს გვჭრიან. ჩვენი რეკლამითაც არაერთხელ მიუტყუებიათ მაყურებელი. ადამიანს ჰგონია „ერისიონის“ კონცერტზე მიდის და იქ მისული, სცენაზე ტინგიცობას უყურებს!.. მე ამ მოვლენის წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ვინწყებ. იმედი მაქვს, ჩემი კოლეგებიც ამყვებიან. ქართული სიმღერის შესახებ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ სტრაბონი წერდა — მრავალხმიანიაო. ქართული ხალხური სიმღერა XXI საუკუნეში მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედეგად აღიარეს და ვის აქვს მისი შეურაცხყოფის უფლება?! მე ჩემი ანსამბლით კი არა, ქართული ფოლკლორით ვტრაბახობ. მას პლანეტაზე ანალოგი არ მოეძებნა, სწორედ ამიტომ, მის დასაცავად, უანალოგო კანონი უნდა მივიღოთ. ამ საქმის გადადება ან იმაზე ფიქრი, რომ ქვეყანა დაწყნარდება და ფოლკლორს მერე მოუფვლით, არ შეიძლება. ქვეყანა რომ დაწყნარდება, მერე მოსავლელი აღარაფერი გვექნება. ■



ინფორმაციულ-ჟურნალისტური კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკრან:

„მერსედესი“ ჰყავდა. მას ძალზე უყვარდა ძვირად ღირებული ტექნიკა და ქალაქში ერთ-ერთმა პირველმა შეიძინა ვიდეომაგნიტოფონი და იაპონური აუდიოტექნიკა.

20. ერთმა უცხოელმა სტუმარმა ინტერვიუში დაიჩივლა: ქართველებს უცნაური სენი სჭირთ, გაცნობისას საკუთარი მობილური ტელეფონის ნომერს გაძლევენ და როცა ურეკავ, ტელეფონს არ იღებენო.

21. „მავრ სდელალ სვაიო დელო. მავრ მოუქტ უხოდიტ“. ამ წინადადებაში ევგენი პეტროსიანმა მხოლოდ სასვენი ნიშნები შეცვალა და აი, რა გამოვიდა: „მავრ სდელალ სვაიო დელო. მავრ მოუქტ. უხოდიტ?“

22. ციხეში გამოწვევდულ მარია ანტუანეტას ზედამხედველი მას რევოლუციურ სიმღერებს ასწავლიდა და იძულებით ამღერებდა. პარიზელთა დაუოკებელი სურვილი, საკუთარი თვალით ეხილათ საკანში გამოკეტილი საფრანგეთის დედოფალი, გულქვა გუშაგმა შემოსავლის წყაროდ აქცია. იგი ფულს ართმევდა ყველა მსურველს და უფლებას აძლევდა, სანახაობით დამტკბარიყვნენ.

23. ლონდონი ყველაზე მეტად გამწვანებული დედაქალაქია მთელ მსოფლიოში. ქალაქში 5 დიდი პარკია. მათ შორის ყველაზე დიდს — ჰაიდ პარკს — 340 აკრი ფართობი უკავია. XVIII საუკუნეში დე ჰაიდ პარკი ყაჩაღების საუკეთესო თავშესაფრად მიიჩნეოდა, ბოლო 200 წელი კი საუკეთესო ადგილია დასასვენებლად.

24. ცნობილი მომთვინიერებელი კონსტანტინოვსკი სამამულიო ომის დროს ძალღ-კამიკაძეებს წერტნიდა, რომლებიც ბრძოლის დროს გერმანულ ტანკებს უვარდებოდნენ მუხლუხებში და აფეთქებდნენ. ერთხელ ერთი ასეთი ძალღი უკან მობრუნდა და ნაღმიც უკან მოუტანა პატრონს. აფეთქების შედეგად, კონსტანტინოვსკის მხარი დაუსახიჩრდა, მაგრამ კიდურის ამპუტაცია არ დასჭირვებია.

25. ელიზაბეტ II-ის მეფედ კურთხევის სხვადასხვა ეროვნების, ჯურისა და რელიგიის საპატიო სტუმარი ესწრებოდა. საზეიმო სადილის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგი სტუმარი ძროხის ხორცს არ ჭამდა და ზოგი — ლორისას, ძირითად კერძად ქათამი შეარჩიეს. გარგარის ჯემსა და მაიონეზში ჩადებული მოხარული ხორცი ცივად მიართვეს სტუმრებს, რომლებსაც ისე მოეწონათ ეს კერძი, რომ სადილის შემდეგ ბევრმა სტუმარმა მისი მომზადების რეცეპტი ითხოვა. ასეთი მოწონების შემდეგ ამ კერძს სახელიც შესაფერისი — „გვირგვინოსანი ქათამი“ შეურჩიეს. ■



დაქანტაყეული მასწავლებელი, უზრახული ბრანს და კლასკარაეული გვლარი სული

„აუ, ლიკ, რა ცუდია, წელს სკოლაში „ბოლო ზარი“ რომ არ იყო. იცი, ამის გამო გული ძალიან დაგვწყდა. ეჰ, გავახსენდა მარმანდელი დღეები, როცა ჩვენ სკოლას ვამთავრებდით და დარდი შემოგვანვა“, – მომწერეს ტყუპმა დებმა – სალო და მარიმ, რომლებმაც არ დაიზარეს, მესიჯები გამომიგზავნეს და სკოლაში გატარებული ბოლო დღეები გაიხსენეს. ბოლოს, გოგონებმა მთხოვეს: თუ საინტერესოდ მოგეჩვენება, იქნებ, ჩვენი მესიჯები დაბეჭდო. მგონი, სოფლის ამბები არც ისე უინტერესო უნდა იყოსო. მართლაც, გოგონებმა ბევრი სახალდისო ამბავი მოგვწერეს და იმედი მაქვს, ის თქვენც მოგწონებთ.



ლიკა ქაჩია

„ერთი სული გვექონდა, სკოლას როდის დავამთავრებდით. შევნატროდით ბავშვებს, რომლებიც „ბოლო ზარისთვის“ ემზადებოდნენ და როცა მათ ადგილას თავს წარმოვიდგენდით, ძალიან ბედნიერები ვიყავით. მაგრამ ეს დღე რომ დადგა, მწარედ ავტირდით. თურმე, არც ისე სასიხარულო ყოფილა ბავშვობასთან, სკოლასთან, ამხანაგებთან და თქვენ წარმოიდგინეთ, მასწავლებლებთან განშორება.

ბოლო დღეებში პედაგოგები გვანებიერებდნენ, თბილად გვეტყუოდნენ, გაკვეთილებს იშვიათად გვეკითხებოდნენ. მაგრამ რა თქმა უნდა, გამოწვევების ხომ არსებობენ და ერთ-ერთმა მასწავლებელმა გაკვეთილის ჩაბარება მოგვთხოვა. დაფასთან გასვლის სურვილი არც ერთმა რომ არ გამოვთქვით, ძალიან გაბრაზდა და ჭკუის სწავლება დაგვიწყნო: რაც

მიადნევთო. მერე, ერთ-ერთი მოსწავლე ააყენა და ჰკითხა: რომელ ფაკულტეტზე აპირებ გამოცდების ჩაბარებასო? ჩვენმა კლასელმა უპასუხა: მინდა, სტომატოლოგიურზე ჩავაბარო, მაგრამ იცოდეთ, თუ ოდესმე მელირსა და ჩემთან ისე მოხვალთ, როგორც პაციენტი, გეფიცებით, კბილს ისე ამოგიღებთ, გამაყუჩებელს არ გაგიკეთებთ და თქვენზე ჯავრს ასე ვიყრიო... მასზე გაბრაზებულმა მასწავლებელმა ყველანი გაგვაკრიტიკა, ჩვენ კი მოგვინოდა, ტექნიკური საგნების ჩაბარებაზე არც გვეოცნება (ისე, რას ვერჩით, სიმართლე თქვა — მათემატიკა დიდად არც ერთს გვიყვარს), რადგან ამის არაფერი გაგვეგებოდა და სკოლას სახელს შევუტყუებდით. შემდეგ, ერთ-ერთ მოსწავლეს მიუბრუნდა და მკაცრი სახით უთხრა: იცოდეთ, ფეხბურთელობაზე არც იფიქრო. მას შემდეგ, რაც შენს თამაშს მოვეკარი თვალი, ფეხბურთი ისე შემძულდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატსაც ვეღარ ვუყურებო...

და უბედურება, თქვენ მომკალით და გამიშრეთ სისხლი. ნეტავ, როდის დადგება დღე, როცა მოგშორდებითო. ეს სიტყვები მანამ იძახა, სანამ მასწავლებელს ყელში არ ამოუფიდა მისი თავხედობა და ბოლოს, პედაგოგი ისე გაბრაზდა, რომ საწყალ ბრანას ცოცხლად შებრანვა დაუპირა...

„ბოლო ზარი“ არასოდეს დაგვაყენებდა. ამ დღისთვის ყველანი განსაკუთრებულად ვემზადებოდით. სკოლაში გამოპრანჭულები მივედით — თეთრ პერანგსა და შავ ქვედაბოლოში გამოწყობილ გოგონებს თმაში ბავთები გვექონდა ჩაბნეული. ყველანი ვცდილობდით, ურთიერთს მოვფერებოდით, თბილი სიტყვები გვეთქვა. მერე, ერთმანეთის პერანგებზე სამახსოვრო წარწერები გავაკეთეთ. ახლაც სიამოვნებით ვკითხულობთ კლასელების მიერ წარწერილ თბილ სიტყვებს. თურმე, როგორ ვეყვარებივართ მათ. ერთმა კლასელმა, პერანგზე ჩვენი დახატვაც სცადა. როცა ვკითხეთ, — რა არის, ასეთი მახინჯები ვართ-თქო? მიგვიწერა: „არა, უფრო მახინჯები ხართ!“

ძალიან კარგი კლასელები გვყავდა. ყველაზე დასამახსოვრებელი ბოლო გაკვეთილი იყო, რომელიც კლასის დამრიგებელმა ჩავკითხა. თითქმის ყველა ვტიროდით. დამრიგებელმა სია ამოიკითხა, შემდეგ კი დაგვარიგა: ისე მოიქეცით, რომ სკოლის სახელი არ შეარცხვინოთ და წარმატებები გვისურვა. ბოლოს,



უნდა იყოს, ჯერ მაინც მოსწავლეები ხართ, გაკვეთილი მაინც უნდა მოგემზადებინათ. იცოდეთ, თუ იზარმაცებთ, ცხოვრებაში ვერაფერს

რუსულის მასწავლებელმა ბოლო გაკვეთილი აგვისხნა და გვითხრა: ყველაფერი სასწრაფოდ ჩაინიშნეთო. ჩვენს ერთ-ერთ კლასელს წერა დაეზარა. მასწავლებელმა ეს შენიშნა და მოსთხოვა, — სასწრაფოდ ამოელო რვეული. ბრანამ (ასე ვეძახდით ჩვენს მეგობარს) ბუზლუნ-ბუზლუნით გახსნა ჩანთა და იმით გათამამებულმა, რომ სულ მალე აღარ მოუწევდა მასწავლებლის საყვედურების ატანა, გაკვეთილის დასრულებამდე იძახა: მასწავლებლო, თქვენ გამიჩინეთ ჭლექი

დასძინა: თუ მოინდომებთ, სასწაულებს მოახდენთო. ერთი კლასელი გყავდა, რომელიც იშვიათად ლაპარაკობდა, გაკვეთილებზე კი საერთოდ, ხმას არ იღებდა. კლასის დამრიგებელი სასწაულების მოხდენაზე რომ ლაპარაკობდა, ამ ბიჭს სიცილი აუტყდა. თან, გვერდით მჯდომს რალაცას ეუბნებოდა. დამრიგებელი ძალიან მკაცრი კაცი იყო და გვეგონა, ამის გამო ბიჭს სასტიკად დასჯიდა, მაგრამ მან ბავშვებს გადმოგვხედა და სიცილით გვითხრა: ხომ ვთქვი, სასწაულებს მოახდენთ-მეთქი! ჰოდა, ა, აგერ, ერთი სასწაული თქვენ თვალწინ მოხდა. ხომ ნახეთ, მკვდარი სული ალაპარაკდაო. იქ სიცილი და ხარხარი ატყდააა...

ასევე, კარგად დაგვამახსოვრდა ექსკურსია, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ მოვანყვეთ. გადავწყვიტეთ, ვარძიაში წავსულიყავით და ასეც მოვიქცეთ. ღამით ბიჭებმა ერთ-ერთი მასწავლებელი გააპატრონეს. საწყალი, ძალიან სასაცილო სანახავი იყო. როცა გაიღვიძა, კინალამ დაგვხოცა: ეს ვინ გამიბედა. თავხედებო, ახლავე გარეცხეთ ჩემი ტანისამოსი, თორემ არ ვიცი, რას გიზამთო. ბიჭებმა კი იმის მაგივრად, რომ ხმა არ ამოეღოთ, კაიფი დაუწყეს: სარეცხი ფხვნილი არ გვაქვს, მასწ, თორემ ამ საქმეს სიამოვნებით გავაკეთებდით. როგორც კი გათენდებო, მალაზიაში წავალთ და სარეცხ საშუალებას მოვიტანთ, ოღონდ, თქვენ გვითხარით, „არიელით“ გირჩევნიათ თუ „პერსოლით“. მასწავლებელმა ღამის კლდეებიდან დაგვაგორა, მაგრამ სხვებმა გადაგვარჩინეს :)).

ერთხელ, ჩვენს კლასელ ბიჭს ახალგაზრდა მასწავლებელმა გაკვეთილის მოყოლა მოსთხოვა. მან უარი უთხრა: — არ ვიცი და რა მოგიყვეო. მასწავლებელი დაემუქრა: იცოდე, შენს მშობლებს დავიბარებ და ვეტყვი, უმაქნისი რომ ხარო. ბიჭმა უთხრა: ვერაფერსაც ვერ იზამთ, მასწ! მე თქვენზე ისეთი რალაც ვიცი, რომ ხმასაც ვერ ამოიღებთო. რატომღაც, მასწავლებელი შემოფოთდა და მოსწავლეს დიდხანს ეხვეწა ეთქვა, რის გამჟღავნებას აპირებდა. როცა ზარი დაირეკა, რომელმაც გაკვეთილის დასრულება გვამცნო, ბიჭმა უთხრა: 8 მარტს გნახეთ, ისეთი მთვრალი იყავით, 2 კაცი ძლივს მოგათრევდათო. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, კლასში რვეულებისა და წიგნების სროლა რომ ატყდა. თუმცა, ამ შანტაჟმა შედეგი გამოიღო, ის არავის დაუხვია...“



„თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო“

დატანჯული:

„მოგესალმებით ყველას. მინდა, დიდი, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ჩემი გასაჭირი გულთან მიიტანეთ და მხარში ამომიდექით. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მე კიდევ ბევრი რამ არ მომიწერია ლიკასთვის. რაც შეეხება დედაჩემს, მართალია, ის ქმარს გაშორებულია, მაგრამ ყოველდღე, დილიდან საღამომდე ჩვენთანაა და რითიც შეუძლია, გვერდით გვიდგას, გვეხმარება. ჩემი და კი დასავლეთში ცხოვრობს. მას თავისი ოჯახი აქვს მოსავლელი და ჩვენ როგორ მოგვხედოს? მადლობა ღმერთს, ქმარი მაინც შეხვდა ნორმალური. ჩემი და გარეგნულად დედაჩემს ჰგავს და შეიძლება, მამა მას სწორედ ამიტომ ამწარებდა, მაგრამ მე მამას ვგავარ და ვერ ვხვდები, ჩემგან რალა უნდა?.. ლიკ, გთხოვ, ეს მესიჯიც დამიბუქდე. კიდევ ერთხელ გიხდით უზარმაზარ მადლობას. ყველანი მიყვარხართ და მერწმუნეთ, თქვენს რჩევებს გავითვალისწინებ. მჯერა, უფალი არ მიმატოვებს და ბედნიერება ჩემამდეც მოაღწევს. თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ყველანი მიყვარხართ“.

ამჯერად, თქვენი თხოვნით, ქეთი მელუას სიმღერის — Shy Boy ტექსტს გთავაზობთ.

I'm sittin' in the window of a street cafe
Watchin' you walking by each day,
It seems that you always wanna look my way
Hey, you can't deny, boy,
You're such a shy boy.
So good looking you seem to be
But you're too tongue-tied to say hi to me,
You could make it happen so easily
Woah, I'll tell you why boy,
'Cos I'm looking for a shy boy
Most guys advertise
By making eyes and telling lies
If you only knew,
You could make your dreams come true
All you gotta do is ask me to
If this was a quiz on a TV show
And the prize was a guy who would love me so
Whatever they ask, the answer I know
Hey, my reply boy
Is gimme a shy boy.
Most guys advertise
By making eyes and telling lies
If you only knew
You could make your dreams come true
All you gotta do is ask me to



Some guys act a bit too sure
And maybe you're thinkin' that less is more
But Honey, you still gotta knock on my door
Hey, just try boy,
And you could be my boy
I'll tell you why boy
I'm looking for a shy boy,
Just try boy, you're such a shy boy.



მიძინავული მამაკაცური თვისება

„გზის“ №21-ში დაიბეჭდა დოლჩეს მესიჯი, სათაურით — „მეგობრების ყოლის უკანასკნელ შანსს ნუ წამართმევ“ შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ კლასელები ცისფერს ეძახიან, დასცინიან და მასთან მეგობრობას გაურბიან. დაცინვის შედეგად, ბიჭს არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდა; თითქოს, ქალური ჩვევებიც ჩამოეყალიბდა და მართლა გვის დაემსგავსა. დოლჩეს სჯერა, რომ თუ ოდესმე მეგობრების თანადგომას იგრძნობს, კაცური ჩვევები ჩამოეყალიბდება. ამიტომაც, „გზის“ მკითხველებს სთხოვდა, — ნუ გამწირავთ, იქნებ, ჩემთან მეგობრობა რომელიმე თქვენგანმა მაინც შეძლოსო.

ბრუნდება:

„შენი კლასელები შენნაირ ბიჭთან მეგობრობას არ იმსახურებენ. ეცადე, საცხოვრებელი ადგილი ან სკოლა მაინც გამოიცვალო. დამიჯერე, მალე ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს.“

სოფი:

„შენთან მეგობრობა მინდა... ისე, მივივრს, რატომ ჩამოგიყალიბდა ქალური მანერები? ეგ არაფერი, გაგიცნობ და დაგეხმარები. დამიკავშირდი.“

სოფირა:

„გენაცვალე, მაგაზე ნუ დარდობ. კლასელების აზრი „დაიკიდე“ და საკუთარი თავის რწმენას ნუ დაკარგავ. რაც შეეხება მეგობრებს, ჩემი სახით ერთი მეგობარი უკვე შეიძინე :)“.

ლუა:

„დოლჩე, სახელიც შესაფერისი რომ შეგირჩევია?! აბა, აბა! კაცი არ ხარ? — ხელი არ ჩაიქნიო და ვინც ცისფერს დაგიძახებს, ცხვირ-პირი ამოუნაყე და ნახავენ მერე. იცი, რა, გენაცვალე, რაოდენ მწარეც უნდა იყოს, მაინც გეტყვი: ყველა სხვის უბედურებაზე აგებს თავის ბედნიერებას და სულ არ ანადვლებთ, შენც ცისფერი იქნები თუ არა. საკუთარი თავის იმედი უნდა იქონიო. დამიჯერე, თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ. მეგობარი გოგონა გაიჩინე და სხვის ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ხომ იცი, ენას ძვალი არა აქვს. ხალხს ოღონდ საჭორაო მიეცი და... უფალი გფარავდეს. P.S. ლიკ, „ძველი ქსელი“ არ დაგავიწყდეს. გთხოვ, ხშირად გაგამხიარულე სახალისო ამბებით...“

მის რაალი:

„ყველას აქვს რაღაც ნაკლი. ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. მონახე კარგი ფსიქოლოგი! მართალია, მასთან ვიზიტი ბევრს ესირცხვილებს, მაგრამ მერწმუნე, ამაში სამარცხვინო არაფერია. საკუთარი თავის ირწმუნე. იყავი სულით კაცი და ქცევებიც გამოგისწორდება. თუ სურვილი გექნება, დამიმესიჯე.“

უცნობი:

„დოლჩე, მე გოგო ვარ. კლასში არც მე მყავდა მეგობრები, რადგან მათ ფონზე უცნაური ვჩანდი, მაგრამ შენგან განსხვავებით, თავის დაცვა ყოველთვის შემეძლო და ახლაც შემეძლია. როცა დაგაცინიან, მათ საკადრისი პასუხი უნდა გასცე! ვერ გამიგია, რატომ ჩამოგიყალ-

ანუ ჩაბნე ჩამოყალიბდა დოლჩეს არაკაცური მხარეები

იბდა არაკაცური ქცევები? დაკომპლექსდი? ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. დოლჩე, კაცურად შეხვდი ცხოვრების სიძნელეებს.“

პატალინტა:

„ისე, დოლჩე, გეტყობა, მეტყველებაც ცოტა მოცისფრო გაქვს დააა... მგონი, ცისფერივით რომ იქცევი, ეს უკვე ნაკლია. ეცადე, გამოსწორდე. კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით (ოღონდ, ჩოგბურთითა და ტანვარჯიშით არა) დაკავდები. ბიჭებთან იმპაკაცე, მათთან საერთო ენა გამოიხატე, ფეხბურთი ითამაშე, „რაზბორკებზე“ იარე ან სულაც, მამაშენის ძმაცაცებთან იმეგობრე. მერწმუნე, კაცური ქცევების ჩამოყალიბებაში ეს ძალიან დაგეხმარება. თუ არა და, საქართველო თუ არ მიგიღებს, „კაკ გალუბოის“, ა, ბატონო, ჰოლანდიაც აქაა და ნაადი, ბიძია, ნადიი. სხვა რა გითხრა, ვა...“

ბანდის მაძიებელი:

„დოლჩე, თუ არ „გაბოლებ“ და მართლა ისეა, როგორც შენ „ბაზრობ“, მე მგონი, ფსიქოლოგთან ვიზიტი გჭირდება. ის ქალური მანერებისგან გათავისუფლებაში დაგეხმარება და შენში მიძინებულ მამაკაცურ თვისებებს გამოაღვიძებს. თუ ამანაც ვერ გიშველა, მაშინ, ძმაცაცების ნაცვლად, დაქალაქებში მოძებნე!“

ლილუ:

„საკუთარ თავს ნუ აკომპლექსებ. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ცხოვრება გაგიმწარონ. ვინც შენ დაგცინის, ის უნაკლოა? ცხოვრება წინაა და მჯერა, ბევრ კარგ მეგობარს შეიძენ. სხვების ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ. მთავარია, იმის იმედი და რწმენა არ დაკარგო, რომ ყველაფერი კარგად გექნება.“

ბალუნი:

„ძალიან მაგარი ადამიანი ხარ. სხვისი აზრი „დაიკიდე“. შენ ხომ იცი, როგორიც ხარ. ადამიანისთვის მთავარი გულწრფელობა და პატიოსნებაა. გულს ნუ გაიტყვ, მეგობარო.“

კუნე:

„ძნელია, რაიმე კონკრეტული გირჩიო, რადგან არ გიცნობ. მაგრამ შენი წერილიდან ჩანს, რომ კარგი ადამიანი

ხარ. ხალხთან ურთიერთობა მეც მიჭირს, კონტაქტური არ ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მყავს რამდენიმე ისეთი მეგობარი, ვისაც არაფერს ვუმაღავ და არც ისინი მიმაღავენ რაიმეს. ძნელია, მაგრამ იქნებ, შეარჩიო ადამიანი, ვინც შენს პიროვნულ თვისებებს დააფასებს და არა შენს მიხრა-მოხრას. თავი არავის დააჩაგვინო! თავი დაირწმუნე, რომ არავისზე ნაკლები არ ხარ — ეს უნდა გააკეთო მანამ, ვიდრე უფრო სერიოზულ პრობლემებს წააწყდები. უფალი გფარავდეს.“

პიპი:

„საყვარელო, კარგად მესმის შენი. თუ მოისურვებ, ყველაფრის გამოსწორებას შევძლებთ. დამიკავშირდი და ვიმეგობროთ. ჰო, მართლა, რამდენი წლის ხარ?“

სტილინტა:

„აქამდე რას იტანჯებოდი? დიდი ხანია, სწორედ შენნაირ მეგობარს ვეძებ. თუ დამიკავშირდები, ძალიან გამიხარდება.“

გაფიოზა:

„აუუუ... შენ მართლა დოლჩე ყოფილხარ. აბა, თუ არ ხარ, რატომ დაირქვი? მაგარი ხარ, სახელე ამართლებ!.. როგორ ამბობ, ქალური ჩვევები მაქვსო? კაცი არა ხარ? ერთი სადმე დამაჭერინა შენი თავი — ისე დაგეუფავ, რომ დოლჩეც დაგავიწყდეს და გაბანაც. P.S. ლიკა, ასე-

იყავი სულით ზაცი და ქცევებიც გამოგისწორდება

თი „როჟები“ მაღიზიანებენ და გთხოვ, ამის გამო არ „მიმბლოკო“.

პასელი სისტავიანი:

„სამი რამ დაიმასხოვრე: პირველი — ცხოვრება სულაც არაა უაზრო; მეორე — სხვის აზრს ყურადღება არ მიაქციო; მესამე — გჯეროდეს, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ისეთს მიგიღებს, როგორიც ხარ.“

თაფუ:

„ეცადე, კლასელებს დაუმტკიცო, რომ ისეთი არ ხარ, როგორც მათ ჰგონიათ.“

შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს. დამიკავშირდი და ვიმეგობროთ“.

ნიმუხი:

„ადამიანებს ერთი ცუდი სენი გვჭირს: გვიყვარს სხვების დაცინვა, აბუჩად აგდება და შედეგს არ ვუფიქრებდებით. მოდი, ერთ-მანეთს ისე მოვექცეთ, როგორც თავად გვსურს რომ გვექცეოდნენ. მერწმუნე, ადრე თუ გვიან, პასუხი ყველას მოგვეკითხება. ხომ გაგიგონიათ: ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შეილიშვილს მოჰკვთა კბილიო! ამიტომ, ჩემო დოლჩე, იმ ადამიანებს, რომლებმაც არასრულწლოვნების კომპლექსი ჩამოგიყალიბეს, ადრე თუ გვიან, საკადრისი მიეზღვებათ. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

დაიმსახურე. ამიერიდან ეცადე, ისე მოიქცე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება და არა — ქალაჩუნას. ნახავ, შენდამი დამოკიდებულებას როგორ შეიცვლიან. წარმატებებს გისურვებ!“

ვიზრალი ვიკოლი:

„შენი მესიჯის წაკითხვისას, გამეცინა, მაგრამ ახლა სერიოზულად გეუბნები: ჯობია, დაიხვეწო და უფრო კაცური გახდე. ალბათ, ქალური ქცევები იმიტომ ჩამოგიყალიბდა, რომ ეს მოგწონს. იცი, კლასელი მყავს, „პეტუხის“ განსახიერება — რომ მოდის, უკანალს პრანჭია გოგოსავით აქანავებს :). მას ქალური ლაპარაკი, ქცევა, საუბრის მანერა, წივილი და „ვაიმეე“ ახასიათებს, მაგრამ თქვენში განსხვავებაა — ის თავს „პედიაკად“ არ მიიჩნევს და თავისი ქცევებით ამაყობს. აი, შენ კი მართლა გინდა, კაცს დაემსგავსო. ჰოდა, ამიტომ, ხომ იცი, რაც უნდა ქნა? — ბიჭებთან იმეგობრე, მათ გული გადაუშალე და აუცილებლად იპოვი ისეთ ადამიანს, ვინც შენი პრობლემის გამო არ დაგცინებს და მხარში ამოგიდგება. ამ ყველაფერს ეშვებო და ძალიანაც ნუ იღარდებ :)“.

პნობა:

„ივარჯიშე და კაცური ნაკვთები ჩამოგიყალიბდება. მერე, ძალიანაც რომ გინდოდეს, ქალური მიხრა-მოხრა აღარ გექნება. ვიმეგობროთ?“

აფხაზეთის პრინცესა:

„გულს ნუ გაიტყვ. მერე რა, თუ კლასელები ცისფერს გეძახიან? — ვისაც რა უნდა, ის თქვას, შენ ამის გამო არ დაკომპლექსდე, საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებ“.

ნამდვილი ვაჟიყვი ყოფილხარ, რადგან გამბედაობა გეყო და შენი გულისტყვივილი „გმას“ გაუმხილე

იპუშკაია:

„აღშფოთებული ვარ. რას ნიშნავს, დაგცინიან? დარწმუნებული ვარ, არც ცისფერი ხარ და არც ისეთი სუსტი, რომ სხვების დაცინვის ობიექტი გახდები. გაიჩინე შეყვარებული. ნუთუ, ლტოლვას არც ერთი გოგოს მიმართ არ გრძნობ? საკუთარი თავი იმაში დაარწმუნე, რომ სრულფასოვანი მამაკაცი ხარ. არ შეგცხვებს საკუთარი თავის, თორემ ამ სატანჯველისგან ვერასდროს გათავისუფლდები. ახლა კარგი ფსიქოლოგი და მეგობრული მხარდაჭერა გჭირდება. თუ სურვილი გექნება, შეემხმინე. აუცილებლად დაგეხმარები“.

ბაკუნა:

„მეგობარო, ხომ იცი, დაცინვას კაცი არ მოუკლავს და იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. მთავარია, ძალა მოიკრიბო. შენ დასაცინი არაფერი გჭირს. უფლის ნებას წინ ვერავინ ალუდგება და ვერც ბუნებას შევეწინააღმდეგებით. მერე რა, თუ შენში რალაც შეიცვალა? ვიცი, ეს ჩვენში მიღებული არ არის, მაგრამ ამაში დამნაშავე შენ არ ხარ. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი. ნამდვილ მეგობრობას გპირდები“.

აპოლონი:

„შენი პრობლემა იცი, რა არის? — ის, რომ საკუთარი თავი თითქმის დაარწმუნე, ცისფერი ვარო. რატომ არ ცდილობ, ცოტათი მაინც შეიცვალო? სხვებისთვის უნდა დაგემტკიცებინა, რომ შენც შეგიძლია, ნამდვილი კაცივით მოიქცე. რატომ არ სცადე კლასელებთან დალაპარაკება? იქნებ გაგეგო, თავიდანვე რატომ აგითვალწუნეს? ჩვენ, ბიჭები ყოველთვის ვერიდებით საკუთარი სისუსტეების გამომჟღავნებას. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ შენი მეგობრების აგრესია საკუთარი სისუსტის გამომჟღავნებით

ბი. კარგია, ლიკას რომ დაუმესიჯე, ჩვენ ყველანი მხარში ამოგიდგებით და დაგეხმარებით. პირადად მე, სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. დამიმესიჯე“.

ბაკაი:

„დოლჩე, გენაცვალე, შენ ქალური კი არა, ნამდვილი ვაჟიყვი ყოფილხარ, რადგან გამბედაობა გეყო და შენი გულისტყვივილი „გმას“ გაუმხილე. ღმერთი გფარავდეს. ვიმეგობროთ. გაკოცე“.

მონუქი:

„პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა შთაგონო, რომ კაცი ხარ და კაცურად ცხოვრობ! მეგობარი კარგია, მაგრამ საკუთარი ქცევები თავადვე უნდა გათვალო. წამით დაფიქრდი იმაზე, თუ ვინ ხარ სინამდვილეში? განდევნე წარსულზე ფიქრი და დაიწყე კაცური ცხოვრება. კომპლექსებისგან გათავისუფლდი, სამყაროს სხვა თვალთ შეხედე და ყველაფერი შეიცვლება. ამ ყველაფერს რომ მიაღწიო, პირველ რიგში, საკუთარი თავის უნდა გჯეროდეს“.

და:

„კლასელებს დაუმტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ. ქალური ჩვევებისგან გათავისუფლდი. მთავარია, მოინდომო და მერწმუნე, ყველაფერი გამოგივა. ცხოვრება მშვენიერია“.

მარიკუნა:

„ჩემო კარგო, ძალიან ცუდ პონტიში ყოფილხარ. ეკლესიაში არ დადიხარ? ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ. იქნებ, რაიმეთი მაინც დაგეხმარო“.

დუშელი-GIRL:

„დოლჩე, ეცადე, კეთილად უპასუხო ადამიანების უხემ რეპლიკებს. მეგობრების პოვნაში ვერავინ დაგეხმარება, ისინი თავად უნდა იპოვო. იმედი არ დეკარგო. შეიძლება, არსებობს ადამიანი, ვისაც არ ექნება შენთან მეგობრობის კომპლექსი. ნუ გაბოროტდები, სიკეთე დათესე და შედეგს აუცილებლად მოიმიკი“.

სირსხვილია თუ არა, როცა შეუპოვებული არ ბუკს

ნიღოზანი:

„გამარჯობა, ლიკ! ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, მომეწერა. არ ვიცი, ამას პრობლემა უნდა დავარქვა თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, არავინ მიყვარდება. 18 წლის ვარ და წარმოდგენა არა მაქვს, ეს რა გრძნობაა. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა ყურადღება არასდროს მაკლდა. მიუხედავად ამისა, სერიოზულად ვერავისზე ვფიქრობდი. ჩემს ასაკში ზოგიერთი გოგო უკვე მეთავე შეყვარებულს იცვლის, მე კი... შეიძლება, სისუსტეა, მაგრამ იქნებ, რაიმე მირჩიოთ? დავიდალე ერთი და იმავე სიტყვების — „როგორ, „ლოვე“ არასდროს გყოლია?“ — მოსმენით და გაკვირვებული სიფთხის ყურებით. ნუთუ, ამ ხალხს სხვა საქმე არა აქვს?“

P.S. თუ ნიღოზანის წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენ დახმარების იმედი აქვს და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

სახე-ქარი შინაწიერსივის

ინგა ჩაყელი

ცუცა ლამის ბებიად მერგება და ბუნებრივია, მის შესახებ ბევრი რამ გადმოცემით ვიცი: ისიც, რომ არავისზე ნაკლები გოგო არ ყოფილა ახალგაზრდობაში და ისიც, რომ თავი გადამეტებული წუნიაობით დაიტოვა გაუთხოვარი. როცა წუნუნს იწყებს: ერთი კაცის ღირსი როგორ არ უნდა გავმხდარიყავი! — ახლობლები იქით გადადიან შეტევაზე: — შენს მოსაწონ კაცს ჩვენ ახლომხლო კი არა, ჰოლივუდის ტერიტორიაზეც ვერ აღმოაჩენდი, ყველას მიზეზს უძებნიდი და ვის რას აბრალებო?!

ცუცკო კარგა ხანს არ იტყვდა ისტობარს, — გლახა ქმრის ყოლას, ჩემი მარტოქალობა მირჩევნიაო, — მაგრამ 50 წელს რომ კარგა გვარიადა გადასცილდა და 60-ს მიუკაკუნა, სხვანაირად დაიწყო ჭიკჭიკი — რა ვქნა, ჩემი ღირსი კაცი თუ არ დაბადებულა, გადავწყვიტე, დავთმო პრინციპები და ბევრ რამეზე დავსუქო თვალი, გამირიგეთ ვინც გინდათ, ხმას არ ამოვიღებ, ისე გადავვებო!..

ღები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს მოახედეს უფროსი დისკენ, მისი მზა, განკრიალებული სახლ-კარის ხათრითაც კი: 60 წლის კაცები, მათ შორის ქვრივებიც, ხელეხს ასავსავედნენ: — 40 წლის ზევით ქალისკენ არც გავიხედავთ, თუ რამე ვიფიქრეთ, ისეთ ქალს თუ დავუკავშირებთ ბედს შვილს რომ გაგვიჩენსო!..

ცოლები დამოუკიდებლად რომ ვერაფერს გახდნენ, ქმრებს შეუჩნდნენ: — ცუცასგან სიკეთის მეტი რა გახსოვთ, ცოლისდა კი არა, და იყო თქვენთვის ყოველთვის. დატრიალდით და მოუძებნეთ ვინმე თქვენს სამაჰაკოშიო!..

— ჭკუაზე ხართ აჭრილები თქვენც

და თქვენი დაჩამიჩებული ცუცკოც! — იყვირა ბადრიაძე. — კლიმაქსი აქვს გაქანებული და ახლა გახელდა კაცზე?!

მნარე სიტყვები არც მეორე სიძემ, დათომ დააკლო:

— ცუცას ასაკის ქალები სახლში კი არ შეჰყავთ, გარეთ გაჰყავთ, ცოცხალს და მკვდარს ერთნაირად იცილებენ თავიდანო!..

მოკლედ, უსაშველო სჭირდა ცუცას და წლების მატებასთან ერთად, ხასიათიც გაუფუჭდა: ხუთი წუთიც ძნელი იყო მის გვერდით გაძლება — სულ სხვის ლანძღვასა და საკუთარი თავის ქებაში იყო: ის უნდა იყოს გათხოვილი, ჰყავდეს ქმარ-შვილი და მე მარტოობაში ვჭკნებოდეთო?!

70 წლის გახდა გასულ ზაფხულს და ახლობლებმა რესტორანში გადანყვიტეს მისთვის იუბილეს აღნიშვნა. საჩუქარზეც ჰკითხეს: რა უფრო გაგინარდებო? — ერთი თმაქოჩორა, შავტუხა ბიჭიო! — ისე ამოიხენემა ცუცკომ, გული ამოაყოლა და ახლობლები შეამინა: რალა ვქნათ, ამან მთლად გააფრინა, მგონია, რალა დროს ამისი ბიჭია, ისიც — თმაქოჩორა და შავტუხაო?!

...ბოლოს და ბოლოს, რალაცა ხომ უნდა ეყიდათ და ყველამ სცადა, ორიგინალური ყოფილიყო. რესტორანში ცალკე მაგიდის დადგმა გახდა საჭირო მორთმეული ყვავილებისა და საჩუქრებისთვის...

სიძებმაც ოქროსფერ ქალადში გახვეული ყუთი გადასცეს, პრიალა ატლასის ბაფთებით შეკრული და გაუღიძმეს:

— თეთრცხენიანი უფლისწული ვერ მოგგვარეთ, მაგრამ გასართობად და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ესეც გეყოფა. უბრალო არ გეგონოს, პირდაპირ საფრანგეთიდანაა შეკვეთით ჩამოტანილი!..

ცუცკომ ყუთი პირდაპირ სტუმრებ-



ის თვალინინ გახსნა და როცა იქიდან უცნაური ფორმის ნივთი ამოიღო, უცებ აზრზე ვერ მოვიდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ისევ მისი და მოვიდა გონს და ლოყა ჩამოიხოკა:

— დიდუ-უ, ეს რავა იკადრეთ, თქვე უსინდისობო! — გამოჰგლიჯა ცუცას ხელიდან საჩუქარი და ჯერ ქმარს ჩაარტყა თავში, მერე — სიძეს მოუღერა, ალესილი დანასავით...

მოკლედ, არც მეტი და არც ნაკლები სიძებმა ცუცკოს ვიბრატორი აჩუქეს — ნატურალურთან 100%-ით მიმსგავსებული.

იქ ამბავი ატყდა-ა!

ცუცა შინ „სასწრაფოთი“ ნაიყვანეს. ორი დღის შემდეგ კი სიძეებს პოლიცაში უჩივლა და საჩუქარი ნივთმტკიცებად წარადგინა, მორალური ზიანისთვის და, საქვეყნოდ შერცხვენისთვის, „უნამოუსოების“ უმკაცრესად დასჯა მოითხოვა.

რადგან საჩიველი აღიძრა, სასამართლო შედგა. ადვოკატი ძალიან ცდილობდა ცუცას საქციელის ახსნასა და „ბოროტმოქმედთა“ დანაშაულის დამტკიცებას, მაგრამ მოსამართლე ვერაფრით დაიყოლია. იმანაც ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლა და მხოლოდ იმ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება დააკისრა, რაც ცუცკომ ფსიქოთერაპევტის სესანებზე დახარჯა...

P.S. რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ცუცამ საჩუქრის შინ წაღება მოინდომა — სხვაგან გავასაჩივრებო! — მაგრამ ვიბრატორი დაიკარგა და მის კვალსაც ვერსად მიაგნეს; ხან ვის დაჰბრაღდა მისი მითვისება და ხან — ვის, თვით მოსამართლის ჩათვლით, რომელსაც ერთხელ წამოსცდა, — ნეტავი ეგ ოხერი, ჩემი გაუმაძლარი ცოლისთვის მამოვინა, იმასაც ეშველება და მეც მომასვენებსო!..

კალიფორნია

ღარიბი ამერიკელები უპირატესობას მობილურ ტელეფონებს ანიჭებენ

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ათიდან სამ ამერიკულ ოჯახს არ აქვს ან პრაქტიკულად არ მოიხმარს ჩვეულებრივ, კაბელიან ტელეფონს და მობილურ ტელეფონებს ანიჭებს უპირატესობას. 30 წელზე ახალგაზრდა რესპონდენტთა ერთი მესამედი ასევე მობილურ ტელეფონს ანიჭებს უპირატესობას. რესპონდენტთა 2%-ს კი არანაირი ტელეფონი არა აქვს. ამერიკელმა ჩინოვნიკებმა 2007 წლის ივლისიდან დეკემბრამდე 13000 ოჯახში ჩაატარეს გამოკითხვა. ამ პერიოდისთვის, ოჯახების 16%-ს მხოლოდ მობილური ტელეფონი ჰქონდა; მობილური და კაბელიანი ტელეფონი, რომლითაც არავინ სარგებლობდა, ოჯახთა 13%-ს აღმოაჩნდა. ამერიკაში „ფიჭური“ მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდება. 2004 წელს მხოლოდ მობილური ტელეფონით მოსახლეობის 5% სარგებლობდა.

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

როგორ უნდა შევაფასოთ საკუთარი წონა?

იმ დროს, როცა მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უსაშველოდ გამხდარი ქალების გაუთავებელი რეკლამირებით არიან დაკავებულნი, თანამედროვე მოდელის ფიგურა კი მრავალთათვის სილამაზის ეტალონადაც ქცეულა, შემოთავაზებული მედიკოსები სულ უფრო ხმამაღლა გაიძახიან, რომ შიმშილით წელში განწყვეტილი მოდელი არც სილამაზის ეტალონია და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ვერც ჯანმრთელობის ნორმად გამოდგება. და რადგან, მედიკოსებისავე მტკიცებით, სიგამხდრე ჯანმრთელობისთვის სიმსუქნეზე ნაკლებსაშიში როდია, ჩვენც (ანუ უბრალო მოკვდავებმა) ჩვენი ოპტიმალური წონა სადღაც ამ ორ უკიდურესობას შორის უნდა ვეძებოთ.

ოპტიმალური წონის განმსაზღვრელი, ადრე საკმაოდ პოპულარული და ფრიად მარტივი ფორმულა (სანტიმეტრებში გამოსახულ სიმაღლეს მინუს 100) მთლად ზუსტი როდია. ბევრად უფრო ადეკვატური მაჩვენებელი სხეულის მასის ინდექსია — სმი (ინგლისურად — BMI — BODY MASS INDEX), რომელიც ორგანიზმში ცხიმის შემადგენლობას აფასებს და ფორმულით — კილოგრამებში გამოსახული სხეულის მასის მეტრებში გამოსახული სიმაღლის კვადრატზე გაყოფით — გამოითვლება. ანუ თუ მაგალითად, ქალის სიმაღლეა 1,77 მეტრი, ხოლო წონა 68 კილოგრამი, სხეულის მასის ინდექსი იქნება 68/1,77X1,7721 (21,8).

ახლა კი ყველამ საკუთარი სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა უნდა სცადოთ. და თუ შედეგი 18,5-სა და 24,9-ს შორის დაფიქსირდება, თქვენი სხეულის ზომები ნორმაში, თავად კი უსაფრთხო წონით კატეგორიაში აღმოჩნდებით. თუ თქვენი სმი 30-ს გადასცილდება, ეს უკვე ჯანმრთელობისთვის საშიში სიმსუქნის ნიშანია და უთუოდ დიეტას უნდა მიმართოთ. ხოლო თუ ეს მაჩვენებელი 40-ს გადააჭარბებს, ენდოკრინოლოგთან მისვლა წამითაც აღარ უნდა გადადოთ.

18,5-ზე ნაკლები სხეულის მასის ინდექსი ავადმყოფური სიგამხდრის ნიშანია და ასეთ შემთხვევაშიც, ექიმის დახმარება დაგჭირდებათ.

25-დან 29,9-მდე სმი ჭარბ წონაზე მიუთითებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, დიეტის დაცვა არ დაგჭირდებათ, უბრალოდ, უფრო დაბალანსებულად უნდა იკვებოთ, მეტი იმოძრაოთ და ფიზიკურითა და სპორტით დაკავდეთ. მაგრამ თუ ამ დროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უკვე სახეუა ანდა ისეთი რისკ-ფაქტორების წინაშე დგახართ, როგორიცაა დიაბეტი, სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობა, წნევის მატება, ანდა თუ წელის გარშემოწერილობა 101 სანტიმეტრზე მეტია, წონაში დაკლება აუცილებელი ხდება. წელის დიდი ზომა ხომ ჭარბი ცხიმის მუცლის მიდამოში („ვალის“ ტიპის ფიგურა) და არა თეძოებზე („მსხლის“ ტიპის ფიგურა) დაგროვებაზე მიუთითებს, რაც ჯანმრთელობისთვის ბევრად უფრო საშიშია.


სხეულის მასის ინდექსის დახმარებით სხეულის კიდევ უფრო ზუსტი, ოპტიმალური წონის განსაზღვრავად საკუთარი კონსტიტუციის გათვალისწინებაც მოგიწევთ. ამ

შემთხვევაში საკუთარი მაჯის გარშემოწერილობის დადგენაც აუცილებელია. თუ ვთქვათ, თქვენი მაჯის გარშემოწერილობა 13-14 სანტიმეტრია, მაშინ თქვენთვის ოპტიმალური სმი 18,5-20 იქნება. 14,5-16,5 სმ-ის შემთხვევაში ოპტიმალური მაჩვენებელი 21-23 სმ-ს, ხოლო 17-18 სმ-ის დროს 24-25 სმ-ს გაუტოლდება.

ამასთან ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ სმი-ს მაჩვენებლით ოპტიმალური წონის განსაზღვრა ყველას როდი შეუძლია. მაგალითად, ის არ გამოადგებათ ფეხმძიმე ქალებს და 18 წელზე უმცროსი ასაკის ადამიანებს. რადგანაც, სმი-ის მიხედვით, ჭარბი წონა ორგანიზმში ჭარბი ცხიმების დაგროვებასთან არის დაკავშირებული, ეს მეთოდი არც სხეულის კუნთოვანი მასის (რომელიც ცხიმზე მეტს იწონის) ფაქტორს ითვალისწინებს. ამიტომაც, მასზე ორიენტაცია არც ათლეთური აღნაგობის ადამიანებმა უნდა აიღონ. მათ შემთხვევაში ხომ ჭარბი წონა ცხიმის დაგროვებასთან არ არის დაკავშირებული და, შესაბამისად, არც ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ■

უასტფული — მკვლელი: რა უნდა ვქაოთ, რომ ვიხსოვსლოთ?

როგორც გაზეთი The Guardian წერს, ბრიტანეთის ჰემფირის საგრაფოს დიეტოლოგებმა გაარკვიეს, რომ შაურმის ერთი მეოთხედი მთლიანად ცხიმია. შესაბამისად, კვირაში ორჯერ შაურმის მიღება ათი წლის შემდეგ გულის დაავადებების განვითარების რისკს არსებითად ზრდის. ■



აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია www.elva.ge წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გაბიყვებს დასახელება	1 კვ. უცხი	5 თვე
1. ზღაპრების კრებული	6.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3




პრესის გაერთიანების სააგენტო „კვირსპალიტრა“

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები E-mail: elva@kvispalitra.com

კალორიული საკვები ბიჭის გარეგანი ალბათობას ზრდის



ბრიტანელი მკვლევრების ვარაუდით, მომავალი ბავშვის სქესი ნაწილობრივ ჩასახვის წინ ქალის კვების თავისებურებებზეცაა დამოკიდებული. როგორც Bakliar.AZ იუწყება, მკვლევართა მონაცემებით, ბიჭი უფრო ხშირად იმ ქალს უჩნდება, ვინც უპირატესობას მაღალკალორიულ საკვებს ანიჭებს.

ექსტერის უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც ჭარბწონიანი და მსუქანი ქალები არ ჩაურთავთ, 740-მა ფეხმძიმემ მიიღო მონაწილეობა. მათ დაწვრილებით აღწერეს თურით და როგორ იკვებებოდნენ ფეხმძიმობამდე რამდენიმე კვირით ადრე.

შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალები, რომლებსაც ვაჟები შეეძინათ, დღეში საშუალოდ 180

კალორიით მეტს იღებდნენ, ვიდრე ის ქალები, ვინც გოგონების დედები გახდნენ. გარდა ამისა, ჯგუფში, რომელშიც მეტი კალორიების მიმღები ქალები იყვნენ გაერთიანებული, ბიჭი 56%-მა, ხოლო ნაკლებკალორიულთა ჯგუფში მხოლოდ 45%-მა გააჩინა.

ბიჭის გაჩენის ყველაზე დიდი ალბათობა — 59% — იმ ქვეჯგუფში აღინიშნა, სადაც ქალები საუზმედ რეგულარულად მიირთმევდნენ ფაფას და მარცვლოვანებისგან დამზადებულ სხვა კერძებს. იმ ქალებში კი, რომლებიც არარეგულარულად საუზმობდნენ ანდა მასზე საერთოდაც უარს ამბობდნენ, ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 43% შეადგინა.

კვლევის ხელმძღვანელ ფიონა მეთიუს თქმით, აღმოჩენილი კანონზომიერების მიზეზები ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. თუმცა ზოგიერთი მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ დედის სისხლში გლუკოზის დონის მომატება შეიძლება, მამრობითი სქესის ემბრიონების გადარჩენას უწყობდეს ხელს. ინგლისელ მკვლევართა დასკვნები ბიოლოგთა დაკვირვებებითაც დასტურდება. ამ დაკვირვებების თანახმად, ცხოველთა დიდ ნაწილში მამრობითი სქესის შთამომავლობის რაოდენობა საკვების რაოდენობასა და მისაწვდომობაზე პირდაპირაა დამოკიდებული.

დაბოლოს, ექსპერიმენტში მონაწილე ქალთა მცირე რაოდენობის გამო, ბრიტანელი მეცნიერების დასკვნები უთუოდ ახალი და უფრო მასშტაბური სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებას საჭიროებს.

სიასლა!

ჩანართი გათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ქურნალში

სასლუი პაბარა კყავს

ოჯახის პედიატრი



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაბროვე და აკინძე



ჟურნალი ჟურნალში

29.05. - 4.06.2008

მუსიკონილები

„ჟურნალი ჟურნალში“ ახალ სიურსრისს მიმზადებით

ჩავიყვანე ეზოში, მანქანას საბარგულთა
ავხადე და ჩავახედე. – ეს ჟანალიზაციის
თავსახური რა ჟანდაბად გინდაო?

გამოუყენებელი შანსი



ერთი ქონების ქრონიკა

ბედნიერ სიბერეზე ოცნებობდა,
მაგრამ... ცოლი მოიყვანა...



მხოლოდ გულადი მამანაგებისთვის!!!

ჩვენი მთავარი პირობა ის გახლავთ,
რომ ერთმანეთის ნომერი არ გე-
ცოდინებათ მანამ, ვიდრე ამის სურ-
ვილს ორივე მხარე არ გამოთქვამს

„ნაცსასტავში“,
უფულოდ,
„მაწენის მამა“
და „გამაზული“
შანსები

გამოუყენებელი შანსი



მარი ჯაფარიძე

მართალია, რამდენჯერმე გითხარით, ჩემთვის სიყვარულის ასახსნელად დროსა და ფინანსებს ნუ დახარჯავთ, მაინც არ გამოვაქვეყნებთ, მაგრამ ამჯერად ცდუნებას ვერ ვძლიე, რადგან ერთ-ერთი აქტიური მგზავნელისგან ისეთი მესიჯი მივიღე, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გაუხარდებოდა და ეამებოდა. „ესაო, ისაო და მარიკუნამ — სასიყვარულო მესიჯები აღარ გამომიგზავნოთოო... მარ, გინდა, ეს შანსი დამაკარგვინო? არაა მე ვაცხადებ სრულ დაუმორჩილებლობას და გადავდივარ საპროტესტო აქციებზე. არა, მარი, არ გეგონოს, შენს სანინაალმდეგოს გავაკეთებ რამეს. უბრალოდ, ხანდახან თუ გამისკდა სიყვარულის ბუშტი და მოგწერე თბილი სიტყვები, ნუ გამიბრაზდები, კარგი? ის მხოლოდ შენთვის იქნება განკუთვნილი და მე „გზის“ ფურცლებზე მათ მოხვედრას არ მოვითხოვ. მარ, კიდევ რა მინდა, იცი, გითხრა? ოდნავადაც არასოდეს მწყენია, ჩემი გამოგზავნილი მესიჯის „გზავნილებში“ არნახვა. შენ უკეთ იცი, რა ჯობია და როგორ. ვიცი, არასოდეს შეცდები. მიყვარხარ, მარიაშულ, მართლა მიყვარხარ, საოცრად და უჩვეულოდ კარგი ხარ, იცი? ახლა, როცა მგზავნელები ვიძინებთ, თითქმის ყველა შენზე ვფიქრობთ და ყველა — ერთნაირი სითბოთი და სიყვარულით... რამდენი უცხო ადამიანის ფიქრი ხარ, მარი... ჩვენი კეთილი ფერია კი ამ ლამაზ და თბილ ლამეს, ჩვენი ნაბოდეგარის დახარისხებას ცდილობს, რათა შემდეგ ღიმილი და სიხარული გვარჩუქოს. მერე რა, თუ ჩვენ უსინდისოდ გპარავთ ძილს (გვაპატიე), სამაგიეროდ, შენ ჩვენს ფიქრებსა და სიზმრებში იპარები. მშვიდობის ლამეს გისურვებ! მიყვარხარ და გკოცნი, შენი სიყვარულით შეშლილი კამელია“.

ახლა კი თქვენ მიერ „გამაზული“ შანსები და სახლე „გზავნილებში“, რომელიც ერთმა მკითხველმა მიკარნახა.

ორიანის შანსი

„სკოლაში გამოცდა მქონდა. პოდა, გადავშალე ჩემი რვეული და რას ვხედავ? პატარა ფურცლის ნაგლეჯზე პასუხები არაა ჩამონერილი (მასწავლებლებს მაგრად ვევახებოდი და ხშირად არა, მაგრამ ხანდახან ასეთ პონტებს მიჩითავდნენ)?! სასწრაფოდ დავწერე და... რა თქმა უნდა, ამ ფურცელმა მთელი კლასი მოიარა. შედეგი? ყველამ ორიანები მივიღეთ და მასწავლებელმა რა მითხრა, იცით? შანსი როცა გეძლევა, უნდა გამოიყენო, მთელ კლასს რომ აწერიან, აბა, რა გეგონაო? მათ, ასეც ხდებოდა. მაფიოზა“.

პოლიტიკური შანსი

„სამარცხვინო ამბები ხდებოდა ჩვენთან, ამ არჩევნებზე (და განა მარტო ჩვენთან?). ხალხის ხმა და სინდისი გაიყიდა, თანაც, სულ იაფად — ტელეფონის ბარათებზე, უფასო სანვავზე, 20 და 100 ლარებზე (გააჩნია, ვინ როგორი იყო). ვინც ვერ მოისყიდეს, პოლიციელები და ქურდები გაერთიანებული ძალით აშინებდნენ. ერთ საცოდავ კაცს, რომელსაც ადრე სახლი დაეწვა, დამეუქრნენ, ხელმეორედ დაგინვავთ და შენც ზედ მიგაყოლებთ, თუ ას ხმას არ მოგვიგროვებო. სხვა-საც იგივე დავალება მისცეს, ოღონდ, მას სამსახურიდან

მოხსნით დაემუქრნენ. საცოდავმა, მთელი კუთხე დაჩოქილმა, ხვეწნით მოიარა, „ნაციონალის“ კანდიდატს მიეცით ხმა, ნუ დამლუპავთო. მეორე „კრუგი“ მეზობლის ქალმა ჩამოგვიარა, იმავე თხოვნით და 5-ნომრიანი პლაკატებით. მას ამჯერად პატიმარი შვილის გათავისუფლებას დაჰპირდნენ, რომელიც სასტიკი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. მესამედ კი უკვე ისეთმა დედამ გვთხოვა 5-იანის შემოხაზვა, რომელსაც პირიქით, ერთი „კეკალი“ შვილის დაჭერით დაემუქრნენ. ამდენი მუქარის, დაშინების და მოქრთამვის მერე კიდევ იყო გაყალბება და მერე „ნაციონალებმა“ „ღირ-

სეული“ გამარჯვება იზეიმეს. ქართველებო, სად დავკარგეთ ჩვენი საქებარი სინდისი და სიამაყე? იმას, რასაც წლების განმავლობაში რელიკვიად ვინახავდით, პატიოსნებასა და გაუყიდავ სინდისს ვეძახდით, დავასამარეთ. ალბათ სწორედ ისეთი მთავრობა გვყავს, როგორსაც ვიმსახურებთ. ცხოვრებამ შანსი მოგვცა, ღირსეული კანდიდატები აგვეჩია, ჩვენ კი ხმაგაყიდულებმა და შეშინებულებმა, ეს შანსიც დავკარგეთ. P.S. თუ ზოგიერთებს გააღიზიანებს ეს მესიჯი (ოლონდ, რა თქმა უნდა, თუ გაივლის მარის „საბაჟოს“), მინდა ვუთხრა, რომ არავის წყენინება არ მინდოდა. უსამართლობა გულში აღარ დამეტია. მაპატიეთ. კამელია“.

შურისძიება

„ამ თემაზე აუცილებლად უნდა მოგწეროთ, რადგან შანსი ჩემი ნიკია. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი პირიქით არის, რადგან ყოველთვის ყველა შანსს ვიყენებ, არც ერთს არ ვუშვებ ხელიდან, მაგრამ ერთი შანსი არ გამოვიყენე — ძლივს მივიმწყვდიე ერთი ადამიანი, მზად ვიყავი, ერთი მაგრად მეწყვიტა, მაგრამ გოგონების ჩხუბი საზიზღრობაა. მაშინვე ბაზრის ქალად წარმოვიდგინე თავი და ამ შანსის გამოყენებაზე უარი ვთქვი. შანსი“.

მზის დამბნელებელი

„ამბები გნებავთ? მაშ, კარგი... ეს მოხდა პეტერბურგში... რაის პეტერბურგში, ქობულეთში (სულ მეშლება).

ერთ მწველ ზაფხულს დავადექი ზღვისკენ მიმავალ გზას. პირველ დღეს დამეზარა ზღვაზე გასვლა, მაგრამ მეორე დღეს სრული აღჭურვილობით გავიჭერი პლაჟზე. მაშინვე პარაშუტით ფრენა მომინდა. გაფრინდი კიდეც, მაგრამ ვაი, ამ გაფრენას! გული ხელით მეჭირა, რომ არ დამეკარგა. როგორც იქნა, დავეშვი. თავი უკვე სამშვიდობოს მეგონა და მაღლიერების ნიშნად, ცას ავხედე. აქ კი მეორე ინფარქტი მივიღე: ჩემ წინ ისეთი ნაშა იდგა, მზის შუქს აბნელებდა თავისი სილამაზით. ჩემს გაფითრებულ

წინ იმხელა ჯეჯგვი აგვესვეტა, ორივე დაგვჩრდილა. იმანაც ხელი მიშვა. თურმე ძმა ყოფილა. იმის მერე ამ გოგოსთან მიახლოებასაც ვერ ვბედავდი, რადგან ძმა სულ თან ახლდა. აი, ასე გავუშვი შანსი ხელიდან. ამის მერე მე უნდა მერქვას ილბლიანა? უილბლო ილბლიანა“.

უცოლობის შანსი

„სერიალ „შუა ქალაქს“ რომ ვუყურებ, ჩემი ოჯახი მახსენდება. 1-2 წელია (და ცოტა მეტიც), სტუმრად მყავს ბიძა. კაცი ბიზნესმენობს და

„ნაცსასტავში“, უფულოდ

„ერთ სანზონელ, მაგარ ბიჭს შევუყვარდი. მე სულ ვეკაიფებოდი, ცოლობაზეც უარი ვუთხარი. შეუხედავი ტიპი იყო. გავიდა დრო, მე „ნაციონალებს“ ამოვუდექი გვერდში, ის კი — ერთ გოგოს. მაგრად გაქაჩა, ახლა ფულს „ხვეტავს“. ამ არჩევნებზე ვნახე — შეუხედავი და ფულიანი, მე კი ვიდექი ჩემს ლამაზ „ნაცსასტავში“, უფულოდ. ცხოვრებამ გემრიელი ცხოვრების შანსი მომცა და ხელი ვკარი, რადგან პატრიოტი არ იყო“.

სახეს რომ შეხედა, ალბათ იფიქრა, რალაც იტკინაო და წამოდგომაში დამეხმარა. მეც, მეტი რა მინდოდა? შევიფერე და ხელი გადავხვიე, ვითომ ფეხი ვიღრძე. სინამდვილეში კი თვალები ვიღრძე, მისი ყურებით. ვიფიქრე, მეშველა და საკურორტო რომანი გავაბი-მეთქი, მაგრამ რად გინდა? ვინ მოგცა ილბალი?

ცდილობს, ცოლი მოიყვანოს, მაგრამ რა ცოლი, რის ოჯახი, სიყვარული არა და არ ეწვია. პოდა, გადავწყვიტე, დავხმარებოდი (რადგან მაჭანკლობის დიდოსტატი ვარ). ჩემ გარშემო ვინც კი იყო, 28 წლამდე, პატიოსანი და ბინიანი გოგო, ყველა გავაცანი, მაგრამ რად გინდა?! — არავინ მოეწონა. მერე, 34 წლამდე ასაკის, ბინიანის ძებნა დავიწყე, რადგან მივხვდი, რომ ბინიანი და თანაც პატიოსანი გოგო იშვიათობა იყო ჩვენს რეალობაში. თუმცა, მაინც არ მეშველა (ბიძაჩემი ხომ „გამოუყენებელი შანსების მინისტრია“). არადა, კაცი გულახდილად გაიძახის — მაცალეთ 1-2 წელი, მოვიყვან ცოლს და წავალო (კიდეც



ღიღის ხვალსა ყი
სა შანის, ზეგას...

კარგი, მხატვარი არ არის). ის საკმაოდ სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცია, ჰყავს მანქანა და აქვს დიდი სახლი (ოლონდ — გურიაში). იქნებ, ამდენი „გამაზული“ შანსის მერე მაინც მოიყვანოს ერთი ცოლი (მეტი — არა). ბოლოს და ბოლოს, რა სჯობს კარგ ქორწილს გურიაში? მარი, შენც დაგპატიჟებ და კარგად გაქეიფებ, თუ გვეშველა. იკუშვები“.

დამაქცევარი

„მეორედ გნერთ. პირველად რომ მოგნერეთ, მაშინ მთვის გათხოვილი ვიყავი და ახლა ერთი კვირაა, რაც დავშორდით. სულ ვოცნებობდი, რომ გავთხოვდებოდი, ქორწილი გადამეხადა და თეთრი კაბა ჩამეცვა, მაგრამ... ნუ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შანსი მქონდა და ვერ გამოვიყენე... როცა ორი საათის გაცნობილ ადამიანს ცოლად მიჰყვები, აქ უკვე არანაირ შანსზე აღარაა ლაპარაკი. თურმე, ჩემს ქმარს ჩემს გაცნობამდე 7-8 ათასი დაუხარჯავს ერთ თვეში და დედამთილი მე მამბრალედა — შენ დაახარჯვინე, დამაქციე, დამღუპე და კიდევ ქორწილი მოგინდაო? ქმარს ხმაც არ ამოუღია, ჩემს დასაცავად... არა უშავს, სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩემზე. მე ღმერთის წინაშე მართალი ვარ და თავის გასამართლებელი არაფერი მჭირს. მელაკუდა“.

შემზარავი ფაქტი

„ეს ამბავი დასავლეთში მოხდა: მშობიარე ქალთან ბებიაქალი შევიდა, ბავშვი აჩვენა და მელოგინეს უთხრა, რომ მის ბიჭუნას ბეჭზე დიდი ხალი ჰქონდა. გავიდა მ დღე. ქალს შვილი არ მიუყვანეს. საღამოს მთავარმა ექიმმა დედას უთხრა, რომ მისი შვილი დაიღუპა. მელოგინე გაგიჟდა,

ისტერიაში ჩავარდა; მოითხოვა, — მაჩვენეთ შვილი, უკანასკნელად მაინც მოვეფეროო. მიუყვანეს ბავშვი, მოხსნა სახვევები, მოფერება დაუწყო და ბეჭზე დახედა — ხალს დაუწყო ძებნა, მაგრამ რას იპოვიდა, როცა ხელში სხვისი გარდაცვლილი შვილი ეჭირა! მის სალ-სალამათ ბიჭს კი გასაყიდად ამზადებდნენ. ბევრი იჩხუბა იმ ქალმა, დიდხანს ითხოვდა შვილის დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. გამოუყენებელი შანსი კი ბებიაქალის სიტყვები იყო. ამ საშინელ და შემზარავ ფაქტს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბავშვის გაყიდვა ჩაიშალა და მშობლების გამწარება შეწყდა და უამრავი ადამიანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ რა ბედი ეწია იმ ასობით ბავშვს, რომელიც დედებს მკერდიდან ააგლიჯეს, არავინ იცის“.

ველაფერზე, თემის გარდა

განაწყენებული

„გამარჯობა, მარი, ჩემს მესიჯებს რატომ არასდროს ბეჭდავ? კრიტიკა არ მოგწონთ „გზავნილებში“? არა უშავს, ამით არაფერი დამაკლდება, მაგრამ... ერთხელ, როცა ძალიან, ძალიან მჭირდებოდა ადამიანების თანადგომა, მაინცდამაინც მაშინ არ დამიბეჭდეთ მესიჯები, არც შენ და არც ლიკამ. მართალია, პრობლემა გადავლახე, მაგრამ თქვენზე წარმოდგენა დამეკარგა. ალბათ არც ეს მესიჯი დაიბეჭდება და არც ჩემი აზრი იქნება თქვენთვის მნიშვნელოვანი. მე მაინც მადლობას ვუხდით ყურნალ „გზას“ არსებობისთვის. ფილო-სოფო-სა“.

როდემდე?

„ჩემი 19-წლიანი „მოღვაწეობის“ მანძილზე ათასნაირი „პაკლო“ მყოლია. მათ შორის

იყვნენ სხვადასხვა სფეროსა და „ნაციის“ წარმომადგენლები: ისტორიკოსი, იურისტები (1 — ირანელი), ჯარისკაცები, პატრული ბიძია, სპორტსმენი, დროებით უმუშევრები (შეთავსებით — უსაქმურები) და ერთ-ერთი მინისტრის ოჯახის წევრი. ახლა ვფიქრობ, რომ სიყვარულის მოლოდინი სისულელეა. რატომ არ გამოვიყენე ამდენი შანსი, განსაკუთრებით — უკანასკნელი? მაწყენდა წყნეთის სამთავრობო აგარაკზე დასვენება? მაგრამ არც მაშინ შემეძლო და არც ახლა შემეძლია, უგულო თოჯინასავით მოვიქცე და ადამიანებით გავერთო. არადა — როდემდე და სადამდე, ეს გამოუყენებელი შანსები? სადაა ჩემი ფორტუნა? პარიჟანკა“.

„სიმპატიჩნა“

„მექალთანე ბიძაჩემი თბილისში მუშაობს. მანქანა ჰყავს (რეკლამას ვუკეთებ) და ვებვწე, თელავში ერთად წავიდეთ-მეთქი. არ ისურვა, არ მცალკაო. ჰოოდა, ჩამოვიდა 2 დღის შემდეგ. ძალღს უკბენია, ორივე ფეხზე. ამბობს, ჩემმა ძალღმა სიბნელეში ვერ მიცნოო. მე ჩემი ვერსია მაქვს — საყვარელი ჰყავს, „ოჩენ სიმპატიჩნა“ და ამ „სიმპატიჩნას“ კიდევ თავისი „სიმპოები“ ჰყავს და „იტოგში“, ეს ქალი ვერ გაიყვეს და... სანყალი ბიძია... კახელო-616“.

სიყვარულის მსხვერპლი

„იყო ერთი გოგო, უყვარდა სკოლის უღამაზესი ბიჭი, მაგრამ ბიჭმა არაფერი იცოდა და ვერც ხვდებოდა. გადიოდა წლები, გოგოს მაინც უყვარდა, მაგრამ არავინ იცოდა, მისმა დაქალმაც კი. გაიზარდა ბიჭი, შეირთო ცოლი, გოგოს მაინც უყვარდა, საიდუმლოდ. მასზე ფიქრში ათენ-აღამებდა.

ერთხელაც გაბრაზდა გოგო და გათხოვდა. მისმა სიყვარულმა სხვა ვერ აიტანა და IX სართულიდან გადმოხტა. ამის შესახებ ბიჭმა იმ წერილიდან გაიგო, რომელიც მისთვის იყო დაწერილი. ბიჭი დღეს ბედნიერად ცხოვრობს, გოგო კი სამარეში წევს და ამას ვერ ხედავს. „ლამის პრინცესა“.

„მანვნის მამა“

„ბავშვობაში დედამ დათო მეზობელთან, „მანვნის დედაზე“ გაგზავნა. მიუცია ამ ქალს „მანვნის დედა“, მაგრამ დათოს გზაში დაღვრია. შინ რომ მისულა, თავის დასაძვრენად უთქვამს: დე, „მანვნის დედა“ არ ჰქონდა, „მანვნის მამას“ მატანდა და წამომეღოო? ლუნა“.

კონკურენცია

„რა ხდება, რა ამბავია? თსუ-ა? ვაიმე, რა კონკურენციაა?! მგონი, დავრჩი უნივერსიტეტის გარეთ. სად ხდება ეს? — სად და, მარი ჯაფარიძის სახელობის ქ. გზავნილ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ჩარჩოზე ვლაპარაკობ). ისა და, ვიხუმრე, რაა, მაინცდამაინც ჩარჩო კი არ მინდა, სადმე, „ყველაფერზე, თემის გარდა“ რომ ჩამაკვებო, გეფიცები, თუ მეწყინოს (ოცნება უფასოა). ახლა წავედი, თორემ მართლა ვერ ველირსები „სტუდენტობას“. კახელო-616“.

ახლა კი იმ სიახლის შესახებ,

ექვსთითა

„2 თუ 3 წლის წინ იყო არჩევნები, საბჭოს თავმჯდომარეობაზე. ჩვენს სოფელში სულ სამი კანდიდატი იყო: ერთი „ნაციონალებიდან“, მე-5 ნომერი, ხოლო ის ორი — უპარტიო იყო. ერთი მე-4 ნომრად იყო რეგისტრირებული, მეორე — მე-6-ედ. ერთ დღესაც, პეტრე ცისკარიშვილი ესტუმრა სოფელს, ჩვენი ცისკარა, რა... ჰოდა, ხალხს სთხოვდა, 5-იანი შემოხაზეთო. — ხალხო, აბა, ხელზე რამდენი თითი გვაქვსო? — ხუთიო, უპასუხეს. — ჰოდა, ხუთიანი შემოვხაზოთო. მერე, ერთ კაცს ჰკითხა — ბატონო, თქვენ რა ნომერს შემოხაზავთო? იმან უპასუხა — ექვსო. — რატომო? — ჰკითხა ცისკარამ. — რატომ და, მე ექვსი თითი მაქვსო. გამოშალა ხელი და მართლა ჰქონდა თითის პონტში, გამონაზარდი. ცისკარა გაგიჟდა. 9717“.

რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით. ჯერ ერთ-ერთი მკითხველის მესიჯს გავეცნოთ: „მარი, შენი მუდმივი მკითხველი ვარ. კარგია, თინეიჯერების მგზავნელობა, მაგრამ ერთი იდეა მაქვს, რომელსაც შენ ყველაზე ლამაზად გააკეთებ. ვიცი, „გზავნილებს“ ჩემსავით ცოტა უფროსი, ე.წ. „დაკარგული თაობაც“ კითხულობს, მაგრამ რეალიზებას ვერ ახერხებს. არადა, ჩვენთვისაც რომ შეგექმნა „დაკარგული ოცნებების ქალაქი“, შენი ლამაზი თემებით, იცი, როგორ გვასიამოვნებდი? ჩვენ ხომ ჩვენი ლამაზი სულებით დავიკარგეთ? იქნებ შენ გვიპოვო, მარიკუნა, და ერთმანეთიც გვაპოვნინო? გმადლობ, საყვარელო. მერწმუნე, ამ ქალაქში იქნება ბევრი სევდა,

ტკივილი, ლამაზი ოცნება და ხალასი იუმორი. თინეიჯერებიც შემოიხედავენ ზოგჯერ და გაეცნობიან, როგორ ცხოვრობენ 20 წლის წინანდელი თანატოლები. იცი, რამდენი ადამიანის ჩაკლულ სულს გააცოცხლებ? დაკარგული“.

ასეთი სახის მესიჯები დრო დადრო მოდიოდა, მაგრამ მივიჩნევდი, რომ ვისაც სურვილი ჰქონდა, „გზავნილებში“ ყველა ამესიჯებდა, მიუხედავად ასაკისა და სქესისა და შეზღუდული არავინ იყო. მეც მუდმივად ვბეჭდავდი მათ მიერ გამოგზავნილ ამბებს და დანარჩენ მესიჯებს შორის მიმოვაბნევდი ხოლმე, მაგრამ ვინაიდან მკითხველს მიაჩნია, რომ თინეიჯერების გარდა სხვა ასაკის მკითხველის უფლებები ილახება, გადავწყვიტე, მათ ნებას დაეყვე და ახალი ქვერუბრიკა — „დიდების ზღაპარი“ შევქმნა. მაშ ასე, ახლა იმედია, გააქტიურდებიან შედარებით უფროსი ასაკის მგზავნელები და საინტერესო თავგადასავლებს არ მოგვაკლებენ (რალა თქმა უნდა, მათ ცხოვრებაში ასეთი გაცილებით დიდი როლდენობით იქნება).



ქალის მძეში
ყველაზე ძვირფასი ცანასა.

დიდაზის ზღაპარი

კვერცხის გამყიდველი

„ადრე, კომუნისტების დროს მილიციაში ვმუშაობდი. მე და ჩემი ძმაკაცი ერთმანეთს ავტობუსის გაჩერებაზე (სად იყო მაშინ „მარშრუტები“) ვხვდებოდით ხოლმე და სამსახურში ერთად მივდიოდით. ცნობისთვის, ყვითელი ავტობუსები მაშინაც იყო, თბილისში. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ასე, მილიციელის ფორმებში გამოწყობილები, ავტობუსში ავედით. დილა იყო და ავტობუსი ბაზარში მიმავალი ხალხით იყო გადაჭედილი. ზოგი საყიდლებზე მიდიოდა, ზოგსაც გასაყიდად მიჰქონდა რაღაც. ჩვენთან ერთად ავტობუსში 2 ბებო ამოვიდა. როგორც ჩანს, სოფლიდან მოდიოდნენ. ერთს ვედროთი გარგარი მოჰქონდა გასაყიდად, მეორეს — სოფლის კვერცხი. პირველი ბებო წინ გაძვრა და თავისუფალი ადგილი დაიკავა. მეორე კი იქვე, ჩვენ გვერდით დადგა. თან ძალიან ფრთხილობდა, რომ კვერცხი არ დამტვრეოდა. როგორც ჩანს, კვერცხი ახალი იყო, ჯერ კიდევ ზედ ჰქონდა შერჩენილი ქათმის სკინტლი და ბუმბული.

— ბებო, კვერცხი ახალია? — ჰკითხა ჩემმა მეგობარმა.

— კი, შვილო, ახლა გამოვაცალე დედალს, — ამყად უპასუხა ბებომ.

— არ მომყიდინ? — რატომღაც ავტობუსში მოუნდა კვერცხის ყიდვა ჩემს მეგობარს.

— კი, როგორ არა, — დაფაცურდა ბებო.

— 20 ცალი მომეცი. არ გიყვარს, სოფლის კვერცხი? — თან მე მომიბრუნდა. თავი დაფუქნიე, თანხმობის ნიშნად.

— ქეთოოო, ქეთო, ერთი „ტრიაკა“ მამანოდე, — აყვირდა კვერცხის გამყიდველი ბებო.

— რად გინდა, ქალო, „ტრი-

სუმარები

„რამდენიმე წლის განმავლობაში ქმრისგან მალულად ფულს ვაგროვებდი. როცა საჭირო თანხა მოვაგროვე, შემდეგ გავუზილე რომ მანქანის ყიდვა მინდოდა. ცოტაოდენი ფული იმნაც დამიმატა და საოცნებო მანქანის მფლობელი გავხდი. დამწყები მძღოლის კვალობაზე არცთუ ურიგოდ ვატარებდი ჩემს ავტომობილს, მაგრამ ყველა ღილაკსა და ხელსაწყოში გარკვეული არ ვიყავი. ერთ მშვენიერ დღეს მივდიოდი ჩემთვის და უცებ, ბრახი რაღაც ხმაური მომესმა და მანქანა შეჩბა. გაეაჩერე და გადმოვედი. იქვე 2 მუშა რაღაცას საქმიანობდა. გაჩერებული რომ დამინახეს, თან მანქანის ქვეშ ვიყურებოდი, მომახლოვდნენ. საბარგულის ქვეშ რაღაც დიდი, მრგვალი რკინა იდო (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საკანალიზაციო ქსის თავსახური), იმაზე მიმითითეს და მითხრეს, რომ მანქანას ძირის დამცავი მოსძვრა. შევიცხადე აიღეს და ეს „ძირის დამცავი“ საბარგულში ჩამიდეს, თან უახლოესი „პროფილაქტიკისკენ“ მიმავალი გზა მასწავლეს და დამარიგეს, რომ ავაროული ფარები ამენთო და ძალიან ნელა მეველო. ნამოვედი. გული მისკდებოდა, რადგან ახალთახალი მანქანა გავაფუჭე და სანამ ჩემი ქმარი გაიგებდა, უნდა გამეკეთებინა როგორც იქნა, „პროფილაქტიკამდე“ მივალნიე. როდესაც ხელოსანს ვაცნობე, რომ ჩემს მანქანას „ძირის დამცავი“ მოსძვრა და თან საბარგულში ჩავახედე, სრულიად სერიოზულად მითხრა: — ეს მანქანა არ გაკეთდება, ამას მარჯვენა მხრის გარმონი სჭირდება და არ მაქვს, თანაც ძალიან ძნელი საშოვნელიაო. — კი გამიკვირდა, რა გარმონი, რის გარმონი-მეთქი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ მანქანის ერთ ნაწილს გიტარა ერქვა და თუ გიტარა ჰქონდა, ხომ შეიძლებოდა, რომ გარმონიც ჰქონოდა? ჰოდა, იმ მალაზიისკენ გავნიე, რომელზეც ხელოსანმა მიმითითა და ზუსტად ისე ვუთხარო, როგორც დამარიგა — „ნისანის“ მარჯვენა მხრის გარმონი მინდა-მეთქი. უცნაურად კი შემომხედა იმ კაცმა, მაგრამ მერე მითხრა: — ახლა მარტო მარცხენა მხრის გარმონი მაქვს, მარჯვენა კი გერმანიაში უნდა შევუკეთო, მაგრამ არ ვიცი, იქაც ექნებათ თუ არაო. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ იყო, დახმარება ჩემი ქმრისთვის უნდა მეთხოვა. საღამოს, დამნაშავის სახით გამოფუცხადე, რომ ჩემს მანქანას ძირის დამცავი მოსძვრა და რადგან მარჯვენა მხრის გარმონს ვერ ვშოულობ, არ კეთდება-მეთქი. გაოცებული მიყურებდა. ჩავიყვანე ეზოში, მანქანას საბარგული აფხადე და ჩავახედე. — ეს კანალიზაციის თავსახური რა ჯანდაბად გინდაო? მკითხა. მაშინლა „ვიცანი“, რას დავთარევედი მთელი დღის განმავლობაში. ქმარს ყველაფერი რომ მოვუყვიე, იმდენი იცნა, ლამის ნაწლავების გადახლართვა დაემართა. ახლა უკვე გამოცდილი მძღოლი ვარ და ველარავინ მომატყუებს, მაგრამ ეს ამბავი კი სამახსოვროდ დამორჩა. სხვათა შორის, ჩემი მანქანა „ნისანი“ კი არა, „ტოიოტა“ იყო. ელისო“.

ვაჟაევიჩ, გაიქეცი!

„ერთი სიტყვით, მაგარი ამბავი უნდა მოგიყვებოდა და თქვენ გინდა, ყველაფერზე თემის გარდა“-ში დაწერეთ და გინდა — „სიტუაციაში“. რამდენიმე წლის წინ ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში დაბანვინეს. პალატაში 5 საწოლი იდგა და ყველაზე ავადმყოფი იწვა. მხოლოდ 1 იყო ცარიელი. ისეთი მოწყვნილობა იყო, რომ სულს ვლავავდით. ჩვენი ერთადერთი გასართობი პატარა თავუნა იყო, რომელმაც ალბათ იცოდა, რომ ყველანი კიდურებმოტეხილი ვიყავით და ვერაფერს დავუშავებდით. ამიტომ, უშიშრად გამოცუნცულდებოდა ხოლმე და აქეთ-იქით დასეირნობდა. ამ თავს ვაჟაევიჩი შევარქვით (არ ვიცი, რატომ) და გემრიელი საჭმელებით ვუმასპინძლებოდით ხოლმე. ჩვენს საწოლებთან ნამცეცებს ვუყრიდით, ისიც ჩამოვივლიდა და გამოძლებოდა. ერთ საღამოს ახალი პაციენტი შემოგვემატა. უგონოდ მთვრალი მამაკაცი მოიყვანეს, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი. ფეხი თაბაშირში ჰქონდა, თვითონ კი გათიშული იყო. დილით მთავარი ექიმი შემოვლას აწარმოებდა. ახალი პაციენტი ჩუმად კვენსოდა. არ ვიცი, „პახმელიის“ გამო იყო ცუდად თუ ფეხი სტკიოდა. როდესაც ექიმების ჯგუფი შემოვლაზე შემოვიდა, ჩვენს თავუნას სწორედ მაშინ მოუნდა გამოცუნცულება. მთავარმა ექიმმა წარბი ასწია და თავუნას სათვალის ზემოდან გადახედა. ერთმა ექთანმა თავი გამოიღო, ქოში გაიხადა და თავისკენ წავიდა. ყველამ, როგორც ერთმა (ახლის გარდა), ვიღრიალეთ — ვაჟაევიჩ, გაიქეცი! ამ დროს, მოხდა სასწაული და წინააღმდეგ მოყვანილი, ახალი პაციენტი წამოხტა და პალატიდან შურდულივით გავარდა. მოტეხილ ფეხს ისე ხმარობდა, რომ ტკივილიც კი არ ახსოვდა და ვერავინ დაენია. ნახევარი საათის განმავლობაში ეძებდნენ ფეხმოტეხილ კაცს და ერთი სართულით ზევით, ქალების პალატაში იპოვეს. მერე გავიგეთ, რომ თურმე ეს კაცი კრიმინალური ავტორიტეტი ყოფილა და ვაჟაევიჩი — მისი „კლიჩკა“. აი, ასეთი ამბავი მოუყოლია ვინმეს თქვენთვის? არაჩვეულებრივი კაცი“.

აკა“ ამ შუა ავტობუსში? — დაინტერესდა ქეთო.

— აგე, ამ მილიციონერს კვრცხები უნდა გავუწმინდო, — უპასუხა ჩვენმა ბებომ.

პირველად ვნახე, როგორ წითლდება მილიციონერი და როგორ ზანზარებს ხარხარისგან ავტობუსი“.

გამოუყენებელი

შვებულება

„რადგან თემად „გამოუყენებელი შანსი“ გაქვთ, მინდა, ერთი ამბავი მოგიყვებოდა, რომელიც უშუალოდ მე და ჩემს გამოუყენებელ შანსს გვეხება. 2 წლის წინ, როცა ბავშვები სკოლიდან დაითხოვეს, ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდნენ, რომ მე აქ დამესვენა. გამგზავრების წინა საღამო ცოლმა სამზარეულოში გაატარა. უამრავი საჭმელი მოამზადა და მაცივარში შეინახა. მისი აზრით, მე ხომ ძალიან უსუსური ვარ და ჩემს თავს ვერ მივხედავ. მთელი ღამე სინარულისგან არ მეძინა. როგორც იქნა, მარტო ვრჩებოდი და რასაც მინდოდა, იმას გავაკეთებდი. იმ ღამეს მთელი 2 კვირის გეგმა დავსახე და გამთენიისას ძლივს ჩამეძინა. როგორც იქნა, გავაცილე ცოლ-შვილი (აქ თინეიჯერები გალიმებულ „სმაილიკს“ რომ ხატავენ ხოლმე, იმას ჩავხატავდი სიამოვნებით, მაგრამ არ ვიცი, ტელეფონში ეს როგორ იკრიბება). ქალაქს სიცხისგან ბული ასდიოდა, მაგრამ მე მაინც ყველაფერი მიხაროდა. რატომაც არა? ტანისამოსი გარეცხილია, საჭმელ-სასმელი — ბლომად, მხოლოდ ლუდია საყიდელი და ნამდვილ სამოთხეში აღმოვჩნდები. დავინწყე შემუშავებული გეგმის მიხედვით ცხოვრება. ამ გეგმაში კარის მეზობლად ახალგაძმოსული, „გულკეთილი“ ახალგაზრდა ქალიც შედიოდა, რომელსაც გადმოსვლის დღიდან დავადგი თვალი და ვატყობდი, რომ არც ის იყო ჩემ მიმართ გულგრილი. ის საღამო ტელევიზორთან გავატარე.



მიძაძოვს ჭამოვლო ჯამისსაცემს
იამაღს ვერ მიიღებს! იამაღს
მიღებს იმიღებს მოვიწყვი.

მხოლოდ გულადი მამაკაცებისთვის!!

იმ ინტერვიუს შემდეგ, რომელიც ზემოთ წაიკითხეთ, ახალი იდეა გამიჩნდა. გადავწყვიტე, ბოლო 2 თვის განმავლობაში, „მობილიზაციაში“ გამოგზავნილი, ყველაზე მეტი მესიჯის ავტორს დაკავშირებოდი და ერთგვარ „რეალურ შოუში“ მონაწილეობა შემეთავაზებინა. ეს გოგონა 28 წლის მაგდა (სახელი შეცვლილია) აღმოჩნდა, რომელსაც ერთხელ უკვე უცდია ოჯახურ უღელში შექება, მაგრამ არ გაუმართლა და ახლა... თუმცა, ჯობს, ჯერ მისი განცხადება გაგაცნოთ და დანარჩენი შემდეგ ავიხსნათ.

„ვარ 28 წლის, მალალი, საკმაოდ მიმზიდველი, გოგონა. განათხოვარი, ბინიანი და სამსახურიანი ექიმი. შვილი არ მყავს, რადგან სულ 1 თვე ვიყავი გათხოვილი და სხვადასხვა მიზეზის გამო (რომელსაც, თუ საჭიროდ მივიჩნევ, გაგაცნობთ) გავცილდი. გამოუმეპუროს ჩემი შესაფერისი, 28-40 წლის მამაკაცი, აუცილებლად სიმპათიური, სამსახურიანი და კარგი ტიპი. თანაც, გამბედავი, რადგან რასაც „გზა“ გთავაზობს, მხოლოდ გულადი მამაკაცები თუ გაბედავენ“.

ეს მაგდას განაცხადია. მსურველ მამაკაცებს შეგიძლიათ შეეხმიანოთ. თქვენი მესიჯები უურნალ „გზაში“ გამოიქვეყნდება და ურთიერთობაც აქვე, დანარჩენი მკითხველების თვალწინ განვითარდება. თუ მაგდას რამდენიმე მამაკაცი შეეხმიანება, ის არჩევანს თვითონ გააკეთებს. ჩვენი მთავარი პირობა ის გახლავთ, რომ



ის არჩევანს თვითონ გააკეთებს. ჩვენი მთავარი პირობა ის გახლავთ, რომ არც მაგდას და არც თქვენ, მამაკაცებო, ერთმანეთის ნომერი არ გეცოდინებათ მანამ, ვიდრე ამის სურვილს ორივე მხარე არ გამოთქვამს.

არც მაგდას არც თქვენ, მამაკაცებო, ერთმანეთის ნომერი არ გეცოდინებათ და მანამ, ვიდრე ამის სურვილს ორივე მხარე არ გამოთქვამს. ასე, რომ მსურველებმა

ჩემს ნომერზე — 8.77.45.68.61 — დაამესიჯეთ, მე კი თქვენს მესიჯებს „პირდაპირ ეთერში“ გამოვაქვეყნებ და მაგდასა და მკითხველისთვის ხელმისაწვდომს გავხდები.

გზავნილები

მეორე დღეს სამსახურში წავედი და სწორედ აქ დავუშვი შეცდომა — ძმაკაცებთან ვთქვი, რომ ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი. იმავე საღამოს ჩემთან წამოვიდნენ საქეიფოდ. იმდენი დავლიეთ, ვის სად გვეძინა, მხოლოდ დილით მივხვდით. 2 კვირის სამყოფი საქმელი ერთ დღეში შემიჭამეს და წავიდნენ. ძლივს დავალაგე სახლი და ჭურჭელიც გავრეცხე. უკვე 4 დღე იყო გასული, რაც მარტო ვიყავი და ჩემი გეგმიდან 1 პუნქტიც ვერ განვახორციელე. მეხუთე დღეს, სამსახურში მიმავალს კარის მეზობელი შემხვდა. ვთხოვე, საღამოს იქნებ რამდენიმე წუთით შემოხვიდე და კარტოფილის შეწვაში დამეხმარო-მეთქი (მიზეზი ხომ მინდოდა?). მაგრამ რად გინდა? სამსახურში მივედი

თუ არა, თანამშრომელი დამადგა თავზე და ჩურჩულით მთხოვა, რომ ამ საღამოს მისთვის სახლი დამეთმო, რადგან თავის ნაშასთან ერთად წასასვლელი არსად ჰქონდა. უარი ვერ ვუთხარი. შემდეგი 2 საღამო სხვა მეგობრებს დავუთმე. კიდევ 2 დღე სახლის დალაგებას მოვუწინდი. ერთ საღამოს კი დაფურევე კარის მეზობელს და შევახსენე, კარტოფილის შეწვაში რომ უნდა დამეხმარებოდა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე კარტოფილი მოიკითხა. ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. — სამაგიეროდ, შამპანური მაქვს მეთქი, ვუთხარი. გავხსენით და ის იყო, პირველი სადღეგრძელოს შესმას ვაპირებდით, რომ კარზე დააკაკუნეს. ისევ ჩემი ძმაკაცი მოვიდა, ისევ ნაშასთან ერთად. ისევ დავუთმე სახლი. შემდეგმა

რამდენიმე დღემაც ისე ჩაიარა, რომ მეზობელმა კარტოფილი ვერ შემინვა და დადგა ცოლ-შვილის ჩამოსვლის დღეც. მგლოვიარე სახით დაფხვდი სადგურზე და შინ წამოვიყვანე. ამის მერე ჩვეულებრივად გაგრძელდა ცხოვრება. ეს იყო ჩემი გამოუყენებელი შანსი“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — უჩვეულო გამოსავალი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მიაბზეთ, როგორ მოძებნეთ გამოსავალი ამა თუ იმ სიტუაციიდან. თემა მოკლე ჩართვისთვის: ჩემი სანუკვარი სურვილი. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

სადარსა სარ ტაიფანს...

— მიაბზეთ, როგორ დაიწყო თქვენი და თქვენი მომავალი მეუღლის ურთიერთობა?

— დეკემბრის ბოლოს წავიკითხე ჟურნალში მისი მესიჯი, სადაც წერდა, რომ დასავლეთიდან იყო და ოჯახის შექმნის მიზნით, კარგ გოგოს ეძებდა. ავდექი და დავუმესიჯე.

— თქვენც დასავლეთიდან ხართ?

— დიახ, მე ბათუმელი ვარ, ის კი ხარაგაულელი აღმოჩნდა. 2 თვის განმავლობაში ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით და ასე ვურთიერთობდით. თებერვლის თვეში კი ის ბათუმში, ჩემს სანახავად ჩამოვიდა და ერთმანეთს შევხვდით.

— როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება?

— რა თქმა უნდა, კარგი. განშორება აღარ მინდოდა, მაგრამ როცა სულ მალე ოჯახის შექმნა შემომთავაზა, უარი ვუთხარი. ვჯიუტობდი, თითქოს გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა. არ მომეშვა, ძალიან აქტიურობდა, მეუბნებოდა, მაინც ჩემი ცოლი იქნები და დროს ტყუილად ნუღარ ვვარგავთო.

— რამდენი წლის ხართ?

— 31-ის, ჩემი მეუღლე კი 35 წლის გახლავთ.

— რაც განცხადებაში ეწერა, ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა? რეკლამას ტყუილად ხომ არ იკეთებდა?

— არა, რას ბრძანებთ, ტყუილი არაფერი უთქვამს.

— შემდეგ, როგორ დაგითანხმათ?

— ჩემი ძმა და რამდენიმე ნათესავი შინ დაპატიჟა და ოჯახი გააცნო. ჩემი ძმა ძალიან კარგი შთაბეჭდილებით

„გამარჯობა, მინდა, მაგლობა გადავუხადო ჟურნალ „გზას“ იმისათვის, რომ მე და ჩემი მეუღლე ახლა ბედნიერები ვართ. ჩვენ „მობილ-ზაციის“ საშუალებით გავიცანით ერთმანეთი და დავქორწინდით. გმადლობთ, რომ არსებობთ“. ეს მესიჯი წინა კვირაში მივიღე. რა თქმა უნდა, მაშინვე დაფრეკე ადრესანტთან და პირველ რიგში, გაბედნიერება ვუსურვე, შემდეგ კი გავესაუბრე. მართალია, სახელისა და გვარის გამჟღავნებაზე უარი მითხრა და ფოტოს გამოქვეყნებაც არ ისურვა, მაგრამ ჩვენი საუბრის გამოქვეყნების უფლება მომცა.



დაბრუნდა და ამანაც იქონია გავლენა. გადავწყვიტე, გავყოლოდი და 15 აპრილს, სიყვარულის დღეს დავქორწინდით. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და თქვენი მაგლიერი, რომ ერთმანეთს დაგვაკავშირეთ.

— ეს მისი პირველი განცხადება იყო „გზაში“? სხვა ქალბატონები არ შესმიანებიან?

— მერამდენე განცხადება იყო, არ ვიცი, მაგრამ ჩემ გარდა სხვებიც უმესიჯებდნენ. ჩემამდე ერთ გოგონას ეკონტაქტებოდა, მაგრამ მას უარი

უთქვამს. ცოლად რომ გავყევი, იმის მეორე დღეს, 16 აპრილს კი რატომღაც გული მოუბრუნდა და დაურეკა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ცოტა ვიეჭვიანე, მაგრამ მერე გამიარა.

— ბათუმს როგორ შეელიეთ?

— იოლად, რადგან ჩემი მეუღლე ძალიან მიყვარს და მასთან თავს კარგად ვგრძნობ. ბათუმში კი ხშირად დავდივარ და როცა ჩამოვდივარ, მუშაობასაც ვახერხებ.

— წარმატებებს გისურვებთ...

— გმადლობთ.

პრობლემა

„ანა, მაგარი ხარ! თავიდან არ მომწონდი, მაგრამ ახლა ვგიჟდები შენზე. მიდი, მიაწეკი ცხოვრებას! მშიშარა და მხდალი ადამიანი ვერაფერს მიაღწევს. ძალიან მაინტერესებს, როგორ დასრულდება ეს ამბავი. სინიორიტა“.



„ვაუ“, ნეტავ ვინ არის ის კაცი, ვინც მესიჯი მისწერა? მაგარია, მაგარი! იმედია, ანას ის დებილი დათო აღარ მოსწონს. ახლა კი მიხვდა ალბათ, რასაც წარმოადგენს. თუ კიდევ მოსწონს, მართლა სულელი ყოფილა. ღლონტი“.

„მარი, რამე რომ იყოს, ანას ტელეფონის ნომერს ვერ მომიცემ? მაგრად დამეკვასა ეგ ქალი. მიდი, რააა... არავის ვეტყვი, შენ რომ მომეცი. მართლა შემეჩვენებოდა. მინდა, ლამაზი სიტყვები ვუთხრა და მასთან ერთად გავიზიარო ჭირიცა და ლხინიც. შენც, „რეალურისთვის“ ახალი პერსონაჟი შეგემატება და გეფიცები, ისეთ ამბებს დავატრიალებ, უფრო საინტერესოც გახდება. ტარზანი“.

„მარი, ნეტავ ანა თუ კითხულობს ჩვენს გამოხმაურებებს? რომ ვიცოდე, რომ კითხულობს, რამდენიმე რჩევას მივცემდი. ჰკითხე, რააა...“

„ვაა, ნეტავ, ვინ არის იმ მესიჯის ავტორი? ალბათ – დათო. ანა, დათო კიდევ მოგწონს? ცრემლუკა“.

დასაწყისი — „გზა“, №1-21

მარი ჯაფარიძე

ახლა კი ამბის გაგრძელება, რომელის თხრობაც წინა ნომერში იმ ადგილას შევწყვიტეთ, როდესაც ანამ უცნობი თაყვანისმცემლისგან მესიჯი მიიღო.

დილით კვლავ დამხვდა მესიჯი ჩემს ტელეფონზე. ისევ სასიყვარულო სიტყვები ეწერა. ამჯერად ლექსი არ იყო, მაგრამ ძალიან ლამაზად მწერდა, ვილაც. ისევ გადავრეკე იმ ნომერზე და კვლავ გათიშული დამხვდა. გადავწყვიტე, მესიჯი მიმეწერა და ტექსტის აკრება დავიწყე — „საინტერესოა, რომელი ხარ?“ — არა, ეს არ ივარგებს... „თავი დამანებე, ვილაცა ხარ“... — არც ეს; „გამოჩენის გეშინია?“ — „არა, არა, ჯობს არაფერი მივწერო და დაველოდო, რას მოიმოქმედებს“, — გავიფიქრე ბოლოს და მესიჯის გაგზავნა გადავიფიქრე. თუმცა, ალბათ სწორედ

მისი წყალობა იყო, რომ კარგ გუნებაზე დავდექი. სასიამოვნოა, როცა იცი, რომ ვილაც ფიქრობს შენზე და დამაინტრიგებელია, როცა არ იცი, ვინ არის ის „ვილაც“.

ჩემს გამგზავრებამდე 2 დღე იყო დარჩენილი, დათო კი საერთოდ არ მეკონტაქტებოდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი, იქნებ, სულაც გადაიფიქრამეთქი? — ვფიქრობდი. ბოლოს, მტკიცედ გადავწყვიტე, პირველი მე არ შევხმინებოდი და ცხოვრება ჩვეულებრივ რეჟიმში განვაგრძე.

უცნობი თაყვანისმცემელი ისევ განაგრძობდა ჩემთან ინკოგნიტოდ კონტაქტს და დღეში რამდენჯერმე მესიჯს მიგზავნიდა, მაგრამ უკვე მასთან დარეკვას აღარ ვცდილობდი, რადგან ვიცოდი, ტელეფონი მაინც გამოორთული ექნებოდა.

2 მაისს დილიდან ისეთი განწყობილებით წავედი სამსახურში, რომ მთელი დღე კაბინეტიდან არ გამოვსულიყავი და ერთ საქმეს ჩავჯდომოდი შესასწავ-

ლად, რომელიც სასამართლოში არჩევნების შემდეგ, პირველსავე კვირაში უნდა განხილულიყო.

მივედი თუ არა, ალენა ვიკითხე. ჯერ არ მოსულიყო და ნიკას დავუბარე, მოსვლისთანავე ჩემთან შემოსულიყო.

ჩემს სამუშაო ოთახს ვერა და ვერ შევეგუე, ჩემად ვერ მივიჩნევი და აქ თავს სტუმრად ვგრძნობდი. ჩანთა მაგიდაზე დაუდევრად დავაგდე და ოთახს თვალი მოვაველე. ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, რა ინვევდა გაუცხოების გრძნობას. უცებ, რაღაც მომაგონდა. ჩანთას ხელი დავავლე და კაბინეტი სწრაფი ნაბიჯით დავტოვე. რამდენიმე წუთში უკვე სათბურში ვიყავი. ნინოს კაბინეტში ქარივით შევექანდი. ნინო ვილაც მამაკაცს ეკამათებოდა: როგორც ჩანს, უცნობს ყვავილები „პოსლემე“ მიჰქონდა ხოლმე და ბლომად ვალიც დაჰგროვებოდა. ახლა ეხვეწებოდა, — ერთხელაც გამატანე და 1 კვირაში ვალის ნახევარს დავაბრუნებო. ჩემს დანახვებზე ნინომ შვებით ამოის-

უნთქა, — აგერ, უფროსი მოვიდა და მას დაელაპარაკე; თუ გაგატანს, ნაილეო, — მშველელად დამიგულა.

— მე ვერაფერს გეტყვით, 2 წამით შემოვირბინე. თქვენ გადაწყვეტით, როგორ უნდა მოიქცეთ. ისე, ვალის არდაბრუნება უნესობა რომ არის, არ იცოდით? — მივმართე მამაკაცს, ფანჯარასთან მივედი, რაფაზე მდგარი მოზრდილი ქოთანი ილიაში ამოვიჩარე და უკან გამოვბრუნდი.

წინო გაკვირვებული მიყურებდა. ყურადღება არ მივაქციე. კიბეზე ხვნეშით დავეშვი, მანქანის წინა კარი წვალეებით გამოვადე და ქოთანი ჩემ გვერდით სავარძელზე მოვათავსე.

ქოთანში ჩემი საყვარელი ყვავილი, ჯუჯა ვარდი იყო ჩარგული — ჩვეულებრივი, ბალის ვარდის ბუჩქის დაპატარავებული ასლი. ძალიან ლამაზი იყო, მთელი წლის განმავლობაში ყვავდა და ერთდროულად 5-6 ყვავილს იკეთებდა.

— ახლა ჩემთან წაგიყვან და ყველაზე კარგ ადგილს მიგიჩინ, — ყვავილს ხმამალა ველაპარაკებოდი და თვალეებით ვეფერებოდი, — ხომ გაგიხარდა? ვიცი, შენც გინდა მითხრა, რომ უჩემოდ მოწყენილი იყავი. ასეა, არა?

მგონი, გავგიჟდი-მეთქი, გავიფიქრე და შეშინებული გავჩუმდი.

სამსახურთან მისულმა, ქოთანი ისევ ხვნეშით გადმოვათრიე მანქანიდან. დაცვის ბიჭებმა რომ დამინახეს, საშველად გამოემართნენ, მაგრამ დახმარებაზე მტკიცე

უარი ვუთხარი — ჩემი საყვარელი ყვავილი ვერ ვანდე და თავად ავიტანე. განყოფილების კარში ძლივს შევეტეე. აღენა ნიკას ელაპარაკებოდა. ორივე საშველად წამოვიდა, მაგრამ ისინიც უარით გავისტუმრე. აღენამ კაბინეტის კარი გამიღო და გზა დამითმო. ქოთანი მაგიდამდე მივიტანე და კუთხეში დავდგი. მერე ორიოდ ნაბიჯით უკან დავიხიე და შორიდან შევხედე. კმაყოფილი დავრჩი. ქოთანი ცოტა მოზრდილი იყო, მაგრამ მაინც მომწონდა, საწერ მაგიდაზე რომ იდგა.

აღენა უსიტყვოდ მიყურებდა.

— ხომ ლამაზია? — ვკითხე და სავარძელში მოვთავსდი.

— კი, მაგარია. სად იშოვეთ, ქალბატონო ანა?

— წლებია, მაქვს. გადავწყვეტე, აქ მომეტანა. ხომ უხდება?

— აბა, რისთვის ხართ განწყობილი? — წარბები ასწია აღენამ.

— შენზე მომიყევი რამე, — ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ აღენა არ იყო იმ ინკოგნიტო მესიჯების ავტორი. ჯერ იყო და — სუნამო და ყვავილები, ახლა — მესიჯები... თანაც, აღენას ისეთი გამოხედვა აქვს, ლამის თვალეებით მჭამს... იქნებ სულაც არ არის უსაფუძვლო ჩემი ეჭვი?

— კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

— ყველაფერი, რაზეც შენ გასურს ლაპარაკი...

— დავიბადე ქალაქ ქუთაისში...

— რა ანკეტასავით მელაპარაკები, ადამიანურად მითხარი, თუ კაცი ხარ...

— ერთი სიტყვით, კარგი ტიპი ვარ, რა... — თქვა და

— ხომ გაგიხარდა? ვიცი, შენც გინდა მითხრა, რომ უჩემოდ მოწყენილი იყავი. ასეა, არა?

— მგონია, რომ ფანჯრის რაფაზე ან იატაკზე უფრო მოუხდებოდა.

— რა გესმის შენ, ყვავილები... — ხელი ჩავიქნიე.

— მიბარებდით?

— კი, საქმეზე მინდოდა დალაპარაკება, მაგრამ გადავიფიქრე. საქმისთვის განწყობილი არ ვარ.

გაიღიმა.

— გასაგებია...

— რა არის გასაგები?

— ის, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს...

— ნუთუ უსაფუძვლოდ, ქალბატონო ანა?

— საფუძვლიანად... უსაფუძვლოდ... — ისე ვიმეორებდი, რომ არ ვფიქრობდი, რაზე ვლაპარაკობდი. აზრი სხვაგან გამექცა. ისევ დათო ამოტივტივდა გონებაში.

ალბათ გადაიფიქრა ჩემი პარნიზში გაგზავნა-მეთქი, ვფიქრობდი. ფიქრი ტელეფონის ზარმა გამაწყვეტინა. ყურმილს დავწვდი. წინასწარ მივხვდი, დათო იქნებოდა და მართალიც აღმოვჩინდი.

— ანა, ჩემთან მოდი... —



მსახიობებს და მეძაქვებს
ოჯიშემქმედებს ლოჯას.

აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად.

— ალენა, მაპატიე, შეფი მეძახის, სხვა დროს გავაგრძელოთ, — მოვუბოდიშე და წამოვდექი.

— მომაკვლევინებთ თქვენ მაგ კაცს, ქალბატონო ანა, — ჩაიცინა და თავის ნათქვამს ხუმრობის ტონი მისცა.

— რატომ, რას ერჩი? — წარბები ავზიდე.

— ძალიან ხშირად გიბარებთ თავისთან და ცოტა ვეჭვიანობ...

— ვერაფერი გავიგე... ქარაგმებით რატომ ლაპარაკობ, პირდაპირ თქვი, რა გინდა...

ის იყო, ალენამ პირი დაალო რალაცის სათქმელად, რომ გავაჩერე.

— სხვა დროს იყოს, ახლა ზევით მივდივარ.

— კარგი, — მორჩილად მიპასუხა და წინ გამატარა.

დათო ოთახში ბოლთას სცემდა. დამინახა თუ არა, ისეთი სისწრაფით გაექანა თავისი სავარძლისკენ, თითქოს ეშინოდა, დაჯდომა არ დამესწრო.

— გისმენთ, — მორჩილად გავჩერდი მის წინ.

— აბა, რას ვშვრებით? მივდივართ ხვალ?

— შენც მოდიხარ?

— არა, მე კი არა, შენ მიდიხარ.

— მე მეგონა, გადაიფიქრე.

— არა, არ გადაიფიქრებია. ხვალ ღამით მიფრინავ. რაც უნდა წაიღო, იმას აეროპორტში მოგანვდი და იმასაც მაშინ გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე. მართლა, ფრანგული ხომ არ იცი, შემთხვევით?

— ვიცი, სუფთად ვლაპარაკობ.

— ეს ძალიან კარგია... კარგი კი არა, გადასარევი, პირდაპირ. მაშ, ხვალამდე...

— კარგად, — ცალ ფეხზე შემოვბრუნდი და მისი კაბინეტი დავტოვე.

უკვე საღამო იყო. განყოფილებაში აღარავინ დამხვდა. მეც გამოკვეთე კარი და კიბეზე დავეშვი. როგორც კი ცენტრალურ

ქუჩაზე გავედი, ალენა შეენიშნე, ფეხით მიდიოდა. გავუსწორდი და მანქანა გავუჩერე. არ მოუხედავს, ვიდრე რამდენჯერმე არ დავუსიგნალე. დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემკენ წამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

— მანქანა რა უყავი? — გამიკვირდა, ფეხით რომ მიდიოდა.

— მამაჩემს ვათხოვე, დასავლეთში მიდიოდა და...

— სად მიდიხარ?

— თქვენთან ერთად თუ გინდ, ჯოჯოხეთშიც წამოვალ...

— მე ჯოჯოხეთში არ ვაპირებ წასვლას. თუკი ჩემი მგზავრი არ ხარ, შეგიძლია, ჩახვიდე,

— ფული გაქვს? — ვცადე, ირონია გამერია ნათქვამში.

— იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე თქვენ გგონიათ, — მიპასუხა და ნიშნის მოგებით შემომხედა.

— კარგი, მაშინ დამპატიე, — რატომღაც ამ ადამიანთან დაშორება არ მსურდა. ალენა რალაცით მიზიდავდა. რით — ამის გაცნობიერება ცოტათი მიჭირდა, — საით წავიდე?

— ერთი ძალიან საინტერესო ადგილი მეგულება. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, გეზი მცხეთისკენ ავიღოთ.

— კარგი, ვნახოთ ისტორიული ქალაქი, — დავეთანხმე და

— მე ჯოჯოხეთში არ ვაპირებ წასვლას. თუკი ჩემი მგზავრი არ ხარ, შეგიძლია, ჩახვიდე, — მკაცრად ვუთხარი და მანქანა შევაჩერე.

— მკაცრად ვუთხარი და მანქანა შევაჩერე.

— მაპატიეთ, თქვენი წყენინება არ მინდოდა.

— მეჩვენება, რომ ამ ბოლო დროს ხშირად გინევს ჩემთვის ბოდისის მოხდა და ხშირად მეუბნები გაცვეთილ ფრაზებს.

— მაინც, რომელი გითხარით გაცვეთილი?

— თქვენთან ერთად ჯოჯოხეთშიც წამოვალ... — გამოვაჯავრე და დავიჯღანე.

— გიხდებათ, — გულიანად გაიცინა ალენამ, — თუ ნებას მომცემთ, სადმე დაგპატიუებთ.


სიჩქარეს მოვუმატე, — მცხეთაში უნდა შევიდეთ?

— თქვენ იქ ნამყოფი არ იქნებით და შესაბამისად, არც გზა გეცოდინებათ.

— „ოო, სტანოვიტსა ინტერესნო“... ისე შორს ნუ წამიყვან, რომ ხვალ პარიზის თვითმფრინავზე დამავიანდეს.

— თქვენც პარიზში მიფრინავთ? — ალენას სახეზე გაცემა აღებუჭდა.

— „ც“ რას ნიშნავს? კიდევ ვინ მ იდის პარიზში? — ახლა მე გავოცდი და პასუხის მოლოდინში დავიძაბე.




თუ ძაღლის ადამიანურ ზომიერებს შევუქმნი, ისიც იხილავს მითებს.

14 „არასოდეს“

და

1 — „ყოველთვის“



• არასოდეს თქვა ქალის თანდასწრებით, რომ შეუცვლელი ქალი არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცებ მოგიძებნის შემცვლელს და არაფერს გეტყვის. მერე შენს თავს დააბრალებ...

• არასოდეს უთხრა ქალს, რომ კარგად გამოიყურება, როცა ტელეფონით საუბრობთ.

• არასოდეს მოატყუო წვრილმანების გამო. ძალები „მსხვილმანისთვის“ შემოინახე.

• არასოდეს გადაყარო უსარგებლო ნივთები. აჩუქე ქალს — დაე, მან გადაყაროს...

• არასოდეს შკითხო აზრი, რაიმის შესახებ. თავის აზრს ისედაც მოგახსენებს, თანაც არა — ერთხელ და არაერთგვაროვანს.

• არასოდეს მოუწყო სიურპრიზი. დაიმახსოვრე: ქალისთვის ყველაზე კარგი სიურპრიზი ის არის, რის შესახებაც ჯერ კიდევ 1 თვის წინ ესაუბრე და ყოველდღე უმეორებდი.

• არასოდეს აგრძნობინო, რომ ჭურჭლის გარეცხვა შეგიძლია.

• არასოდეს დაუძახო ქალს შენი საუკეთესო მეგობრის სახელი.

• არასოდეს გაგზავნო ლუდის საყიდლად.

• არასოდეს მოიყვანო ლოგიკური არგუმენტები, მისი თანდასწრებით. დაიმახსოვრე, რომ ასეთ დროს მის თვალში სრულ იდიოტს დაემსგავსები.

• არასოდეს უთხრა ქალს ორაზროვანი კომპლიმენტები. ის მას ისე გაიგებს, როგორც მისთვისაა ხელ-

საყრელი და არა ისე, როგორც შენ გსურს.

• არასოდეს დაგაფინყდეს, რომ ქალი და სიგარეტი ერთმანეთისგან 1 ნიუანსით განსხვავდებიან: სიგარეტს გადააგდებ და დაგაფინყდება, ქალი კი შესაძლოა, დაბრუნდეს.

• არასოდეს უთხრა

ქალს, რომ ყველაზე საუკეთესოა, ვინც კი ცხოვრებაში შეგხვედრია. იოლი შესაძლებელია, დაგიჯეროს.

• არასოდეს აუხსნა, რატომ გიყვარს. მაინც ვერ გაიგებს.

• ყოველთვის გახსოვდეს, რომ ქალი ბევრია, შენ კი — ერთი.

მოკლე ჩართვა

ჩემი მინუსი

• ჩემი დიდი მინუსი ის არის, რომ სულ იმის ცდაში ვარ, დედას ვასიამოვნო და ჩემი თავი გვერდზე მრჩება. დედას შვილისთვის კი კარგი უნდა, მაგრამ ამ გადამეტებული ყურადღებით ბევრს ვკარგავ. ლ.

• ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ის არის, რომ საშინლად ეჭვიანი, ინტრიგების მოყვარული და შესაშური ფანტაზიორი ვარ. იურიდიულზე კი არა, მწერალთა და მეზღაპრეთა ფაკულტეტზე უნდა ვსწავლობდე. :) ნუკა ქურდიანი

• საშინლად ჯიუტი ვარ... რქანი, ჯიუტი. ეს არის ჩემი ყველაზე დიდი მინუსი. ცრემლუკა.

• ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ის არის, რომ მარის ვუმესიჯებ, არ მიბეჭდავს და მაინც ვუმესიჯებ. მარ, მომხსენ 1 მინუსი. ეკალა.

• ჩემი მინუსია — ჩემი პლუსი. მაფიოზა.

• ჩემი ნაკლი და უარყოფითი თვისება ისაა, რომ ზედმეტად პირდაპირი ადამიანი ვარ. ამის გამო პრობლემები მექმნება, ადამიანებთან. :(ბუბუსიკა.

>>>32

უჩიოი ქორწილის ფოტოქრონიკა

1. ისევ აგვიანებს...
ნეტავ, ქორწინების შემდეგ
ცხოვრება არსებობს?



2. როგორც იქნა,
ღმერთო, მეგონა, გა-
დაიფიქრა...



3. „სიყვარული დაფრინავს,
სიყვარული არ დადის“...



5. ქალი ყველაზე მზუნ-
იერი მაშინაა, როცა მანქა-
ნას საბურავს უცვლის...



4. ძვირფასო, თუ გინ-
და, რომ ოჯახის უფროსი
შენ იყო, ყველაფერი ისე
გააკეთე, როგორც მე
გეტყვი... აბა, გადავიღოთ
სამახსოვრო ფოტო...

6. კეთილშობილი მამაკაცი გასაჭირში არ იბნევა და პრობლემის გადაჭრას ცოლს მიანდობს, რამეთუ მიიჩნევს, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორები არიან...



7. ქორწილამდე ფისოს მეძახდა... ახლა ვირი გაეზდი?



8. ძნელი გათხოვება კი არა, ცოლობა ყოფილა... ბრძენს უთქვამს, სოცარულიდან სიძულვილამდე 100 გრამიაო... გაიღვიძებს და ჭკუას ვასწავლო...



9. შესდექ, ლაჩარო, თორემ გესვრი!




10. ბედნიერ სიბერეზე ოცნებობდა, მაგრამ... ცოლი მოიყვანა...



11. ბოთლს ჯერ კიდევ ვხედავ, ქმარს — უკვე ვეღარ...

როგორ აღზარდოთ ბავშვი



1. როცა ბავშვთან თამაშს დაამთავრებ, საიდანაც „აიღე“, იქ დააბრუნე.

2. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბავშვებს დამალობანას თამაში უყვართ, უფროსები კი უდროობას უჩივიან და უარს ეუბნებიან. კარგი იქნება, თუ თამაშსა და საქმეს შეათავსებ და ბავშვს მივლინებაში „დაემალები“. ის მთელი კვირა შენს ძებნაში გაერთობა.

3. როგორ უნდა მოიქცე, თუ ბავშვი ხეზე აძვრა და აღარ ჩამოდის? არავითარ შემთხვევაში, ხე არ შეარხიო და ბავშვი ჯოხით არ ჩამოაგდო. დაანებე თავი, მომწიფდება და თვითონ ჩამოვარდება.

4. თუ სათქმელი არაფერი გაქვს, უთხარი, რომ წავიდეს და ხელ-პირი დაიბანოს.

5. თუ ბავშვს ასლოკინებს, ყურებზე ხელები აიფარე — ეს ასლოკინისგან დაგიცავს.

6. თუ ბავშვი დროდადრო ფულს გპარავს, ნუ დაუყვირებ. უმჯობესი იქნება, მის ოთახში მხიარული სახით ჩხრეკა ჩაატარო, ნივთმტკიცება ამოიღო და სალამოს მთელმა ოჯახმა „მოსამართლეობანა“

ან „დახვრეტობანა“ ითამაშოთ.

7. შვილს უკეთ რომ გაუგო, ისევე უნდა იფიქრო და იმოქმედო, როგორც ის ფიქრობს და მოქმედებს. ეცადე, თავი მის ადგილზე წარმოიდგინო: სიგარეტი ყველასგან მალულად მოსწიე ან შურდულით რამდენიმე ფანჯარა ჩაამტვრიე.

8. თუ ბავშვს შენი არ ესმის, ამას, შესაძლოა, რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს: მას ცუდად ესმის, შენ ჩუმად ლაპარაკობ, მას არ ესმის, რას ეუბნები, შენ თვითონ არ გესმის, რას ეუბნები და ა.შ. საბედნიეროდ, გამოსავალი არსებობს: საჯდომზე მოარტყი, მოარტყი და კიდევ ერთხელ მოარტყი...

9. ბავშვი არასრულფასოვნების კომპლექსისგან რომ გათავისუფლდეს, არასოდეს აგრძნობინო შენი გონებრივი უპირატესობა. სერიოზულ თემაზე საუბრის დროს ცხვირში თითი შეიყავი და თვალები დააეღმე.

10. თუ ბავშვი გაუჩერებლად ტირის, შეწყვიტე მისი ცემა და აუცილებლად დამშვიდდება.

11. ბავშვი ვერასოდეს მიაგნებს მურაბის ქილას, თუ კარადას ჩაკეტავ, ხოლო გასაღებს სასაპნეში ჩადებ.

12. თუ შვილმა ჩიხში მოგაქცია, კუთხეში დააყენე.

13. თუ ბავშვს საძაგელი ხელწერა აქვს, ექიმობისთვის შეამზადე.

14. თუ გინდა, რომ ბავშვმა ყველაფერი გაიგოს, რასაც ამბობ, სხვას ხმადაბლა ელაპარაკე.

15. თუ ბავშვი ხშირად იბუტება და ტუჩებს ბერავს, ტრომბონი უყიდე.

16. არსებობს უტყუარი ხერხი საიმისოდ, რომ ბავშვმა სკოლიდან მაღალი ნიშნები მოიტანოს: მოიხსენი ქამარი და გაამათრახე... მასწავლებელი.

17. თუ ბავშვი ველოსიპედის ყიდვას გთხოვს, უარს ნუ ეტყვი. თვალსა და ხელს შუა გაიზრდება და ველოსიპედი შენ დაგრჩება.

18. თუ შენიშნე, რომ ბავშვი სიგარეტს ეწევა, მის გატყუებას ნუ იჩქარებ. ჰკითხე, რამდენი წლისაა. იქნებ უკვე 30-ს გადააბიჯა?!

ეს გახლავს ძალზე იოლი ტესტი, რომლის საშუალებითაც შეგიძლია დაადგინო, შენი გონება „ჰუმანიტარულადაა“ მოწყობილი თუ „ტექნიურად“. ჯარგად დააკვირდი მოცემულ სურათს და პირველი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, დასკვნა გააკეთე – რა აღიქვა შენმა გონებამ, ციფრები თუ ასოები?

12
ABC
14

1. თუ ვერტიკალურად ციფრები – 12, 13, 14 წაიკითხე, მაშინ ტექნიურად აზროვნებ. ციფრების სამყარო შენთვის ძალზე ახლობელი და გასაგებია. გულთია, კონტაქტური ადამიანი, სასიამოვნო მოსაუბრე და საიმედო მეგობარი ხარ. პროგრამისტის სპეციალობისა და ზუსტი მეცნიერებების დასაუფლებლად საუკეთესო მონაცემები გაქვს.

2. თუ ჰორიზონტალურად „აბც“ წაიკითხე, „ჰუმანიტარული“ ტვინი გაქვს და ასოებსა და სი-

ტყვეს გაცილებით უკეთ აღიქვამ, ვიდრე ციფრებს. ჯარგად გამოკვეთილი ლინგვისტური შესაძლებლობები გაქვს. თავშეკავებული, პრაქტიკული ადამიანი ხარ და ღრმად აზროვნებ. დროს უქმად არასოდეს ჯარგავ და არც ლაყბობა გიყვარს.

3. თუ ციფრები და ასოები ერთნაირად აღიქვი, შენთვის ნებისმიერი სფერო ხელმისაწვდომია. ტექნიურ სფეროს აირჩევ თუ ჰუმანიტარულს – ეს შენი გადასაწყვეტია.

ბსოფლიოს ყველაზე სასურველი სასიძოვები

ჟურნალმა „ფორბსმა“ ყველაზე მდიდარი და სასურველი სასიძოვების
სია გამოაქვეყნა. მასში 11 მამაკაცია შესული.




რუსტამ ტარიკო

ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სასიძოდ
რუსეთის მოქალაქე, „რუსკი რაზმერის“ დამ-
აარსებელი, 46 წლის რუსტამ ტარიკოა
დასახელებული. ის პირველ ადგილს 55 წლის,
სუპერმარკეტების მაგნატთან, რონ ბერკლისთან
ინაწილებს. ორივე სასიძოს „მზითევი“ 3,5
მილიარდ დოლარს შეადგენს.

თუმცა, ტარიკოსაც და ბერკლისაც უცო-
ლოებად მხოლოდ პირობითად თუ მივიჩნევთ.
რუსი მილიარდერი უკვე დიდი ხანია, საზოგა-
დოებაში ერთსა და იმავე ქალთან ერთად
ჩნდება, ხოლო ბატონი ბერკლი ცოტა ხნის
წინ საზოგადოებას პოლივეუდელ ლამაზმანთან,
ქეთ შადსონთან ერთად წარუდგა. ამასთან,
ორივე „სასიძოს“ 3-3 შვილი ჰყავს.


ყველაზე მდიდარი სასიძოვების ათეულში
კიდევ ერთი რუსი მილიარდერი, Mirax
group-ის 35 წლის პრეზიდენტი, სერგეი პო-
ლონსკი შევიდა. „ფორბსმა“ მისი ქონება
1,2 მილიარდ დოლარად შეაფასა. ჟურნალის
მონაცემებით, პოლონსკი მარტონელაა და 2
შვილი ჰყავს.




სერგეი პოლონსკი

ყოფილი ცოლები და შვილები არ ჰყ-
ავს 40 წლის პიტერ ტიელს. 1998 წელს
მან დააარსა საგადასახადო სისტემა Paypal,
რომელიც მოგვიანებით 1,5 მილიარდ დოლ-
არად გაყიდა. ახლა პიტერი 1,2 მილიარდი
დოლარის მფლობელია.

სასურველ სასიძოვებს შო-
რის სრულიად ახალგაზრდა
მამაკაცებიც აღმოჩნდნენ.
მაგალითად, პრინცი ალბერტ
ფონ ტურნ უნდ ტაქსისი
სულ რაღაც 24 წლისაა.
ის მილიარდერად 18 წლის
ასაკში იქცა, როცა ოჯახ-
ური მემკვიდრეობის მფლო-
ბელი გახდა. მის გან-
კარგულებაში ამჟამად 2,3
მილიარდი დოლარია.



პრინცი
ალბერტ ფონ
ტურნ უნდ
ტაქსისი




მარკ ცუკერბერგი

ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი სასიძო 23 წლის მარკ ცუკერბერგია, რომელსაც 1,5 მილიარდი დოლარი აქვს. მან ცნობილი სოციალური ქსელი Facebook-ს მარვარდში სწავლის დროს დააფუძნა. Facebook-ს ახლა 70 მილიონი აქტიური მომხმარებელი ჰყავს და მისი ფასი გამუდმებით იზრდება.




რომან აბრამოვიჩი

რომან აბრამოვიჩი 2007 წლიდან ფორმალურად უცოლოდ მიიჩნევა, მაგრამ სასურველი სასიძოების ათეულში რატომღაც ვერ მოხვდა. შესაძლოა, ამის მიზეზი მოდელი დარია ყუკოვაა, რომელთან ერთადაც აბრამოვიჩი საზოგადოებაში ჩნდება.



დარია ყუკოვა

„ფორბსმა“ ამ სიაში საერთოდ არ ჩართო მონაკოს პრინცი ალბერი. ამის მიზეზი კი სავარაუდოდ, ის გახლავთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აცხადებენ — პრინცი ზაფხულში ოლიმპიურ ჩემპიონზე, შარლენ ვიტსტოკზე ქორწინდებაო.



შარლენ ვიტსტოკი და პრინცი ალბერი



ჰარი და ჩელსი დეივი

სასურველი სასიძოვების სიაში ვერ შევიდნენ ბრიტანეთის პრინცები, უილიამი და ჰარი.

ბრიტანული პრესა მათი ქორწილის პროგნოზირებას ცდილობს. ერთნაირ ამტკიცებენ, რომ პირველად, უმცროსი პრინცი, ჰარი დაქორწინდება, მეორენაირ კი ამბობენ, რომ უილიამი დაასწრებს.



უილიამი და ქეით მიდლტონი

ექსპერტები ორივე პრინცს ქორწინებას ამ წელს უწინასწარმეტყველებენ. უფროს ძმაზე ლაპარაკისას, არგუმენტად ჯერ მისსავე მეგობარ გოგონასთან — ქეით მიდლტონთან სტაბილური ურთიერთობა მოჰყავთ; შემდეგ კი — განაწყენებული დედოფალი, რომელიც მიიჩნევს, რომ 5-წლიანი „თაიგულ-კანფეტოვანი“ ურთიერთობა მეფის ოჯახის წევრს არ შეეფერება. უმცროსი ძმის, ჰარის მეგობარ გოგონასთან ურთიერთობის „სტაჟი“ უკვე 4 წელს ითვლის, მაგრამ სასიძოდ ის სულ ცოტა ხნის წინ იქცა.

საუბარი სასტუმროში

ან. აპრილის დასაწყისში ჰარი, მეგობარ გოგონასთან, ჩელსი დეივთან ერთად კეიპტაუნში გაემგზავრა. ამ სამხრეთაფრიკულ ქალაქში ჩელსის მშობლებს (სხვათა შორის, ძალიან მდიდარ ოჯახს) თავისი სახლი აქვს. პრინცსა და სასიმამროს შორის საუბარი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს რესტორანში შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ვახშამს მხოლოდ ჩელსის მშობლები და შეყვარებული წყვილი ესწრებოდნენ, ინფორმაციამ — რომ იმ საღამოს პრინცმა ჩელსის

მამას ქალიშვილის ხელი სთხოვა — მაინც გაჟონა. პრესაში იმის შესახებაც წერდნენ, რომ მან თანხმობა მიიღო.

ჰარის მეგობრები მიიჩნევენ, რომ წყვილის ურთიერთობაში დიდი როლი მისმა ავღანეთში გამგზავრებამ ითამაშა. მეგობრებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ იმ 3 თვის მანძილზე, რაც პრინცი საომარი მოქმედებების ზონაში იმყოფებოდა, ჩელსი ძალიან ენატრებოდა, გამუდმებით მასზე ლაპარაკობდა და „ცოლუკას“ ეპითეტით მოიხსენიებდა.

ამასობაში, მარტოვლობას ელისაბედ II-ის უფროსი შვილიშვილი, პიტერ ფილიპსი გამოეთხოვა. 17 მაისს, პრინცესა ანას 30 წლის ვაჟმა ჯვარი კანადელ ოტემ კელიზე დაინერა.



ქიკიშნაწმ ძამაყაცემო, დაშმუნდია საქამოიჯეოთში! აჟ ხომ დედები, ცოლები და ჭაღოში წაცვიხალოშის სხვა დაძიანები ველოან!

გაუმანქოს შავნე ჩვეუბისგან გათავისუფლების დღეს!

ადამიანი ყოველთვის ვინმეზე ან რამეზეა დამოკიდებული — შვილებზე, მეზობელზე, ამინდსა და განწყობილებაზე, დოლარის კურსსა და მოდაზე, საზოგადოებასა და საკუთარ სინდისზე...



ბრაში ტარხანი

არსებობს მავნე და კარგი ჩვევები. მათი შედარების დროს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მავნე ჩვევა ზღვარს გადასული კარგი ჩვევაა. მაგალითად: გულუხვობა კარგია, მაგრამ მფლანგველობა უკვე მავნე ჩვევაა. მომჭირნეობა კარგია, ხოლო სიძუნწე — მავნე; ჭამა — კარგია, ძლომა — მავნე... უბრალო აზრი, რომ ზომიერების გრძნობის დაკარგვა ყოველგვარ კარგ ჩვევას მავნედ აქცევს, ნებისმიერი სიტუაციისთვის მისაღებია. მაგალითად, ფეხით სიარული ძალიან კარგია, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში აქეთ-იქით უსაქმოდ, უმიზნოდ ხეტიალი უკვე მავნე ჩვევაა, რომელიც თანდათანობით ნევროზში გადაიზრდება. ფსიქოლოგები ასეთ თავს მოხვეულ და უკონტროლო ქმედებებს „ფსიქიკურ ავტომატიზმს“ უწოდებენ. სწორედ ეს თავისებურება განასხვავებს მავნე ჩვევას მიზანმიმართული ქმედებისგან. მაგალითად, ვერ ამჩნევ, საუბრისას მაგიდაზე ფრჩხილებით როგორ აკაკუნებ, ფეხს აქანავებ ან ეწევი...

შესაძლებელია, მავნე ჩვევები 3 კატეგორიად დავყოთ.

1. ფსიქიკური ავტომატიზმი — რაც მოქმედებების შეუცნობლად გამეორება გახლავს, რომლის მიზანიც ნერვების დამშვიდებაა. მსგავსი ქმედებები თანდათანობით სხვებისთვის გამაღიზიანებელ ჩვევად გადაიქცევა ხოლმე.

მათთან ბრძოლის ერთ-ერთი საიმედო მეთოდი ის არის, რომ გაუცნობიერე-

ბელი ქმედებები გააზრებულ ქმედებად აქციო.

2. მანია — მისი საწყისი კომფორტისკენ, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისკენ სწრაფვაში უნდა ვეძიოთ: ადამიანი მზადაა, ამ ყველაფერს ნებისმიერი, სასურველია — სწრაფი და ხელმისაწვდომი გზით მიაღწიოს. თუკი სიტბო და მზრუნველობა გაკლია, დანაკლისის შესავსებად, ახლობელ ადამიანთან კი არ მიდიხარ, არამედ გაცილებით იოლ გზას პოულობ — ახალ ტანისამოსს ყიდულობ. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამაზეა გათვლილი სარეკლამო სლოგანთა უმეტესობა, როცა რაიმის შექმნას და ამით საკუთარი თავისთვის ბედნიერების მინიჭებას გთავაზობს.


3. დამოკიდებულება — პათოლოგიურად დამოკიდებულ ადამიანებს შორის პირველ ადგილზე მწვევლები არიან; მათ ალკოჰოლიკები და ნარკომანები მოჰყვებიან. თუმცა, მათ დიდად არ ჩამორჩებიან

ისინი, ვინც საძილე საშუალებების გარეშე ვერ იძინებენ და დილა ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ.

დოპინგისა და რელაქსანტიკების მიმართ ასეთი მიდრეკილება მავნე ჩვევად მანამ მიიჩნევა, ვიდრე დამოკიდებულება მხოლოდ ფსიქიკურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, თუ კოფეინის დილის დოზის გარეშე თავს მოთენთილად გრძნობ, ეს უკვე არა — ფსიქიკური, არამედ ფიზიკური დამოკიდებულებაა.

XXI საუკუნემ სამი, არცთუ სასარგებლო ჩვევა მოიტანა. მათ რიგში არც „შოპომანია“ შედის და არც — ბულიმია (ისინი გაცილებით ადრეული პერიოდიდან იღებენ სათავეს). ეს გახლავთ სოციალურ-ფსიქოლოგიური, დროისა და ცხოვრების პირობების მიერ ნაკარნახევი ჩვევები, რომლებიც ადამიანს შეუმჩნევლად იმონებენ და ხელ-ფეხს უკრავენ.

1. პროგრესის შედეგზე



დამოკიდებულება — რაც ტელეფონზე მრავალსაათიანი საუბრით, მულტიმედიაური თამაშებით, ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით გართობით (სოტოპოლიზმი) გამოიხატება. მობილური ტელეფონი ისეთი შეუცვლელი გახდა, რომ მისი სიყვარული ხშირად პარანოიაშიც კი გადაიზრდება ხოლმე. „სოტოპოლიკი“ მანიაკურად აწკა-

ულეა — მათ ისე დაიპყრეს სამყარო, რომ ახალი ამბების, ყვითელი პრესის, ჰოროსკოპისა და ამინდის პროგნოზის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ. სწორედ მასობრივი ინფორმაციის დამსახურებაა სიტყვის — „გლამური“ — წარმოშობა. თუმცა, ცოტას თუ შეუძლია მისი მნიშვნელობის განმარტება. ეს სიტყვა უამრავ ასოციაციას იწვევს: ფუფუნება,

იოლად მოპოვებას მივეჩვიეთ. იქნებ გავზარმაცდით? მთავარი ისაა, რომ ახლა სუპერმარკეტზე, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და საერთაშორისო ჰოლდინგებზე ვართ დამოკიდებული.

მოიშორე მავნე ჩვევა თუ არა, ეს შენს სურვილზეა დამოკიდებული. თავისუფლად შეგიძლია, შინ იჯდე, ფრჩხილები იკვნით, მესამე ფინჯანი ყავა მიირთვა და ამავედროულად, სინათლის სიჩქარით კრიბო მესიჯები... ვერავინ განგსჯის: თავისუფალი ადამიანი ხარ და თავისუფალ დროს რაზეც გინდა, იმაზე დახარჯავ. მაგრამ თუკი სურვილი გაქვს, მავნე ჩვევებს თავი დააღწიო, მაშინ რამდენიმე რჩევას მოგცემ.

1. ლოგიკური დასაწყისი — დიაგნოზის დასმა და დაავადების მიზეზის გარკვევა. ჩვენ, ფსიქოლოგები მივიჩნევთ, რომ ყველა მავნე ჩვევა ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის უკმარისობითაა გამოწვეული. მაგალითად, ბავშვური ჩვევა — ჯდომის დროს ქანაობა, თმის თითზე დახვევა ან თითებზე კბენა დედასთან ურთიერთობის იმიტაციაა. მოზრდილები ამ ჩვევებს მაშინ ავლენენ, როდესაც თავს დაუცველად გრძნობენ. ამ დროს საყვარელი ადამიანისთვის ხელის ჩაჭიდება კარგი გამოსავალია.

2. ოჯახის წევრებს ან კოლეგებს სთხოვე, თვალი ადევნონ შენს გაუცნობიერებელ ქმედებებს. შეიძინე ბლოკნოტი, სადაც აღნიშნავ, რამდენჯერ მიხვედი მაცივართან ან რამდენი ღერი სიგარეტი მოსწიე. მიუთითე დრო და მოტივი. ჩანაწერების ანალიზი საშუალებას მოგცემს, გაარკვიო, რის კომპენსირებას ცდილობ მავნე ჩვევის საშუალებით.

3. მავნე ჩვევის ტრადიციული ალტერნატივა საყვარელი საქმის კეთებაა, იქნება ეს სეირნობა, ცეკვა თუ ხატვა... ეს ის ჩვევებია, რომლებიც ცხოვრების წარმართვაში, გასაჭირის დაძლევაში გეხმარება და სიხარულს განიჭებს.

ახლა კი თქვენს შეკითხვებზე გავცემ პასუხს.



პუნებს ტელეფონის კლავიატურას და საოცარი სისწრაფით კრებს მესიჯს: „როგორ ხარ?“, მოუთმენლად ელის პასუხს და ერთი საათიც არ შეუძლია გაძლოს საყვარელი აპარატის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას ინტერნეტზე დამოკიდებულ ადამიანებზე. ზოგადად, მომხმარებელს ინტერნეტი კონკრეტული საქმისთვის სჭირდება: ფოსტას შეამოწმებს, საპასუხო წერილს მისწერს, საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავს და ა.შ. ზოგიერთისთვის კი ინტერნეტი „განუყრელია“ და თუ კომპიუტერთან არ ზის, შესაძლოა, „ლომკაც“ კი დაეწიოს. ამ კატეგორიის ადამიანები ახალ ამბებს ქსელში კითხულობენ, სხვადასხვა ფორუმზე ჩნდებიან, მეგობრებთან მხოლოდ ინტერნეტით ურთიერთობენ და მეორე ნახევრებსაც იქ ეძებენ.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დამოკიდებ-

ყურებას, რომ ორგანიზმი ნარკოტიკით ითხოვს გაზეთისა თუ ჟურნალის წაკითხვას.

3. **კონსუმერიზმი** — მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ უზომო ლტოლვა. პრაქტიკულად, ეს ლტოლვა წინა ორ პუნქტსაც აერთიანებს, რადგან მას საფუძვლად ეკონომიკური და მორალური მოთხოვნილება უდევს. ჩვენ არასოდეს წავალთ ბიბლიოთეკაში სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუ ვიცით, რომ ამ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით მოვიპოვებთ; არ გავემგზავრებით სასურველი კოსტიუმის შესაძენად სხვა ქვეყანაში, თუ მისი გამონერა და ფოსტით გამოგზავნა შესაძლებელია და თავში აზრადაც არ მოგვივა სანადიროდ წასვლა, როცა ხორცი მოგვინდება — სუპერმარკეტში ვიყიდით. ამ ყველაფრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასურველის

?

— გამარჯობა, გრაფო, ძალიან მომწონს ერთი ბიჭი, მაგრამ ის მაგრძნობინებს, რომ ჩვენ შორის სიყვარული შეუძლებელია. ახლა მასთან მეგობრობა მინდა. ვიცი, რომ რაღაც პრობლემა აქვს და დახმარების სურვილი მაქვს. ცოტა ხნის წინ შეყვარებულმა მიატოვა, ის უკან დასდევს და ცდილობს, შემოირიგოს. ის კი ამცირებს და მაგრად დასცინის. კარგად ვიცნობ იმ გოგოს და ვიცი, რომ არასოდეს დაუბრუნდება. ამ გოგოს გამო ბიჭს ძმაკაცებიც კი გაუდგნენ, ის კი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. მისი ტანჯვის ყურება აღარ შემიძლია. მირჩიეთ, როგორ დავეხმარო? ნანაკო.

— გამარჯობა, ნანაკო. იმისათვის, რომ ადამიანს დაეხმარო, 3 პირობა უნდა დავიცვა: 1. თვითონ მან უნდა გთხოვოს ამის შესახებ; 2. თავად გქონდეს იმის საშუალება, რომ დაეხმარო და 3. ამის სურვილი გქონდეს.

თუ ამ 3 პირობიდან 1 მაინც არ სრულდება, მაშინ დახმარების შეთავაზებას აზრი არ აქვს. შენი შეკითხვიდან ჩანს, რომ მხოლოდ მესამე პირობა არსებობს და ამის გამო შენს მცდელობას შედეგი არ მოჰყვება. პირველ რიგში, უნდა გაითავისო, რომ ის თავს ცუდად არ გრძნობს. როცა ამას დაიჯერებ, ეცადე, მასაც შთააგონო. ყველა მის ნამოწყებას მხარი დაუჭირე და აგრძნობინე, რომ როგორც მეგობარი, ისე გიყვარს და მის ყველაზე აბსურდულ ნაბიჯსაც კი ემხრობი.

?

— გრაფო, მე 22 წლის ვარ და 2 უმცროსი ძმა მყავს, 18 და 16 წლის. არ მომწონს მათი საქციელი. დილით საწოლს არ ალაგებენ, ტანსამოსს აქეთ-იქით ყრიან. ვინაიდან დედა მუშაობს, სახლის დალაგება მე მიწევს. მათი ფეთხუმობა ყელში ამომივიდა. რადგან წყნარად ვერაფერი გავაგებინე, ახლა სკანდალების მოწყობა და ვინცე, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. ვერც ერთს ვერ გავაგებინე, რომ ჰიგიენა და წესრიგი აუცილებელია.

— ჩემი რჩევა იქნება, ნუ უყვირებთ ბიჭებს, ჩუმად და წყნარად, ღიმილით მიიყვანეთ ისინი მათ მიერ დაყრილ ნივთებთან და აგრძნობინეთ, რომ შედის-

ართ მათ მდგომარეობაში და იცით, რომ დალაგება ეზარებათ, მაგრამ შეაგნებინეთ, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. არ არის გამორიცხული, მათ ამის გამო პროტესტი გამოხატონ, მაგრამ ამასაც მშვიდად შეხვდით. თქვენი ტაქტიანი, მშვიდი ქცევა და მოთმინება შედეგს გამოიღებს.

?

— გრაფო, ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება, რადგან ცხოვრებაში მძიმე, ფსიქოლოგიური პერიოდი მიდგას. ჩემი პრობლემების შესახებ არავინ იცის და ამის გამო, დახმარებასაც ვერავინ გამოწვევს. გულჩათხრობილი ადამიანი ვარ და ყველა პრობლემას გულში ვიხვევ. 18 წლის ვარ და არც ერთი მეგობარი არ მყავს, არც შეყვარებული მყოლია ოდესმე. ძალიან მოსიყვარულე მშობლები მყავს და დედასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ 18 წლის გოგოს მხოლოდ დედასთან

ხომ არ მექნება ურთიერთობა? ძალიან მჭირს, რადგან მეგობარი არ მყავს და შესაბამისად, არც სასეირნოდ წასვლა შემიძლია. მთელი დღეების განმავლობაში 4 კედელს შუა, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან ვზივარ. არც ჩემი ასაკის ბიჭების გაცნობის საშუალება მაქვს. ბევრი აღნიშნავს, რომ ლამაზი და ტანადი ვარ. ინტელექტიც არ მაკლია. ჩემი პრობლემა ის არის, რომ მორცხვი ვარ, და ჩემ გვერდით ყველა მოიწყენს ხოლმე. თავს მარტოსულად ვგრძნობ, თანაც, 18 წლის ასაკში მეც მინდა, მიყვარდეს და ვუყვარდე. მეზიზღება ჩემი ცხოვრება. სულის სიღრმეში მომწონს მხიარული კომპანიები და ლამის კლუბები; მინდა, დაბადების დღეები სმაურთანად აღვნიშნო.

— 18 წელი ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანი ფსიქოლოგიურად მზადაა, ცხოვრების საკუთარი გზა აირჩიოს და სიყვარული ეწვიოს. ამავე ასაკში ჩნდება შიში, რომ ინდივიდუალობის განცდა არ დაიკარგოს. თუ ამ დროს შიში დაგეუფლება და ამ ფობიას შენზე მბრძანებლობის უფლებას მისცემ, დაგიმორჩილებს და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს. ვინაიდან საკუთარ პრობლემაში კარგად ერკვევი, დროა, მას თავი დააღწიო. გაიჩინე მეგობრები და ისევე იცხოვრე, როგორც შენი თანატოლების უმეტესობა ცხოვრობს.

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ეს-ემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა graf გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.



მობილური მედიკინა

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ჩემო მარი, გთხოვთ, დამეხმაროთ, ვეძებ ქალს, რომელსაც ირინა ჰქვია. გვარი არ მახსოვს, რალაც ბერძნული გვარი ჰქონდა. 1980 წლის 28 აპრილს ბიჭი შეეძინა. მაშინ ის 20 წლის იყო. სოფლიდან ჩამოსულ გოგოს მშობლების შეეშინდა და ბავშვი თვე-ნახევრის მერე გააშვილა. მივმართავ ირინას: გამომეხმაურეთ, თქვენი შვილი წარმატებული კაცია, წესიერი და მშრომელი. ეძებს დედას. კიდევ ერთხელ გთხოვთ, გამომეხმაუროთ, მარტო მე დავრჩი ცოცხალი, ვინც თქვენი პატარა გაზარდა. პატივისცემით, მარინა, 48 წლის.



1. ვარ 32 წლის, დაბალი, მსუქანი, ნითურთმიანი, გაუნათლებელი ქალი. ვცხოვრობ დიდ სოფელში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, ქალაქელ ყმაწვილს, 36 წლამდე.

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 48 წლამდე ქვრივ მამაკაცს. ვარ ქუთაისელი, 42 წლის, განქორწინებული ქალბატონი. ვისაც ოჯახური სიტბო ენატრება, გამომეხმაუროს. ირინკა.

3. ვარ 33 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, უმაღლესი განათლებით, სუფთა წარსულის მქონე. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ქალაქელ, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს.

პირველი



4. დამაკავშირეთ „გზა“ №20, მე-10 მესიჯის ავტორს. გმადლობთ.

5. ქვრივ კაცს გული ძლიერ მიმიძიმს და არც მწყალობს ბედი; იქნებ წვიმამ ჩამომრეცხოს და აცეკვდეს ტბაზედ გედი.

6. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით დამიმესიჯეთ პატიოსანმა, წყნარმა გოგონებმა, ვისაც სოფელი უყვარს. ვარ 38 წლის. დანარჩენი — პირადად. გასართობად არ მცალია. იმერეთი.

7. გავიცნობ 25-35 წლის მანდილოსანს, გაუთხოვარს და ქალწულს, ოჯახის შესაქმნელად. თბილისელს შეუძლია, დამიმესიჯოს.

8. თბილისში დასაქმებული, სიმპათიური, ერუდირებული მამაკაცი დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, 38 წლამდე.

9. გავიცნობ 23-27 წლის, სერიოზულ, პატიოსან და ლამაზ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

10. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, უშვილოს. ვარ 184/78/38, წესიერი, დასაქმებული მამაკაცი. იმედია, შემეხმიანებით.

შედეგი




11. გამარჯობა. მარ, წარსულიდან ამბავს მოგიყვები. გთხოვ, დამიბეჭდე და ჩემს სევდიან ცხოვრებას სიხალისე შემატე. ვეცდები, მოკლედ გამოვცე, იქნებ შენი მეშვეობით ის ადამიანები მოვიკითხო, რომლებიც 21 წლის წინ გავიცანი და ეს ნაცნობობა მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა. მაშინ 12-13 წლისები ვიყავით. 1987-ში, სკოლიდან მთელი სასწავლო წლით პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში წავედი. „კუკუშკაში“ რომ ჩავჯექი, ფრთები შემეხსნა

სიხარულით. თავი ზღაპარში მეგონა, ისეთ სილამაზეში აღმოვჩნდი. ადგილზე რომ ჩავედი, ყველაფერი მწვანეში იყო ჩაფლული. ის ლამაზი შენობაც, რომელშიც უნდა მეცხოვრა და მესწავლა, მაგრამ ჩემი სიხარული ცრემლით შეიცვალა, გული ამომიჯდა, დედა რომ წავიდა და უცხო გარემოში, ჩემთვის უცნობ მოსწავლე-მასწავლებლებთან მარტო აღმოვჩნდი. მამშვიდებდნენ თბილი სიტყვებით, მეუბნებოდნენ, რომ იქაურობას მალე შევეჩვეოდი. დღემდე კარგად მახსოვს მერაბი მასწავლებლის ჩემდამი გამოვლენილი ყურადღება. ხშირად მახსენებდა, რომ ჩემნაირი ლამაზი გოგო თურმე სანატორიუმს არ ჰყოლია. ძალიან მალე გავიჩინე მეგობრები და ისე შევეჩვიე და გავითავისე იქაურობა, რომ აზრზეც ვერ მოვედი: ანა, ნინო, ლილი, ცირა, კირვალიძე, პირველი... სამწუხაროდ, ზოგის გვარსახელები არ მახსოვს. ესენიც სურათებზე მაქვს, მიწერილი. მერაბ მასწავლებელი, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელსაც უფროს მეგობრად უფრო მივიჩნევდი. მაისის ბოლომდე მათ გვერდით გავატარე და ყოველი დღე ლამაზი და სასიამოვნო იყო. სასწავლო წლის ბოლოს კი ერთმანეთს დავეშვიდობეთ. იქ, იმ წელს დამთავრდა ის ნაცნობობა და მხოლოდ საუკეთესო მოგონებად დამრჩა სურათები, რომელსაც 21 წლის განმავლობაში სათუთად ვინახავ. მარ, თავს აღარ შეგანწყენ, დავამთავრებ იმით, რომ აქ ჩამოთვლილთაგან თუ რომელიმე წაიკითხავს ჩემს წერილს და ვეცნობი, გაახსენდება 1986-87 წლები და პატარა ცემი. „გზის“ მეშვეობით ერთი მათგანიც რომ

გამომეხმაროს, უზომოდ გავიხარებ. დიდი მოკითხვა ბორჯომელ მერაბ კვარაცხელიას. მერაბი მასწავლებლის, გამიხსენე, გთხოვ. მარ, რაიმე სათაური მიუთითე, რაა, თორემ მე უკვე დავიბენი. ეკა-33.

12. ვეძებ პატა დარახველიძეს, ამბროლაურიდან. 22 წლის უნახავ ძმაკაცს. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ნომერი. კობა.

აბორიგენი



• პრივეტები ათენელებს! ნინა (ბებე) მათურელს. ეჰ, რა ცუდია ეს მარტოობა, შენმა მესიჯმაც მე მიმატოვა, სად დამეკარგე, ნეტავ სადა ხარ? მე გელოდები, შენ კი არ ჩანხარ. ჯანდაბა.

• ერთადერთი გრუზინკა ვარ. კლუბში რიგით წევრად დაგპატიყე, რადგან დაწერე, რომ კახეთიდან ხარ. ისე, ჩვენს კლუბში თანასწორობაა. უფროსობა არ გვიზიდავს. გრუზინკა.

• გრუზინკა, მეც ძალიან მიყვარხარ. ენჯი, სად ხარ? გამოჩნდი! სურამი უმაგრესია! სურამო, მიყვარხარ! მოვიკითხავ ჩემს დედას. დე, ძან მიყვარხარ! ბიცო, შენც. ლუნა.

• ათენი-23, მაგარი ხარ. უდიდესი სულის ადამიანი ხარ. მოგიკითხავ. ასევე მოვიკითხავ ლეო-91-ს, გრუზინკას, გერასიმეს. ყველანი მაგრები ხართ. ჯეინი.

• მეზობლის ყველაზე ლამაზო გოგოვ, შეგიძლია, წაკითხვის მერევე მესტუმრო. შენ შენი სილამაზე „დამიმტკიცე“ და მე ჩემს ვაჟკაცობას დაგიმტკიცებ. განძის მაძიებელი.

• ნიკო, სიყვარულო, მძულხარ! იცი რატომაც, მაგრამ სიგიჟემდე მიყვარხარ. მენატრები იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე. შენ მპირდებოდი, რომ არასდროს მიმატოვებდი, რომ ყოველთვის ჩემთან იქნებოდი, მაგრამ....

• ვარდენ, დაიკო, დიდი დიდი მადლობა თანადგომისთვის, გაიხარე, ჯიგარი ხარ. საერთოდ, კრიტიკა ჩემი სტილი არაა, მაგრამ გულმა არ მომიტმინა. აპოლონი.

• არ მაგონდება, რომ ცხოვრებაში ვინმეს ედარდოს ჩემს წამებულ ცხოვრებაზე. ერთადერთი შენგან ვიგრძენი ეს, გიო. მადლობელი ვარ, შენი უკეთილშობილესი გულის.

• არჩევნებო, არჩევნებო და მართლა არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი, იცი? ჩემო დათუნია, ხვდებიი? შენ აგირჩია გულმა და სულმა, ჩემო ბაჯბაჯა დათუნიავ.

• ჯეჯე, ლაგოდების

აბორიგენი მგზავნელები



ჩურჩხელა რომ ახსენე, გიყვარს ლაგოდები? სიმართლე თქვი.

• ვინც არ უნდა იყო, გამოთქმები შეარჩიე! განძის მაძიებელი ჩემი ძმია და არავის მივცემ უფლებას, მასზე ცუდი თქვას. იქნებ, სალმის ღირსი არ იყავი? გრუზინკა.

• მე, ლიმონამ და მის დუჩიმ გადავწყვიტეთ, შევექმნათ შვიდკაციანი უიური და გამოვავლინოთ ყოველი თვის საუკეთესო მგზავნი და მივანიჭოთ მორბენალი კუს სიგელი და საზეიმო ვითარებაში დავაჯილდოოთ. :-)) აბა, ვინ შემოგვიერთდება? აპოლონი.

• იცი, გელოდი, იცი? განატრობდი, შენს განშორებას ძლიერ ვდარდობდი, შენს გამოჩენას ჩემად ვნატრობდი და შენ კი ამ დროს ნეტავ, გახსოვდი? დათუნია, მენატრები. შენ?

• მაესტრო, იმ დღეს გადავრჩი. :) მთელი წლის სამყოფი ნაყინი ერთად შევჭამეთ. :) კარგი ადამიანი ხარ, გაიხარე! ლიმონ, შენც ძალიან საკალელი ხარ. აუ, მის რეალის ნომერი მინდაა! ბუბუსიკა.

• განძის მაძიებელი, შენი მეზობელი გოგოს მესიჯი რეიტინგს დაგიგდებს. ამპარტავანი და მხდალი გამოგიყვანა. ჭკუას ვერ ასწავლი? ბოდში მოახდევინე, „ბზის“ მეშვეობით.

• მეგრელო ლიკა, კანიბალკა, მეგრელო მელო და ყველა მეგრელებს გეხუტუნეთ გულში. ყველა მიყვარხართ, მაგრამ მეგრელები განსაკუთრებით, რადგანაც მეც მე-



სესი და ლორელაი

გრელი ვარ. მპუა.

• რატომ ვარ ასეთი მონყენილი და ნალვლიანი? არ მინდა ვიფიქრო იმ კაცზე, ვინც ასეთ დღეში ჩამაგდო, მაგრამ ძალიან ძნელია, ასე უეცრად დავივიწყო ის ყველაფერი, რაც მასთან მაკავშირებდა. ვიცი, დავივიწყებ იმ მოლაღატეს, მაგრამ როდის? ამას დრო სჭირდება. სიკვდილი მოლაღატეს! მონყენილებო და ნალვლიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ერთმანეთი გავამხნევოთ და გვერდით დავუდგეთ, რადგან ვიცი, ბევრია ჩემსავით ცუდად ან ყოფილა ჩემს მდგომარეობაში. ყველას გეფერებით. მეგრელი ლიკა.

• ashley, „გზავნილები“, რომ გაუქმდეს, ალბათ გული გამისკდება, მარი კი ამას არ დაუშვებს, იმედია. გრუზინკას, მის რეალს, კახელ სალომეს და ashley-ს მოკითხვა. ლუნა.

• განძის მაძიებლის სიმხდალე რაში გამოიხატება, უცნობო? თუ ყურადღების მიქცევა გინდოდა? ისე, ჯობია შენ გამოფხიზლდე!

განძის მაძიებელი, შენ გვერდით ვარ! ლუნა.

• აუუ, გახსოვთ, მელო რომ წერდა, ძროხამ ტყუპი ხბო გაჩითაო? ვილაცას არ დაეჯერა და აი, ახლა ჩემი ახლობლის რქიანმაც გაჩითა მასეთი პონტი. მელო მართალია. მაფიოზა.


• სულიერად დავიღალე იმ უცნობის ამბით, რომელიც ვალიკოს ეძებს. განა გასაგები არაა? „ბილ ვალიკო ი უპილი“. ვთხოვ, საკუთარ ოჯახს სცეს პატივი. ნუთუ ეს ასე ძნელია? გრუზინკა.

• ქუთაისი უმაგრესია. რატომ? იმიტომ, რომ ამ ქალაქში მე ვცხოვრობ და უამრავი კარგი ადამიანი. ხატია.

• პრინცეს, მიცანი? არც იფიქრო, რომ დამავინყდები. რა დამავინყდები იმას. „პადდერუკა“ როგორ მომეცი? :) გენაცვალე, გეტყობა, ქუთაისელი ჯიგარუკა ხარ! პატარა მავნე.

• ბაზარი არაა, გრუზინკა, ჩამოდი, მაგრამ... მე ნალდად ვერ დაგიკრეფ, რაა... „ზატო“ ხეზე ასვლას გასწავლი. „მანჩესტერს“ ვინ „ბალელშიკობს“? მაგარი კლუბია. მაფიოზა.

• ვაიმე, გრუზინკა, გამანითლე გოგო, რა იყოო? ვაიმე, უზარმაზარი შადლოობა, ჩემო კარგო. ისა და... მინდოდა, შენთან ინტერვიუ ჩამეწერა, მაგრამ ნომერი რომ არ ვიცი? დამიკავშირდ-



ოჯახური მამაკაცი —
ქმარი არასდროს,
ცოლი — მუშხუნებს.

ები? მეგრელი მგელო.

• ყველა მგზავნი ლამაზი ბალის ლამაზი ყვავილები ხართ. ამ სილამაზით, სილალით და ბედნიერებით გეცხოვროთ. მე კი ამ ლამაზი ბალის ერთგული დარაჯი ვიქნები. მოხუცი.

• სიყვარული არასდროს არის გვიან. ვერსად დაემალე, რადგან არ იცი, როდის და რა ასაკში გაგიპოვს გულს. მთავარია, მიიღო ისე, რომ არსად გაგეცეს. მოხუცი.

• დიდი მადლობა, მარ, ძალიან გამიხარდა, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. აქამდე მონერა ვერ მოვახერხე. კარგი ინტუიცია მაქვს და ამის წყალობით ვიცოდი, რომ კარგი ადამიანი იყავი, მაგრამ როცა ეს დამიდასტურა ადამიანმა, რომელიც კარგად გიცნობს, ძალიან გამიხარდა.

• ყველა ღარიბაშვილს ეწოდეს ცეცხლისჯვრობის ძალა და მადლი. დუშეთს გაუმარჯოს! ათენიდან, გიო, ლელა და სულო.

• მოვიკითხავთ ბაზალეთში ყველა კარგ ადამიანს.

ხომ ხართ მაგრად? გაუმარჯოს ხულედიქებს და ღარიბაშვილებს! მოკითხვა ჯამლეთა ხულედიქს! გიო და სულო.

• გუ-ათენო, მაგარი საკაღელი ხარ, ძაან დავმეგობრდით და გავუგეთ... ასე რომ, ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდი. ყველანი ჩემი მეგობრები ხართ. გატოცეთ. უკარება.

• ათენი-23, რატომ აღარ მეხმინები? მენატრება შენი ინგლისური მოსალმება. გაკოცე მარჯვენა ლოყის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 76-გრადუსიანი კუთხის მართობზე. უკარება.

• პრივეტები ყველას, მაგრად მიკალქალთ ყველანი და გატოცეთ ბევრი. ლეო91, სასიამოვნო ადამიანი ხარ, წარმატებები გქონოდეს. უკარება.


• საიდუმლოდ ერთ გოგოს ვხდები. დამიჯერე, ჩვენ შორის სერიოზული არაფერია და არც არასდროს იქნება. როცა გავიცანი, უკვე ქმარ-შვილი ჰყავდა. თუმცა, მივხვდი, რომ ის „ის“ იყო

და ისიც მიხვდა, რომ მე „მე“ ვიყავი. ძალიან ვაფასებ და ამიტომ ვერავის ვუმხელ ამ ამბავს. არავინ დამიჯერებს, რომ ჩვენ შორის არაფერია და არ მინდა, მის სახელს ჩირქი მოვცხო. გჯერათ ჩემი? ისე, მასაც უყვარს „გზა“ და ამიტომ ჩემს სახელს მისთვის მისახვედრად დავწერ. იცხოვრეთ თქვენი საიდუმლოებით, ეს ძლიერებს შეუძლიათ. მორიგე ექიმი.


• გამარჯობათ, მგზავნელებო, და მარი — ჩემო მონატრებულებო. ქუთათური ვარ, ხალხოო, ქ-უ-თ-ა-თ-ურ-ი! სულ ცოტა ხნის წინ სავადმყოფოში გამაქანეს. ჰოდა, ერთი ჩვენი მგზავნი, ჩემი უძვირფასესი ადამიანი, ჩემი მანაველი ჩამოვიდა. ხალხო, მთელი ღამე თეთრად გაათენა. მიყვარხარ ძალიან, ძალიან...

• აუ, დღეს მაგრად შევრცხვი, საზოგადოებაში. მამაკაცები ფეხბურთზე საუბრობდნენ, მე კიდევ მთელი შემართებით წარმოვთქვი, „მანჩესტერის“ ფანი ვარ, ბექჰემის ხატრით-მეთქი. ამ დროს კი მუჯღუგუნე მკრა, გუ-ათენმა — ბექჰემი აღარაა გოგო, „მანჩესტერშიო“. :-) მაშინ, „ლივერპულის“ ფანი ვარ, მაიკლ ოუენის პატივსაცემად-თქო (ხავსს ჩავეჭიდე) და... ნუუურას უკაცრავად, არც ეგ არაა, „ლივერპულშიო“, ცივი წყალი გადამასხეს. მოკლედ, გაუმარჯოს „რეაააალს“! უპს, მაპატიეთ, გუ-ათენმა მთხოვა, შენ „ბარსელონის“ ფანი იყავი, რაო, ჰოდა, ვიიივაა „ბარსელონააა“! p.s. ლეო91, მომენატრე, დეი, აბა, შენ იცი, კარგად ისწავლე, ხომ იცი, შენი იმედი მაქვს და უნდა მასახელო, შემოგველოს შენი დეიდუკა. ანარქია.

რაც პრეზიდენტი აღარ არის, მებაღეობა დაიწყო



შპს



• რისი თქმაც გინდა, ვიცი, ვერ ამბობ, კოცნა გინდა და კოცნით ვერ მათბობ, მაგ კოცნას, კარგო, ახლა მეც ვნატრობ, მოვა დრო და კოცნით დაგათრობ. ათენი-23, მიყვარხარ. გუდუნა.

და ულამაზეს სიყვარულს, მეუღლესთან ერთად. თინა.

• ირაკლი ლიკლიკაძე, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლამაზო და საყვარელო ძმისშვილო. მრავალს დაესწარი, მშობლებთან და საყვარელ დაიკოსთან ერთად. სასახელო ბიჭი გაიზარდე და გაგვახარე. 100 ლამაზი წელი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს, ჩვენო ცისფერთვალე და მონატრებულო. მამიდა, ბიცოლა და ბიძები.

• ჩემს ძამიკოს, რამაზ გუნთაიშვილს, 27 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ. ჯანმრთელობას და ყველაფერს კარგს გისურვებ. გაიხარე შენი პატარა ოჯახით. შენი მონატრებული დაიკო, თამუნა.

• მინდა, ნოდუკო გვანცელაძეს მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. ღმერთი იყოს შენი და შენი სიყვარულის მფარველი.

• ჩემს ულამაზეს და უსაყვარლეს ბიძაშვილს, მელანოს, 5 ივნისს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს უძვირფასეს ქმარ-შვილთან და უსაყვარლეს ხალხთან ერთად. გისურვებ ყველა იმ სიკეთეს, რაც უფალს მოუვლენია ამქვეყნად და როგორი ლამაზი და ლაღიც ხარ, სულთ ხორცამდე, ასეთი

ცხოვრებით გეცხოვროს, დღეიდან 100 წელი. შენი ხათუნა.

• ჩემს საყვარელ შვილიშვილს, დაჯია მზექალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 მაისს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მშობლებთან და დაიკოსთან ერთად. სასახელო გოგო გაზრდილიყოს. გოცუნის და გეფერება შენი მანანა ბაბუკა.


• სანდრი ფუხაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 24 მაისს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, უღევ სიხარულს, მშობლებთან და ახლობლებთან ერთად. ციცი ბებო და მამიდა.

• სულხან ჯაფარიძეს ვულოცავთ გაბედნიერებას და დაბადების დღეს, 21 მაისს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ხათოსთან და ახლობლებთან ერთად. ციური და ინგა.

• ლიურა და გიორგი ჯიმშიტაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. ყოველი დღე სიყვარულითა და ბედნიერებით გაჯერებული გაგიტენოთ ღმერთმა. დიდი სიყვარულით, მზია.

• ჩემს ბიძიას, ბატონ რეზო (გრიგოლი) მუკბანიანს ვულოცავ იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ლამაზ ოჯახთან ერთად. გფარავდეთ უფალი. ლელა.


ასე მოვიპარე მთვარე



ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მე-სიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ურუნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტოტრენისპორტი




მშუაშაი

ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის დაუოკებელი გრძნობა შეგიძვრობს. შეეცადე, ოჯახში რაც შეიძლება მეტი დრო გაატარო. ასეთი სურვილის გაჩენის მიზეზი შესაძლოა, ბოლო დროს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ცხოვრება იყოს. არ არის გამორიცხული, ამ დღეს შენთვის ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო.

საშუაშაი

შესაძლოა, სწორედ ამ დღეს აგისრულდეს, რაზეც ოცნებობდი, მაგრამ ეს თავისთავად როდი მოხდება: გულზე ხელს ნუ დაიკრევ და რაც შეგიძლია, ყველაფერი ილონე შენი ოცნების რეალიზებისთვის.





მახშუაშაი

კოლეგებთან ურთიერთობისას ისეთი ტაქტიკა შეარჩიე, რომ ნებისმიერ სიტუაციაში წყლიდან მშრალად ამოსვლა შეძლო. შენი ქმედებები ნათელი და გასაგები უნდა იყოს. მხოლოდ ასე მიაღწევ საუკეთესო შედეგს. იოლია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება — ამ კუთხით გადადგმული ყველა ნაბიჯი სასიკეთოდ წაგადგება.

ხეთქაშაი

ამ დღეს შენი აქტივობა მოიმატებს. გირჩევ, ძვირფას ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმო. სულ მცირე წყნაც კი შესაძლოა, დიდ უკმაყოფილებაში გადაიზარდოს. სამაგიეროდ, თუ ტაქტიანად მოიქცევი, ყველაფერი კარგად იქნება.




ჯაშახევი

ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ ყველა შენ წინააღმდეგაა ამხედრებული. სინამდვილეში კი ყველაფერი არცთუ ისე ცუდაა. წამოწყებული საქმე დადებით შედეგს გამოიღებს. წინ მხიარული და ხმაურიანი საღამო გელის.

შახაი

ყველაფერი, რაც ამ დღეს მოხდება, შენს მომავალზე დიდ გავლენას იქონიებს. ეს დღე დიდხანს გემახსოვრება. შესაძლოა, არჩევანის წინაშე დადგე. გადაწყვეტილების მიღებისას გულისხმას ნუ აჰყვები, მხოლოდ გონებით იმოქმედე და არ წააგებ.



ყვიშა

სურვილი, რომ ყველაფერში პირველი იყო, გამართლებული არ არის. სხვებსაც მიეცი საკუთარი თავის რეალიზების შანსი. ეცადე, შეცდომები არ დაუშვა. შესაძლებელია, ეს დღე იმიჯის შესაცვლელად გამოიყენო, გარდერობი გაახლო და ცხელი ზაფხულისთვის მოემზადო.

სამყაროში ყველაფერი ჯანონის შესაბამისად „ცხოვრობს“, მათ შორის, სიყვარულიც, რომელიც ასეთი რომანტიკული და ლამაზია. მას თავისი წესები და ჯანონები აქვს, რომლებიც გვეხმარება, დავადგინოთ: გრძნობა, რომელიც გვეწვია, ნამდვილი სიყვარულია თუ მხოლოდ გატაცება და რა ელის მას მომავალში.



სიყვარულის 10 ჯანონი

- 1. ნამდვილი სიყვარული ყოველთვის ორმხრივია. თუ გრძნობა ცალმხრივია, ეს სიყვარული არ არის. ეს გახლავთ რაღაც სხვა, რასაც სახელი არ აქვს.
- 2. სიყვარულმა 2 ადამიანის ცხოვრება უკეთ-სობისკენ უნდა შეცვალოს და ბედნიერი გახადოს, თუ ასე არ ხდება, ურთიერთობაში რაღაც რიგზე ვერ არის.
- 3. სიყვარული ვერც მატერიალურ და ვერც სულიერ „ბუღალტერიას“ ვერ იტანს. სიყვარულის ყიდვას ნუ შეეცდები. სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ საყვარელი ადამიანისთვის რაც უფრო მეტ ფულს ან ძალისხმევას დახარჯავ, უფრო მეტად ეყვარები. მაგრამ თუ მხოლოდ იმისთვის ირჯები, რომ მას სიამოვნება მიანიჭო, ეს უკვე სხვა საქეა.
- 4. ნუ გამოთვლი, ვის უფრო ძლიერ უყვარს. იყავი თავდაჯერებული და ნუ იმათხოვრებ სიყვარულს. მუდამ გახსოვდეს ინგლისური სიბრძნე:

ერთადერთი გზა, რომ უყვარდე, ის არის, რომ გიყვარდეს.

5. ნუ აეჭვიანებ საყვარელ ადამიანს, ის ხომ ძალზე მგრძობიარეა და ყველაზე მეტად შენი დაკარგვის ემინია. ნურც შენ იეჭვიანებ. ნდობის გარეშე ჭეშმარიტი სიყვარული არ არსებობს. თუმცა, მცირე დოზით ეჭვიანობაც საჭიროა. ეს ისეა, როგორც კერძში მარილი: დააკლებ — უმარილოა, გადაამეტებ და — მლაშე.

6. ხანდახან ძნელია, წინ აღუდგე სურვილს, რომ საყვარელ ადამიანში რამე შეცვალო. გახსოვდეს, რომ ზრდასრული ადამიანის „გადაკეთება“ შეუძლებელია. თუ ისე მოხდა, რომ მისი გარდაქმნა შეძელი, დაფიქრდი, ის მაინც გეყვარება?

7. ცნობილია, რომ მოწყენილობა და ერთფეროვნება სიყვარულს კლავს, მაგრამ არც ბლოკბასტერების სიუჟეტების მიხედვით ცხოვრებაა საუკეთესო საშუალება. ზომიერი — ყველაფერი კარგია. ემოციების ვულკანზე და სკანდალებში ცხოვრება ისეთივე დამღლელია, როგორც ერთფეროვნება.

8. სიყვარული უანგარო გრძნობაა, რომელიც სამაგიეროს არ ითხოვს. საყვარელი ადამიანისთვის სითბოსა გაცემა და სიხარულის მინიჭება ხელოვნებაა.

9. ნუ იფიქრებ, რომ თუ ადამიანი ურთიერთობის საწყის ეტაპზე ცუდად გეჩვენება, მოგვიანებით შეიცვლება. დარწმუნებული იყავი, რომ სიტუაცია მხოლოდ გაუარესდება. როგორ უნდა მოიქცე, ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტია.

10. ხდება ისეც, რომ ისე ძალიან გინდა, ვინმეს უყვარდე, პირველსავე შემხვედრს შეიყვარებ, ვინც ღიმილს გაჩუქებს. სიყვარული, რომელიც აფეთქებასავით მოდის, დიდხანს არ გრძელდება და ნამდვილ გრძნობად არ გადაიქცევა.

იმედია, ამ პრინციპების ცოდნა სიყვარულისა და ბედნიერების ხანგრძლივად შენარჩუნებაში დაგეხმარება.

მოკლე ჩართვა

<<< 13

ჩაი მინუსი

- ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ისაა, რომ ძალიან მიმნდობი ვარ. არადა, ხშირად მლალატობენ. ალბათ, ისიც მინუსია, რომ შურისმაძიებელი ვარ და წყენას არავის შევარჩენ. რა ვქნა? ჩემი მინუს-პლუსების მიუხედავად, ჩემი თავი ძაანზე ძაან, უძალიანესად მიყვარს. მეგრული მეგლო.
- ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ისაა, რომ შიშის გრძნობა არ მაქვს. არანაირი სტიქის თუ მოვლენის, არც რაიმე ცხოველის თუ ქვეწარმავლის არ მეშინია და ეს ხშირად უამრავ პრობლემას მიქმნის. კამელია.
- ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ის არის, რომ ადამიანებს ვენდობი. მე რომ უბოროტო გული მაქვს, ასე მგონია, ყველა ასეთია.
- ჩემი ყველაზე დიდი მინუსი ძალიან დიდი პლუსია. რა ვქნა? მათემატიკაში ამაზე მაგრად ვერკვევი. გრუზინკა.

ქართული მოკარული სკოლისთვის, სურათებით მხილველი „გაგაღი“ და ათწლეულების წინ დაწერილი ჰაბიანი

ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე, მე-5 ქალთა სკოლაში, დღეს რომ მიეძღეს გიმნაზიად იცნობენ, პირველი კლასიდან ერთად სწავლობდნენ. სკოლაში 1945 წელს — დიდი სამამულო ომი რომ დამთავრდა, სწორედ მაშინ შევიდნენ. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ პირველად ისმენს ამბებს კლასზე, სადაც 11 წლის განმავლობაში მხოლოდ გოგონები სწავლობდნენ. მათ შორის კი იყო ერთი, „უზღვავე ენერჯის ადამიანი, რომლის შესაძლებლობების მქონე ლიტერატურული გმირიც არ მეგულება. ცუნამივით შემოიჭრა ეს ადამიანი ამ ქვეყანაზე და ასევე ბოპოქრად წავიდა“ — ეს სიტყვები მესუთე ქალთა სკოლადამთავრებულ სოფიკო ჭიაურელზე მისმა თანაკლასელმა და მეგობარმა, ნატა თულაშვილმა თქვა. იმ „ქალთა კლასის“ ამბებსაც დღეს საოცრად თბილი და ღიმილიანი ქალბატონი ნატა მოგვითხრობს.



ნატა თულაშვილი, სოფიკო ჭიაურელი და რუსუდან ჯანაშია

კინოთეატრებში და ჩვენც არ ვცდენდით ორშაბათს და ხუთშაბათს, კოლექტიურად ვნახულობდით იმ ფილმებს, თან იქვე, დარბაზში მსხდომი ბიჭები-სკენ ვაპარებდით თვალებს (იციინის). ძალიან „ტრაგიკული“ აღმოჩნდა ჩვენი მოსწავლეობის ხანა — სკოლაში შეუვლით და იმ წელს დააცალკევეს გოგონები და ვაჟები, ვამთავრებდით და მეთაველასელები გააერთიანეს, ჩვენ — მეთერთმეტეკლასელები კი „დაგვჩაგრეს“. წარმოიდგინეთ, როგორ გვშურდა მეთაველასელების, რომლებთანაც ლამაზ-ლამაზი ბიჭები გადაიყვანეს (იციინის).

— რისთვის შეიძლება, მასწავლებელს დაესაჯეთ?

— აი, მაგალითად, რისთვის: მაღალ კლასებში ქართულს პოეტ ანა კალანდაძის მამიდა ფოცია კალანდაძე გვასწავლიდა. უმკაცრესი ქალი იყო. ყველას შიშის ზარს გვცემდა, ამიტომ მის გაკვეთილზე გასუსულები ვისხედით. საკონტროლოებს, ჩვეულებისამებრ, ისიც გვანერინებდა და ერთხელაც შევნიშნეთ, რომ წერის დასასრულს ფოცია მასწავლებელი ამ რვეულს იქვე, კლასში მდგარ კარადაში ინახავდა. ამ აღმოჩენამ ძალიან გაგვხარა — საკონტროლოს დღეს კლასში ფურცლებზე ათასგვარ სისულელეს ვწერდით, ვდებდით რვეულებში, მასწავლებელი ამ რვეულს კარადაში ინახავდა, ჩვენ კი მოგვიანებით წინასწარ კარადისთვის მისადაგებული გასაღებით ვაღებდით კარს, ვიღებდით რვეულებს, შინ მიგვქონდა, მათში სანიშნოდ ვწერდით თემებს და კვლავ კარადაში ვინახავდით. ფოცია მასწავლებელი ჩვენგან ასეთ საქციელს ვერც წარმოიდგენდა, ამიტომ

ირმა ხარშილაძე

— ჩვენს კლასში ერთმანეთზე უკეთესი გარეგნობის, დახატული გოგონები სწავლობდნენ. 14 გოგონა პატარ-პატარა ჯგუფებად ანუ სამეგობროებად ვიყოფოდით. ისე კი კლასში 45 ვიყავით. ჩვენს ე.წ. დაჯგუფებაში გახლდით: მე, სიმონ ჯანაშიას ქალიშვილი რუსიკო და სოფიკო ჭიაურელი. სოფიკო ისეთი გიჟმაჟი იყო, იდეა გაუჩნდა, დავდობილებულიყავით... ერთ მშვენიერ დღეს რუსიკოსთან სააბაზანოში შევიყუყუეთ, გავიჭურით თითები, სისხლი სისხლს შევურჩეთ, დავიფიცეთ, რომ მუდამ ერთად ვიქნებოდით, სიკვდილამდე ვიმეგობრებდით და ასე გავხდით დობილები. მაშინ 12-13 წლისანები ვიყავით. ახლა ძნელი წარმოსადგენია ალბათ, მაგრამ ასეთი მიაბიტიები ვიყავით. რადგან ვაჟები და ქალები ცალცალკე ვსწავლობდით, „ასაკობრივი მოვლენებიც“ საკმაოდ გვიან დაგვეწყო. ბიჭების დანახვაზე ვწითლდებოდით ხოლმე. ჩვენს სკოლას VII ვაჟთა სკოლის (ახლანდელი 53-ე საჯარო სკოლა) ბიჭები ხშირად „სტუმრობდნენ“. მაშინვე გახარებულები მივცვივდებოდით ფანჯრებს შეძახილით: „მეშვიდე ვაჟთა მოვიდა!“ და თვალეზგაბრწყინებულები ვათვალიერებდით — ზუსტად ვიცოდით, ვინ — ვინ იყო, ვის მოაკითხა და ასე შემდეგ. ცოტა მოგვიანებით, მე-7 თუ მე-8 კლასიდან პირველი ვაჟთა სკოლის ბიჭებს — გიორგი შენგელაიას, გეიდარ ფალავანდიშვილსა და

ირაკლი ხომერკს დავუმეგობრდით. უკვე ვატყობდით, რომ გიორგის სოფიკო მოსწონდა. მაშინ ნატა ვაჩნადე ცოცხალი იყო, ვერიკოსთან ახლობლობდა და გიორგიც მოჰყავდა ხოლმე ჭიაურელებთან წვეულებებზე. ასე რომ, იქაც ვხვდებოდით ერთმანეთს. მეურ ეს კავშირი განყდა და ცოტა ხანში კვლავ განახლდა. ასე რომ, ითვლებოდა, რომ მათთანაც და მე-7 „ვაჟელებთანაც“ ვმეგობრობდით. მახსოვს, დაბადების დღეებზე „კაროქენებივით“ ვისხედით, თუ არა და, „მატარებლობანას“ „ბრის ილი მიაუსა“ და „ფანტას“ ვთამაშობდით — ხომ წარმო-

გიდგენიათ, რა არანორმალურები ვიყავით.

— იქნებ კონკრეტული ამბებიც გაიხსენოთ...

— ძალიან ცელქები ვიყავით. ბევრ დროს სოფიკოს ქუჩაზე ვატარებდით. მაშინ ვარაზის ხევი ნამდვილი ხევი იყო. იქვე ვთამაშობდით ბურთს და ნეტავ იცოდეთ, რამდენჯერ ჩავსულვართ ხევში, გადავარდნილი ბურთის ამოსატანად! მაშინ, ომის შემდეგ, უამრავ საინტერესო, ე.წ. „ტრაფინი ფილმს“ უჩვენებდნენ თბილისის




სოფიკო ისეთი გიჟმაჟი იყო, იდეა გაუჩნდა, დავდობილებულიყავით...

მშვიდად იყო, ორ-ორ საკონტროლოს ერთად ასწორებდა და ყოველთვის მაღალ ნიშნებს გვიწერდა. ბუნებრივია, ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი ნამუშევრებით. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენმა ფოცია კალანდაძემ ტრადიცია დაარღვია და რვეულები საკონტროლოს დაწერისთანავე შინ წაიღო... ახლა ჩვენ ვიმყოფებით ჩემი და სოფიკოს თანაკლასელის, მეგობრის, უნიჭიერესი პიანისტის და ლომერ ახვლედიანის მეუღლის — ნანა ავალიშვილის ოჯახში (ქალბატონი ნანა ჩემი სტუმრობისას მოსკოვში იმყოფებოდა. — ავტ.) სწორედ ნანამ იმ „საბედისწერო“ საკონტროლოს დროს ფურცელზე იოხუნჯა და ბეკინა სამანიშვილის ახალგაზრდა მეუღლეზე („სამანიშვილის დედინაცვალი“ — ავტ.) ელენეზე დაწერა, — მაკედ იყო და ხბო შობაო. ზოგიერთი საკონტროლო ფურცლებს საკუთარ განწყობილებას უზიარებდა — რუსთაველზე გავიარე, დავინახე ვიღაც ტიპი, ძალიან მომეწონაო, და კიდევ ათასგვარ სისულელეს... მოკლედ, მეორე დღეს ფოცია მასწავლებელი კლასში სრულიად გაოგნებული შემოვიდა...

— ქალბატონმა სოფიკომ რა დაწერა, არ გახსოვთ?

— იმ დღეს რა დაწერა, მართლა არ მახსოვს. საერთოდ რომ გითხრათ, სოფიკო კლასში არტისტულობით გამოირჩეოდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ის იყო საოცრად თავმდაბალი და მეგობრული, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე წარჩინებულ, მატერიალურად შეძლებულ ოჯახში იზრდებოდა — მიხეილ ჭიაურელი ოთხჯერ მარტო სტალინური პრემიის ლაურეატი გახდა. თითოეულ ჩვენგანს თითო გამოსასვლელი კაბა გვქონდა — ასე ჰქონდა სოფიკოსაც. ძალიან წესიერი ადამიანი იყო, კომუნიკაბელური, მაგრამ საშინლად ცელქი. მახსოვს, ხაზვას „მარუსიას“ ტიპის კაცი გვასწავლიდა. „ვასიკო დეიდას“ ვეძახდით. მგონი, თოთხმეტი წლის ვიყავით. ერთ მშვენიერ დღეს, ზარი დაირეკა, გაკვეთილი უნდა დაიწყოს. მე, რა თქმა უნდა, პირველ მერხზე ვზივარ და მაცვია ახალთახალი, სიგანეზე მოქსოვილი ძალზე ლამაზი სვიტერი. წუთი-წუთზე მასწავლებელი უნდა შემოვიდეს. სოფიკომ მითხრა — აბა, ხელები ასწიეო.

მეც მიამიტურად დავემორჩილე. ავწიე და... სასწრაფოდ ამძრო სვიტერი, ამ დროს შემოვიდა „ვასიკო დეიდაც“ და რას ხედავს: კლასში ბიუსტპალტერის ამარა დარჩენილი მოსწავლე ზის. ფუ, თქვენს ქალობასო! — დააგდო ყურნალი და კლასიდან გავარდა (იცინის)... სოფიკოსთან ხშირად ვეკრიბებოდით, დიდი და ძალიან ლამაზი სახლი ჰქონდა. გაკვეთილებსაც ერთად ვამზადებდით. ერთხელაც გადაწყვიტა, — მოდი, ღია ვერანდაზე ვიმეცადინოთო, — არადა თავსხმა წვიმა იყო. მე ვიუარე, მაგრამ გამოსავალი სასწრაფოდ მოძებნა — საწვიმარ ლაბადებს გადავაფარებ ზემოდან და აღარ დავსველდებითო. რალას ვიზამდი, ასე, წვიმის თანხლებით დავწერეთ მათემატიკის დავალება. საერთოდ,



საგანგებოდ ამ დღისთვის სოფიკომ დაამზადებინა და თითოეულს დაგვირიგა ფურცლები კლასის ფოტოთი, სიით და საკონტაქტო ტელეფონებით

სკოლას რომ ვამთავრებდით, მოვიტაპარაკეთ, რომ 2000 წელს – ახალ საუკუნეს 12 საათზე რუსთაველის ძეგლთან შევხვედროდით

კვიმატი რალაცების მოფიქრება იცოდა, თან ძალზე მოხერხებული იყო, არაჩვეულებრივად „ანყობილი“ ხელები ჰქონდა, სადურგლო საქმეც კი გამოსდიოდა. კიდევ, იცით, რას ვაკეთებდით?.. ჩვენი საკლასო ოთახი, მართალია, პირველ სართულზე იყო, მაგრამ რაფები საკმაოდ მაღლა ჰქონდა. ქოლგებს დავიკავებდით და ვითომ პარაშუტით, ვხტებოდით ფანჯრიდან გარეთ. ესეც სოფიკომ მოიფიქრა. ერთ-ერთ დაბადების დღეზე კი ძალიან ამიჩუყა გული — ალბომი მომიძღვნა. ოდესღაც ვიღაც თაყვანისცემელს ვერისკოსთვის მიუძღვნია ასეთი ალბომი, ფოტოებით და საკუთარი ლექსებით გაუფორმებია. სოფიკომ იმით იხელმძღვანელა, ამჯერად ჩემთვის გადააკეთა:

„იქნებ, ოდესმე დროთა ბრუნვისგან დაგვიწყდეს შენ ჩემი სახე და იმ დროისთვის, ძვირფასო ნატა, მოსაგონებლად ეს შეინახე“, — „ვერიკოს“ ნაცვლად ყველგან „ნატა“ ჩასვა, ლამაზად გააფორმა, დაწერა „ნატა თულაშვილს“ და მაჩუქა (იცინის)... მართალია, სკოლაში ვაჟები არ გვყავდა, მაგრამ არ გეგონოთ, ძალიან მოწყენილები და დათრგუნვილები ვიყავით. მაგალითად, ვერიკოს შინ საგანგებოდ მოჰყავდა ბალეტ-მეისტერი ტუზიკა მაჭავარიანი, რომელიც ევროპულ ცეკვებს გვასწავლიდა მთელ სამეგობროს. საჩვენებელი ცეკვით ყოველთვის ვერიკო და ტუზიკა წარმოგვიდგებოდნენ, მერე კი ტუზიკა სათითაოდ გვეცეკვებოდა „ვალსს“, „ტანგოს“ და ჩვენც აღტაცებულნი ვიყავით. აკომპანემენტს მიშა ჭიაურელის

მეორე სოფიკოსთვის ამერიკიდან ჩამოტანილი შესანიშნავი, უზარმაზარი რადიო-ლა და ფირფიტები „გვიკეთებდა“. ეს, იცით, იმ დროისთვის რა მოვლენა იყო?! ხშირად დავდიოდით ბოტანიკურ ბაღში სოფიკოს აღმზრდელ, არაჩვეულებრივ და ძალიან განათლებულ ალექსანდრა სოლომონოვნასთან ერთად. ბუნების ნიაღში რუსულ ლიტერატურას სწორედ მან გვაზიარა.

— დაბადების დღეებს აღნიშნავდით?



აუცილებლად ვიღებდით სურათს — წინ გვეწყო ჩანთები, რომელსაც გარკვევით ეწერა „შატალო“

— ეს ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო. არასოდეს დამავიწყდება, ჩემს დაბადების დღეზე ნანას მეზობელი, ძალიან კარგი ბიჭი ლევან ჭაჭიაშვილი თავის ორ მეგობართან ერთად რომ მოვიდა. საჩუქრად, მასსოვს, სერვიზი მომიტანეს — ეტყობა, ისინიც პირველად მოდიოდნენ გოგონას დაბადების დღეზე და საჩუქარიც მშობლებს შეარჩევინეს, თორემ სერვიზს ხომ არ მომიტანდნენ. ბროლის ორი ლარნაკი სახლში შემოსვლისთანავე დაუფარდათ ძირს და დაიმსხვრა. რაც გადარჩა, დედაჩემი სათუთად ინახავდა. მეთერთმეტე კლასში დავუახლოვდით გეოლოგებს, სტუდენტებს: დათო გამყრელიძის მამას — ერეკლეს, გუგა ზაქარიაძესა და თამაზ ჩხარტიშვილს. უკვე სოფიკო და გიორგიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა ერთად დავდიოდით კინოში. მასსოვს, ახალ წელს ვხვდებოდით ერთ-ერთ მეგობართან, რომელსაც უმკაცრესი მამა ჰყავდა — ბიჭებთან ჩვენს ასეთ შორეულ ურთიერთობასაც კი დიდად არ მიესალმებოდა. ჰოდა, ამ კაცს მეუღლე ეუბნება, — ახლა ნატას ბიჭი მოვაო — ნატა ვაჩნაძე იგულისხმა. გაგიჟდა ლევანი — ჩემი მეგობრის მამა: დღეს ნატას ბიჭი, ხვალ — ზეინაბის და ასე შემდეგ?! — იმას ჰგონებია, ჩემი ბიჭით მივიდიოდი (იცი-ნის)... ნატა ვაჩნაძე რომ დაიღუპა, მასსოვს, იმდენად დიდი მეგობრები იყვნენ ვერიკო და ნატა, იმ წელს ვერიკომ წყნ-

თის აგარაკზე წაიყვანა გიორგი დასასვენებლად. საერთოდ, საინტერესო ამბავი მოხდა მანამდე: გიორგი 11 მაისს დაიბადა, სოფიკო — 21 მაისს, თანატოლები იყვნენ. თურმე, გიორგის დაბადებისთანავე ვერიკოს დეპეშა გაუგზავნეს: **Родился жених, ждём невесту** ასეთი სიმბოლური დამთხვევა არსებობდა მათ ურთიერთობაში...

— მოდი, ისევ კლასს დავუბრუნდეთ. გოგონებიც დადიოდით „შატალოზე“;

— როგორ არ დავდიოდით?! დილით შევხვდებოდით ერთმანეთს, მივდიოდით კინოში, ბილეთს ვყიდულობდით და სენსის დანყებამდე ფოტოგრაფთან აუცილებლად ვიღებდით სურათს — წინ გვეწყო ჩანთები, რომელსაც გარკვევით ეწერა „შატალო“. ძალიან სასაცილოები ვიყავით. ისე, მართლა ულამაზესი გოგონები გვყავდა კლასში — აკადემიკოს თვალჭრელიძის შვილი იმვილი ლანა თვალჭრელიძე (გერმანელი ბებია ჰყავდა და მაღალი წრის ოჯახის შვილი იყო), დოღო დევდარიანი, რომელიც მერე ას-

ტამურ აჩბას გაჰყავდა ცოლად; ფილოლოგი ნანი წერეთელი; მოჭადრაკე და გეოლოგი მანანა ტოგონიძე; რეზო გაბრიძის მეუღლე კროშკა ჯაფარიძე; პედიატრი ნათელა ქავჯაია; ფილოლოგი ზეინაბ ებრაელიძე, რომელიც სკოლაში ძალიან ცელქი და ახტაჯანა იყო. ერთხელ მეთერთმეტე კლასში კარს წააწერა — „კლასში ქუთრთუშაა. წადით სახლებში. ადმინისტრაცია“. ატყდა ერთი ამბავი, პანიკა. ჩვენ კი „შატალოზე“ ვიყავით. მერე ძალიან ცდილობდნენ „ავტორის“ ვინაობის დადგენას, მაგრამ ვერ გაგვტყეს... ულამაზესი წლები გავიარეთ პატარ-

პატარა სიხარულებით საცხე, რომელიც უმეტესად სიყვარულს უკავშირდებოდა... სკოლას რომ ვამთავრებდით, მოვილაპარაკეთ, რომ 2000 წელს — ახალ საუკუნეს 12 საათზე რუსთაველის ძეგლთან შევეხვდით. 2000 წელი რომ დადგა, ეს შეთანხმება მთელ კლასს გაახსენდა, სოფიკომ ყველაფერს ორგანიზება გაუკეთა — „მაკედონალდის“ ხელმძღვანელობას შეუთანხმდა და დღის 12 საათზე პერსონალი ისევე დაგვხვდა, როგორც ბავშვებს ხვდებიან — გვათამაშეს ბუშტებით, გვაცეკვეს, გვამღერეს, გაგვართეს, ჩვენც „ავტორით“, ავცეკვდით, ვიხტუნავდით და ეს ანცობა ლომერ ახვლედიანმა ფირზე აღბეჭდა (იცი-ნის). საგანგებოდ ამ დღისთვის სოფიკომ დაამზადებინა და თითოეულს დაგვირიგა ფურცლები კლასის ფოტოთი, სიით და საკონტაქტო ტელეფონებით. ეს საოცარი და უბედნიერესი დღე იყო... ხომ ხედავთ, ყველაფერი სოფიკოს უკავშირდება. ისეთი ძალა ჰქონდა, ბოლოს, მომავლდავებც კი ვერავინ იტყოდა: საწყალი, კვდებო. უზარმაზარ ენერჯის აფრქვევა. ჩვენს ულამაზეს დოღო დევდარიანს ინსულტი დაემართა და სოფიკო, ვიდრე თვითონ ლოგინად ჩავარდებოდა, ყოველდღე მიდიოდა მასთან და თავისი ხელით აჭმევდა...

— წელს სოფიკოს დაბადების დღეზე, მის გარეშე, ვინ შეიკრიბეთ?

— კლასელებიდან, მე, რუსიკო ჯანაშია, ლალი ნადირაძე და ირა ჭანტურია ვიყავით. იცით, როგორ ამაყობდა ჩვენით?! **Мои горшочные друзья** — ასე გვიხსენიებდა ხოლმე... ეს იყო ეპოქა, რომელიც სოფიკოსთან ერთად წავიდა. ენერჯის ასხივებდა, სოცოცხლეს შეგავსებდა. თვითონ იმდენად სჯეროდა, რომ სიკვდილს აჯობებდა, ჩვენც დაგვარწმუნა. წარმოგიდგენიათ? — უკვდავი გვეგონა.

პერსონალი ისევე დაგვხვდა, როგორც ბავშვებს ხვდებიან — გვათამაშეს ბუშტებით, გვაცეკვეს, გვამღერეს, გაგვართეს, ჩვენც „ავტორით“, ავცეკვდით, ვიხტუნავდით





ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-21

სპეციალური კვარტალი

ძალიან ჩამაფიქრა ბექას სიტყვებმა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ყოყმანობს, არ არის დარწმუნებული ჩემს სიყვარულში. არც ის უნდა, თავისი დანაშაული აღიაროს, თუ, რა თქმა უნდა, მიაჩნია, რომ დამნაშავეა ჩემ წინაშე. ან კიდევ... ან კიდევ საკუთარი სისუსტის აღიარება არ სურს. აჯობებს, ისევ მე გადავდგა პირველი ნაბიჯი. ვეცდები, ყველაფერი ავუხსნა, მაგრამ სანდროს ამბავი როგორ მოვუყვებ? არა, ამას ნამდვილად ვერ შევძლებ. რომ არაფერი ვუთხრა? დავიჯერო, ის ეტყვის? გაბედავს? რაში სჭირდება? მისთვის ხომ ისედაც დაკარგული ვარ? ამით ხომ ვერ დამიბრუნებს? სამაგიეროდ, ბექასაც დამაკარგინებს. ამით კი შურს იძიებს ჩემზე, თანაც კარგა გემრიელადაც. არადა, არ მინდა ბექა მოვატყუო. ტყუილებით დანაშაული ურთიერთობა არასდროს იქნება მყარი. ისედაც არ მიყვარს სხვისი მოტყუება. უნდა მოვიფიქრო, უნდა მოვიფიქრო... — სავარძელში მოკალათებული ღრმა განცდებში ვიყავი.

შაბათი საღამო იყო, ცხელოდა. ნიავი კი უბერავდა ღია ფანჯრებიდან, მაგრამ მაინც დახუთული ჰაერი იდგა. კარზე ზარის ხმა გაისმა. გონება დაფიქრებულ, ვინ მოვიდა? ვინ არის? ფეხის წვერებზე ავინიე და სათვალთვალში გავიხედე. ელდა მეცა. სადარბაზოში ნანკა იდგა. ხელის კანკალით გავაღე კარი.

— გამარჯობა, — მომესალმა სახეანთილესი, ნამტირალევი მომეჩვენა.
 — გაგიმარჯოს, — მშვიდად ვთქვი.
 — ხუთ წუთს ვერ დამითმობ?
 — შემოდი.
 დაუპატიჟებელმა სტუმარმა ოთახს

დაკვირვებით მოავლო თვალი და სავარძელში ჩაჯდა, თან ფეხი ფეხზე გადაიდო.

— მონევა შეიძლება? — ოციციალური ტონით მკითხა.

— შეიძლება, — ვუპასუხე და სამზარეულოდან საფერფლე გამოვუტანე.

ჩანთა გახსნა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, თავი მაღლა ასწია, მოკუმული ტუჩებით ბოლი ზემოთ გაუშვა და თვალი გააყოლა.

— შენ მე ცხოვრებას მინგრევე... იცი ეს? — ცდილობდა, გულგრილი ყოფილიყო.

— არ ვიცი... რატომ გადაწყვიტე, რომ ასეა? — სიმშვიდის შენარჩუნებას ვცდილობდი.

— შენ და ბექას სექსი გქონდათ? წარბები შევჭმუხნე.

— ეგ შენ არ გეხება.

— პირდაპირ მეხება, მიპასუხე, რომ გეკითხები.

— ჩემი პირადი ცხოვრება მხოლოდ ჩემი საქმეა, — ხმა გამიძკაცრდა.

— ესე იგი, გქონდათ, არ მოვუტყუებდით, — თავისთვის ჩაილაპარაკა და თვალბრწყინებულმა ღრმა ნაფაზი დაარტყა.

რა თქვა? არ მოვუტყუებდით? როგორ, ბექამ უთხრა, რომ ჩვენ სექსი გქონდა? რაში დასჭირდა ასეთი სიცრუე? თავი მოიწონა? ის იყო, პროტესტის გამოთქმა დავაპირე, რომ ნანკამ გააგრძელა.

— ასე მითხრა, სოფიოს ჩემგან ბავშვის გაჩენა უნდოდა და ვერ დაორსულდო...

ხმას არ ვიღებდი, ვუსმენდი მხოლოდ.

— ეს იმიტომ, რომ მე არ შემქნო ბავშვის გაკეთებაო. მართლა პრობლემები აქვს ამ მხრივ?

გონება მსწრაფლ ამუშავდა. რადგან

ბექამ ასე თქვა, როგორც ჩანს, ეჭვი შეეპარა მის ფეხმძიმობაში და გადაწყვიტა, გამოეტყუა.

— დავუშვავ, მერე? — ვცდილობდი, დამემალა ჩემი დაბნეულობა, სახე შემეფაკლა.

— მაშინ მე რატომ დავრჩი ორსულად?

— ეგ იმას ჰკითხე, ვინც დაგაორსულა, — ღვარძლიანად წამოვისროლე და გამარჯვებულის ღიმილი ვესროლე სახენაშლილ მეტოქეს.

— შენი აზრით, მოვიტყუე?

— მე რა ვიცი, მე გაგასინჯე, თუ რა?! — ჩავიცინე და მხრები ავიჩიჩე.

— იქნებ თქვენ გქონდათ შეუთავსებლობა?

— არა, არ გვექონია, — მსწრაფლ გავაპროტესტე, მომწონდა ეს „თამაში“.

— არ შეგიძლია, ბექას თავი დაანებო? — მკითხა უცებ.

„ვერ მოგართვი!“ დაახლოებით ასეთი სახე მივიღე, თავი ამყად ავნიე და ჯიქურ შევხედე.

— რატომ, იმიტომ, რომ შენ ასე გინდა?

— იმიტომ, რომ მე ის მიყვარს.

— მეც მიყვარს და შენზე არანაკლებ.

— მე შენამდე მქონდა მასთან ურთიერთობა.

— მარტო მასთან? — ვუკბინე.

— მაგას შენ მეუბნები? შენ რა, ბექამდე სხვასთან არ გქონია სექსი? ვიცი, რომ...

— სანდროსთან მე ლოგინი არ მქონია, — გავანწყვეტინე სახემოქუფრულმა.

— ჰო, როგორ არა, დაგიჯერებ!

— ეგ შენი პრობლემაა, თუ არ დამიჯერებ. შენსავით გამოჭერაზე ნამდვილად არა ვარ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ შენ მისი ფული გაინტერესებს მხოლოდ.

— შენ არა? — არ დამითმო.

მიხვდები, არ ღირდა მასთან კამათი, იმიტომ არ ვუპასუხე.

— ესე იგი, დათმობას არ აპირებ?

— არა! — მტკიცედ ვთქვი და ნიშნის მოგებით გადავხედე.

— კარგი, — ამოოხვრით თქვა, — ვნახოთ, ვისი აჯობებს. ის ისევ მოირბენს ჩემთან, — თითქოს მღერისო, განწელილად წარმოთქვა და სიგარეტი ჩააქრო.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ყურმილს გადავწვდი, გიზულა იყო.

— სოფიო, ის დეგენერატი სამსახურიდან წავიდა, პარასკევს დაუნერია განცხადება.

— ვისზე მეუბნები? — ვერ მიხვდები.

— ვისზე და ნანკაზე, სხვა ვინ უნდა იყოს?!

— ჰო-ო. ვიცი, ვიცი, — ხმა გავინაზე, თითქოს მამაკაცს ველაპარაკებოდი, მინდოდა, ნანკა შეშფოთებულიყო.

— საიდან იცი?

— ახლა ჩემთანაა და იქიდან.

— შენთან რა უნდა? — იკივლა გიზელამ.

— საყვარელ მამაკაცს ნუ მართმევო, მთხოვს. რა ვუპასუხო? — უდარდელად ვლაპარაკობდი, თან ნანკას თვალს არ ვამორებდი.

— დაახვიე ახლავე აქედან-თქო, ჩემგან გადაეცი.

— კარგი, გადავცემ, საყვარელო. ახლავე დაახვიოს აქედან, არა? — მხიარულად ჩავძახე, რომ ნანკას გეგონა. — უკვე გადავცი. სხვა? როდის მოხვალ? მომენატრე.

გიზელა მიხვდა, რა როლსაც ვთამაშობდი და ამყვა.

— ცოტა შემაგვიანდება, ძვირფასო, შემოგვევლოს შენი ბეჭა, სადილი მომიზადე?

— მოგიზადე. შენ რომ გიყვარს, ის კერძი გავაკეთე, — ლიმილს ვერ ვიკავებდი კმაყოფილი.

— ჰოდა, მოვალ, — გადაიკისკისა გიზელამ.

— გელოდები, გკოცნი, — ვთქვი და ყურმილი დავკვიდე. — გაიგონე, რა შემოგითვალეს?

— ვინ იყო? — ნანკას ტუჩები და სახე გაჰფითრებოდა.

— ვისაც მე ვუყვარვარ და არა შენ, — საზეიმო ტონით განვაცხადე.

დემონსტრაციულად წამოდგა, ჩანთა მხარზე ნერვიულად გადაიკიდა და ქუსლების ბაკუნით გაემართა გასასვლელისკენ. უკან მივყვი, კარი გავაღე და გავატარე. ერთმანეთს არ დავმშვიდობებოვართ. უკან ერთხელაც არ მოუხედავს, ისე წავიდა.

ოთახში შემოვბრუნდი და სიამოვნებისაგან გავიზმორე. თითქოს მძიმე ტვირთი მოვიხსენი მხრებიდან. თურმე მქონია ნიჭი, ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა. ჩემს ორეულს გაუღიმიე სარკეში და თვალის ჩავუკარი. არ ვიცი, ხვალ რა იქნება, მაგრამ ამწუთას ყველაფერი კარგადაა. მოხდა ის, რაც მინდოდა — ნანკას სამაგიერო გადავუხადე.


ამდენი ხნის განმავლობაში პირველად მომიხდა სადილის მომზადება. ახლა ერთი გემრიელი კერძი არ მანყენდა, მადაზე მოვედი. მარკეტში ჩავედი, აჯაფსანდალისთვის მასალა ვიყიდე და ლილინ-ლილინით შევუდექი საქმეს.

ამასობაში მოიღრუბლა, ისეთი შავი ღრუბლები განვა ცის კაბადონზე, ხასიათს გაუფუჭებდა ადამიანს, მე კი პირიქით, მხიარულ გუნებაზე ვიყავი. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამინდის გაფუჭებას ძლიერი ქარი მოჰყვა თან, რომელიც ღმუილით ასკდებოდა ღია ფანჯრებს. მინებს ზრიალი გაჰქონდა. ვატყობ, ქარი რაღაცას მიმზადებს, რაღაც უნდა მოხდეს ისეთი... რა? სივრცეს გაუღიმიე...

როცა ქარი უფრო და უფრო გაძლიერდა და წვიმის წვეთებმაც წკაპანკუპი ატეხეს რაფებზე, ავდექი და ფანჯრები დავხურე. ცუდი ამინდი იყო, ელავდა, ჭექადა, ქუხდა, სადღაც მესიცი კი ჩამოვარდა...

ერთ საათში კერძი მზად იყო, ისეთი მადისაღმძვრელი სურნელი დატრიალდა, მაძღარსაც კი ჭამას მოანდომებდა.

დაახლოებით ათი საათი იქნებოდა, მობილური რომ ამღერდა. დავხედე და გული შემიქანდა, ბეჭას ნომერი ვიცანი.



დმერთო, რამდენი რამ ხდება ერთ დღეში, რაშია საქმე?

— გისმენთ, — ათრთოლებული ხმით ჩავძახე.

— აბა, კიდეც ერთხელ გამიმეორე, რატომ მოიტანე დასაფლავების დღეს ყვითელი ვარდები? — მამაკაცს დახშული ხმა ჰქონდა.

— იმიტომ, რომ ყვითელი ვარდი ჩემი საყვარელი ყვავილია, — სხუელიც ამითრთოლდა.

— გასაგებია, — თქვა და გამითიშა. ვერაფერი გავიგე. რა შეკითხვა იყო? მოულოდნელად კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ზარი ხომ არ გაუფუჭდა? ფეხები ფოსტლებში წავყავი და ფლატუნით გავედი შემოსასვლელში. სათვალთვლოში გავიხედე, ვერაინ დავლანდე. კარი ოდნავ გამოვალე და ყურადღებით გავიხედე. სარაფანზე რაღაც შემეხო. და-

ვიხედე... კარზე უზარმაზარი თაიგული მოეყუდებინა ვიღაცას, ყვითელი ვარდების ულამაზესი თაიგული. არ იყო ძნელი მისახვედრი, რაც ხდებოდა. ალელვებულმა თვალეები დავხუჭე... რომ გავახილე, ჩემ წინ ბეჭა იდგა, სველი, თავით ფეხამდე განწულული.

— ფეხით მოვედი, მთლად გავილუმპე, — თითქოს დარცხვნივით თქვა.

— ჰო, — ამოვთქვი, რადგან სხვა სიტყვები ვერ ვიპოვე.

— რაღაც მაქვს სათქმელი... უფრო სწორად, გასარკვევი... — ჩაილულულა და სველ თმაზე გადაისვა ხელი.

— მეც, — ვთქვი და განზე გავდექი, — შემოდი.

არეული ნაბიჯებით შემოვიდა და შუა ოთახში დაბნეული დადგა. მგონი, ნასვამი იყო. ფხიზელმა ვერ გაბედა მოსვლა? შეუმჩნეველად ჩავილიმი.

— გშია? — ვითომც არაფერი, შინაურულად ვკითხე.

— მგელივით... — ფართოდ გამიღიმა.

— აჯაფსანდალი მაქვს.

— მივხვდი, სუნი უკვე მეცა.

— სამზარეულოში გავიდე.

... ისე გემრიელად ილუქმებოდა, მივხვდი, რომ მართლა ძალზე მოშივევოდა. დედა უკვე აღარ ჰყავდა, ვინლა მოუზადებდა სადილებს? ვინ იცის, მოენატრა კიდევაც გემრიელი საჭმელი.

— მაგარია, შენ გააკეთე? — ლუკმით გამოტენილი პირით მკითხა.

— მოსამსახურე ჯერ არ მყავს, — კვლუცად ვთქვი.

— გემრიელია, ძალიან გემრიელი.

— შეგერგოს, — მზრუნველად შეხედე.

— უკვე შემერგო.

შემდეგ ყავა დავლიეთ. ბეჭა ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა. მე კი ერთი სული მქონდა, როდის მეტყოდა სათქმელს. მერე სასტუმრო ოთახში გადავინაცვლეთ.

— მე ბევრი ვიფიქრე, სოფი, — თავჩაქინდრულმა დაიწყო, ისევ მოელუშა სახე, — და ერთ რამეს მივხვდი — ჯერ კიდეც საკუთარი თავის ძიებაში ვარ.

ხმას არ ვიღებდი, სულგანაბული ვუსმენდი მის აღსარებას.

— სანამ ანიკო არ გარდაიცვალა, ვერ გავიაზრე, რომ სისულელეების მთელი სერია ჩავიდინე, — ამოიხვნეშა, თავი ასწია და ნაღვლიანად შემომხედა, — და ამ სისულელეებით ქალს სიცოცხლე მოუფსნრაფე.

ახლა კი ვერ მოვითმინე:

— შენ არაფერ შუაში ხარ, ბექა. დედაშენის გარდაცვალება შენი ბრალი არ არის.

— ნუ მამხნევებ, აზრი არა აქვს. მე ვიცი, როგორც იყო. იმ დილით კინალამ დაფხოცეთ ერთმანეთი. ყველაფერი დავაშტვრიე, რაც კი ხელში მომხვდა. იმიტომ, რომ სიმართლეს მეუბნებოდა, მე კი მისი სიმართლე ვერ ავიტანე. მან ინერვიულა... ასეთი არასდროს ვუნახავვარ... გავაგვიფე ქალი...

— დამშვიდდი, ბექა, იქ სხვა რამე მოხდა, მე ვიცი.

გამომცდელად შემომხედა.

— რა იცი?

— იმ დღეს დედაშენი ერთ კაცს შეხვდა... — არ შემიძლო ამის დამალვა, უნდა მეთქვა ყველაფერი, თორემ მთელი ცხოვრება დაიდანაშაულებდი თავს დედის სიკვდილში.

— ვინ კაცს? — ეს რალაც ახალი იყო მისთვის.

— ადამიანს, რომელიც ოდესღაც ძალიან უყვარდა...

სახე წაეშალა, თვალები მოჭუტა და ისე დამაცქერდა.

— შენ რა იცი?

ახლა მე წამეშალა სახე, დავიბენი.

— მე ვიცნობ იმ ადამიანს, ჩვენი ოჯახის ახლობელია.

— რა ჰქვია და ვინ არის? — ხელები მომუშტა, დაიძაბა.

— დანყნარდი, ძალიან გთხოვ... რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის. მათ უნდოდოდათ ერთმანეთის ნახვა და ნახეს კიდევ. ამან კი ძლიერი ემოცია გამოიწვია... ხომ გესმის? ქალისთვის ძნელია ეს... თანაც ასეთ ასაკში... დილანდელი უსიამოვნებაც ზედ დაერთო ამ შეხვედრას და... ვეღარ გაუძლო გულმა.

— იჩხუბეს?

— არა, პირიქით. იმდენად ამაღელვებელი ყოფილა შეხვედრა, რომ... როცა ადამიანი გიყვარს, როცა გამუდმებით მისი ნახვის მოლოდინი გაქვს და წლები მერე შეხვდები, მერწმუნე, ერთდროულად მტკივნეულიც არის და სასიამოვნოც. ეს უნდა გამოცადო, რომ ჩასწვდე, რა გრძნობაა.

— როგორც შენ გამოცადე, არა?

— მე? — გავფითრდი.

— ჰო, შენ... როცა ამდენი ხნის შემდეგ პირველად შეხვდი სანდროს, ალბათ იგივე დაგემართა, არა? — ბოლმა გაურია სმამი.

— ჩვენ სხვა თემაზე ვსაუბრობდით, როგორც მახსოვს, — ცივად ვუპასუხე.

— მე ამ თემაზე სალაპარაკოდ მოვედი აქ და არა დედაჩემის სასიყვარულო თავგადასავლების მოსასმენად. ეგ ამბები დიდი ხნის წინ ვიცოდი.

გული უსიამოვნოდ ამიძგერდა, ეჭვიანობის სცენის მოწყობას ხომ არ მიპირებს?

ხმა არ ამომიღია, მუხლებმოკვეთილი ავდექი, ლარნაკში წყალი ჩავასხი, ვარდებს ბოლოები მოვაჭერი და სათითაოდ ჩავაწყვე შიგ.

— თუ შეიძლება, დაჯექი, ეგ საქმე მერეც შეგიძლია გააკეთო, როცა წავალ.

თავი ავნიე და საყვედურით სავსე მზერა შევაველე.

— აქ იმისთვის მოხვედი, რომ ხასიათი გამიფუჭო?



— აქამდე კარგ ხასიათზე იყავი? — სიტყვაზე გამომიჭირა.

— არა, არ ვიყავი, მაგრამ შენ რომ მოხვედი, გამომიკეთდა, ვიფიქრე... — შევყოყმანდი.

— რა იფიქრე?

— მოვენატრე და იმიტომ მოვიდამეთქი.

მძიმედ ამოიხვნეშა, თითები ერთმანეთში გადახლართა და ისევ ჩაქინდრა თავი. შუბლი შეეჭმუნა, ფიქრებმა წაიღო. გადავწყვიტე, სხვა თემაზე გადამეტანა საუბარი.

— დღეს ნანკა იყო აქ, — უმაღ წარმოვთქვი.

მსწრაფლ ასწია თავი და გაკვირვებით შემომხედა.

— ვი-ინ? — თითქოს მოესმაო, ისე აზიდა ცალი წარბი.

— ნა-ნკა, — დამარცვლით გავიმეორე.

— მერე? რა უნდოდა, საქმე გაგირჩია? — ირონიულად ჩაიცინა.

— ჰო, რალაც ამდაგვარი, — შვებით ამოვისუნთქე, ნანკას სხენებაზე ასეთი რეაქცია რომ შევაძწინე.

— დასალევი არაფერი გაქვს? — მკითხა უცებ.

— დასალევი?

— ჰო, სასმელი... ღვინო, არაყი, კონიაკი...

— კონიაკი მაქვს, გოგოებმა რომ ამომიტანეს... ცოტა დარჩა.

— ვინ გოგოებმა?

— ნათია და გიულა იყვნენ ამასწინათ, ცოტა დავლიეთ.

— ვა! შენც სვა-ამ? — ახლა თბილად გამიღიმა.

— შეძლებისდაგვარად.

— მერე, მოიტა, რალას უცდი? ამიგრძე სტუმარი მოგივიდა და ყავით გინდა გაუმასპინძლდე?

— იქნებ არ ღირს? ისედაც ნასვამი ხარ, — შევაპარე.

— ნასვამი რომ ვარ, იმიტომ მინდა, თორემ ფხინელი რომ ვიყო, არ მომინდებოდა, არც მთვრალს, სხვათა შორის... ახლა კი გრადუსი მაკლია...

— რისთვის? რისთვის გაკლია, მეტი სითამამისთვის? — გავწინმატი. — უფრო ძლიერი რომ გამოჩნდეს, იმისთვის? უფრო გაბედულად რომ მეჩხუბო, იმისთვის? — მივაყარე ჩქარ-ჩქარა.

თვალები გაუფართოვდა.

— არა, ამისთვის არა...

მოიტანე და მერე გეტყვი, — ისე შემომხედა, როგორც პატარა ბავშვს — ლექსი თქვი და კანფეტს მოგცემო.

ხელმეორედ გავანყვე სუფრა, ახლა უკვე სასტუმრო ოთახში, თან დაძაბული ვიყავი, გული მქონდა დამძიმებული. არ ვიცოდი, სადამდე მივიდოდა დაწყებული საუბარი.

კონიაკი პატარა ჭიქებში ჩამოასხა, ერთი მე მომანოდა, მეორე მომიჭახუნა და პირი გააღო, რალაცის თქმა დააპირა.

— გაუმარჯოს, — თქვა და გადაპკრა.

— რას? — ჭიქიანი ხელი ჰაერში გამიშეშდა.

— რა ვიცი, ყველაფერს, — თქვა და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, თან თვალს არ მამორებდა.

— გაუმარჯოს ყველაფერს, რადგან ასე გინდა, — ჩავილაპარაკე და მოვსვი.

— ეგ არის, დალევა შემიძლიაო? აბა, ბოლომდე, ბოლომდე, — დამაძაღლა.

— არ მინდა, — თავი გავაქნიე.

— „შენ არ გინდა, ზურიკელას უნდა“. მიდი, დალიე. გოგოებთან თუ სვამ, ჩემთან რა გემართება? ცუდი თანაქენისა ხე ვარ?

სხვა რა გზა მქონდა, ბოლომდე დავლიე. თავისი ჩანგლით აიღო ერთი ლუკმა აჯაფსანდალი და მაჭამა. სიამოვნებისგან ჟრუნტელმა დამიარა სხეულში.

— ახლა მომიყვი, იმ ქალბატონს

რა უნდოდა... — თქვა და სასმელი ისევ დაასხა.

— ორსულად ვიყავიო...

— მართლა? ვისგანო? — ისე ლაპარაკობდა ბექა, თითქოს საუბარი მას კი არა, ვიღაც სხვას ეხებოდა.

— შენგან.

— აუჰ! საინტერესოა... მერეო?

— მერე ის მკითხა, შენ რატომ არ დაორსულდი ბექასგანო.

უცებ ისევ შეეცვალა სახე, ნერვი აუტოკდა საფეთქელთან და შიშნარევი მზერა მესროლა, ჩემზე ხომ არ არის გაბრაზებულიო. შეგნებულად აღარ გაეაგრძელე ლაპარაკი, მისი შეცბუნებული სახის ყურებით ვტკბებოდი.

— რა უპასუხე? — თვალი ამარიდა და თევზს ჩააშტერდა.

— არაფერი, მან უკვე იცოდა პასუხი. თქმა საჭირო აღარ გახდა. შენც ხომ იცი ამ კითხვის პასუხი? — ჩავეძიე.

— ვიცი...

— და?

— და ის, რომ მე შენთან სექსი არ მქონია... საიდან უნდა დაორსულებულიყავი?

— მან სხვა რამ მითხრა, — ყოყმანი დამეტყო ხმაში, ბექასგან ასეთ პასუხს არ ველოდი.

— ვიცი, რაც გითხრა, — დახშული ხმით თქვა და თვალები დახუჭა, — დალევ კიდევ?

— დავლევ. დედაშენის ხსოვნის იყოს,

— ვთქვი და ბოლომდე გამოვცალე. ბექა აყოვნებდა, სასმლით სავსე ჭიქას უაზროდ ატრიალებდა ხელში.

— დედაჩემისნაირი ქალი იშვიათობაა, — თქვა ბოლოს და უთქმელად გადაკრა.

— მიაყოლე რამე, — მზრუნველად ვუთხარი.

— არ მინდა... — თავი გადააქნია.

ამ დროს ქარი ისევ მოასკდა ფანჯრებს.

ბექამ გარეთ გაიხედა.

— ხედავ, რა ამინდია? ქარიც ჩემნაირად შფოთავს... — ყრუდ წარმოთქვა.

— შენ ამის მიზეზი არ გაქვს, — მისი დამშვიდება ცვადა.

— მაქვს... თანაც ძალიან სერიოზული მიზეზი მაქვს. სამი დღის წინ ვიყავი ექიმთან, ანალიზები გავიკეთე, პარასკევს პასუხი მითხრეს... — შეფიქრიანებული ლაპარაკობდა.

— რა პასუხი? — კინალამ გული გამიჩერდა.

— თუ არ იმკურნალე, უშვილოდ გადაშენდებიო, — კარგა ხნის პაუზის შემდეგ წარმოთქვა და შემომხედა.

სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— გესმის? მე კი სინდისი მქენჯნიდა, ნანკას როგორ დავაძალე მუცლის მოშლა-მეთქი. თურმე მომატყუა. მართალი ყოფილა დედაჩემი.

— მისგან არ მიკვირს, თავქარიანი ქალია, მაგრამ შენ? შენ რამ... — შეეწერდი, გამოგაშტერა-მეთქი, ვერ შევკადრე და შევეცვალე; — რამ გიბიძგა მასთან ურთიერთობისკენ? არ იცოდი, ვისთან იქერდი საქმეს?

— აბა, რა მექნა? ვისთანაც მინდოდა, იმან უარი მითხრა, ზურგი შემაქცია. გეკითხები, რა უნდა მექნა?

თვალები დავხარე. ამ კითხვაზე პასუხი არ მქონდა.

— ხომ ხედავ? კითხვის დასმა ბევრად ადვილია, ვიდრე პასუხის გაცემა.

— მაგრამ არა ყოველთვის.

— მაშინ გამეცი პასუხი.

— საკუთარი თავის განსჯა ბევრად ძნელია, ვიდრე სხვისი. ადამიანები შეცდომებზე სწავლობენ. როცა შეცდომას უშვებ და მერე ამას ხვდები, ჭკუა უნდა ისწავლო. ამას მონანიებადმი მიჰყავხარ, მონანიებას კი — ცრემლებადმი.

— ამჯერად რომელ შეცდომაზე საუბრობ, სოფი? — მოულოდნელად შეირხა და ხელი ხელზე დამადო. — არსებობს ასეთი გამოთქმა: როცა დილით ადგები, დაიბან და თავს წესრიგში მოიყვან, შენი პლანეტაც უნდა მოანესრიგო. შენ არ გიცდია საკუთარი პლანეტის მონესრიგება. შენ სულ რაღაცას ეძებ, ეძებ და თავადაც არ იცი, რას. იქნებ იცი და არ მეუბნები?

— მხოლოდ ბავშვებმა იცინან, რას ეძებენ, ბექა. ისინი საკუთარ სულს დათმობენ, ოღონდ მათი საყვარელი თოჯინა არავინ წაართვას და თუ წაართმევენ, ტირილით დააქცევენ ქვეყანას. მხოლოდ მათ შეუძლიათ თავიანთი მონაპოვრის დაცვა. დიდებს ეს არ ძალგვიძს... ხანდახან სიამაყე გვიშლის ამაში ხელს, პატივმოყვარეობა ან პირიქით, უსუსურობა, შიში... მე ალბათ, უბედურ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერება არ მინერია.

— ყველა ადამიანს თავისი ვარსკვლავი აქვს, რომელიც მის ბედისწერას განაგებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ ერთხელ არ გაგიმართლა, ცხოვრებაზე ხელი უნდა ჩაიქნისო. მომავლის არ უნდა გემინოდეს, თუმცა წარსულსაც პატივისცემით უნდა მოეპყრა. ვისაც მომავლის ეშინია, ის წარუმატებელი ადამიანია, ყოველთვის შეზღუდული იქნება ცხოვრებაში. წარუმატებლობა შენ გგონია, ცუდია? პირიქით, ის საბაბს გაძლევს, რაღაც ეტაპი თავიდან დაიწყო, თანაც უფრო ჭკვიანურად. ნესიერი წარუმატებლობა სამარცხვინო არ არის. სამარცხვინო ამ წარუმატებლობის წინაშე შიშია. წარსული რისთვის მისცა ღმერთმა ადამიანს? რა სარგებელი აქვს? ის, რომ შენი მომავალი ცხოვრების გზას ნათლად გიჩვენებს. იქიდან რაც მოგწონს, დაიტოვებ, რაც არ მოგწონს, დაივიწყებ და აღარ გაიმეორებ მომავალში. იფ-

იქრე მომავალზე.

— მე უკვე აღარა მაქვს მომავალი...

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ შენ ვერ გხედავ ამ მომავალში.

— რატომ, სად ჩავრჩი? რომელ მონაკვეთზე? — ხელზე ხელი მომიჭირა, ლამის კენესა აღმომხდა სიამონებებისაგან, რამდენ ხანს ველოდი ამ წუთებს.

— მე დავკარგე შენი სიყვარულის უფლება, ეგ არის მიზეზი, — ვგრძობდი, ჩემი აღსარების წამებზეც ახლოვდებოდა და ამაჯანყალა.

— დაკარგე? რატომ? ვის გამო? რამ შეგიშალა ხელი? განწყენინა ვინმემ? მითხარი, რატომ მიმაღავ? ვინმემ აგიკრძალა ჩემთან ყოფნა? თქვი, მითხარი და ყელს გამოვჭრი, თუ ასეა. მართლა დგას ჩვენ შუა ის...

— არა, არავინაც დგას ჩვენ შუა, დამიჯერე! — სასონარკვეთილმა წამოვიძახე.

— აბა, რა გვიშლის ხელს, ერთად ვიყოთ? რატომ მითხარი მაშინ უარი, რატომ მომკალი? რას მერჩოდი, რა გინდოდა? — ხმას აუწია ბექამ, სასმელი მოეკიდა.

საუბარი კულმინაციას მიუახლოვდა. ახლა ან უნდა მეთქვა ყველაფერი, ან უნდა დავმორებოდი და ალბათ სამუდამოდ. არადა... რომ ვერ გამიგოს ან არ დამიჯეროს? მისთვის რომ მიუღებელი აღმოჩნდეს იმ ამბის პატიება? ხომ მაინც მოგვიწევს დაშორება? ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს, რა მიზეზით დავმორდებით, თუკი ერთად ყოფნა არ გვინერია? სინდისი მაინც მექნება სუფთა, საიდუმლოს გულში ტარება მაინც არ მომიწევს, არც მთელი ცხოვრება დავიტანჯები უთქმელობით. რომ არაფერი ვუთხრა, გამოდის, უნდა მოვატყუო. როდემდე უნდა ვიცხოვრო ამ ტყუილით? ისედაც ბევრი ტყვილი გადავიტანე ცხოვრებაში. რაც იქნება, იქნება, ყველაფერს მოვუყვები.

— კარგი, გეტყვი, — მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე, მისი ხელი ფრთხილად მოვიშორე და თვალებში მივაჩერდი: — მე შენ მიყვარხარ, ბექა, დიდი ხანია, მიყვარხარ. ერთი წამიც არ მიცხოვრია შენზე ფიქრის გარეშე მას შემდეგ, რაც...

— ეგ გასაგებია, მერე? — ბექამ კონიაკი ჩამოისხა და ლოთი კაცივით დალია, სადღეგრძელოს გარეშე.

— გარემოებამ მაიძულა, შენთან ურთიერთობაზე უარი მეთქვა.

მოულოდნელად კარზე ზარის ხმა გაისმა. ისე შევხტი, გული საგულიდან ამომივარდა. დაახლოებით თორმეტი საათი იქნებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო ამ დროს?

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრო „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაჲ არ გაბაჲყვით თვალი.

1. ფინელმა მონადირეებმა სიგრძის საზომი ერთეული — პენიკუულუმა შემოიღეს, რომელიც დაახლოებით, 10 კილომეტრს შეესაბამებოდა. რა მანძილი იყო აღებული ეტალონად?
2. რომელი ქართველი პოეტია დაკრძალული ბელორუსიაში, ბერენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის სამო საფლავში?
3. დაასრულეთ არტურ შოპენჰაუერის სიტყვები: „ნუ ეტყვიტ მეგობარს იმას, რაც...“
4. დაასრულეთ მარკ ტვენის სიტყვები: „ადამი ბედნიერი კაცი იყო — როდესაც რაიმეს იხუმრებდა, შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ...“
5. XX საუკუნის 70-იან წლებში, საფრანგეთში უნიკალური კონსერვები გამოუმყვს — მათში მტვერი იყო დაკონსერვებული. ვინ ყიდულობდა ამ კონსერვებს და რისთვის?
6. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III გენერლებს არყით ხშირად უმასპინძლებოდა. მას სავსე ბოთლი ცოლის უჩუმრად, განიერი ჩექმის ყელში ჰქონდა დამალული. რას ეძახდნენ რუსები ფესხაცმლის ამ ნაწილს და რა გამოთქმა წარმოიშვა ამის შედეგად?
7. რის შემდეგ გამოუთქვეს ვალერი მელაქეს ეს ჩასტუშვა: „ბილ მელაქე ხოტ კუდა, ნო სვაიო ბერუტ გადა, ი ტეპერ ონ, იზვინიტე, ბეზ ვი-გრი ნიკუდა!“
8. ქართლის სამეფო სახლის წევრთაგან პირველმა ვინ მიიღო ქრისტიანობა?
9. როგორ ითარგმნება ქართულად სიტყვები: „ჩრევოუგოდიე“ და „გარტანობესიე“?
10. კაპიტოლიუმი, დამოუკიდებლობის სასახლე, აშშ-ის ხაზინა, ლინკოლნის მემორიალი, თეთრი სახლი. სად შეიძლება ყველაზე ხშირად (ამერიკაში ჩაუსვლელად) ამ შენობების ხილვა?
11. შევიცარიანი პაატა ბურჭულაძის საზოგადოება არსებობს. რა არის მის წევრთა უმთავრესი მიზანი?
12. სპარტაში სახელმწიფოებრივი თვითშეგნება უმაღლეს დონეზე იდგა. ერთხელ ლაკედემონელმა პედარეტმა სამასთა საბჭოს წევრობა ითხოვა და როცა უარი მიიღო, ალტაცებაში მოვიდა. რა გაუხარდა პედარეტს?
13. ეს ქართველი მწერალი საშინლად უყარათო და მფლანგველი ადამიანი იყო. ღმერთილა ჰყავდა დარჩენილი და ისიც მიაყიდაო, — ამბობდა მასზე აკაკი წერეთელი. დაასახელეთ იგი.
14. მისი მანძილი 42 კილომეტრი და 195 მეტრია. რაზეა ლაპარაკი?
15. ამერიკის ველური დასავლეთის მთელი ისტორიის მანძილზე მათი რიცხვი 20000-ს არ აღემატებოდა. ყოველი მესამე მათ შორის, ზანგი იყო, ყოველი მეოთხე — ინდიელი. ვისზეა ლაპარაკი?

ანეკდოტები

პოლიციელი სტუდენტს აჩერებს და საბუთებს სთხოვს.

- ჰოოო. ე.ი. არ ვმუშაობთ!
- არა, არ ვმუშაობთ.
- მაშასადამე, სახელმწიფოს ფულს ვჭამთ.
- კი, ვჭამთ.



- მაშ, სტუდენტები ვართ, არა?
- არა, სტუდენტები მხოლოდ მე ვარ.

ჩანანერი დღიურში: ბულიონი ისეთივე თბილი რომ ყოფილიყო, როგორც ღვინო, ღვინო იმ ხნის, რამდენისაც ქათამი, ქათამი ისეთივე ცხიმიანი, როგორიც ოფიციალტი და ოფიციალტი ისეთივე სუფთა, როგორიც ჩემი ჯიბეები, შესანიშნავი ვახშამი იქნებოდა.

ჩანანერი ავტომობილსაუბრეზე: „სავარაუდოდ, სახლში ვარ, მაგრამ ერთ უსიამოვნო ტიპთან ლაპარაკი არ მინდა. დატოვებ თქვენი შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკვთ, ე.ი. ის ტიპი თქვენ ხართ.“

— ბატონებო და ქალბატონებო, მოგესალმებით ჩვენი ავიკომპანიის თვითმფრინავის ბორტზე. ჩვენი თვითმფრინავი იმყოფება 11 კილომეტრის სიმაღლეზე, ფრენის სიჩქარე

900 კმ/საათში. ტემპერატურა ბორტს გარეთ -30 გრადუსია. ჰო, მართლა, შემთხვევით, ვინმეს ზედმეტი 40 ტონა საავიაციო ნავთი ხომ არ გაქვთ?

სპილო და ჭიანჭველა დაზვერვაზე მიცოცავენ. ჭიანჭველა სპილოს ეუბნება:

— აუუუ, სპილო, მე დამწვეს, მარტოკამ უნდა გააგრძელო გზა! აბა, შენ იცი!

პლაჟზე ბიჭი გოგოს ყურადღების მიქცევას ცდილობს:

- ქალიშვილო, იქ ნუ შეხვალთ, ღრმაა და დაიხრჩობით.
- გოგონამ აღმაცერად გადმოხედა და გზა განაგრძო.
- მიდი, მიდი... ნიანგები არ იძირებოიან! — გაბრაზდა ბიჭი.

ქალი სახანძროში რეკავს:

- მალე, ჩქარა! ვინვი!
- როგორ მოვიდეთ?!
- რას ჰქვია, როგორ მოხვიდეთ? თქვენი წითელი მანქანით!

— ტოლსტოის ვერ ვიტან. რამ დაანერინა „ომი და მშვიდობა“, ოთხი უზარმაზარი ტომია!

- რა იყო, ნაიკითხე?
- ეგლა მაკლია!.. ქსეროქსზე ვიღებ-დი.



საქორწინო სახლში:
 — რამდენი წლის ხართ, ყმანვილო?
 — 22-ის.
 — რამდენი წლისაა საპატარძლო?
 — 15-ის.
 — კი, მაგრამ, ეს არ არის ქორწინებისათვის შესაფერისი ასაკი.
 — მეც მაგას ვამბობ, მაგრამ ჩემ უკან კაცი რომ დგას, დიდი პისტოლეტი აქვს გარჭობილი ქამარში და არაფრის მოსმენა არ უნდა...

ინსტიტუტში გამოცდაა. ლექტორი სტუდენტებს ეკითხება:
 — კითხვა „ხუთიანზე“: რა მქვია მე? ყველა ჩუმადაა.
 — კითხვა „ოთხიანზე“: რა ფერისაა სახელმძღვანელო? ყველა ჩუმადაა.
 — კითხვა „სამიანზე“: რა საგანს ვაბარებთ?
 უკანა მერხებიდან მოგუდული ხმა ისმის:
 — ნახე, როგორ გვჭრის, ეს ახვარი!

— რაც უნდა თქვა, პატიოსნებას არაფერი სჯობია, — ეუბნება ჯონი მეგობარს.
 — საიდან დაასკვენი?
 — ამ დღეებში ძალი მოვიპარე. ბევრი ვინვალე და ათ დოლარადაც ვერ გავყიდე. მერე ავდექი, პატრონს მივუყვანე, იმან კი ოცი დოლარი მაჩუქა.

ბარბარა ხმამალა მოთქვამს.
 — რა მოგივიდა? ახლა არ მითხრა, შეყვარებულმა მიღალატაო! — ეკითხება დედა.
 — ჰო და თანაც, სამივემ ერთააად!

ღამე სასაფლაოსთან გოგო მიდის და შიშისაგან გული მისდის. ვილაც წამოენია და ეკითხება:
 — გეშინიათ?
 — ძალიან.
 — ცოცხალი რომ ვიყავი, მეც მეშინოდა.

ძმები კლიჩეობის მამას უნდოდა, მისი შვილები მოკრივეები გამოსულიყვნენ და ამიტომ, დაბადების დღეზე ორივესთვის მხოლოდ ერთ საჩუქარს ყიდულობდა.

— უკაცრავად, ეს ნესვი რა ღირს?



— ეს ნესვი არაა, მსხალია!
 — ააა... ეს საზამთრო რა ღირს?
 — ეს საზამთრო არაა, კიტრია!
 — უი, თქვენი მობილური რეკავს!
 — ეს მობილური არ არის, რადიაციის საზომი აპარატია!..

ახალგაზრდა ბიჭი მეგობართან ტრაბახობს:
 — ჩემს დობერმან-პინჩერს ციგურებით სრიალი ვასწავლე!..
 — ეს დობერმანი კი არა, ბოქსიორია!
 — დობერმანია! უბრალოდ, ციგურებით სრიალის დროს განერება ვერ ისწავლა.

გამოცდაზე სტუდენტი პროფესორს მიმართავს:
 — შეიძლება, კიდევ ერთი ბი-

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. დაახლოებით ის მანძილი, რომელზეც მონადირეს ძაღლის ყეფის ხმა ესმოდა.
2. მირზა გელოვანი.
3. „მტერმა არ უნდა იცოდეს“.
4. „სხვის სუმრობას არ იმეორებდა“.
5. კონსერვებს მელვინები ყიდულობდნენ. ისინი მტვერს ღვინის ბოთლებს აყრიდნენ, რათა მათ პროდუქციას სიძველის ელფერი მისცემოდა. ამ გზით, ღვინის მაღაზიის მფლობელები ყველაზეჭირვეული მომხმარებლის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ.
6. ჩექმის ამ ნაწილს რუსები „ხალიავას“ ეძახდნენ. აქედან გაჩნდა გამოთქმა: „ზახალიავანია ვოდეკა“.
7. მას შემდეგ, რაც მომღერალმა ანსამბლ „ვია გრასთან“ კლიპი ჩაწერა.
8. ნანა დედოფალმა. მან ქრისტეანობა მას შემდეგ მიიღო, რაც წმინდა ნინომ იგი უკურნებელი სენისგან განკურნა.
9. „ნაწროვანება“ და „გემოთმოყვარეობა“.
10. აშშ-ის დოლარის სხვადასხვა კუბურაზე.
11. შეძლებისდაგვარად დაესწრონ მომღერლის ყველა კონცერტს.
12. სპარტაში ჩემზე უფრო ღირსეული სამასი კაცი აღმოჩნდაო.
13. ალექსანდრე ყაზბეგი.
14. მართაონულ დისტანციაზე.
15. კოვბოებზე.

ლეთი ავილო?
 — შეიძლება, ოღონდ რკინიგზის სალაროში!..

ჩვენი უოსტო მანქანა

ძვირფასო მკითხველბო!

ეს ფოტო პროფესიით იურისტმა, 25 წლის ნინო იოსელიანმა, გამოგვიგზავნა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონკრეტულ მისამართზე „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსელიანის ქ. №49.

მაკიაჟის ბაბითების უნივერსალური ხმარებები

შესაძლოა, დეჟორატიულ ჯოსმეტიკას დიდი ხნის მანძილზე იყენებდეთ, მაგრამ მისი შესაძლებლობები ბოლომდე მაინც არ იცოდეთ. გთავაზობთ ცნობილი ვიდეოსტების რჩევებს:



თუ ხელთ არ გაქვთ მოცულობის მომცემი ტუში, ჩვეულებრივი, ფხვიერი პუდრი მიიფრქვიეთ წამწამებზე, შემდეგ კი წაისვით ტუში — წამწამები უფრო ხშირი და ფუფულა გამოჩნდება. გამოიყენეთ თეთრი სადაფისფერი ჩრდილი, რომელსაც წაისვამთ თვალის შიდა კუთხეში, ზედა და ქვედა ქუთუთოებზე, ასო V-ს ფორმით.

თუ გინდათ, საღამოს სწრაფად შეისწოროთ მაკიაჟი, ქალაქის ნოტიო ხელსახოცით დაისველეთ სახე, მოიშორეთ დღის განმავლობაში დაგროვილი მტკერი, შემდეგ მსუბუქად გადაისვით პუდრი. წამწამებზე ტუშს ნულარ დაიმატებთ, რადგან ჩამოცვენას დაიწყებს.

მაკიაჟმა დიდხანს რომ შეინარჩუნოს სახე, წაისვით ტონალური კრემი უშუალოდ განმედილ კანზე — არ გამოიყენოთ მაკიაჟის საფუძ-

ველი და გადაისვით პუდრი. შემდეგ აიღეთ ყინულის 3 კუბურა და ენერგიული, წრიული მოძრაობით გადაატარეთ სახეზე. არ შეგეშინდეთ მაკიაჟის გათხაპნის. თითოეული კუბურა გამოიყენეთ მანამ, სანამ დნობას დაიწყებს.

მაკიაჟის მდგრადობის გასაზრდელად, ქუთუთოებზე ჯერ ტონალური კრემი და პუდრი წაისვით, შემდეგ თვალის კონტური შემოხაზეთ. შეგიძლიათ, პუდრი ფანქრით გავლებულ ხაზსაც გადაუსვათ ან იმავე ფერის ჩრდილი წაისვათ. ტუჩებზე დაიდეთ ტონალური კრემის ან პუდრის თხელი ფენა, შემდეგ კონტური ფანქრით შემოხაზეთ და ფუნჯით პომადა წაისვით.

არ დაივიწყოთ მარტივი ნესები: ტონალური კრემი თხელ ფენად გადაისვით მთელ სახეზე, ქუთუთოების, შუბლისა და ყელის მიდამოების

ჩათვლით. კრემი დააფიქსირეთ ფხვიერი პუდრით, რომელიც საბოლოოდ ათანაბრებს ფერს, ფარავს ფორებს და რელიეფურ გამოხედილობებს. ტონალური კრემი თანაბრად რომ განაწილდეს და ნაკლებმყვირალა იყოს, შეგიძლიათ შეურიოთ დამატენიანებელ კრემში — 3:2 თანაფარდობით.

ღანვებზე მიიფრქვიეთ ნამზეური ფერის „რუმიანა“ და ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ. ცხვირის ზედაპირზე, ვიწრო ზოლად, სწორად გადაისვით სპილოსძვლისფერი ჩრდილები. ამასთან, თუ ცხვირის ვიზუალურად დაპატარავება გსურთ, ზოლი ცხვირის წვერიდან 1 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული. ოდნავ შეახეთ ფუნჯი ცხვირის წვერს, ბიბილოს და ნიკაპს.

გააკეთეთ აქცენტი მკაცრად განსაზღვრულ ოთხ ნერტილზე. I ნერტილი აღნიშნეთ წარბების საწყისთან ანუ ცხვირის ფუძესთან. ამ ნერტილიდან წარბების ზრდის მიმართულებით, გადაისვით ფუნჯი; II და III ნერტილი — ღანვები და ღანვქვეშა სივრცე (ფუნჯი ოდნავ შეახეთ). დაბოლოს IV ნერტილი — დააფიქსირეთ ზედა ტუჩზე, I ნერტილის გასწვრივ და ტუჩის კონტური გაატარეთ წარბების ხაზის პარალელურად. აღნიშნული ნერტილები წარმოქმნის „რომბს“, სახე ვიზუალურად გადატკეცილია და უფრო ახალგაზრდულად და მიმზიდველად გამოიყურება.

ზოსტენეულის რაგუ



მასალად საჭიროა:

- 500 გ კომბოსტო;
- 1 თავი ხახვი;
- 400 გ კარტოფილი;
- 1 ლ საქონლის ხორცის ბულიონი;
- მარილი, პილპილი გემოვნებით;
- 300 გ საქონლის ხორცის ფარში;
- 3-4 ს/კ ორცხობილას საფანელი;
- 1 ცალი კვერცხი;
- 1 კონა ოხრახუში;
- 1-2 ცალი დაფნის ფოთოლი;
- 150 გ არაყი;
- 1 ს/კ ლიმონის წვენი.

მომზადების წესი:

დაჭერით კომბოსტო და ხახვი წვრილად, კარტოფილი და ჭარხალი კი — კუბურებად. ზოსტენეული ჩააწყვეთ ბულიონში, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი და ხარშეთ 45 წთ. ფარშს შეურიეთ კვერცხი და ორცხობილას საფანელი. დაუმატეთ მარილი, პილპილი, მოამრგვალეთ პატარა ბურთულებად და ხარშვის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ჩაუშვით ბულიონში. არაჟანში შურიეთ ლიმონის წვენი და რაგუს მოასხით. კერძი ოხრახუშის ფოთლებით გაალამაზეთ.

„მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ“ – ანუ რა სჭირდება ქალს ბედნიერებისთვის

ნათქვამია, ქალს ბედნიერებისთვის ცოტა სჭირდებაო, მაგრამ რამდენია ეს „ცოტა“, არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია: მის დასათვლელად, თითები არც ერთ ქალს არ ეყოფა. თუმცა მაინც არსებობს ძირითადი კომპონენტები, რომელთა არსებობასაც ის ბედნიერებად მიიჩნევს. მაშ ასე, ქალი ბედნიერად გრძნობს თავს, როცა:



- შეუძლია დილით იმ დროს გაღვიძება, რა დროსაც სურს, და ამავდროულად, თავს ლოგინში ნებივრობის უფლებასაც აძლევს. თანაც, ყოველ დილით სიამოვნებით იმეორებს: „მე ახალგაზრდა და ლამაზი ვარ!“.

- აქვს ლამაზი, თვალისმომჭრელი თმა და მომაჯადოებელი ვარცხნილობა.

- გემრიელად საუბრობს, მიერთმევს იმდენს, რამდენიც სურს და იმას, რაც უყვარს — თანაც ისე, რომ წონაში მომატების საშიშროება არ ემუქრება.

- როცა გარეთ საშინელი თავსხმა წვიმა და ცივი ქარია, არსადაა წასასვლელი და შინ, ტელევიზორის წინ მოკალათებულს, ფინჯანი ყავის თანხლებით, საშუალება აქვს, მეთასედ უყუროს საყვარელ ფილმს.

- ნებისმიერ დროს შეუძლია, ინებივროს ცხელი შხაპის ქვეშ და თანაც, მთელი ხმით იმღეროს, რადგან ყველაფერი ისევე კარგადაა, როგორც მაშინ, როცა „ის“ გაიცნო.

- აქვს საშუალება, შეიძინოს ის ნივთები, რომლებიც ძალიან მოსწონს და გრძნობს, როგორ შურიან მზერას ადევნებენ ქალები, ხოლო ალტაცებულს — მამაკაცები.

- უყურებს ჰოლივუდის სუპერმენებს და ფიქრობს: „მე რა, ამათზე ნაკლები მყავს?!“.

- მშობლები ყველანაირად უწყობენ ხელს და თანაც არ ბუზღუნებენ, რომ გამოუსწორებელი ეგოისტი გაზარდეს.

- ხშირად აქვს სურვილი და საშუალება მხიარულ თავყრილობებზე წასასვლელად, სადაც ბევრს იცეკვებს და შინ დაბრუნებული აღმოაჩენს, რომ ორივე ფეხსაცმელს ქუსლი ადგილზე აქვს.

- მისი რჩეული ხშირად უძღვნის საჩუქრებს და კომპლიმენტებით ანებივრებს.

- ახლობლები ხშირად ეუბნებიან, რომ ფანტასტიკურად გამოიყურება და მისი ასაკი აღარც კი ახსოვთ.

- კბილის ექიმთან და საერთოდ, ექიმთან, აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის იყო.

- ცივ, საშინელ ამინდში შინ დაბრუნებულს, თბილი, გაჩახჩახე-

ბული ბინა, ცხელი ჩაი და საყვარელი ადამიანი ხვდება.

- უცებ აღმოაჩენს, რომ ჯულია რობერტსი იმავე სუნამოს ხმარობს, რომელსაც — ის.

- თანამშრომლები აღფრთოვანებულნი არიან მისით და ხელმძღვანელობისგანაც მუდმივად გრძნობს, რომ შეუცვლელია.

- დაბადების დღეზე სანოლთან უზარმაზარი თაიგული ხვდება ბარათით: „გილოცავ! ძალიან მიყვარხარ!“.

- ჩანთაში დიდი ხნის მივიწყებულ ოცლარიანს სწორედ მაშინ აღმოაჩენს, როცა ჰგონია, რომ მხოლოდ ორი ლარილა დარჩა.

- ზაფხულში, შვევულების გატარება დაგეგმილი აქვს უახლოეს, საყვარელ ადამიანებთან ერთად და სწორედ იქ — სადაც დასვენებაზე დიდი ხნის წინ ოცნებობდა.

- ღამით მშვიდი ძილით სძინავს და ღამაზე სიზმრებს ხედავს.

- მაცვივარში ყოველთვის აქვს ის ნუგბარი, რომელიც ძალზე უყვარს და დასვენების დღეებში მთელ დღეს ტუბილუდით პირგამოტენილი ნეტარებს.

- ყოველთვის შეუძლია თქვას: „ხვალინდელი დღე, დღევანდელზე მხიარული და ბედნიერი იქნება“.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი „რეცეპტების“ უმრავლესობის არარსებობას არ განიცდის, ქალს გულწრფელად შეუძლია თქვას, რომ ნამდვილად ბედნიერია.


რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. №აიწიეეე აბიიბიბ	11.65	69.7
4. №აიწიეიბი ცაიბიბიბი	7.00	41.8
5. №აიბიბი	4.00	24.0
6. №აიბიბიბიბი	0.80	19.9
7. №აიბიბ		

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრების გაერთიანების სააგენტო
საქართველო
ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kivrispaizra.com



დიდგორის საფა უჩინდაოს Xპარი

მოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-21

უგუნურობას საზღვარი არ აქვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა უგუნური გაცეცხლებულია და თანაც შურისმაძიებელ ძალას გრძნობს მასზე, ვინც სიტყვითა და თუნდაც იარაღით ვერ დაიმორჩილა...

ერთ უგუნურებას, მეორე მიამატა მეფე გიორგიმ. ვეფინს მოხსნილი ქართული ლაშქარი იმერეთს დაძრა. თურქული კი...

გასამრჯელოს ელოდა სარბევად მოსული სელჩუკი. რით უნდა მიეცა საფასური „ემუზზე“ ნადირობით გატაცებულ მეფეს?..

„დონღუზს“ არ ჭამენ თურქნი!.. ვერ დაპატიჟებდა სანადიროდ და სანადიმოდ. თანაც თურქნი საქართველოში ამისთვის არც იყვნენ მოსულნი...

ივრის ხეობა სარბევად დაუთმო თურქებს გიორგიმ!..

თურმე სხვა იყო ის. აღსართანისა და ესე იგი, არაქართველთა. ალბათ, ეგონა გიორგის, რომ არა სტიკიოდა კახს თურქის დაკრული მახვილი და მათრახი...

იმ საქართველოს შეუსია თურქნი, რომლის ერთი საომარი დროშის ქვეშ გაერთიანებაზე ოცნებობდა მისი მემკვიდრე...

ცეცხლითა და რკინით მოედვნენ ივრის ხეობას თურქები. იავარქმნეს ყველაფერი, რასაც მისწვდნენ. გადაწვეს სოფლები, გაძარცვეს ეკლესიები, ტყვედ გარევეს მოსახლეობა...

აბ ტავილი ჯერაც ცოცხალი იყო, როცა გიორგიმ ალყა მოხსნა ვეფინს და აღსართანსაც არ შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ ერთ ან ორ დღეში

რუსთავი დაეცემოდა. იმავეს ფიქრობდა გიორგიც...

იქნებ მარტო ტახზე ნადირობა არ იყო ალყის მოხსნის მიზეზი. გადაიღალა მეფე. ეჭვიც უწინკნიდა სულს. არ მისცა მალიქ შაჰმა იმდენი მეომარი, რომლითაც ერთის დარტყმით მოულებდა ბოლოს კახთ მეფეს. ომი გაჭიანურდა. მოახლოვდა შემოდგომა. მალე ზამთარიც დადგებოდა. თოვლი და ყინვა წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა შემტევ ჯარს. აღსართანს კარგად ჰქონდა მომარაგებული ვეფინის ციხე. ის გაუძლებდა ალყას, მაგრამ გაუძლებდა თუ არა მისი ჯარი ხანგრძლივ გარემოცვას?..

გიორგი ფიქრობდა, რომ ვერ გაუძლებდა. შემოდგომაზეც კი გაუჭირდა ჯარის ხვასტაგით მომარაგება. მეომრები შიმშილობდნენ და რა იქნებოდა ზამთარში?..

უფრო თურქთა დამშევა აფიქრებდა. მისი სპა შიმშილსაც აიტანდა და სიცივესაც. მაგრამ თურქები?..

არ იყვნენ ისინი ამისთვის მზად. წესად ჰქონდათ საქართველოს გაზაფხულ-ზაფხულში დალაშქვრა. შემოდგომის დადგომისას კი შირვანს გადადიოდნენ. სიცივეს გაურბოდნენ და გაშმაგებული დამშეულები სარჩოს საძიებლად ახლომახლო სოფლებს მოედებოდნენ. კახთა სოფლების ბედი არც ადარდებდა გიორგის, მაგრამ თურქები რომ წასულიყვნენ, მარტო დარჩებოდა აღსართანისა და მისი ლაშქრის პირისპირ.

მერე რა, რომ კახეთს უკვე მოემართებოდა მისი მემკვიდრე დავითი და ჭყონდიდელი?!

ჭყონდიდელი ხვასტაგს ჩამოუტანდა მოალყე ჯარს, მაგრამ ადრე თუ გვიან, მაინც დაიმშეოდა სპა...

დავითი?.. დავითი ჭაბუკი იყო. სწამდა გიორგის, რომ ოდესმე მისი მემკვიდრე ღირსეულად გაუძლებოდა ომს. ახლა კი...

არა ჰქონდა მისგან რუსთავის ალები იმედი. წვრთნად უთვლიდა მომავალ მეფეს რუსთავს ლაშქრობას. იკენწლავებდა ალი ბაჰადურთან, რომელიც კარგ სარდლად მიაჩნდა. იმდენად კარგ სარდლად, რომელსაც ჯერჯერობით ვერ დაამარცხებდა მისი ძე. ფიქრობდა: ისარდლებს დავითი და რომ მიხვდება, ჯერ ადრეა მისთვის დიდი ომი, უკუიქცევა

რუსთავიდანო.

ვეფინს ჩამოსვლაც კი არ დაუვალებია მემკვიდრისთვის. დაგვიანებული იყო ომი და რისთვის უნდა ეტარებინა ლაშქარი?.. მაინც ხელცარიელთ მოუწევდათ უკან გაბრუნება. სამაგიეროდ ომს შეისწავლიდა და საქართველოს მომავალ შეტაკებებში მოუტანდა გამარჯვებას...

თურქთა წესს აპყვა ქართველი მეფე. ზამთარს, ზაფხულში ომი არჩია და ლაშქარი უკან გამოაბრუნა და არა უწყოდა რა, რომ მისმა მემკვიდრემ აბ ტავილის ჯარიც მტკვრის ნაპირზე მოფინა და რუსთავის ციხეც გატეხა. და იმ დროს, როცა ქართული ლაშქარი ვეფინს ეხსნებოდა, ალი ბაჰადური ტაჯგანალნაკრავი უკანალით გარბოდა შირვანს...

იმ დავითის განდევნილი, რომელსაც მტერიც და მოყვარეც ომის უცოდინარ ჭაბუკ უფლისწულად მიიჩნევდა...

მაგრამ არ იცოდა ამის შესახებ მისმა მამამ. სითბოს მოყვარულ თურქთა წესს მიჰყვა. გაზაფხულისთვის გადადო ომი. ან სირცხვილს გაერიდა, რომელსაც დაუმორჩილებელი თურქული ჯარი უქადდა. უკან გამოაბრუნა ქართული ლაშქარი და ძირშივე მოჭრა ის ნერგი, რომელიც თავისი გამარჯვებებით გამოეზარდა, მის ადრეულად დაღვინებულ მემკვიდრესა და მის სარდლებს...

გააოგნა აღსართანი ალყის უეცარმა მოხსნამ. არც მან იცოდა აბ ტავილისა და მისი ჯარის განადგურების შესახებ. რუსთავს გაგზავნილი მსტოვარი არსად ჩანდა და არსად ჩანდნენ მისი გამცილებელი დაიაურები. ნაბრძანები ჰქონდა აღსართანს:

როგორც კი აბ ტავილ უფლისწულის ჯარს განადგურებს და უფრო უკეთესი, თავად დავითს გაისტუმრებს იმ ქვეყნად, მაშინ მეახლე კარგი ცნობითო.

მაგრამ გაქრა მსტოვარი და გაქრნენ დაიაურებიც. მათ მოლოდინში კი გიორგიმ ალყა მოხსნა.

გახარა აღსართანმა: დამარცხდა დაუძინებელი მტერიო! მაგრამ მაინც ვერ გაბედა ვეფინიდან გასვლა.

ხაფანგს ხომ არ მიგებს იმერთ მეფე და ჩემი ციხიდან გატყუება ხომ არ ჩაუფიქრებიაო?

ამ დროს მოვიდა მსტოვარიც. იმ ბრძოლის ამბავი უამბო, როცა თავი დაკარგა აბ ტავილმა.

დიდხანს იჯდა აღსართან მეფე მღუმარედ. მერე ჰკითხა:

არაგვის ერისთავის ნათლულნი რა იქნენო?

არა იცოდა რა, მათ შესახებ მსტოვარმა. ბოლოს, ბრძოლად მიმავალნი

ეხილა. თავად არ იყო მეომარი. ხმალ-ხანჯალს მოსაჩვენებლად ატარებდა. სხვა იყო მისი იარაღი. გაქნილი ენა, სხარტი გონება, სანამლავი. უკიდურეს შემთხვევაში, ზურგშიც შეეძლო მახვილის დაკვრა...

იმ საღამოს იხმო ატ ტავილმა. კარავში საომრად მოკაზმული შეეგება. თორი და ფარ-ხმალი აესხა. უბრძანა:

დავითის ბანაკს ვესხმით თავს ამაღამ და შენც უნდა შეახლოო!

ფრთხილად შეაპარა მსტოვარმა: — დიდ ატ ტავილს ქვიშის მარცვალზე მეტი ჰყავს მამაცი მეომარი. მე კი ერთი ვყავარ. სიკვდილის არ მეშინია, სარდალო, მაგრამ რამე რომ შემემთხვეს, შენი გამარჯვების ცნობას ვინ ჩაუტანს მეფე აღსართანს? — გაეცინა ატ ტავილს.

— გაიძვერა ხარ, მაგრამ საჭირო გაიძვერა. ჩემს მეომარს უარი რომ შემოეხებოდა, იქავ გავაგდებინებდი თავს, მაგრამ შენ გაპატიებ. კარგი, დარჩი ბანაკში, მაგრამ შენი მცველი მთიელები მაინც უნდა მახლო!

ამაზე უარს როგორ იტყოდა მსტოვარი. იქნებ მართლაც გაენაწყენებინა ატ ტავილი. თანაც აღსართანის ბრძანებაც ჰქონდა:

დაიაურები ბრძოლაში გააყოლე ატ ტავილსო!

გვიან ღამით დაიძრა ატ ტავილის ლაშქარი. ფხოველებიც თან გაიყოლა თურქმა. მსტოვარი ბანაკში დარჩა.

მთელი ღამე ჩაესმოდა მეომართა ყიჟინა და ხმალთა ჩხარაჩხური. უხაროდა:

იმარჯვებს ატ ტავილიო!

მაგრამ ამო აღმოჩნდა მისი სიხარული. დილით საკუთარი თვალით იხილა მტკვრის ნაპირზე მოფენილი, ატ ტავილის ლაშქარი. მერე ხმა გავარდა:

ატ ტავილს თავი მოჰკვეთეს ქართველებმაო!..

სხვა ცნობას აღარ დალოდებია მსტოვარი. ბანაკში დარჩენა სახიფათო იყო. მალე ქართველები მოაკითხავდნენ ატ ტავილის სადგომს და იქ რომ დაეჭირათ, მართლა არ შერჩებოდა თავი. ცხენს მოახტა და აღსართანთან გაქუსლა. ძაგანისძის ნათლულების შესახებ კი არაფერი უწყობდა. ისინი ატ ტავილმა წაიყვანა და მას შემდეგ მსტოვარს აღარ უნახავს. ისევე, როგორც ატ ტავილის ლაშქრის სხვა მეომრებიც, მათი უმეტესობა ქართველების ხმლებს შეენირა. რამდენიმე ასეულმა შეძლო თავის დაღ-

წევა, მტკვარი გადაცურა და რუსთავის ციხეს შეეფარა, მაგრამ მათ შორის იყვნენ თუ არა დაიაურები, მსტოვარმა არ იცოდა.

თავზარი დასცა აღსართანს ატ ტავილის დალუპვამ და მისი ლაშქრის განადგურებამ. ერთი ის იყო, რომ ძლიერი მოკავშირე დაკარგა. მეორე კი — ატ ტავილის მოშობა ძალას შემატებდა ბაგრატივანთ. ახლა უფრო ძლიერად შემოუტყვედნენ კახეთ-ჰერეთს და პირველ რიგში, მის სამყოფელს — ვეჟინის ციხეს.

მაგრამ ამის მაგივრად, გიორგიმ ალყა მოხსნა ციხეს და უკან გაბრუნდა.

— ხაფანგს გვიგებს იმერთ მეფე! — ზედმეტი ბჭობის გარეშე დაასკვნეს აღსართანის სარდლებმა. თავადაც დაეთანხმა კახთა მეფე სარდლებს. საეჭვოდ ეჩვენა ატ ტავილის განადგურების მერე ალყის მოხსნა. იფიქრა, ციხის გარეთ მიტყუებს მეფე გიორგი, მისაჩვენებლად გაერიდა



ვეჟინსო.

ვიდრე აღსართანი ბაგრატივანთა გეგმების ამოცნობით იყო დაკავებული, ვეჟინს მისი ძმისწული და მემკვიდრე, კვირიკე ჩამოვიდა. იმან უამბო მტკვარზე დავითის ლაშქრის გამოსვლისა და რუსთავის ციხესთან დაბანაკების ამბავი. ბოლოს უთხრა:

— ფხედაფხე გამოვასწარით მე და რატიმ. ახლა უკვე გარემოცული ექნება ციხე დავით უფლისწულს და ალბათ გააფთრებული ეომებიან ერთმანეთს ის და ალი ბაჰადური!

გამოვასწარითო!.. — იფთქა აღსართანმა. — ლიპარიტის ძისა არ მიკვირს. ძალა იგრძნო და ეგრევე გაიპარა ბრძოლის ველიდან. იქნებ ხვალ ბაგრატივანებთან ერთად მოგვიხტეს კახეთს, მაგრამ შენი გამკვირვებია. მისთვის მოგავლინე რუსთავს, თხუთმეტი წლის ღლაპის

გამოჩენის თანავე რომ გამოქცეულიყავი უკან?.. ანდა სად გამობოდი და როდემდე აპირებ ბრძოლას გარიდებას. იმაზე თუ გიფიქრია, რომელ ციხეს მიაყენებენ ბაგრატივანნი ჯარს რუსთავის მერე?! — იწყინა კვირიკემ.

— ხელში რომ ჩავგედე, იქვე წამაგდებინებდა დავითი თავს. განა, ასე არ მოექცა ატ ტავილს?.. საკუთარი თვალთ ვნახე, სარზე წამოგებული მისი თავი!

— ჩემი ნათლულები ხომ არ გინახავს რუსთავს? — ჩაურთო ძაგანისძემ.

— არა... დავითის სპას ატ ტავილის სამასიოდე მეომარი გადაურჩა, მაგრამ მათ შორის ფხოველები არ ყოფილან, — უბასუხა კვირიკემ.

გაქვავებული სახით მოისმინა ბერდია დაიაურმა ეს ცნობა. ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია, მაგრამ მაინც მიხვდა ძაგანისძე, რა ცეცხლი უტრიალებდა ატ ტავილს ხევისთავს, — მისი დამშვიდება სცადა.

— გაფრთხილებული მყავდა ორივე, თავი არ გამოედოთ. ბრძოლას გაერიდებოდნენ და ვეჟინს წამოვიდოდნენ. ვინ იცის, იქნებ სადმე აქვე არიან და ციხეში შემოსვლა ვერ მოუხერხებიათ, — იუარა ბერდიამ.

— ჩემზე უკეთ ვინ იცნობს ჩემს შვილებს? რაც არ უნდა ყოფილიყო, ბრძოლას არ გაერიდებოდნენ და ციხესთან რომ იყვნენ, შემოსასვლელ გზასაც მონახავდნენ. ნუ მანყნარებ, ერისთავო. სიკვდილი ომის წესია. იმაზედ მწყიდება გული, რომ ძალიან ახალგაზრდებს უმუხთლათ ბედმა. ვიცი, რომ ცოცხლები

აღარ არიან და ერთი რამ მინდა მარტო: მოვძებნო და ქრისტიანულად მივაბარო მინას.

გაუკვირდა არაგვის ერისთავს. მოვძებნოო, — თქვა დაიაურმა, მაგრამ ომი ჯერაც არ იყო დამთავრებული. მართალია, გიორგი მეფემ ალყა მოხსნა, მაგრამ ვეჟინს ჯერაც არ იცოდნენ, სად იყო მისი ლაშქარი და რა ხდებოდა რუსთავში. ახლა ციხიდან გასვლა საშიში იყო. შეიძლება, გიორგი უგებდა მახეს და მის ლაშქარს გადასწყდომოდნენ ფხოველები. ასეც რომ არ ყოფილიყო, რუსთავს მაინც ვერ ჩავიდიოდნენ. ატ ტავილის ლაშქარი განადგურებული იყო და რუსთავის ციხესთან ბანაკად იდგა დავით უფლისწული. ის სისხლდაუდენელად არ გაუშვებდა აღსართანის მოკავშირე ფხოველებს.

მაგრამ არ გადათქვა ბერდიამ;

— მე რომ ავესხიპე ხმალს, ჩემი შვილები გულხელდაკრეფილები არ დასხდებოდნენ. მკვდარს მომძებნიდნენ, მიწას მიმაბარებდნენ და სისხლსაც აიღებდნენ. ვეჟინს მალვას, ბაგრატოვანთა ხმლით სიკვდილი მიჩვენებია. პირნათელი მაინც შევხვდები ჩემს შვილებს იმ ქვეყანა! — თქვა და ფხოველთ ლაშქრობად მზადებაც უბრძანა...

დილა იყო. ამომავალი მზე სახეში ურტყამდა. ესე იგი, ისევე სახლსა და მშობლიურ ხეობას შორდებოდნენ. შინ დასაბრუნებლად ზურგი უნდა შეექციათ მზისთვის და მთისკენ მიმავალ ბილიკებს შესდგომოდნენ. იქვე იყო ის გზაც, სულ ახლოს, მაგრამ ფხოველები და მამა საპირისპირო მხარეს, ვეჟინს ეგულებოდათ და ისინიც მზისკენ მიიწევდნენ.

მხარდამხარ მიდიოდნენ. ორივე ისე ჩაძირულიყო ფიქრებში, თითქოს მართო იყო და გვერდით ტყუპისცალი არ მიჰყვებოდა.

მუროჩი პირველი ალაპარაკდა:

— ისე მგონია, თითქოს საკუთარ დასაფლავებაზე მივდიოდე.

— რაით ამბობ მაგას? — შემოხედა უშიშამი.

— რით უნდა დავბრუნდე ფხოვს?.. ვერც ნათლიას გამოვადექით და ვერც ომსა. რა უნდა ვუთხრათ მამას?.. როგორ ჩავცვივდით ტალახში და როგორ გვიწყალბა სიცოცხლე ბაგრატოვანთა უფლისწულმა?! — გაბრაზდა მუროჩი.

— განა, შენ არ შეგინწყალბია მტერი? — დინჯად თქვა უშიშამი.

— არა და არც შევიწყალბე! წინასწარ უნდა იფიქროს ყველამ, რაც მოსდევს ხმლისა ქნევისა და მტრობასა. ერთს შევიწყალბე — ვაჟკაცს, რომელსაც ხმალი გაუტყდების ვადაში ან ფეხი დაუცდების. თანასწორს — არა! — ფიცხად წამოისროლა მუროჩი.

— არც არის უფლისწული ჩვენი ტოლი. ის მეფეთა სისხლისაა, ჩვენ კი... — არ დაამთავრა უშიშამი.

— ჩვენი ტოლია!.. სასახლეშია ის მეფეთა სისხლისა. სიკვდილის წინაშე კი ყველა თანასწორია! — ცეცხლი მოედო მუროჩის.

— მაშ, არ შაინდობდი? — სადავე მოზიდა უშიშამი.

— არა-მეთქი!.. და ვფიცავარ გუდანის ჯვარსა — თუ კიდევ მოგვინია შეხვედრამ, მწარედ ვანანებ ამ დღეს ბაგრატოვან უფლისწულს! — შეჰყვირა მუროჩი.

— განა, შენ არ შეგინდვია მტრისთვის? — გაუკვირდა უშიშამი.

— როდის?! — შემოხედა მუროჩი.

— ასლან მურზას შთამომავალი,

აზატი, — ძურძუკებთან შეტაკება შეასხენა უშიშამი.

— ის შევრდომება არ იყო. ამით დავსაჯე აზატი. იცოცხლოს დრომდე. იცოცხლოს, ახსოვდეს, ვისგან დარჩა ნიშნად ის იარა და ეშინოდეს იმ დღისა, როცა კიდევ მოუწევს ჩემთან შეხვედრა. ვაჟკაცს ასე არ მოექცევინ და არც იყო მურზას ვაჟი ვაჟკაცი. გაბედული მეომარი სისხლდადენილი არ გაბრუნდებოდა შინ. ერთი-ერთზე ვიყავით. ხმალიც წელზე ეკიდა. იქავ კი მისი მამა და ბიძა ეყარნენ მკვდარნი, მაგრამ აზატმა გაცლა ირჩია. სირცხვილით სიცოცხლე არჩია, სახელიან სიკვდილსა. ვიცოდი, რომ სულით ტურა იყო და მიტომაც დავტოვე ცოცხალი!.. მაგრამ ის აზატი იყო, ძურძუკთა მოდგმის სირცხვილი. ჩვენ კი?! რისთვის დავტოვა ცოცხლები ბაგრატოვანთ უფლისწულმა?! — ბრაზით განაგრძო მუროჩი.

— ეგ მისი საქმეა, — უდარდელად ჩაილაპარაკა უშიშამი.

— არ არის მისი საქმე!.. დიაცე-ბივით გვემონენ. ჭაობში ჩაფლულთ წაგვადგენ თავსა. ჯობდა, გვერდი აველოთ. დავიხრჩობოდით და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. გულჩვილი არ არის ბაგრატოვანთა უფლისწული. ადვილი იყო ჩვენი შენდობა. უნდოდა ეთქვა: ქართველთა სისხლის საღვრელად არ მოვსულვარო!.. და მერე ჩვენ რომ გვეთქვა ფხოველთათვის: რაინდია უფლისწული დავით. თურქთა წინააღმდეგ აღუმართავს მახვილი. მათ განდევისის საქართველოდან, აღსართანსა და კვირიკეს კახეთ-ჰერეთის ტახტს წაართმევს, თავად მოირგებს სამეფო გვირგვინს. ჩვენ კი არაფერი გვაქვს საომარი და დროა, უკან გავბრუნდე ფხოვს! — ჩვეული სიფიცხით თქვა მუროჩი.

— ომი ისედაც დამთავრდების. ატ ტავილის ლაშქრითაც ვერაფერი დააკლო კახთ მეფემ ბაგრატოვნებს და მის გარეშე რალას იქმს? — ხელი ჩაიქნია უშიშამი.

— არა, ძმაო. ომი ასე ადვილ არ დამთავრდების. ომისა სხვაა წესი. ხან ერთი დაჰკრამს, ხან — მეორე. მოგებით კი ის მაიგებს, ვინც ბოლომდე ფეხზე დარჩება! ასევე იქნების ახლაც. მოკვდა ატ ტავილ და რაი ამით. სხვაც ბევრი ჰყავს მეომარი კახთ მეფეს. არაგვიც მხარში უდგას. თურქი იყო ჯაბანი, განა, კახთა და არაგველთა ლაშქარიც ასე იომებს! — მარჯვენა აიქნია მუროჩი.

— მისთვის მიგეჩქარება ვეჟინს? — ჰკითხა უშიშამი.

— კახთ ბატონისთვის საომრად არ მიმეჩქარის. ბაგრატოვნებთან ომი

მწყურია და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნების სარდალი. ატ ტავილის ლაშქარი დარეცა ბაგრატოვანთა უფლისწულმა. ალბათ, რუსთავის ციხეს შემოეწყობა. აიღებს თუ ვერა, მაინც დიდ ომ იქნების. რუსთავის ქონგურები თუ შელენა, ვეჟინს დასძრავს ლაშქარს. მანამდე იქნებ აღსართან მეფემ მოაშველოს ჯარი რუსთავის ციხისთვის. არ იქნების ეს არაგვის ლაშქრის გარეშე. და თუ არაგვის ჯარი რუსთავს დაიძრა, ფხოველნიც მას გამოჰყვებიან. მაშინა ვნახავთ, ვინ ვაჟკაცია და ვინ — ჯაბანი! არა მჭირია ბაგრატოვანის ნაჩუქარი სიცოცხლე. გახსოვს, რას გვეუბნებოდა მამა ბალობისას, სიცოცხლე შენი არდოტს ეკუთვნის!.. სული — მაღალ ღმერთს და შენი ამქვეყნიად მართო სახელი და ვაჟკაცობა არის!.. მაგ სახელითა და ვაჟკაცობით მიუბრუნდები, უშიშავ ბაგრატოვანთ და იყოს სიცოცხლე არდოტისა და სული — მაღლა ღმერთისა!.. დანარჩენში კი ხმალმა გაგვასწოროს! — ჩვეული სიფიცხით წამოისროლა მუროჩიმ და ამასთან ერთად, ხმლის ვადაც მოსინჯა.

ამასობაში პატარძელის აღმართიც აიარეს. მაშინ მოჰკრეს თვალი ტაბით მომავალ ჯარს. წინ მძიმედ შეჭურვილი მხედრები მოდიოდნენ. ცივანდ ელავდა მათი შუბებისა და მუზარადების წვერები. მხედრებს ალალი მოჰყვებოდა. ბოლო არ უჩანდა ურმების ჯაჭვს.

— აღსართანის ჯარია. ხომ ვამბობდი, რომ რუსთავის ციხისთვის მიაშველებს ლაშქარს. იქნებ ფხოველნიც იყვნენ იქა? — აჩქარდა მუროჩი.

უშიშაც აგრე ფიქრობდა, მაგრამ მაინც სცადა ძმის შეჩერება. — ჯერ კარგად შევათვალიეროთ. იქნებ აღსართანისა არ არის ეგ ლაშქარი, მაგრამ ყურად არ იღო მუროჩი. ცხენი გააფიცხა და წინ გაავარდა.

ტყაუჭიანი მხედრების დანახვაზე, ჯარს მენიხვე რაზმი გამოეყო და მათკენ წამოვიდა ჭენებით. ერთმანეთს ივრის ნაპირას შეხვდნენ. მაშინ შეათვალიერეს ძმებმა მხედრები. გაოცდნენ. მუზარადებს ზემოდან ჩალმები შენიშნეს. შუბის წვერებზე მწვანე ბაირალები უფრიალებდათ. ემცნოთ იერით. ასე გამოიყურებოდნენ მხედრები, რამდენიმე დღის წინ რომ გაფანტა ფხოველთა რაზმმა.

ჩანს, იმ ბრძოლის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ ის მხედრებიც. ტყავ-ჯუბისა და ფხოველი ჯაჭვის დანახვაზე გააფთრებული ღრიალი ამოუშვეს და ცხენები ააჩქარეს.

— ბაგრატოვანთა ჯარია!.. მენინავეთ თურქები მოუძღვიან! — უმაღ

გამოერკვა უშიშა. მერე ძალუმად მოზიდა სადავე და ცხენი ამღვრეულ იორში შეაგდო.

უკან მიჰყვა მუროჩი. იმედი ჰქონდათ ძმებს — ცივ ამინდში მდინარეში შესვლას მოერიდებიანო თურქნი და გზას გააგრძელებენო. მაგრამ ცდებოდნენ თურქეთურქებს ჯერაც ვერ მოეშუშებინათ ფხოველთაგან მიღებული იარები და შურისძიება სწყუროდათ. თანაც დაუფიქრებლად მოახლოებულ ორ მხედარში ის ტყუპი ამოცნეს, რომელიც ყიჟინით ჩხება მათ თანამოძმეებს ვეჟინის ციხესთან.

გაშმაგებული დედევნენ თურქები ძმებს. აღარც შემოდგომის ცივ ამინდს მოერიდნენ და აღარც ივრის ამღვრეულ ტალღებს. მდინარეში შეყარეს ცხენები და ყიჟინით დაედევნენ ძმებს.

დანინაურდნენ დაიაურები. თურქებს აასწრეს ნაპირზე. მიხვდნენ თეთრჩაღმიანები — ტყეს თუ შეეფარნენ, ვეღარ დავეწვევითო და ისრის წვიმა დაადვენეს.

თავთან ჩაუფრინა ერთმა ისარმა მუროჩის. რამდენიმე წინ გადაუსწრო და მიწაში ჩაერჭო. წინ გადაიხარა მუროჩი. ცხენს ზურგზე გაეკრა, რომ მოისართათვის მიუწვდომელი გამხდარიყო. ასე ასწავლიდნენ ისრის არიდებას არაგველებიცა და ფხოველებიც.

მდევარი ჭენებით ამოვარდა მდინარიდან და ისარიც გახშირდა. პასუხად ძმებმა ცხენებს დეზი ჰკრეს და ტყისკენ გაქუსლეს. უშიშას უკეთესი ცხენი შესვედროდა. ორიოდ ნახტომით გაუსწრო მუროჩის. ცოტაც და ორივე მხედარი ტყეში მიიმაღებოდა. მდევარი მაშინაც არ შეჩერდებოდა, მაგრამ ხშირ ტყეში ისარს ვეღარ მოიხმარდა...

ამ დროს ისარმა შხუილით გააპო ჰაერი და ბეჭში გაერჭო უშიშას. მძიმედ დაიგმინა დაჭრილმა. შექანდა, მაგრამ ისევ ტკივილმა მისცა ძალა. ფეხები შემოაჭდო ცხენს და მაინც უნაგირში დარჩა.

ცხენი ახტუნა მუროჩიმ. გვერდში ამოუდგა და ხელი მიაშველა ტყუპისცალს.

— ნადი... ამათ შევაჩერებ.

კბილები გაახრჭიალა უშიშამ და ხმლის ვადას წაეტანა.

მიხვდა მუროჩი, რომ ვეღარ შეძლებდა უშიშა ცხენის ჭენებას.

— გამაგრდი, ეს არ არის ჩვენი სიკვდილის დღე! — მერე უშიშას ცხენს აღვირში სწვდა და ტყეში შეიყვანა.

მდევარი ოდნავ ჩამორჩა. მუროჩიმ ხშირ ბუჩქნარში შეაჩერა ცხენები და ძმის იარა დაათვალიერა. სელჩუკის ისარს ჯაჭვის პერანგი გაერღვია და ბეჭის ქვეშ შესულიყო.

ხანჯალი მოიმარჯვა მუროჩიმ. ფრთხილად შემოჭრა ჯაჭვის პერანგიდან ამოშვერილი ხის ღერო და ისარი გადატეხა. წვერი იარაში ჩარჩა, მაგრამ ღრმა არ უნდა ყოფილიყო ჭრილობა. თავისი გაეკეთებინა ფხოვს აწყობილ ჯაჭვს. შეენელებინა ისრის ძალა. გამოცდილი ხელი ადვილად უმკურნალებდა იარას, მაგრამ აქ, ივრის ჭალაში მუროჩის არც ამის საშუალება ჰქონდა და არც — დრო. ტყის განაპირას უკვე ისმოდა ტოტების ლანალუნი და თურქთა გადაძახილი.



სწრაფად გადაწყვიტა მუროჩიმ — ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ. უშიშას უნდა მოეცადა, ვიდრე ის მდევარს არ გაიტყუებდა, მაგრამ ესეც ცოტა იყო. თურქები ბრძოლაში გამოცდილები ჩანდნენ. თავადაც იცოდნენ, რომ დევნილთაგან ერთი დაჭრილი იყო. დაედევნებოდნენ მას და თუ ვერ მოიხელთებდნენ, საგულდაგულოდ გაჩხრეკდნენ ჭალას და მაინც მიაგნებდნენ უშიშას. იმ დროს კი ის შორს იქნებოდა და ვერაფრით დაეხმარებოდა ისარნაკრავ ძმას.

უნდა მოეცადა უშიშას და როცა თურქები მუროჩის დაედევნებოდნენ, მათგან შემჩნევლად უნდა გადასულიყო იორზე.

მათი სამალავის ქვემოთ, მდინარე მარჯვნივ უხვევდა. ეს ალაგი ადრევე შენიშნა მუროჩიმ. იქ უნდა გადასულიყო უშიშა. მდევარი ვერ შენიშნავდა. მერე კი იქით ნაპირზე დარ-

ჩენილ სელჩუკთა ლაშქარს ზურგს უკან მოჰქცეოდა და დამალულიყო. იცოდა მუროჩიმ, რომ თურქები დაჭრილის ძებნას დაიწყებდნენ, მაგრამ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ დევნილი ფხოველი, ივრის მეორე ნაპირას, მათივე ლაშქრის ზურგში დაიმალებოდა.

არ მოუნონა უშიშას ძმის ჩანაფიქრი. გაუჭირდებოდა მარტოს მდევარის გატყუება, მაგრამ მაინც არ შეჰკამათებია. განა, თვითონაც ისე არ მოიქცეოდა, მუროჩისთვის რომ მიენდინათ ისარი?

კისერზე მოხვია მუროჩიმ ხელი, შუბლით შუბლზე მიეყრდნო, თვალეში ჩახედა, მტკიცედ უთხრა:

— თავს გაუფრთხილდი. წყალს არ დანებდე. ვიცი, რომ გაგიჭირდება დაჭრილსა, მაგრამ როდის ყოფილა ჩვენი ცხოვრება იოლი... ჩემი დარდი კი ნუ გექნება. სიტყვას გაძლე, რომ დავბრუნდები და შენც მომეც პირობა, რომ დამხვდები!

— დაგელოდები, — მაჯაზე მოუჭირა ხელი უშიშამ.

მეტი აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი. თანაც თურქებიც ახლოვდებოდნენ. სადღაც იქვე, ახლოს ისმოდა მათი ყაყანი და ტოტების ლანალუნი.

ცხენს მოახტა მუროჩი. უხმაუროდ გაატარა ბუჩქნარში, რომ თურქთა ყურადღება არ მიეზიდა ძმის სამალავისკენ. როცა იქაურობას საკმაოდ დაშორდა, დეზი ჰკრა ცხენს და ჭენებით გააგდო საპირისპირო მხარეს. მაშინვე ჩაესმათ თურქებს ფლოქვის ცემის ხმა და ყიჟინით მიჰყვნენ უკან...

უშიშამ მოიცადა, ვიდრე მუროჩიმ საკმაო მანძილზე არ გაიტყუა თურქები. მერე ცხენი დაძრა და მდინარისკენ დაეშვა. მალე მივიდა იმ მოსახვევამდე, რომელიც ძმამ მიანიშნა. აქ მდინარე უფრო ვიწრო იყო, მაგრამ ძალუმად მიაგორებდა ამღვრეულ ტალღებს. თავად ვერ გადავიდოდა იორზე. ჭრილობით დასუსტებულს, ნაკადი დასძლევდა და წაიღებდა. ისევ ცხენის იმედად იყო. წინ გადაწვა. ორივე ხელით მოეხვია კისერზე და სიტყვით უთხრა: მიდი, ახლა მარტო შენს იმედად ვართ მე და მუროჩი; შენ უნდა გამიყვანო იქითა ნაპირზე.

გაუგო თურქი მეომრის ყოფილმა ბედაურმა. წინ წაინია. ფლოქვი რამდენჯერმე დაჰკრა აქაფებულ ნაკადს, თითქოს სინჯავს, ცივია თუ არაო. მერე წყალში შევიდა და გაბედულად შეუყვა მდინარეს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უბედრესი ემიგრანტები

უბრალო ჰობიდან შექმნილი შირონქორაჩიანი პიზნისი

წერილი გიორგი ნინაშვილის მიერ. „გზა“ №21

მანანა ბაბრიჭიძე

რუსუდან დაუზვილი, ისტორიკოსი, პროფესორი:

— ალბათ, ბევრ ქართველ მანდილოსანს უნახავს პარფიუმერიული ნაწარმი, საფირმო წარწერით — Prince Matchabelli, მაგრამ ბევრისთვის უცნობია, რომ ამ ფირმის ფუძემდებელი შექსპირის მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის ძმისშვილი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი მაჩაბელია, რომელმაც თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და ბერლინის სამთო აკადემია დაამთავრა. მან იტალიელი მსახიობი ნორინა ჯილი, სცენური ფსევდონიმით — მარია კარმი შეირთო. გიორგი იტალიელთა სიძე გახდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე თავდაკლულ ნაციონალისტად დარჩა. გრიგოლ რობაქიძეს მასზე უთქვამს: „გიორგი ათას საბანში რომ ჩაახვიო და სადმე დამალო, ვინც იქ მივა, მაშინვე შეიტყობს: „აქ საქართველოს სუნიამო!“ ნაციონალისტური სულიკვეთება მან გიმნაზიის კედლებშივე გამოამჟღავნა. იგი გახლდათ 1914 წელს შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი და საქართველოში კომიტეტის ფილიალის დამაარსებელი, გერმანული წყალქვეშა ნავებით იარაღის შემოტანის ინიციატორი და შემსრულებელი. გიორგი მაჩაბელი ყოველთვის ყველაზე სახიფათო დავალებების შესრულებას კისრულობდა და ამ დროს არაჩვეულებრივ ნიჭსა და უნარს იჩენდა. მიუხედავად თავზე ხელაღებულია, გიორგი გრძნობის გონებისათვის დამორჩილებას ახერხებდა, რაშიც მას კარგი განათლება ეხმარებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ მიხაკო წერეთელმა იგი ასე დაახასიათა: „ძველი ქართველი არისტოკრატი და განათლებული ევროპელი“. გიორგი გერმანელი პრინცის — იოახიმის, კაიზერ ვილჰელმ II უმცროსი ვაჟისა და რომელიმე ქართველი პრინცისა დაქორწინებით ქართული მონარქი-



ის აღდგენის (გერმანული დინასტიით სათავეში) მომხრე იყო და ამისთვის კანდიდატიც შერჩეული ჰყავდა — საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, ეროვნულ-დემოკრატი მხიელ (მიშო) მაჩაბლის ქალიშვილი მარინა. მაგრამ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფო, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, აღდგა და მონარქიის საკითხი აღარ დასმულა. პრინცმა იოახიმმა ჰოლანდიაში დაიდო ბინა, მარინა მაჩაბელი კი იტალიის კონსულს, ფრანზონის გაჰყვა ცოლად და რომში დასახლდა.

დამოუკიდებლობის წლებში გიორგი მაჩაბელი გახლდათ საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იტალიაში. ოკუპაციის შემდეგ იტალიაში უსახსროდ დარჩენილი ოჯახის ფეხზე დასაყენებლად ნორინა სცენას დაუბრუნდა. ამერიკელმა რეჟისორმა, მორის გეტმა იგი ნიუ-იორკში მიიწვია. 1924 წელს გიორგიც ამერიკაში გადასახლდა. „გაჭირვებული და მშიერი უცხოეთში ვერც ღირსებას შეინახავს და ვერც ქვეყნისთვის იმუშავებს პოლიტიკურად, — უთქვამს მას მიხაკო წერეთლისათვის. — ამიტომ მთელ ჩემს ენერჯიას დავხარჯავ, რომ ამერიკაში სიმდიდრე შევიძინო, რაც დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გამოგვადგებაო“. გიორგი პოლიტიკურ საქმიანობას

ჩამოშორდა. მან ნიუ-იორკში ანტიკვარული მაღაზია გახსნა და სახელი მალევე მოიხვეჭა. ამასთანავე, არ ივიწყებდა თავის ძველ გატაცებას — სუნამოების შეზავებას. მალე აღმოაჩინა, რომ მის მუშტრებს სუნამოები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ანტიკვარიატი და 1926 წელს გახსნა საკუთარი კომპანია, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა. კომპანია ოთხი წელი ფართოვდებოდა და პრესტიჟული ხდებოდა. გიორგი სუნამოებს თავად ამზადებდა, აფორმებდა და რეკლამასაც უკეთებდა. მის მიერ დამზადებული პირველი სუნამო, რომელმაც სახელი გაითქვა, „საქართველოს დედოფალი“ გახლდათ. ამ სუნამოს ფლაკონის გასაფორმებლად გიორგიმ მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული, სამეფო ოქროსვარაყიანი გვირგვინი გამოიყენა. ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონმა ამერიკელი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. სუნამო მან არშემდგარ საქართველოს დედოფალს, მარინა მაჩაბელს მიუძღვნა. მალე, მას მოჰყვა ცოლისადმი მიძღვნილი სუნამო — „პრინცესა ნორინა“, ცნობილი ინგლისელი ლამაზი ქალის სახელობის სუნამო — „დუშეს ოფ იორკ“, „ოქროს შემოდგომა“, სააბაზანო ზეთი — „აბანო“, ოდეკოლონი — „ქარის სიმღერა“, დაპრესილი პუდრი და პომადო. თითოეულს ამშვენებდა „პრინცი მაჩაბლის გვირგვინი“, რომელიც მისი საფირმო



მთელ ჩემს ენერჯიას დავხარჯავ, რომ ამერიკაში სიმდიდრე შევიძინო, რაც დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გამოგვადგებაო

ნიშანი გახდა... თავდაპირველად, მაჩაბლის სუნამოების ფლაკონები გერმანული ფაიფურისაგან იქმნებოდა, შემდეგ ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე ფლაკონი, რომელიც, როგორც ენციკლოპედიური ცნობარი აღნიშნავდა: „ითვლება მინის ფლაკონის ერთ-ერთ უმშვენიერეს ხელნაკეთ ნიმუშად“. მართალია, იგი ნახევრად ავტომატური მეთოდით მზადდებოდა, მაგრამ მისი ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება ხელით ხდებოდა. მალე გიორგიმ ეს გვირგვინები მთელ ამერიკაში გაავრცელა. ფირმის პირველი მუშები მისი მეგობრები, ლტოლვილი არისტოკრატები, მათი ცოლები და ქალიშვილები იყვნენ. ისინი სუნამოებს თვითონვე რთავდნენ, ფუთავდნენ და კლიენტებთან მიჰქონდათ. სამი წლის შემდეგ, პროდუქციას უკვე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ავრცელებდნენ. რაც მთავარია, თავად გიორგი იყო თავისი ნაწარმის საუკეთესო რეკლამა — მისი უნაკლო გარეგნობა, დახვეწილი მანერები, საუბრის სტილი ანდამატივით იზიდავდა დამკვეთებს, განსაკუთრებით კი ქალებს.

— მაჩაბელს სუნამოების კომპანია მხოლოდ ამერიკაში ჰქონდა?

— კომპანიის ფილიალი მან პარიზშიც გახსნა, რომელსაც ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სპირიდონ კედია ჩაუყენა სათავეში და თავისი პროდუქცია პარიზსა და ლონდონშიც გაავრცელა. სხვათა შორის, სარკვევით მორთული თავისი პატარა მაღაზია, რომელშიც არეკლილი ოქროსგვირგვინიანი ფლაკონები ულამაზეს სანახაობას ქმნი-

და, პარიზში ყველაზე მდიდრული და სახელგანთქმული საპარფიუმერიო მაღაზიის — „შანელის“ წინ გახსნა. როცა ჰკითხეს, — ასე რატომ მოიქეცი? ნუთუ, გჯერა, რომ შენი პროდუქცია ასეთ კონკურენციას გაუძლებსო? — უპასუხა: ხალხი იფიქრებს, რომ სწორედ ჩემი პროდუქციაა ამ ფირმის კონკურენტი და ინტერესის გამო მაინც შემოაღებს ჩემი პატარა, მაგრამ ბრჭყვიალა მაღაზიის კარსო. ამ ფსიქოლოგიურმა მანევრმა გაამართლა და დიდი მოგებაც მოუტანა. ათ წელიწადში მან უბრალო ჰობიდან არა მარტო მილიონდოლარიანი ბიზნესი შექმნა, არამედ გახდა ნოვატორიც: როდესაც მაჩაბელმა თავისი ბიზნესი დაიწყო, ამერიკას საკუთარი საპარფიუმერიო მრეწველობა არ გააჩნდა. რაც მზადდებოდა, ძირითადად, ფრანგული პროდუქციის ცუდი ასლი იყო. ამიტომ, საუკუნის დასაწყისში მოდაში შემოვიდა უბრალო ყვავილებისა და თაიგულების არომატი, რომლებსაც მკერდზე იმაგრებდნენ. ასე რომ, გიორგიმ თავისი ჰობით შეავსო ის სიცარიელე, რაც იმ დროს ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებაში არსებობდა.

— მაჩაბელი საზოგადოებრივ საქმიანობას რამდენად ასწრებდა?

— ბიზნესს იგი საზოგადოებრივი საქმიანობისგან არ ჩამოუშორებია. პავლე კვარაცხელიასთან ერთად, 1931 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ. პირველი თავმჯდომარეობა მან პავლე კვარაცხელიას დაუთმო, მაგრამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში მაინც ის აირჩიეს. თანამდებობიდან 1934 წელს გადადგა (თავმჯდომარე ვასო დუმბაძე გახდა), მაგრამ სათვისტომოს ხაზი-

ნადრად დარჩა. იგი პუნქტუალურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა არა მარტო სათვისტომოს, არამედ ყველა გაჭირვებულ ქართველს. 1935 წლის ივნისისთვის, მეხუთე ავენიუზე ელევანტური სადემონსტრაციო დარბაზის გახსნა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ველარ მოასწრო: 1935 წლის მარტში, ფილიალების გახსნის მიზნით, შანხაის



გიორგი მაჩაბელი

და კალიფორნიაში იმოგზაურა. გზაში გაცივდა და ერთ კვირაში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. თუმცა, სოფიო კედია მის მოულოდნელ სიკვდილს საბჭოთა სპეცსამსახურებს უკავშირებს... მისი გარდაცვალების შემდეგ, პრინცესა მაჩაბელმა ბრწყინვალე სადემონსტრაციო სალონი გახსნა, სადაც გამოფენილი იყო გიორგის პორტრეტი, სამეფო რეგალიებით. 1957 წელს ნორინაც გარდაიცვალა. გიორგი მაჩაბლის მიერ დაფუძნებული ფირმა — Prince Matchabelli კონექტიკუტის შტატში დღესაც არსებობს, როგორც მსოფლიოს ცნობილი საპარფიუმერიო ფირმების ღირსეული კონკურენტი. პროდუქციის უმეტესობა, რომელსაც იგი უშვებს, მისი დამფუძნებლის სახელითა და რეცეპტით გამოდის და რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივე აქვს — გიორგი მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა — ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერთი კითხვა

— გჯერათ თუ არა „პირტუალური“ სიყვარულის?

პაპ, 18 წლის:

— დღეს თინეიჯერების დიდი ნაწილი „ვირტუალურადაა“ შეყვარებული. ვისაც სახლში კომპიუტერი აქვს, მთელი ღამე „სკაიპობს“, თუ არა აქვს — მესიჯების წერაში ათენებს. მაგალითად, ჩემი მეგობარი სწორედ ასეა შეყვარებული: 8 თვეა მესიჯებით იცნობს ერთ ბიჭს, გარეგნულად არ იცის, როგორია, ძალიან წერვიულობს, თუმცა თვისებებით იმდენად მოსწონს, რომ იმაზე აღარ ფიქრობს, ფიზიკურად როგორია. ასე რომ, შეუძლებელი და დაუჯერებელი არაფერია.

„მისცა ღმერთმან მადლი წინასწარმეტყველებისა და სულისა წმიდისა ხილვისა“...

არაერთი ღვთივგაბრწყინებული მართლმადიდებელი მამა გვყავდა ქართველებს, რომლებიც ღვთის წინაშე ჭეშმარიტად მართალი ცხოვრებით, უმაღლესი სულიერებით აღივსნენ და შეიქმნენ ჭურჭელნი სულიწმიდისა. მათი ღვთივსათნო ცხოვრება კი მაგალითად იქცა ქრისტეს მიმდევართათვის. ერთ-ერთი გახლდათ პეტრე იბერი. მის შესახებ მაკარი მესხის მიერ თარგმნილი „პეტრე იბერის მატეანის“ მიხედვითა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოგიტხრობთ.

მორენა მერკვილაკე

პეტრე იბერი მეხუთე საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი უფლისწული-მურვანისი გახლდათ, ძე ქართლის მეფე ბუზმარისა. გადმოცემის თანახმად, მეფეს დიდხანს არ ეძლეოდა შვილი. ლოცვით შესთხოვდა შვილიერების მადლის მინიჭებას უფალს. ერთხელ, ძილის დროს, უფლის ანგელოზი გამოცხადდა და აუწყა: მოგეცემა ძე, რომელიც დიდ და სრულ იქნება ღვთის წინაშე და მრავალს მოაქცევს ღვთისკენ. მართლაც, ახდა ხილვა მეფისა. უფლისწულს მურვანოზი უწოდეს...

ბუზმარის მეფობის ხანაში ბიზანტიის სამეფო ტახტი ეპყრა თეოდოსი II-ს. მისი დის, პულხერიასა და თანამეცხედრის, ევდოკიას მცდელობით, მოხერხდა ქართლსა და ბიზანტიას შორის მანამდე გართულებული ურთიერთობის გამოსწორება. იბერიის მოკავშირეობა სურდა სპარსეთსაც. სპარსეთის მმართველი იეზდიგერდ I ძალზე შეაშფოთა საქართველოსა და ბიზანტიას შორის კავშირ-მეგობრობამ. იგი მცხეთაში ელჩობას აგზავნიდა და მეფე ბუზმარს ბიზანტიასთან ურთიერთობის განწყვეტას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა.

ქართლის მეფეს ბიზანტიასთან ურთიერთობის დათმობა არ სურდა, მაგრამ სპარსეთთან ომის დაწყებაც აშფოთებდა, ამიტომ ცდილობდა, ორივე მხარე ერთგულების აღთქმით დაემშვიდებინა. რადგან სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ომი მძვინვარებდა, ქართლის მეფის პოზიცია ორივე მხარისთვის საეჭვო გახლდათ. სპარსეთის მეფემ ერთგულების დასამტკიცებლად, ქართლის მეფეს უფლისწული მურვანოსის მასთან გაგზავნა მოსთხოვა. ბუზმარმა შვილი მთებში გახ-

იზნა. მალე უფლისწული მძევლად, კონსტანტინოპოლის იმპერატორმაც მოსთხოვა ვაითუ, სპარსთა მომძლავრებამ ბუზმარი გატეხოს და ქართული ჯარი სპარსთა ბანაკში აღმოჩნდესო... არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას. ბოლოს, რადგან საშველი არსაიდან ჩანდა, ქართულმა სამეფო კარმა ერთმორწმუნე ბიზანტია აირჩია — 12 წლის უფლისწული მურვანოსი ბიზანტიის სამეფო კარზე წარგზავნეს. დიდი პატივით მიეგებნენ ღვთისმოსავ მურვანოსს კონსტანტინოპოლში. ღვთისმომიშმა იმპერატორმა და მისმა მეუღლემ შვილივით შეიყვარეს ქართლის უფლისწული.

საქრისტიანოს ცენტრში ცხოვრებამ მურვანოსი კიდევ მეტად აამაღლა სულიერად: „მარხვა ფრიადი, მღვიძარება უზომო, ლოცვა დაუცხრომელი, გლახაკთა მოწყალება, სიმშვიდე, სიყვარული, სახიერება, მოთმინება და ყოველივე ნაყოფნი სულისანი“ — მისი ცხოვრების წესად იქცა. ღვთისმოსაობისა და დაუღალავი მოშურნეობის სანაცვლოდ, უფალმაც მიჰმადლა წყალობა თავის ერთგულ მონას, მადლი კურნებისა მიანიჭა. მალე მამამ წამებულ წმინდა მონამეთა ნაწილები გაუგზავნა. უფლისწული წამითაც არ იცილებდა სინმინდევებს. კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა მისი რწმენა... ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულზე მურვანოზი ჩვეულები-სამებრ, განმარტოებით ლოცულობდა. ერთ მსახურს, რომელსაც სძულდა, მისი მტკიცე ქრისტიანული ცხოვრების გამო, სთხოვა, რომ კანდელებში ჩასამატებლად ზეთი მიეტანა. მსახურმა ყური არ ათხოვა, კანდელებში კი ზეთის ნაცვლად, წყალი ჩაასხა. უზეთო კანდელები 7 დღე-ღამის მანძილზე ინვოდა... მურვანოსს სიტყვაც არ უთქვამს. მან 7 დღე-ღამე მარხვასა და განუწყვეტ-



ელ ლოცვაში გაატარა: „შვიდი დღე-ღამე ხედავდა და ესაუბრებოდა ქრისტეს ზმანებას“... მაცხოვრის გამოცხადების შემდეგ, ღვთისმოსავმა ჭაბუკმა უფლისციხე მუშაკობა განიზრახა. გადაწყვიტა, იერუსალიმში წასულიყო, თავის ნათლიასთან, კონსტანტინოპოლის კარზე მყოფ ქართველთან — მიდრატ ლაზთან ერთად. ამის შესახებ იმპერატორმა თეოდოსიმაც შეიტყო. გვირგვინოსანი ერთხანს, ხვეწნა-მუდართით შეაგონებდა, ხელი აუღო იერუსალიმში წასვლაზე — მას ხომ ძალიან უყვარდა იბერიელი ჭაბუკი, შიშობდა კიდევ — ვაითუ, უფლისწულს რაიმე დაუშავდეს და ქართველთა სამეფო მტრად გადავიკიდოთო. მცველებიც კი დაუყენა, მაგრამ მიდრატმა და მურვანოსმა გაპარვა მოახერხეს...

იერუსალიმში ჩასვლამდე მრავალი განსაცდელის გადატანა მოუხდათ... წმინდა ქალაქში მურვანოსი და მიდრატი ბერად აღიკვეცნენ, მიდრატს — იოანე უწოდეს, მურვანოსს კი — პეტრე. ზედწოდებები — „ლაზი“ და „იბერიელი“ — მათი წარმომავლობიდან მომდინარეობს.

პეტრე იბერი მკაცრ ასკეტურ მოღვაწეობას შეუდგა. 25 წლის ასაკში თითქმის მთლიანად დაემრიტა ხორცი. მისი სინმინდე და ღვთივსათნო მუშაკობა მრავალთათვის იქცა მა-

გალითად. ბერმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, თვითონ კი ჩრდილში ყოფნას არჩევდა, ქრისტიანულ საფუძვლებს აარსებდა, სწეულთ კურნავდა თუ სხვა ქრისტიანულ მცნებას აღასრულებდა, თავის სახელს არ ამხედდა, თავის დანერჩილ წიგნებსაც კი არ აწერდა ხელს. მამა პეტრემ და მამა იოანემ საკუთარი ღვაწლით დააარსეს იერუსალიმში ქართველთა საფანე, შემდეგ, მდინარე იორდანეს ნაპირას გადავიდნენ მონასტრის დასაარსებლად. იორდანეს სანაპიროზე ყოფნისას, მამა იოანე დაავადდა. პეტრემ სულიერი ძმა იერუსალიმში, უფლის საფლავთან მიიყვანა და ღვთის მიმართ ლოცვა აღავლინა. ამ დროს მოხდა სასწაული: საფლავის ლოდინან ხელი გამოვიდა, იოანე ლაზს სახეზე შეეხო და განკურნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა იოანე კვლავ დასწეულდა. დამწუხრდა პეტრე იბერი. კვლავ გულმხურვალედ შეჰვედრა უფალს შემწეობა იოანე ლაზისა. ამჯერადაც უსმინა უფალმა თავის ერთგულ მონას. ამის შემდეგ იოანე ლაზმა 15 წელი იცოცხლა.

წმინდა მამებმა ეგვიპტეშიც დააარსეს მონასტერი. როდესაც მას აკურთხებდნენ, ყველამ თვალნათლივ იხილა, რომ იქაურ ეპისკოპოსთან ერთად, ეკლესიას მარკოზ მახარებელიც აკურთხებდა.

მამა იოანე და მამა პეტრე ეგვიპტიდან კვლავ იერუსალიმში დაბრუნდნენ და ქართველთა საფანის აღშენება დაიწყეს, სიონის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს, დავითის კოშკის მახლობლად მშენებლობისას მათ ერთმა ერისკაცმა, რომელსაც იმავე ადგილას რაღაც შენობის აგება სურდა, ჩხუბი აუტეხა. ერთ დღეს მამა იოანესთან მივიდა, სახეში გაართყა და მუშები ეკლესიიდან გაყარა. მამა იოანემ უსიტყვოდ დაითმინა შეურაცხყოფა, სენაკში შევიდა და მამა პეტრეს ლოყა უჩვენა. მამებმა ქრისტესმიერი შეგონება გაიხსენეს, უსიტყვოდ შეუნდეს შეურაცხყოფა მანყინარს და ლოცვად დადგნენ. მეორე დღით შეურაცხმყოფელი, მკვდარი იხილეს...

კიდევ არაერთი ქრისტიანული საფანე დააარსა პეტრე იბერმა პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში. რამდენიმე ხნის შემდეგ იერუსალიმში დატოვა და მაიუმ-ლაზასთან ახალდაარსებულ ქრისტიანულ საფანეში დამკვიდრდა. მცირე ხანში გარდაიცვალა მაიუმის ეპისკოპოსი. ხალხი ეპისკოპოსად პეტრე იბერს ითხოვდა. მამა პეტრეს სურდა, გაჰქცეოდა ეპისკოპოსობის პატივს, თავის სენაკში ჩაიკეტა, კარი ურდულით ჩარა-

ზა და გარეთ გამოსვლაზე უარი თქვა, რადგან თავს უღირსად და უკანასკნელ ცოდვილად მიიჩნევდა. მას კარი შეუმტკრიეს და ძალით გამოიყვანეს სენაკიდან. გზად შემოალამდათ და შეისვენეს. პეტრე იბერმა ჩუმად გაპარვა მოახერხა, მალეობზე ავიდა და გადახტომა სცადა; ფიქრობდა, — იქნებ, ხელი ან ფეხი მოვიტეხო და ეპისკოპოსობა ავირიდო, — მაგრამ ამ დროს მაცხოვარი გამოეცხადა და უბრძანა: დამწყეს ცხოვარნი ჩემნიო. მამა პეტრე უფლის ნებას დაჰყვა. მაიუმის ეპისკოპოსად იერუსალიმის პატრიარქმა აკურთხა.

მაიუმში დიდი პატივით მიიღეს ახალი მღვდელმთავარი. მისი მოღვაწეობის ხანაში ქალაქი სულიერად ამაღლდა და გამტკიცდა ქრისტიანულ სარწმუნოებაში. ღვთისუფლის მიმართ პეტრე უფლისგან მინიჭებული ძალით აურაცხელ სასწაულს ახდენდა: „უწვიმრობასა წვიმიან ჰყოფდა, უშვილოთა შვილიერ, სწეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფდა, მეთევზეთა განუმარჯვებდა. ხოლო მისცა ღმერთმან მადლი წინასწარმეტყულებისა და სულისა წმიდისა ხილვისა“.

ეპისკოპოს პეტრეს მიერ აღსრულებულ მხოლოდ რამდენიმე სასწაულს შეგახსენებთ: ერთხელ მამა პეტრე საკერპეში აღმოჩნდა, წირვა უნდა აღესრულებინა. ეპისკოპოსი არ შემოფოთებულა, რადგან იცოდა, რომ მსხვერპლს უფალს შესწირავდა და არა — კერპებს. წირვისას პეტრე იბერის საცეცხლურიდან ალი გამოკრთა და კერპები დაწვა. შენობას კი არაფერი ეწო... იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთ ქრისტიანს ასული ჰყავდა მძიმედ დასწეულთა. როდესაც ვერაფერი უშველა, გრძნეულის მოსაყვანად გაეშურა. გოგონას დედა, მამა პეტრესთან გაე-

მართა. წმინდა პეტრემ სწეულს ევლიგია სცხო, წმინდა სამების სახელით და განკურნა. შემდეგ კი წარმოთქვა: ვგონებ, ის გრძნეული ხვალ მოკვდებაო. მართლაც ასე მოხდა.

პეტრე იბერმა წმინდა და მართალი ცხოვრების სანაცვლოდ, უმაღლეს სულიერებას მიაღწია. თავისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთი ღვთისათნო საქმე აღასრულა. 82 წლის იყო, როდესაც წუთისოფელი დატოვა. 10 დღით ადრე ეუწყა მოახლოებული აღსასრულის შესახებ. ამ ხნის მანძილზე არაფერი უხმევია. თავის სენაკში განმარტოვდა და ლოცულობდა. მეთაფ დღეს მრევლს უხმო, დამოძღვრა, უქადაგა და განუცხადა, რომ ამიერიდან „ვერლარა“ იხილავდნენ მას. შემდეგ კვლავ სენაკში შებრუნდა და უფლის წინაშე ლოცვა-ვედრება განაგრძო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოწაფეები შევიდნენ მის სანახავად. სენაკში საკმევილის საოცარი სურნელი იდგა. პეტრე იბერმა უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა: „ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო“...

3 დღის მანძილზე ეთხოვებოდნენ ქრისტეს მორწმუნენი ნეტარი მამის ნეშტს, რომელიც საკმევილის სურნელს აფრქვევდა. მასთან მიხილებისას სწეულნი მყისვე იკურნებოდნენ...

პეტრე იბერმა მრავალი მაღალი სულიერების შემცველი წიგნი დაგვიტოვა: „საღმრთოთა სახელთათვის“; „ზეციური იერარქია“; „საკეცისო იერარქია“; „მისტიკური თეოლოგია“; „ეპისტოლენი“ („ათი წერილი“) და სხვა. როგორც მოგახსენეთ, უდიდესი თავმდაბლობის გამო არც ერთ მათგანს საავტორო ხელწერა არ დაურთო. 15 საუკუნის მანძილზე არავინ იცოდა, მათი ნამდვილი ავტორი ვინ იყო...

ქალიფოსკოპი

მდინარის ფსაქრზე დამარხული რომაული ქანდაკებები

საფრანგეთის ქალაქ არლის სიძველეთა მუზეუმში ამგვარი აჟიოტაჟი დიდი ხანია, აღარ ყოფილა. მუზეუმის კოლექცია ერთბაშად რამდენიმე ფასდაუდებელი ექსპონატით შეივსო, რომელთა შორის უმთავრესი — იულიუს კეისრის სიციცხლეში შექმნილი მისი ბიუსტია. უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ არლის მუზეუმის ახალი ექსპონატი რომის იმპერატორის უძველესი სკულპტურული გამოსახულებაა. ბიუსტი ძვ.წ. აღის 46 წლით თარიღდება. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც კეისარმა ქალაქ არლში კოლონია დააარსა. მარმარილოს ქანდაკება მდინარე რონის ფსკერზე იპოვეს. არქეოლოგებმა მთელი საგანძური აღმოაჩინეს. ბიუსტის გარდა, ნაპოვნია ნებტუნის ორმეტრიანი ქანდაკება, რომელიც ძვ.წ. აღის III საუკუნით თარიღდება, მცირე ზომის ბრინჯაოს ფიგურა და კორინთული მარმარილოს კაპიტელი.

წერილი მკვირდი

წინამორბედი წერილები იხ. „გზა“, №16-21

ერთ დროს ფერეიდანში ჩატანილი „დედაენის“ ერთი ეგზემპლარი ხელით გადაწერილი მრავალდებოდა მოსახლეობაში. დღეს თავად ადგენენ „დედაენას“. გარდა ამისა, სეიდ მულიანის (მულიაშვილი) მიერ შედგენილი „ქართული ენის თვითმასწავლებელს“ კომპიუტერით ავრცელებენ. ერთი პერიოდი ქართული ენის სწავლების კურსები გახსნილი ჰქონდათ სეიდ მულიანს (ფერეიდუნ შაჰრიში) და ალი ფაშა იოსელიანს (ნაჯოხაბადში). ფერეიდუნ ქართველთა ჯგუფმა (რედაქტორ-გამომცემები — სეიდ მულიანი და მაჰამად იოსელიანი) 2004 წლის ბოლოს გამოსცა ექსპერიმენტული ჟურნალი — „ირანელ ქართველთა პირველი ჟურნალი“, რომელიც ორენოვანია — ქართული და სპარსული.

უცხოეთის ცის ქვეშ



საქართველოში გადმოსახლებული ფერეიდუნელები თბილისში, ფილარმონიის შენობასთან

გიორგი მახარაძე

ფერეიდუნელები, ძირითადად, ძველი ქართულით მეტყველებენ: თავიანთ კარ-მიდამოს მამულს ეძახიან, სამუდამო განსასვენებელს — სამარეს, პაპას — წინაპარს, ახალგაზრდობას — ყმანვილებს, ჩონგურს — ჩუნგურს, სტივრს — სტირს, შოფერს — შამწყრომს (წინაპრები ხარს ხომ „შემოუწყრობოდნენ“), აშობს — უბნობს, ავადმყოფობას — დაღონებას, ძროხას — ფურს...

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ირანის მთავრობა დათანხმდა, საქართველოში ჩამოგვეყვანა ფერეიდუნელ ქართველთა პირველი ჯგუფი. ეს პროცესი 1972 წლის 15 მარტიდან დაიწყო. საგარეო უსაფრთხოება და გურჯაანის რაიონებში ჩამოსულთათვის (რეპატრიანტთათვის) აიგო ორსართულიანი, კომფორტული ბინები, ავეჯით განწყობილ საკარმიდამო ნაკვეთებში აშენდა სამეურნეო ნაგებობები, ასევე დაახვედრეს ძროხა ნამატით, 5 ცხვარი; კვარტალში ერთხელ ეძლეოდათ 20-30 ფრთა ფრინველი, ერთდროული დახმარება — 500 მანეთი, რაც წლის ბოლოს გამეორდა. სისტემატურად ეხმარე-

ბოდნენ ფეკლით, ხორციით, შემით. ეძლეოდათ სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარება; ყოველ ოჯახს გამოუყვეს მსუბუქი ავტომანქანა, უზრუნველყოფილ იქნა მათი შრომითი მოწყობა.

პირველმა მშობლიურ მიწაზე ჯავად ჰასანის ძე ბათუაშვილმა დადგა ფეხი, ის სოფელ ჩუმლაყში მიიყვანეს და დააბინავეს.

იმავ წლის მაისში ორი ოჯახი ჩამოვიდა, აგვისტოში — კიდევ ორი ოჯახი და ა.შ. სულ — 20 ოჯახი. 106 ადამიანი. ჩამოსვლისთანავე რეპატრიანტებმა თანამედროვე ქართულ ყაიდაზე გადაიკეთეს სახელები.

ადაპტაციის პროცესი თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ 1977-78 წლებში, სრულიად მოულოდნელად, ჩამოსულთა ერთმა ნაწილმა ირანში გაბრუნების სურვილი გამოთქვა. „მე საქართველოს ვერ დავემდურები, კარგად ვარ, მაქვს სამსახური, ბინა და მანქანა, შეილება სწავლობენ, რატომ მივდივარ? არ ვიცი თავად“, — როგორც პროფესორი თამილა ცვაგარეიშვილი აღნიშნავს, ასეთი იყო ირანში გაბრუნებულთა აზრი. ზოგიერთმა ისიც დაამატა, — ირანში

„გურჯები“ ვართ, აქ, საქართველოში, „თათრებს“ გვეძახიანო. ქალბატონი თამილა შენიშნავს, რომ მათ სათანადოდ ვერ დააფასეს საქართველოში დამხედურთა მზრუნველობა, ხელზე დაიხვიეს წერილმანი გაუგებრობანი (ლორის ხორცს არ ჭამთო, ღვინოს არ სვამთო, თუმცა მამაკაცები შეეჩვივნენ ღვინოს, სასადილოში ლორის ხორცს არ არჩევდნენ სხვა ხორცისგან); ზოგი ნათესავეებთან დაშორებას იმიზეზებდა, მაგრამ წამოსვლისას ხომ უყოყმანოდ დატოვეს ძმები, დები, მშობლები, ზოგმა — ვინ და ზოგმა — ვინ? ჩვენც დაფუშვით შეცდომები, ზოგიერთი რამ ჩვენც ვერ გავითვალისწინეთ.

ასე იყო თუ ისე, ცხრა ოჯახი უკან გაბრუნდა.

თანდათან მდგომარეობა გამოსწორდა, განწყობილება შეიცვალა და ამჟამად, საქართველოში ფერეიდუნელები ჩამოსული 50 ოჯახი ცხოვრობს.

1997 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ გამართულ კონგრესზე ფერეიდუნელებმა მუხთარ დარჩიაშვილმა განაცხადა: „ჩონ ეგრე ვფიქრობთ, რომ ფერეიდუნის ქართველები უნდა ვიყნეთ, როგორც ხიდი ირანსა და საქართველოს შუვა, მეგობრობისა და ურთიერთობისათვის“.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1999 წელს წერდა, რომ ფერეიდანში ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, დაახლოებით 50000 ქართულად მოლაპარაკე ადამიანი ცხოვრობს, ხოლო პროფესორი გ. ჭიჭიშვილი, ფერეიდუნშაჰრელი ქართველი სწავლულის, მაჰმად სეფიანის (სეფაშვილის) მონაცემებზე დაყრდნობით ამბობს, რომ ირანში უნდა ცხოვრობდეს ქართულად მოლაპარაკე 54-55 ათასი სული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კალიფორნია

ბილნსიბყვაობა — პირდაპირ ეთერში

WNBC-TV-ის ტელენამყვანმა სიუ სიმონსმა ახალი ამბების გამოშვების ანონსირების დროს პირდაპირ ეთერში შეიგინა... მონტაჟისას დაშვებული შეცდომის შედეგად, ცნობილი ტელენამყვანის მიერ წარმოთქმული ფრაზა — „აქ რა ჯანდაბას აკეთებ?“ (Whant the fuck are you doing?) — პირდაპირ ეთერში გაიპარა. ახალი ამბების მომდევნო გამოშვებაში სიმონსმა მასურებელს ბოდიში მოუხადა და განაცხადა, რომ შეცდა და მომხდარის გამო ძალიან ნუხს! სიუ სიმონსი ტელეარხზე WNBC 1980 წლიდან მუშაობს და ადგილობრივი ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მაღალანაზღაურებადი ტელენამყვანია.



«უკანასკნელი მოჰიკანი» კარიერას ასრულებს

შოთა, გიო, აჩი, ქეცბა, ნემსა, ჯამარა, ყაველა, პიპინო — მათ ქართველმა ფეხბურთის ქომაგებმა „90-იანების თაობა“ უწოდა და დღევანდელი გადმოსასყდინიდან, გულდასაწყვეტია, რომ თბილისის „დინამოსა“ თუ საქართველოს ნაკრებში მსგავსი მოთამაშეები აღარ არიან.

ჩამოთვლილთაგან, აქტიური საფეხბურთო კარიერა ყველაზე გვიან შოთა არველაძემ დაასრულა და „უკანასკნელ მოჰიკანს“ 3 ივნისს „დიდი ფეხბურთიდან“ საზეიმოდ გააცილებენ.

შოთამ ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩი გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე“, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა და სანაკრებო კარიერაში უკანასკნელი გოლიც იქ გაიტანა.

საკლუბო დონეზე კი მან ბოლო შეხვედრა ესპანეთის ჩემპიონატში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ, „ლევანტეს“ შემადგენლობაში ითამაშა.

არველაძე მიდის, რეაქციები რჩება

ლამა თაბაბარი

18-წლიანი კარიერის განმავლობაში, „ლევანტეს“ გარდა, შოთა თბილისის „მართვეს“, „დინამოს“, „ტრაზზონ-სფორის“, ამსტერდამის „აიაქსის“, გლაზგოს „რეინჯერსისა“ და ჰოლანდიის „ალკმარის“ ღირსებას იცავდა.

იგი საქართველოს სუთგზის, ჰოლანდიის ორგზის, შოტლანდიის ორგზის ჩემპიონია. ამასთანავე, არველაძე საქართველოს, ჰოლანდიისა და შოტლანდიის თასების მფლობელია. ერთხელ კი თურქეთის თასსაც დაეუფლა. მან კარიერის განმავლობაში, სულ 556 შეხვედრა ჩაატარა და 348 გოლი გაიტანა. საქართველოს ეროვნული გუნდის ღირსება არველაძემ 61-ჯერ დაიცვა და მეტოქის კარი 26-ჯერ აიღო. ამ მაჩვენებლით, იგი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია. აღსანიშნავია, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში, სხვადასხვა ტურნირში გამართულ ოფიციალურ მატჩებში შოთამ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა. ქართულმა მასმედიამ არველაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად სამჯერ დაასახელა, ხოლო პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მან ორჯერ გაიმარჯვა.

ის ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც ეროვნული ნაკრების მაისურით მეტოქის კარი სამჯერ აიღო და თან, ეს ორ მატჩში მოახერხა: პირველად — სომხებთან ამხანაგური თამაშის დროს, ხოლო მეორედ — ფარერების ნაკრების წინააღმდეგ, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში. 2004 წლის მინსურულს საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, შოთა მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირთა პირველ ათეულში მოხვდა. ის თვის ევროპის სიმბოლურ ნაკრებში ორჯერ დაასახელეს.

შოთა რომ ევროპაში საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს, ამას თუნდაც ის მონიშნავს, რომ პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუემ მადრიდში, „რეალსა“ და მსოფლიოს ნაკრებს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. მაშინ ფიგუემ მადრიდული კლუბი ოფიციალურად დატოვა. მის გამოსათხოვარ შეხვედრაში არველაძემ, პორტუგალიელი ვარსკვლავის მიერ დაკომპლექტებულ მსოფლიოს გუნდში ითამაშა. თურქეთის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა, რომელმაც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდს ბრინჯაოს მედლები მოაგებინა, ჩემთან საუბრისას თქვა: შოთა ჩემი ძმააო. ქართველი თავდასხმელი, გიუნეშთან და თურქული ფეხბურთის ვარსკვლავ ჰაკან შუქურთან ერთად, ტრაზზონის ყველაზე პოპულარული ადამიანების სამეულში შედის და მის გამოჩენას ამ ქალაქში ყოველთვის დიდი ოვაციით ხვდებიან.

ამსტერდამში, შოთას სახლის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს ფოტო, რომელზეც ქართველი ფორვარდი დიეგო მარადონასთან ხელგადახვეული დგას. სწორედ არგენტინელია მისი კერპი და საუკეთესო ქართველ ბომბარდირს არაერთხელ აღუნიშნავს: პელე — ფეხბურთის მეფეა, მაგრამ მარადონა — ფეხბურთის ღმერთიაო...

თავად შოთამ, ტყუპისცალ აჩიკოსთან ერთად, კარიერა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ დაიწყო. კიჭებმა (მათი მეტსახელი) ნიჭი თავიდანვე გამოამჟღავნეს. „ფეხბურთელად რომ ჩამოვყალიბდი, ამაში, პირველ რიგში, წვლილი მშობლებს მიუძღვით. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ სამივე ძმას ფეხბურთი გვეთამაშა. მე და ჩემი ტყუპისცალი არჩილი ბურთზე უზომოდ ვიყავით შეყვარებული. ამის გამო, სახლში მინა ხშირად ჩამტვირთული გვქონდა. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ 6 წლის ასაკში მივედი. მოგვიანებით, წვრთნა 35-ე საფეხბურ-



თო სკოლაში გავაგრძელებ. 1990 წლის დასაწყისში დავით ყიფიანმა თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ამიყვანა, მაგრამ ქართული ფეხბურთი საკავშიროს გამოეყო და მეც იძულებული გავხდი, გუნდი დამეტოვებინა. თამაში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდ „მართვეში“ გავაგრძელებ, რომლის პრეზიდენტი კოტე გაბაშვილი გახლდათ. იქ თითქმის ერთი წელი გავატარე და საქართველოს თასზე, „დინამოს“ გოლიც გავუ-

რომლებიც კვალიფიციურ ფორვარდს ეძებდნენ, ტყუპის შესახებ ინფორმაცია მიიწოდეს.

იმავე წელს, „დინამო“ თურქეთში გაემგზავრა და „ტრაბზონსფორის“ მეორე გუნდთან ამხანაგური შეხვედრის ჩატარების შემდეგ, რომელიც თბილისელებმა 6:1 მოიგეს, შოთას, აჩიკოს და რეზოს გუნდში დარჩენა შესთავაზეს. „რეზომ უარი თქვა და ძმების თათბირზე გადაწყვიტეთ, რომ მე და შოთა დავრჩებოდით. თავდაპირველად, „ტრაბზონის“ ფანები ეჭვის თვლით გვიყურებდნენ და ფიქრობდნენ — ამ გამხდარმა ბიჭებმა რა უნდა გააკეთონო? ჩვენი გუნდში მისვლისას „ტრაბზონსფორი“ ჩემპიონატში მე-13 ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ მომდევნო სეზონებში თურქეთის თასი და სუპერთასი მოვიგეთ, ასევე ქვეყნის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. არ ვტრა-

თვალთახედვის არეში მოვხვდი... დმერთმა გადმომხედა და ისეთ უდიდეს კლუბში აღმოვჩნდი, როგორც „აიაქსი“ გახლდათ. რაც შეეხება აჩიკოს, იგი „ბრედაში“ ჩაირიცხა, — იხსენებს საქართველოს ნაკრების ექსფორვარდი.

„აიაქსში“ შოთას გადასვლას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, რასაც თავად ფეხბურთელიც აღიარებს, მაგრამ მან ყველას საპირისპირო დაუმტკიცა: „ჰოლანდიაში რომ მივემგზავრებოდი, ზოგიერთმა ირონიულად მითხრა, ბალიში წაიღეო, რითიც მაგარძნობინეს — სათადარიგოთა სკამზე ჯდომით „ერთი ადგილი“ არ გაგიცივდესო. მაშინ „აიაქსში“ ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც მიქაელ ლაუდრუპი, ედვინ ვან დერ სარი, ძმები რონალდ და ფრანკ დე ბურები, დანი ბლინდი და იარი ლიტმანენი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი მაინც მოვიპოვე და პირველსავე სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში 25 გოლი გავიტანე. საერთოდ კი სეზონში 37 გოლი გავიტანე. აჩიმ საკუთარ ანგარიშზე 18 ბურთი ჩაიწერა. ორივე, ჰოლანდიის ლიგის საუკეთესო დებიუტანტებად დაგვასახელეს და წლის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდით“.

უკანასკნელ სეზონში არველაძეს „აიაქსში“ გარკვეული პრობლემები შეექმნა. პირველად ამსტერდამელები ფინანსურმა პოლიციამ შეაწუხა, რომელმაც „ტრაბზონსფორიდან“ ჰოლანდიაში შოთას ტრანსფერში დარღვევები აღმოაჩინა. ამიტომ, დაკითხვაზე დაიბარეს და იქ ორი დღე-ღამე გაატარა. საბოლოოდ, მის მიმართ პრეტენზია არავის გასჩენია, რადგან კლუბებს შორის ურთიერთობა ფეხბურთელს არ ეხებოდა. მოგვიანებით, მას კონფლიქტი „აიაქსის“ ტექნიკურ დირექტორ ლეო ბენეშაკერთან მოუვიდა, რომელიც კულისებს მიღმა ფარულ თამაშს ეწეოდა. „ის ცდილობდა დავემანტაუებინე და მემუქერებოდა, რომ



ტანე. მომდევნო წელს, ყიფიანმა, აჩიკოსთან ერთად, თბილისის „იბერიის“ ანუ ყოფილ „დინამოში“ მიმიწვია. ახალ გუნდში პირველი გოლი ქუთაისის „ტორპედოს“ კარში სტუმრად ჩატარებულ მატჩში გავიტანე და ვფიქრობ, რომ იგი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მაშინ, ძირითად შემადგენლობაში დებიუტი მქონდა და თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, ქეცბაიას გადაცემის შემდეგ, ვარდნაში ზუსტად დავარტყი. ქუთაისელთა კარის უკან აჩიკო იდგა, რომელმაც წარმატება პირველმა მომილოცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წელს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, „დინამომ“ ევროკონფერენსებში იასპარეზა და ჩემპიონთა ლიგაზე ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდს“ შეხვდით. პირველი მატჩი თბილისში ჩავატარეთ და სტუმართა კარში გატანილი ბურთი დღემდე მახსოვს. საბოლოოდ შეხვედრა 2:1 მოვიგეთ და განმეორებითი თამაში ფრედ — 1:1 დავასრულეთ, რამაც მომდევნო ეტაპის საგზური მოგვიტანა. თუმცა, თურქი მსაჯების გამო, რომელთაც თბილისური მატჩის დასრულებისას „დინამოს“ ხელმძღვანელობა ქრთამის შეთავაზებაში დაადასმალეს, უფამ წაგება ჩავგითვალა და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოგვცეს“, — იხსენებს შოთა. სხვათა შორის, სწორედ ამ მსაჯებმა, „ტრაბზონსფორის“ თავკაცებს,

ბახობ, მაგრამ თასის ფინალებში და სუპერთასისთვის გადამწყვეტ მატჩებში თურქული ვრანდები — „გალათასარაი“ და „ფენერბახჩე“, ჩემი და აჩიკოს კარგი თამაშის წყალობით დავამარცხეთ. თურქეთში პირველსავე წელს საუკეთესო დებიუტანტებად, ლეგიონერებად და ფორვარდებად გვაღიარეს. გარდა ამისა, მე და აჩი „ტრაბზონსფორის“ ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერებად ვართ მიჩნეული. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ჩვენ შესახებ სიმღერაც კი შექმნეს, რომელსაც „ტრაბზონსფორის“ მატჩებისას ტრიბუნაზე გამუდმებით მღეროდნენ“, — ჰყვება შოთა არველაძე.

მიუხედავად წარმატებული თამაშისა, 1994 წელს, როდესაც „დინამოს“ დისკვალიფიკაცია მოუხ-

სნეს, შოთა და აჩიკო თბილისში დაბრუნდნენ. რუმინეთის კრაიოვას „უნივერსიტატის“ დამარცხების შემდეგ, „დინამოელები“ უფასო თასის მეორე ეტაპიდან ავსტრიის „ტიროლმა“ გამოთიშა და ტყუპმა ისევ თურქეთს მიამუშრა.

„ტრაბზონსფორის“ შემადგენლობაში 1995-1996 წლები სეზონში 26 გოლი გავიტანე და ამსტერდამის „აიაქსის“



FM 103.9



მსოფლიო კარავანი

და პრეზენტაციის სახელი

FM 103.9

დაშვილდა ჩვენს, ზიჯანი პეპა, სალმე ყანჩელი და მათი შვილები



„სალომე სკოლის ასაკიდანვე იმდენად გამორჩეული იყო, სკოლიდან რომ მოდიოდა, უკან ამაღლა მოსდევდა, მე რიგში მეთორმეტე ვიყავი და მიხაროდა“, — იხსენებდა ერთ-ერთი აკადემიკოსი... აღიარებული მსახიობის, სალომე ყანჩელის ბარელიეფი მის საცხოვრებელ სახლთან, მისსავე დაბადების დღეს — 14 მაისს გაიხსნა. სალომე ყანჩელის საიუბილეო საღამოს აღნიშვნა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ივნისში იგეგმება. სალომე ყანჩელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მსახიობის შვილი, ცნობილი რეჟისორი იობარ ლითაინიშვილი გვსაუბრება:

ანუ სალომე ყანჩელის განუმეორებადი საბავა

ნებისმიერ მსახიობს ახასიათებს, უფრო მეტი უნდოდა, რადგან რთულად იტანდა პაუზებს. ყველა სპექტაკლის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა სპექტაკლი — „ამბავი ერთი სიყვარულისა“. ამ სპექტაკლში, სოფლელი გოგო განასახიერა. მთავარი როლია და არ ვიცი, როგორ მოიგო, მაგრამ სოფლელი და მთავარი გოგოს როლი შესანიშნავად ითამაშა. მოგვიანებით, გონერია განასახიერა შექსპირის „მეფე ლირში“, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა დადგა. გონერია უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ განსაკუთრებულად უყვარდა და ბარელიეფზე გონერილას როლშია გამოსახული. მისთვის საყვარელი სპექტაკლი იყო — „როცა ასეთი სიყვარულია“. ზუსტად არ მახსოვს პერსონაჟის სახელი... ითამაშა სპექტაკლში „სენიანელი კეთილი კაცი“,

მანანა ბაბრიქიძე

— სალომე ყანჩელის სამსახიობო მოღვაწეობა თავიდანვე საინტერესოა, იგი ცნობილი რეჟისორის, გიორგი ტოვსტონოგოვის მოწაფე გახლდათ; ძალიან ძლიერ ჯგუფში იყო, მათ ჯერ კიდევ სადიპლომო სპექტაკლით — „ცისფერი და ვარდისფერი“ მოიხვეჭეს სახელი. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოხვდა. ამ თეატრში სამი წელი იმოღვაწა და რამდენიმე როლი შეასრულა. შემდეგ, სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გადავიდა, სადაც მთავარი რეჟისორი სერგო ჭელიძე გახლდათ. იქ გატარებული წლები მისთვის ძალზე ნაყოფიერი იყო, რადგან თეატრში იმხანად საოცრად საინტერესო სპექტაკლები იდგმებოდა. სრულიად ახალგაზრდას მიენიჭა აფხაზეთის სახალხო არტისტის წოდება (მოგვიანებით, საქართველოს სახალხო არტისტის წოდებაც მიანიჭეს). მე პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, აფხაზეთის რომელ ქალაქშიც უნდა გაგველო, ქუჩაში ყველგან ცნობდნენ და „სალომეს“ ყვირილს იწყებდნენ... 1956 წელს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდით და იქიდან მოყოლებული, თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. თეატრში მისი საყვარელი პარტნიორები იყვნენ: რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი; საყვარელი რეჟისორი კი — რობერტ სტურუა. მან ძალიან ბევრი პერსონაჟი განასახიერა, მაგრამ როგორც

სცენა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან „მასკარადი“



რომელშიც მთავარი გმირის დედა განასახიერა. როლში ფესვაცმელები პირიქით ეცვა და თავისებური სიარულის მანერით, საოცრად დასამახსოვრებელი იყო. ეს სპექტაკლი მაშინაც რობერტ სტურუამ დადგა. აგრეთვე იყო „ხანუმა“, რომელმაც რეჟისორი მოხსნა, იმდენჯერ იყო წარმოდგენილი. ბოლო აქტი იმპროვიზაციაზე იყო აწყობილი და ყოველ სპექტაკლზე ხალხი იმის ინტერესით მოდიოდა, იმ დღეს რას იტყოდნენ. ორნუთიანი სცენა ხშირად 15 წუთიც კი გრძელდებოდა... თემურ ჩხეიძის სპექტაკლში — „ბერნარდა ალბას სახლი“ ტირანი ქალი განასახიერა. ძალზე რთული როლია და იშვიათად გამოსდის ვინმეს; დედა კი მიიჩნედა, რომ გამოუვიდა, რასაც თემურ ჩხეიძეს უმადლიდა. ეს სპექტაკლი მართლაც, ბრწყინვალე იყო. „რიჩარდ მე-სამეში“ ელისაბედი განასახიერა წარმატებით. „რიჩარდ მე-სამეში“ მთელი მსოფლიო მოიარა... მე განსაკუთრებულად „ჭინჭრაქა“ მიყვარდა, სადაც სალომე მზეთუნახავის როლს თამაშობდა, სულ სამი-ოთხი წუთი იდგა სცენაზე, მაგრამ ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა და სპექტაკლი ჩემთვის და ბევრი ბავშვისთვის განსაკუთრებულად საყვარელი იყო.

— თეატრის კულისებში იზრდებოდით?

— დიახ, თეატრი ყოველთვის ძალიან მიყვარდა, თავიდან ვერც ვარჩევდი, რას ნიშნავდა რეპეტიცია და რას — სპექტაკლი. სოხუმში მისი მოღვაწეობის პერიოდის განსაკუთრებით დამამახსოვრდა სერგი ჭელიძის დადგმული „მაია წყნეთელი“. სპექტაკლში დედამ კუკური (ზურაბ) ლაფერაძე „მოკლა“, პირდაპირ სცენაზე ავვარდი ყვირილით: დედა, კუკური ბიძია რად მოკალი-მეთქი?! მაშინვე ფარდა დაუშვეს და დარბაზშიც და სცენაზეც ხარხარი ატყდა. ძლივს გამაკავეს, რადგან კუკური ლაფერაძე მამასთან მეგობრობდა, ჩვენთან ხშირად მოდიოდა და მის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი. ეს სპექტაკლი თბილისსა და სანქტ-პეტერბურგშიც წარმოადგინეს და კრიტიკოსების დიდი ქებაც დაიმსახურა. დედა მაიას როლს თამაშობდა და ყოველი სპექტაკლის შემდეგ, მთლიანად დალურჯებული მოდიოდა — მალალი კიბე იყო და იმ სცენის მერე, როცა მაიას კლავენ, ზემოდან უნდა ჩამოგორებულყო.

— მსახიობური ნიჭი ოჯახიდან მოსდევდა?

— სალომეს მამა, სანდრო ყანჩელი პროფესიით ადვოკატი იყო, ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული. დედა, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, ნიკოლოზ შენგელიას და გახლდათ. თუ ვინმე გამოჩენილი პიროვნება ჩამოდიოდა საქართველოში, ჩვენს ოჯახში უნდა მოეყვანათ. სანდრო ყანჩელს ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა რუს პოეტ ბალმონტთან. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს თეატრთან ყოველთვის დიდი სიახლოვე ჰქონდა, დედის წარმატება უფრო მეტად, მისი მსახიობური ნიჭით იყო განპირობებული.

— ქართულ ფილმებში სალომე

ყანჩელი იშვიათად ჩანს. რა იყო ამის მიზეზი?

— სულ სამ ქართულ ფილმში ითამაშა. შემდეგ ბევრი შემოთავაზება ჰქონდა, მაგრამ უფრო სმირად სცენარს იწუნებდა. ზოგიერთი პერსონაჟიც ვერ მოიხრგო; მას სოვს, ლანა ლოლობერიძის ფილმში — „აურზაური საღინეთში“ გარკვეულ ხანს იმუშავა როლზე, მაგრამ შემდეგ აღარ მოისურვა მთავარი გმირის განსახიერება. „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ სავლეს ქვრივი განსახიერა; ეს მისი ყველაზე ცნობილი კინოროლია. მას სოვს, ფილმს ბათუმში იღებდნენ, მეც ჩავედი, ფუნთუშით ხელში დავედქი და ველოდებოდი, როდის დაამთავრებდნენ გადაღებას. იმ სცენას იღებდნენ, სადაც სავლეს ქვრივი პირველად ქანდაკებას სიმშვიდის გამო დაიწუნებს და ადგილზე მიტანილ ფეხვილის ტომრებს კვლავ ორთვალაზე ტვირთავს. მეორე დუბლის გადაღების დროს ორთვალა გადაბრუნდა და ყველანი ქვეშ მოიყოლა. გული გამისკდა, ვეცი და ყველა საითთოდ გამოვიყვანე. ორთვალას ქვეშ მოქცეული დედა სიცილით იგუდებოდა... მეორე ფილმშიც ელდარ შენგელაიას მიწვევით ითამაშა. „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონის და განასახიერა.

— თაყვანისმცემლებზე რას გვეტყვი?

— ხალხს ძალიან უყვარდა. ჩვენს სახლ-

საც დედა გარდაიცვალა, ჩვენთან მოდიოდა მემწვანოვნი მარგო ქვლებამვილი და რაღაცები მოჰქონდა, ობლად არ დამრჩეთო. ეკლესიაში რომ შევიდით, იმ ქალის სახელზე დღესაც ვანთებთ სანთელს. ერთი აკადემიკოსი იხსენებდა, — სალომე სკოლიდან რომ მოდიოდა, უკან ამაღლა მოსდევდა, მერიგში მე-12 ვიყავი და მიხაროდაო... ჩვენი სახლის კარი მუდამ ყველასათვის ღია იყო, სტუმრად ყველა რანგის ხალხი მოდიოდა. თეატრი რთული ორგანიზაციაა, მაგრამ სალომე ყველას უყვარდა, მათ შორის, დამლაგებელსაც, დარაჯსა თუ უბრალო მუშასაც. ერთხელ, თეატრიდან ეროსი მანჯგალაძესთან ერთად გამოვიდით, შეცრად სცენიდან საოცარი ხმაური შემოგვესმა, იქით გავეშურეთ და უჩვეულო სანახაობასაც წავაწყდით: მუშები სცენაზე ასულიყვნენ და „ხანუმას“ თამაშობდნენ.

— თეატრზე უფრო მეტად ზრუნავდა თუ ოჯახზე?

— ძალიან ბევრს შრომობდა, ამასთანავე, ყურადღებიანი მყურებელიც იყო და კარგი პარტნიორიც. დახმარებაზე უარს არავის ეტყოდა. თუ რეპეტიცია საღამოს 8 საათზე იყო დანიშნული, ყოველთვის 6-ისთვის მიდიოდა. სამზარეულოც ძალიან უყვარდა და თუ ახალ როლზე არ მუშაობდა, სულ საქმელების მომზადებით იყო დაკავებული. კარგი კერძები გამოსდიოდა და მსახიობებს ჩვენთან მოსვლა განსაკუთრებულად უყვარდათ. სტუმრები რომ სუფრასთან იხდნენ, მუდმივად ახალ-ახალი კერძი გამოჰქონდა. ბოლოს, თუ ველარაფერს მოქებნიდა, შუქი ჩააქრეთო, გამოაცხადებდა და ცეცხლ-ნაკიდებულ ერობოკვერცხი ეფექტურად შემოჰქონდა. ერობოკვერცხის შემოტანის ეფექტი იმდენად დიდი იყო, გემოს ყურადღებას აღარავინ აქცევდა, ყველა ამ კერძის დაგემოვნებას ცდილობდა ხოლმე. უჩვეულო ხასიათი ჰქონდა: 60 წლის ასაკში იტალიაში იყო გასტროლებით. რომ ჩამოვიდა, გვხარა, რომში ველოსიპედით „ვიკატავო“. იქ ვილაც ბავშვისგან ველოსიპედი უნათხოვრებია და ზედ



კადრი ფილმიდან „ორი ოჯახი“

ში ინახებოდა ჩვეულებრივი 12-ფურცლიანი რვეულები, რომლებსაც მას უგზავნიდნენ. რვეულები ნახატებით იყო გაფორმებული და ორნამენტების მემწვანოვით ეწერა — „მიყვარხარ, სალომე!“ მასზე შეყვარებულნი იყვნენ მებაშეები, მემწვანოვნი... როდენ



მეფე ჩახავა, სერგო მაჭარიაძე და სალომე ყანჩელი

დამჯდარა; კახი კავსაძე თურმე უკან მისდევდა და ყვიროდა: სალომე, ფრთხილად, ახლანდელ ველოსიპედებს „ტორმუზი“ საჭესთან აქვს, არ დაგავინცვდესო... გაშუდებით თეატრსა და სპექტაკლებზე ფიქრობდა — ხელოვნების მოყვარულს, საოცრად ფაქიზი ხასიათი ჰქონდა; თუმცა მისი ხასიათის სიძლიერე ავადმყოფობისას გამოჩნდა, უკანასკნელ გზაზე მიმავალს ერთი არ დაუწუნუნია. სწორედ გარდაცვალების დღეს საავადმყოფოში მთხოვა, სავარძელში ჩამესვა: ზედა სართულზე ჭიათურელი მსახიობი წევს და მისი ნახვა მინდაო. ჭიათურელ მსახიობს სალომეს დანახვაზე ისეთი ემოცია ჰქონდა, ძლივს დაანყნარეს. მედიკო ჩახავა და სალომე სულ ერთად იყვნენ, თუმცა ძალიან განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. მედიკო სულ იგვიანებდა რეპეტიციაზე, სალომეს არასოდეს დაუგვიანია, მეფეა სულ ეწეოდა სიგარეტს, სალომეს არასოდეს გაუსინჯავს, მედიკო დიდი გატაცებით მუდმივად ჭადრაკს თამაშობდა და გვიან იძინებდა, სალომე თამაშს ვერ იტანდა და ყოველთვის ადრე იძინებდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სულ ერთად იყვნენ და სალომე რომ ავად გახდა, მედიკო გვერდიდან არ მოშორებია.

— სალომე ყანჩელი თავდაპირველად, ტოვსტონოგოვის მუფლზე იყო...

— დიას, ორი ვაჟი ჰყავდათ — სანდრო და ნიკა. შემდეგ გაშორდნენ და სასამართლომ ბავშვები ტოვსტონოგოვს მიაკუთვნა, რადგან დედა სტუდენტი იყო და — რეპრესირებული ოჯახიდან... შემდეგ, სალომე მამაჩემს — ოთარ ლითანიშვილს გაჰყვა ცოლად. მამას და ტოვსტონოგოვს არნახული ურთიერთობა ჰქონდათ. შვილებსაც თუ რამე დასჭირდებოდათ, მამაჩემს ურეკავდნენ. ტოვსტონოგოვთან ჩვენც კარგი ურთიერთობა გვექონდა, მოსკოვში „ხანუმა“ რომ დადგეს, იქ დედა მიიწვიეს. თეატრში რომ შევიდით, ქალები მორბოდნენ და გაიძახოდნენ, — ეს ის ქალია, რომლის გამოც, გოგამ ცოლი მთელი ცხოვრება აღარ შეირთო და რეპეტიციებზე სულ მის სახელს ახსენებსო?

— სალომე ყანჩელის საქმეს ვინ აგრძელებს მის შთამომავლობაში?

— მე რეჟისორი ვარ, ჩემი ვაჟიც რეჟისორია და შვილიშვილსაც რეჟისორობა სურს. ჩემი ქალიშვილი კი მიხილ თუმანიშვილის თეატრის მსახიობია.

მკითხველს

— გავრათ თუ არა „ვირტუალური“ სიყვარულის?

თეაძო 17 წლის:

— როგორ არ მჯერა?! სიყვარული ერთი ნახვითაც შეიძლება და უნახავადაც. მეც „ვირტუალური“ შეყვარებული ვარ, მჯერა, რომ მასაც ვუყვარვარ და ყველაფერი კარგად იქნება. დაუჯერებელი არაფერია. ბიჭი და გოგო შეიძლება, წლები ხვდებოდეს ერთმანეთს და ისე კარგად ვერ უგებდნენ ერთმანეთს, როგორც მე და ჩემი ვირტუალური შეყვარებული. საოცარი ადამიანია, დარწმუნებული ვარ, რომ გარეგნულადაც კარგია. არ შეიძლება, სულთ ლამაზ ადამიანს მახინჯი სხეული ჰქონდეს.



მსხედროთმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოღაევი



დასანწყისი იხ. „გზა“ №44-21

ფრონტისპირა ზონიდან ძალზე შეზღუდულ ვადებში, 1941 წლის მეორე ნახევარში აღმოსავლეთით გადაიტანეს 2593 სამრეწველო საწარმო და ევაკუირებულ იქნა 10 მილიონზე მეტი ადამიანი. იმავდროულად ზურგში გადაჰქონდათ სურსათის მარაგი, ათიათასობით ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ევაკუირებულ იქნა ასეულობით სამეცნიერო ინსტიტუტი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. ყველაფერ ამის გადასატანად 1,5 მილიონი სარკინიგზო ვაგონი გამოიყენეს. საგულისხმოა გერმანელი გენერლის კურტ ტიპელსკირხის აღიარება: „სტალინმა შეძლო თავისი ახალი არმიების შეიარაღება ბევრად უკეთ, ვიდრე მანამდე. ურალის მეორე მხარეს შექმნილი თუ იქ გადატანილი სამხედრო მრეწველობა ახლა უკვე სრული სიმძლავრით მუშაობდა და არმიას არტილერიის, ტანკებისა და ტყვია-წამლის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფდა“.

სტალინი დიდ ყურადღებას უთმობდა საბრძოლო ტექნიკის სრულყოფას, რომელიც არმიისა და ფლოტის შეიარაღებაზე მიდიოდა.

ომის წლებში გიგანტური მუშაობა ჩატარდა სამხედრო ტექნიკის გამოსაშვებად — გერმანიასთან და მის მოკავ-

შირე ქვეყნებთან ეკონომიკური ბრძოლის გადამწყვეტ სფეროში. ამ სფეროში გაშლილი ბრძოლა ჩვენთვის ძალზე არასახარბიელო პირობებში მიმდინარეობდა. მესამე რაიხის მძლავრი სამხედრო ტექნიკა ძალზე მასშტაბურად იყენებდა ევროპის დაპყრობილი ქვეყნების რესურსებს. საბჭოთა სამხედრო ეკონომიკას არსებითად, მთელი ევროპის ეკონომიკური პოტენციალი უპირისპირდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩანაწერი გებელსის დღიურში, რომელიც მან 1941 წლის 18 მარტს გააკეთა: „ფიურერი აქებს „შკოდას“ ქარხნების (სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმსხვილესი საწარმოები ჩეხოსლოვაკიაში) მუშაობას. ამ ომის მსვლელობისას მათ უდიდესი სამსახური გაგვინიებს იარაღის მოწოდებით... „კრუპი“, „რეინ-მეტალი“ და „შკოდა“ — აი, ჩვენი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის 3 მსხვილი სამჭედლო“.

შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის სფეროში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაჩაღებული პაექრობა ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო და ძალთა დიდი დაძაბვით მიმდინარეობდა მთელი ომის განმავლობაში. ჭეშმარიტად დრამატულ დაძაბულობას მან მიაღწია, დიდი სამამულო ომისთვის ძირული გარდატეხის წელს — 1943-ში. ამ დროისთვის უკვე გამოიკვეთა გერმანიასა და მის მოკავშირეებზე საბჭოთა კავშირის უპირატესობა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ სამხედრო ეკონომიკაშიც.

ნიგნში — „საბჭოთა სამხედრო ეკონომიკა სამამულო ომის წლებში“ — ისტორიკოსი ვოზნესენსკი წერს: „1944 წელს, როცა საბჭოთა არმიამ მთლიანად განმინდა საბჭოთა მიწები ჰიტლერულ უწმინდურთაგან, საბჭოთა კავშირის სამხედრო მეურნეობაში კვლავაც გრძელდებოდა წარმოების გასაფართოებლად აუცილებელი პროცესები. სამხედრო ხარჯების ზრდა 1943-1944 წლებში ხდებოდა სანარმოო და პირადი მოხმარებისა და დაგროვების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად და არა მათი აბსოლუტური შემცირების ხარჯზე, როგორც ეს 1942 წელს ხდებოდა“.

ფაშისტი ოკუპანტების განდევნის შემდეგ, სტალინის მითითებით, გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მაშინვე იწყებოდა ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და საწარმოების, საავადმყოფოებისა და სკოლების აღდგენა. სახელმწიფო არცთუ მცირე სახსრებს გამოყოფდა ეკონომიკის ასაღორძინებლად, ოკუპაციისგან დაზარალებულ რაიონებში.

მანამდე ისტორიას არ შემორჩენია იმის მაგალითი, რომ ქვეყნის არმიის მსხვილ-მასშტაბიანი საიერიშო ოპერაციები განეხორციელებინა და იმავდროულად, მის ხალხს, მონინაალმდეგისგან გათავისუფლებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები გაეშალა.

სტალინს მშვენივრად ესმოდა აშშ-სთან და ინგლისთან საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის არსი, იცოდა, რომ სამხედრო მოკავშირეები მანამდე გაუნეგდნენ ანგარიშს ჩვენს ქვეყანას, სანამ ის ძლიერი იქნებოდა. ერთხელ (ეს იყო 1944 წელს) სამხედრო მეთაურებთან საუბრისას მან თქვა: „ფიქრობთ, მოკავშირეები არ გაგვსრესენ, თუ დაინახავენ ჩვენი გასრესის შესაძლებლობას?“

გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი სიკვდილსიგან და დაბრუნებისგან იხსნა. როდესაც ომის შემდეგ, სტალინის აგარაკზე მიუტანეს საბჭოთა კავშირის რუკა, რომელზეც მისი ახალი საზღვრები იყო ასახული, მან ის ჭკარტებით მიაკრა კედელზე და, მოლოტოვის თქმით, აღნიშნა: „აბა, ვნახოთ, რა გამოგვივიდა... ჩრდილოეთით ყველაფერი წესრიგში გვაქვს, ყველაფერი ნორმალურადაა. ფინეთმა ძალიან შესცოდა ჩვენ წინაშე და ჩვენც საზღვარი, ლენინგრადიდან ნისკენ გადავნიეთ. ბალტიისპირეთი — ეს ძირძველი რუსული მიწები! — ისევ ჩვენია, ბელორუსები ახლა ჩვენთან ერთად ცხოვრობენ, უკრაინელები — ჩვენთან ერთად, მოლდაველები — ჩვენთან ერთად. დასავლეთით საქმე ნორმალურადაა. — მერე აღმოსავლეთ საზღვრებს მიაპყრო მზერა: — აბა, აქ რა ხდება?... კურილიის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინი — მთლიანად ჩვენია, შეხედეთ, რა კარგია! პორტ-არტურიც ჩვენია და შორეული აღმოსავლეთიც. — სტალინმა ჩიბუხი მოავლო ჩინეთის ტერიტორიას. — ჩინეთის სამხედრო-სარკინიგზო გზაც ჩვენია. ჩინეთი, მონღოლეთი — ყველაფერი წესრიგშია... აი, აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს! — თქვა სტალინმა და ხელი კავკასიის სამხრეთისკენ გაიშვირა“.

დიდი სამამულო ომის მსვლელობისას, საბჭოთა კავშირმა ევებერთელა განმათავისუფლებელი მისია იტვირა. მისი ჯარები, რომლებიც 7 მილიონზე მეტ მებრძოლს ითვლიდა, 15 თვის განმავლობაში 13 ქვეყნის ტერიტორიაზე აწარმოებდა დაძაბულ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. მათ გაანადგურეს მტრის 607 დივიზია, ტყვედ აიყვანეს მონინაალმდეგის 2,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ღრმა გააზრებას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირი, მიუხედავად უზარმაზარი იავარქმნილი ტერიტორიებისა, მიღებული უდიდესი ზარალისა, ომიდან უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე მანამდე იყო. წითელმა არმიამ კი მსოფლიოში უძლიერესი არმიის სახელი მოიხვეჭა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მსხედროთმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოღაევი



დასანწყისი იხ. „გზა“ №44-21

ფრონტისპირა ზონიდან ძალზე შეზღუდულ ვადებში, 1941 წლის მეორე ნახევარში აღმოსავლეთით გადაიტანეს 2593 სამრეწველო საწარმო და ევაკუირებულ იქნა 10 მილიონზე მეტი ადამიანი. იმავდროულად ზურგში გადაჰქონდათ სურსათის მარაგი, ათიათასობით ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ევაკუირებულ იქნა ასეულობით სამეცნიერო ინსტიტუტი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. ყველაფერ ამის გადასატანად 1,5 მილიონი სარკინიგზო ვაგონი გამოიყენეს.

საგულისხმოა გერმანელი გენერლის კურტ ტიპელსკირხის აღიარება: „სტალინმა შეძლო თავისი ახალი არმიების შეიარაღება ბევრად უკეთ, ვიდრე მანამდე. ურალის მეორე მხარეს შექმნილი თუ იქ გადატანილი სამხედრო მრეწველობა ახლა უკვე სრული სიმძლავრით მუშაობდა და არმიას არტილერიის, ტანკებისა და ტყვია-წამლის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფდა“.

სტალინი დიდ ყურადღებას უთმობდა საბრძოლო ტექნიკის სრულყოფას, რომელიც არმიისა და ფლოტის შეიარაღებაზე მიდიოდა.

ომის წლებში გიგანტური მუშაობა ჩატარდა სამხედრო ტექნიკის გამოსაშვებად — გერმანიასთან და მის მოკავ-

შირე ქვეყნებთან ეკონომიკური ბრძოლის გადამწყვეტ სფეროში. ამ სფეროში გაშლილი ბრძოლა ჩვენთვის ძალზე არასახარბიელო პირობებში მიმდინარეობდა. მესამე რაიხის მძლავრი სამხედრო ტექნიკა ძალზე მასშტაბურად იყენებდა ევროპის დაპყრობილი ქვეყნების რესურსებს. საბჭოთა სამხედრო ეკონომიკას არსებითად, მთელი ევროპის ეკონომიკური პოტენციალი უპირისპირდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩანაწერი გებელსის დღიურში, რომელიც მან 1941 წლის 18 მარტს გააკეთა: „ფიურერი აქებს „შკოდას“ ქარხნების (სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმსხვილესი საწარმოები ჩეხოსლოვაკიაში) მუშაობას. ამ ომის მსვლელობისას მათ უდიდესი სამსახური გაგვინიეს იარაღის მონოდებით... „კრუპი“, „რეინ-მეტალი“ და „შკოდა“ — აი, ჩვენი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის 3 მსხვილი სამჭედლო“.

შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის სფეროში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაჩაღებული პაექრობა ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო და ძალთა დიდი დაძაბვით მიმდინარეობდა მთელი ომის განმავლობაში. ჭეშმარიტად დრამატულ დაძაბულობას მან მიაღწია, დიდი სამამულო ომისთვის ძირული გარდატეხის წელს — 1943-ში. ამ დროისთვის უკვე გამოიკვეთა გერმანიასა და მის მოკავშირეებზე საბჭოთა კავშირის უპირატესობა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ სამხედრო ეკონომიკაშიც.

ნიგნში — „საბჭოთა სამხედრო ეკონომიკა სამამულო ომის წლებში“ — ისტორიკოსი ვოზნესენსკი წერს: „1944 წელს, როცა საბჭოთა არმიამ მთლიანად განმინდა საბჭოთა მიწები ჰიტლერულ უწმინდურთაგან, საბჭოთა კავშირის სამხედრო მეურნეობაში კვლავაც გრძელდებოდა წარმოების გასაფართოებლად აუცილებელი პროცესები. სამხედრო ხარჯების ზრდა 1943-1944 წლებში ხდებოდა სანარმოო და პირადი მოხმარებისა და დაგროვების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად და არა მათი აბსოლუტური შემცირების ხარჯზე, როგორც ეს 1942 წელს ხდებოდა“.

ფაშისტი ოკუპანტების განდევნის შემდეგ, სტალინის მითითებით, გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მაშინვე იწყებოდა ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და საწარმოების, საავადმყოფოებისა და სკოლების აღდგენა. სახელმწიფო არცთუ მცირე სახსრებს გამოყოფდა ეკონომიკის ასაღორძინებლად, ოკუპაციისგან დაზარალებულ რაიონებში.

მანამდე ისტორიას არ შემორჩენია იმის მაგალითი, რომ ქვეყნის არმიის მსხვილ-მასშტაბიანი საიერიშო ოპერაციები განეხორციელებინა და იმავდროულად, მის ხალხს, მონინაალმდეგისგან გათავისუფლებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები გაეშალა.

სტალინს მშვენივრად ესმოდა აშშ-სთან და ინგლისთან საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის არსი, იცოდა, რომ სამხედრო მოკავშირეები მანამდე გაუნეგდნენ ანგარიშს ჩვენს ქვეყანას, სანამ ის ძლიერი იქნებოდა. ერთხელ (ეს იყო 1944 წელს) სამხედრო მეთაურებთან საუბრისას მან თქვა: „ფიქრობთ, მოკავშირეები არ გაგვსრევენ, თუ დაინახავენ ჩვენი გასრესის შესაძლებლობას?“

გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი სიკვდილსიგან და დაბრუნებისგან იხსნა. როდესაც ომის შემდეგ, სტალინს აგარაკზე მიუტანეს საბჭოთა კავშირის რუკა, რომელზეც მისი ახალი საზღვრები იყო ასახული, მან ის ჭკარტებით მიაკრა კედელზე და, მოლოტოვის თქმით, აღნიშნა: „აბა, ვნახოთ, რა გამოგვივიდა... ჩრდილოეთით ყველაფერი წესრიგში გვაქვს, ყველაფერი ნორმალურადაა. ფინეთმა ძალიან შესცოდა ჩვენ წინაშე და ჩვენც საზღვარი, ლენინგრადიდან ნისკენ გადავნიეთ. ბალტიისპირეთი — ეს ძირძველი რუსული მიწები! — ისევ ჩვენია, ბელორუსები ახლა ჩვენთან ერთად ცხოვრობენ, უკრაინელები — ჩვენთან ერთად, მოლდაველები — ჩვენთან ერთად. დასავლეთით საქმე ნორმალურადაა. — მერე აღმოსავლეთ საზღვრებს მიაპყრო მზერა: — აბა, აქ რა ხდება?.. კურილიის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინი — მთლიანად ჩვენია, შეხედეთ, რა კარგია! პორტ-არტურიც ჩვენია და შორეული აღმოსავლეთიც. — სტალინმა ჩიბუხი მოავლო ჩინეთის ტერიტორიას. — ჩინეთის სამხედრო-სარაკინიგზო გზაც ჩვენია. ჩინეთი, მონღოლეთი — ყველაფერი წესრიგშია... აი, აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს! — თქვა სტალინმა და ხელი კავკასიის სამხრეთისკენ გაიშვირა“.

დიდი სამამულო ომის მსვლელობისას, საბჭოთა კავშირმა ევებერთელა განმათავისუფლებელი მისია იტვირა. მისი ჯარები, რომლებიც 7 მილიონზე მეტ მებრძოლს ითვლიდა, 15 თვის განმავლობაში 13 ქვეყნის ტერიტორიაზე აწარმოებდა დაძაბულ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. მათ გაანადგურეს მტრის 607 დივიზია, ტყვედ აიყვანეს მონინაალმდეგის 2,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ღრმა გააზრებას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირი, მიუხედავად უზარმაზარი იავარქმნილი ტერიტორიებისა, მიღებული უდიდესი ზარალისა, ომიდან უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე მანამდე იყო. წითელმა არმიამ კი მსოფლიოში უძლიერესი არმიის სახელი მოიხვეჭა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეცვლილებული შეჯამებისადმი
საერთაშორისო ახალი სეზონისთვის
60 ქვეყანა

1250 ცოცხალი წამბოვლება
10 მილიონი მაყურებელი

The Legendary Dance Show **AMR**
Fire of Anatolia
Anadolu Ateşi



გძებს მოცემპპავეებს

* მოვლენი ხელყობი * დაწესება * კონცერტები

სხვა ხანგრძლივით მოვლენის უბანი

ტელე : (995 32) 24 22 44/55/88

ფაქსი : (995 32) 24 22 77


ელფოსტა : amr@riverside.ge

www.fireofanatolia.com

რატუმ ხდობიან შინაიჯერი გუგუნობი კრიზისალაზი

„ჯერ მისი ბრძანება შევასრულე შემდეგ შემეშინდა... სამზარეულოში გავედი და დანა ავიღე. მერე არაფერი მახსოვს... გონს რომ მოვედი, ოთახში ვიდექი. სანოლზე მიბმული მამაჩემი დავინახე. ის უკვე მკვდარი იყო... ხელ-ფეხი ავხსენი, ხელი ჩავჭიდე და გვამი ეზოში გავიტანე. ხესთან დავდე, ზემოდან ფოთლები დავაყარე... დედა რომ მოვიდა, ყველაფერი ვუთხარი. მან მეზობლებს დაუძახა, იმათ პატრულს დაურევს...“

— ეს 16 წლის, თბილისელი გოგონას სიტყვებია. საკუთარი მამის მკვლელობა მან სასამართლოს წინაშე ალიარა და მოსამართლეს სასჯელის შემსუბუქებაც სთხოვა. საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ ცოტა ხნის წინ განიხილა, მეთერთმეტეკლასელი განსასჯელი დამნაშავედ ცნო და 1-წლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა.



მეზარაპი ფაქაბი საქართველოზი ფიქსირდება

პროცესზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, შემზარავი დანაშაულის სასტიკი დეტალები და კიდევ უფრო საზარელი მოტივი გამოიკვეთა. გოგონამ მამის მკვლელობა ალიარა, მაგრამ ისიც თქვა, რომ დანაშაულამდე ის წლების მანძილზე აუტანელმა ამორალობამ და მშობლის მხრიდან სისტემატურმა სექსუალურმა ძალადობამ მიიყვანა. საქმის მასალების მიხედვით, მამა ქალიშვილს წლების მანძილზე უსამართლოდ, მკაცრად და აგრესიულად ექცეოდა. არსად მუშაობდა, ლოთობდა, ალკოჰოლით გაბრუნებული კი შვილს საერთოდ არ ინდობდა. სისტემატურად სცემდა ცოლსაც. მას შემდეგ კი, რაც ცოლმა მუშაობა დაიწყო, საკუთარი ქალიშვილისადმი აღძრული სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების საშუალებაც მიეცა. შვილს მუქარით აიძულებდა გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივ კავშირს. ქალიშვილიც ემორჩილებოდა. ამბობს, რომ ეშინოდა და იმიტომ. გოგონამ მამის მოკვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა მან კვლავ სქესობრივი კონტაქტის დამყარება მოსთხოვა, გაშიშვლდა და ქალიშვილს თავი ეწაღებოდა. გოგონამაც დრო იხალთა, სამზარეულოში გავიდა, პურის საჭრელი დანა აიღო და მამას სხეულში რამდენჯერმე ჩაარტყა...

განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც

გამონეულია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მხრიდან ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფის ან ამორალური ქმედების შედეგად მიღებული ფსიქიკური ტრავმით — ასეთი კვალიფიკაცია მისცეს სამართალდამცველებმა გოგონას მიერ ჩადენილ დანაშაულს. ფსიქოლოგების თქმით კი ეს კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ იქცევა მსხვერპლი — დამნაშავედ.

„ჩემი აზრით, ამ გოგონასთვის პირობითი სასჯელიც არ უნდა შეეფარდებინათ, რადგან ვერც ერთი სახის სასჯელი მას ამ უმძიმესი მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს და ვერც სწორ გზაზე დააყენებს. ყველაზე მეტად, გოგონას ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება. უმჯობესი იქნებოდა, რომელიმე ფსიქოლოგისთვის მიემარებინათ და შესაბამის სტაციონარში იძულებითი მკურნალობა დაენიშნათ. სურათი ნათელია: ბავშვი სრულიად არაჯანსაღ გარემოში იზრდებოდა, იყო მუდმივი სტრესის ქვეშ, იმ დროიდან კი, როცა გარდატეხის ასაკი დაეწყო (მისთვის შინაგანად ისედაც რთულ პერიოდში) საკუთარი მშობლისგან გახდა ამორალობის და ძალადობის მსხვერპლი. ფაქტია, რომ მაშინ გოგონას ყურადღება, თანადგომა და მხარდაჭერა დედისგან აშკარად აკლდა. პატარა ასაკიდან გამომდინარე, მომხდარს ანალიზს ვერ უკეთებდა, შესაძლოა, რაღაც მომენ-

ტიში ფიქრობდა, რომ მამის საქციელი ნორმალური იყო და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მას შემდეგ, რაც წამოიზარდა და გარკვეული, საკუთარი შეხედულებები ჩამოუყალიბდა, ფაქტები გააცნობიერა და ცხადია, ბუნებრივი პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. გოგონამ თავი მამისგან თვითონ დაიცვა. დაგროვილმა აგრესიამ და ინსტინქტებმა ის დამოუკიდებლად, ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. მოკლა და მოძალადე მშობლისგან თავი ასე გაითავისუფლა“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ფსიქოლოგმა სოფიო ვირულაშვილმა.

ის, რომ ძალადობა შობს აგრესიას, თანამედროვე მოზარდების ცხოვრებაში ყველაზე ნათლად ჩანს. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, გატანჯულმა გოგონამ სიტუაციიდან თავის დასახსნელად დანაშაულის გზა აირჩია, მაგრამ ხშირია ისეთი ფაქტებიც, როცა მოზარდი დანაშაულისკენ მიდრეკილებას ასეთი მძიმე საბაბის გარეშეც ავლენს. მოზარდებს შორის აგრესიის ზრდაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ბოლო დროს ყოველივე ამას ახალი პრობლემაც დაემატა. არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის სულ უფრო ხშირად ჩნდებიან გოგონები... მოსახლეობაში ბევრი წუხს იმაზე, რომ ქუჩაში თავმყვარა, „ბირჟა“, „რაზბორკა“, გინება და დანისტრიალი გოგონებშიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პირველი სერიოზული გამოხმაურება ამ ფაქტს შარშან, 14 წლის სალომე მამაცაცაშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ გოგონას დასახიჩრებული, დანით აჩეხილი სხეული ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში იპოვეს. საქმეში რამდენიმე არასრულწლოვანი გოგონას გვარი წამოტივტივდა. ერთ-ერთი ვერსიით, სადისტური მკვლელობა თანატოლ გოგონებს შორის უთანხმოებასა და საქმის გარჩევას მოჰყვა. გაჩნდა ეჭვი, რომ სალომეზე ყოფილმა მეგობარმა, ბოლო დროს მასზე გადამტერებულმა გოგონამ იძია შური და საზარელი დანაშაულიც საკუთარი ხელით ჩაიდინა. მართალია, გამოძიებამ ვერსია არ დაადასტურა და გოგონების კავშირი მომხდარ მკვლელობასთან უარყო, მაგრამ ის, რომ დაქალების ორ ჯგუფს შორის სისტემატურ „გარჩევებს“, მუქარებს და ერთმანეთის ცემას ადგილი ნამდვილად ჰქონდა, ეს არაერთი მოწმის ჩვენებაში დაფიქსირდა. მაშინ გოგონების თავმყვრის ადგილიც დასახელდა და პრობლემამ უფრო ფართო მასშტაბით გაშუქდა. გამოიკვეთა, რომ თბილისში ქუჩური გარჩევებისთვის შერჩეული რამდენიმე ადგილიც არსებობდა. დღეს მოსახლეობაში ამბობენ, რომ ასეთი ადგილების რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა და შესაბამისად — ფაქტების რაოდენობაც. ყველაზე ცნობილი ადგილები, როგორც ირკვევა, საბურთალოზე, ე.წ. ბუკიას ბაღის, ხოლო



თავისუფლების მოედანთან, ყოფილი უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე. თბილისის საქალაქო სასამართლომ ახლახან სწორედ ბუკიას ბაღში მომხდარ შემზარავ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული საქმე განიხილა. საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვნებმა: მაიამ (სახელები შეცვლილია, რადგან სასამართლო პროცესი დასრულებულია), ნათიამ, ნატომ და ლარისამ მათზე უმცროს, 15 წლის ნიტას „საქმე გაურჩიეს“. ერთმანეთში ურთიერთობა ვერ გაარკვეეს და გოგონა, რომელიც მათდამი არასწორ დამოკიდებულებაში დააფიქსურეს, სასტიკად სცემეს. მისი ცემა მანამ არ შეწყვიტეს, სანამ მთლად არ დაასისხლიანეს. როცა გოგონამ მოძრაობა და წინააღმდეგობის განწვევა შეწყვიტა, იქვე მიატოვეს, თავად კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ. ექვმიტიანილები პოლიციამ დააკავა და ისიც გაარკვია, რომ მათთვის ეს პირველი დანაშაული არ ყოფილა. მსგავსი ქმედებისთვის გოგონები (ერთის გარდა) წარსულშიც ყოფილან სასამართლოში, მორიგი დანაშაული კი სწორედ წარსული ქმედების გამო დანიშნული პირობითი სასჯელის დროს ჩაუდენიათ. სასამართლომ ოთხივე დამნაშავედ ცნო. ერთს 3 წლით, მეორეს 1 წლითა და 6 თვით, მესამეს 5 წლით პირობითი, მეოთხეს კი 1 წლით პირობითი მიუსაჯა.

იმას, რომ დასჯა მოზარდს არ გამოასწორებს და თავისუფლების აღკვეთა პრობლემიდან გამოსავალი არ არის, ფსიქოლოგები ხშირად იმეორებენ. მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონი ამ აზრს არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, კანონმდებლობაში ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილებების, კერძოდ — დასჯადობასთან დაკავშირებით ასაკობრივი ზღვრის დანების შედეგად, სასამართლო ხელისუფლება გაცილებით შეუწყნარებელი გახდა დამნაშავე მოზარდების მიმართ. ამავდროულად, ოფიციალური, სახელმწიფო უწყებები ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებაზე ლაპარაკობენ და იშველიებენ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის რიცხვის მატება არ შეინიშნება, მომატებული კი მხოლოდ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელია. სამაგიეროდ, პრობლემის სიმწვავეზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტი ფსიქოლოგები.

ისინი ამბობენ, რომ სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს და ეს — სწორი აღმზრდელიობითი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაა. აღნიშნულ საკითხზე არასამთავრობო სექტორი კარგა ხანია, მუშაობს, მაგრამ მისი წარმომადგენლები თავადვე აღიარებენ, რომ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მხოლოდ მათი შრომა ნაკლებეფექტიანია. პრობ-

ლემა იმდენად დიდია, რომ მის გადასაჭრელად, სამთავრობო დონეზე რეალური ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია.

სოფიო ვერულაშვილი, ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი:

— დასჯა ამ პრობლემას ნამდვილად ვერ მოაგვარებს. მაგალითად, საზღვარგარეთ დიდი ხანია, არსებობს მოზარდთა სასამართლოები. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ყურადღება ექცევა მოზარდის ასაკს, ითვისისწინებენ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და საბოლოოდ, საკითხი იმგვარად წყდება, რომ მას შესაბამის, კვალიფიციურ დახმარებას უწევენ. სამწუხაროდ, ჩვენში ასე არ ხდება. საქართველოში არსებობს მოზარდთა აღმზრდელიობითი დაწესებულება. სახელწოდება კარგია, მაგრამ რეალურად, მხოლოდ სახელი რჩება, საქმე კი ჩვეულებრივ ბავშვთა კოლონიასთან გვაქვს. იმისთვის, რომ მოზარდი გამოსწორდეს, შეხედულებები შეიცვალოს, ფაქტების, მოვლენების მიმართ ჯანსაღი აზრი ჩამოუყალიბდეს და საკუთარი ქცევა გააანალიზოს თუ აკონტროლოს, აუცილებელია აღზრდის სისტემის შეცვლა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ამა თუ იმ დანაშაულისთვის დაკავებული მოზარდი ზრდასრულ დამნაშავეებს შორის მოხვდეს და მათთან ურთიერთობა ჰქონდეს. გარდატეხის ასაკში მოზარდისთვის, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი რომელიმე ზრდასრული დამნაშავე შესაძლოა, ეტალონად, კერპად იქცეს და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მას დაემსგავსოს. მთავრობის მხრიდან საფეხბურთო მოედნების აშენება და კომპიუტერების დარიგება, მით უმეტეს, როცა ეს ძირითადად, პიარისთვის კეთდება, პრობლემას ვერ მოაგვარებს. კომპიუტერი თავისთავად, დამლუპველია ბავშვისთვის: ის აგრესიის პირდაპირი წყაროა, უარყოფითი მუხტის განმავითარებელია. ვგულისხმობ თუნდაც კომპიუტერულ თამაშებს, როდესაც მოზარდი არათუ უყურებს აგრესიას, არამედ თავად ხდება მოქმედი გმირი — ისვრის იარაღიდან, იქნევის ხმაღს, ანგრევს, კლავს... მნიშვნელოვანია ასევე, მოზარდისადმი მშობლის, ოჯახის დამოკიდებულება. ბავშვი უნდა აღზარდოს და არა გაზარდოს. მას სწორი უნარ-ჩვევები უნდა ჩამოუყალიბდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ფსიქოლოგიურად, „მორჩილების“ პერიოდი აქვს: ეს გახლავთ 5-დან 10 წლამდე ასაკი. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას, მაგრამ სკოლის გარეთ შვილის ცხოვრება მშობელმა უნდა აკონტროლოს. განათლების სისტემამ დიდი წვლილი

უნდა შეიტანოს, მაგრამ ყველაფერი მისი პრეროგატივა არ გახლავთ.

რით შეიძლება აიხსნას ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენცია — მოზარდი გოგონების აგრესიულობა, ბიჭური ქცევები, დანაშაულისკენ მიდრეკილება?

— ამ პრობლემაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ფაქტორის — ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზების გათვალისწინება. გარდატეხის ასაკი ძალზე რთული პერიოდია. სწორედ ამ დროს ხდება ადამიანში სქესის იდენტიფიკაცია. ამ დროს ხდება ასევე, გადახრა ჰომოსექსუალიზმისკენ. შესაძლოა, გოგონას ბიჭური ქცევის მიზეზი სწორედ ბიოლოგიური, ჰორმონული დარღვევები იყოს, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც. ის თაობა, რომელსაც ახლა აქვს გარდატეხის ასაკი, საქართველოში ყველაზე რთული პერიოდის — 90-იანი წლების შვილები არიან. ეს ტერმინი ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა კიდევ და ჩვენ, ფსიქოლოგები მათ „90-იანი წლების ბავშვებს“ ვუწოდებთ. ყველას მოეხსენება იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა: სიტუაცია აირია არა მარტო გარეთ, ქუჩაში, არამედ ოჯახებშიც. ოჯახები დაინგრა, ზოგი დაიყო — ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, ან ორივე გაემგზავრა და შვილი სრულიად უმეტველყოფილად, სხვის ამარა დარჩა. ვინც საქართველოში დარჩა, სხვა პრობლემა გაუჩნდა. ბევრ ოჯახში დედ-მამის ფუნქციები და როლები შეიცვალა: დედამ ვაჭრობას, ბიზნესს და შვილების რჩენას მიჰყო ხელი, მამა კი შინ დარჩა და მურაბების ხარშვა დაიწყო. ფაქტია, რომ ამ დროს ბავშვი რასაც ხედავდა, იმას იმეორებდა, შესაბამისად, ანუ — არასწორად ჩამოუყალიბდა უნარ-ჩვევებიც, უკონტროლოდ იზრდებოდა, რაც აისახა მის ფსიქოლოგიაზე და ყველა ამ ფაქტორის შედეგს დღეს ვხედავთ. მნიშვნელოვანია ასევე, ის სოციალური კლიმატი, გარემო, თანატოლთა წრე, რომელშიც მოზარდს უხდება ცხოვრება. ამ ასაკში ჩნდება „დაჯგუფების რეაქცია“. ეს იმას ნიშნავს, რომ



პეგროვების ოჯახი



ქრიინალი

მოზარდები მიდრეკილნი არიან, შექმნან ჯგუფები, როგორც თავად უნოდებენ — „სასტავები“. ამ ჯგუფებს ჰყავთ თავიანთი ლიდერები, განტეხების ვაცებიც და „შესტიორებიც“. გააჩნია, მოზარდი რა როლში აღმოჩნდება, შესაბამისად, უყალიბდება ფსიქოლოგიაც. ჯგუფს აქვს თავისი სლენგი, მოდა და ა.შ. ამ პერიოდში მოზარდისთვის ის ყველაფერია, ამით ცხოვრობს და თუ მშობელს მისი გადამტერება უნდა, რომელიმე მეგობარი ანუ ჯგუფის წევრი უნდა გაჰკიცხოს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად გამოიწვევს შვილის აგრესიას და შესაძლოა, სავალალო შედეგამდეც მივიდეს. ასეთ დროს მოზარდი ყველაზე მეტად, მშობლის მხრიდან კრიტიკას ვერ იტანს.

— მაშინ, როგორ უნდა მოქცეს მშობელი, რომელიც ხვდება, რომ შვილი ხელიდან გაექცა?

— პირველ რიგში, მისი მეგობარი უნდა გახდეს. მის აზრებს არა კრიტიკით, ჩხუ-

ბითა და აგრესიით, არამედ გაგებით უნდა მოექცოდეს. ხოლო იმისთვის, რომ შვილი არასწორი გზიდან სწორზე გადაიყვანოს, აღზრდის მეთოდი უნდა შეიმუშავოს. ამიტომაც ვამბობთ ფსიქოლოგები, რომ პრობლემა ყოველთვის მშობელშია და არა — მოზარდში, ფსიქოლოგს დახმარებისთვის პირველ რიგში, მან უნდა მიმართოს.

სხვათა შორის, მოზარდ დამნაშავეთა შორის გოგონების არსებობა და უფრო მეტიც, მათი რიცხვის ზრდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც წარმოადგენს პრობლემას. ამ მხრივ, მონინავე ადგილს რუსეთი იკავებს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მარტო მოსკოვში ბოლო 6 თვის მანძილზე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 1700-მდე დანაშაული დარეგისტრირდა, მათგან 200 შემთხვევაში ბრალდებული — მოზარდი გოგონაა... როცა მოზარდების მიერ ჩადენილ დანა-

შაულზე ლაპარაკობენ, რუსი სამართალდამცველები პირველ რიგში, ახალგაზრდა უურნალისტის — ალექსანდრ პეტროვის, მისი ცოლისა და ორი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობას იხსენებენ. 16 წლის ოლეგ ლ-მ ღამით, შეყვარებულის თანხლებით, ოჯახი თვითნაკეთი კარაბინით ჩაცხრილა. დანაშაულის მოტივი კიდევ უფრო გამოაგნებელი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მასა და მის მეგობარ გოგონას თურმე დიდი ხანია, სურდათ, პეტროვების „მიცუბიშით“ გასეირნება. საჭესთან დაჯდომის საშუალება სხვაგვარად რომ არ მიეცათ, გადაწყვიტეს, ოჯახი ამოეხიკათ. საქმეში ბრალდებულთა რანგში ორივეს გვარი დაფიქსირდა, თუმცა გამოძიებამ საბრალდებო დასკვნაში ჩაწერა, რომ გოგონას დანაშაულს, მხოლოდ მკვლელობის დაფარვა წარმოადგენდა. ბევრს, უშუალოდ მკვლელობაში მის მონაწილეობაზე, ეჭვი დღემდე არ უქრება...

მოზარდებმა თანატოლი გოგონა საფლავის ჯვრით მოკლეს



მოკლული ნიკოლაევა


ვოლგოგრადის რაიონში ორმა არასრულწლოვანმა 16 წლის გოგონა — ნადეჟდა ნიკოლაევა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი საფლავის ჯვრით დასატიკად აწამა და მოკლა. მხეცურად ნაცემი და დასახიჩრებული გოგონას გვამი შემთხვევის მეორე დღეს მილიციამ რაიონის მთავარდინო უბანში, სასაფლაოს ტერიტორიაზე იპოვა. დაკარგულ გოგონას მშობლები წინა საღამოდან მოყოლებული, ახლობლებსა და ნათესავებში უშედეგოდ ეძებდნენ, შემდეგ კი შველა სამართალდამცველებს სთხოვეს. მათი თქმით, ნადეჟდა შინ საღამოს 10 საათისთვის უნდა დაბრუნებულიყო. შინისკენ მიმავალმა დედას დაურეკა კიდეც და უთხრა, რომ ნახევარ საათში უკვე სახლში იქნებოდა. ორი საათიც გავიდა, მაგრამ გოგონა არსად ჩანდა. შემფოთებულმა დედამ მას მობილურ ტელეფონზე დაურეკა. ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. მშობლებმა შვილი თითქმის ყველა ნაცნობთან მოიკითხეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს.

მეორე დღეს, თავზარდამცემი ამბავი ოჯახს სამართალდამცველებმა შეატყობინეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, გოგონას სხეულის სხვადასხვა ადგილზე დანით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა, თავის არეში კი მძიმე საგნის ზემოქმედებით მიღებული მრავალი დაზიანება ჰქონდა. დაფიქსირებული დაზიანებები და შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი სისხლიანი ქვის ჯვარი იმაზე მიუთითებდა, რომ გოგონას სწორედ იმ ჯვრით დაუჩქრქვეს თავი. დაფიქსირდა გაუპატიურების კვალიც.

სადისტურ დანაშაულში ეჭვიმტანილები, მოგვარეები — არტიომ და ივან კოტელნიკოვები არიან. ორივე, 17 წლის გახლავთ. მკვლელობას აღიარებენ და იმასაც ამბობენ, რომ ეს მათ მიერ ჩადენილი ერთადერთი დანაშაული არაა. კოტელნიკოვების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა სხვა დანაშაულის, კერძოდ, საბავშვო ბაღის ძარცვის ნივთმტკიცებები მართლაც, აღმოაჩინეს. პირადი ჩხრეკისას, არტიომ კოტელნიკოვს ჯიბეში ის დანაც უპოვეს, რომლითაც მან ნადეჟდა ნიკოლაევა მოკლა. „გოგონა მაშინ შევნიშნეთ, როცა ის საცხოვრებელ კორპუსს უახლოვდებოდა. უკან გავეყვით და ის იყო, სადარბაზოში უნდა შესულიყო, რომ ბანიამ (ივან კოტელნიკოვი) ზურგში მუშტი ჩაარტყა. გოგონა ნაიქცა. ქუჩაში ბნელოდა და ვერავინ შეგვაჩინებდა. ორივემ მოკვიდეთ ხელი და ხევისკენ წავედით. ხეც იქით სასაფლაოა. იქ მივიყვანეთ. გონება არ დაუკარგავს, ამიტომაც წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ

მანც ვერ გვერეოდა. რომ არ გამძალიანებოდა, ვცემე და შემდეგ მისი გაკოჭვა გადავწყვიტე. ერთ-ერთ საფლავზე სამკლოვიარო დიდი თაიგული იდო. მას შავი ლენტები მოვხსენი და ხელ-ფეხი იმით შევუკარი. ვიდრე ლენტებს ვხსნიდი, გოგონას ვანია ურტყამდა ნიხლებს. მე გაეძახე, — ამდენს ნუ ურტყამ, არ მოკვდეს, ცოცხალთან მინდა ყოფნა-მეთქი. მის გაკოჭვაში ვანიაც დაემხმარა. გოგონასთან ჯერ მე დავამყარე ტექსობრივი კავშირი, შემდეგ — ვანია. ის წინააღმდეგობის განევას მანც ცდილობდა. რომ არ გავეთქვით, მოკვლა გადავწყვიტეთ. დანა ამოვიღე და რამდენჯერმე დავარტყი. მანც მოძრაობდა. მაშინ ვანია გვერდით საფლავიდან, მოტეხილი ქვის ჯვარი მოიტანა და თავში ორჯერ თუ სამჯერ ჩაარტყა. გოგო ხმას აღარ იღებდა. ამის შემდეგ იქიდან გავიქეცი. სახლში მისვლამდე ერთად ლუდი დავლიეთ, შემდეგ ერთმანეთს დავშორდით“, — წერს აღიარებით ჩვენებაში არტიო კოტელნიკოვი.

ვანდალური ქმედებისთვის, დაზარალებული ოჯახი დამნაშავეების უმცარესად დასჯას მოითხოვს. საქმეზე ჯერ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს. სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ საბავშვო ბაღის ძარცვის გარდა, ახალგაზრდა ბოროტმოქმედებს სხვა დანაშაულებთანაც აქვთ კავშირი.



კოტელნიკოვები

დასაწყისი იხ. გვ. 9

დარჩა. შეიძლება, „ნაციონალებს“ ერთი-ორი იურისტი მაინც ჰყავთ, მაგრამ ცხადია, ეს პარლამენტი დაკომპლექტდა არა ცივილიზებული პოლემისტებისაგან, არამედ — მოჩხუბრებისგან. გიგა ბოკერია ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ მმართველ პარტიაში ის ერთადერთი ცივილიზებული პოლემისტი და ნამდვილი საპარლამენტო მებრძოლი იყო. ის თავისი განათლებითა და ინტელექტით, ყველა „ახალ ნაციონალს“ (თუნდაც, ერთად აღებული) გადწონის. წინა მონვევის პარლამენტში, ლადო პაპავას სახით, ბრწყინვალე სპეციალისტი ჰყავდათ, მაგრამ მისი შესაძლებლობები საერთოდ არ გამოუყენებიათ. ეს მაგალითი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ მმართველ პარტიას ჭკვიანი ხალხი არ სჭირდება. უკვე წარმომიდგენია, პირველსავე პოლემიკაში როგორ ჩაერთვება ქალბატონი სერბულაძე და ბატონი ნიკოლაური. მათთვის პოლემიკა დუელია — ფიქრობენ, რომ ოპონენტი ან უნდა მოკლან, ან თავად უნდა შეაკვდნენ. უცხოეთში ასეთი ადამიანების ბავშვობას ფსიქოლოგები სწავლობენ. „ახალ ნაციონალებს“ შორის ერთადერთი განონასწორებული ფიგურა დავით ბაქრაძეა. ის მართლაც, ცივილიზებული პოლიტიკოსია და მიზა მაჭავარიანთან ერთად შეეცდება, მმართველი პარტია როგორმე გააკეთილშობილოს.

— **ოპოზიცია პარლამენტში შესვლას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, გაამართლებს ბოიკოტი?**



იმის მაგიერად, გამარჯვების მოსაპოვებლად გაერთიანებულიყვენენ, დამარცხებულების გაერთიანება შექმნეს

— მმართველი პარტია ამბობს, — ჩვენ საქმე გვაქვს გასაკეთებელი და თქვენთან ერთად თუ თქვენ გარეშე, ამას აუცილებლად გავაკეთებთ. მათი ნათქვამი, ერთი შეხედვით, ლოგიკურადაც უღერს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს „ნაციონალებისათვის“ საქმის ერთად კეთება — დასჭირდებათ თუ არა, მაშინვე იტყვიან: ჩვენ ბევრნი ვართ და რასაც გვინდა, იმას ვიზამთო. მიუხედავად ამისა, პარლამენტში არშესვლა გამოსავალი არ არის. ნებისმიერი ბოიკოტის მარგი ქმედების კოეფიციენტი მხოლოდ მაშინაა მაღალი, როცა ის სოლიდარულია. საგულისხმოა ის ფაქ-

ტი, რომ ლეიბორისტებს შორის, არჩევნების შემდეგ, ყოველთვის ჩნდებიან „იუდეები“ — ამ შემთხვევაში ერგემლიძეს ვგულისხმობ. თავისი მცდარი გადაწყვეტილება ანუ პარლამენტში შესვლა იმით გაამართლა, რომ თურმე, ხალხის რჩეული ყოფილა. ეგეც ბისმარკი ან კლემანსო არ იყოს და პოლიტიკაში ერთბაშად, გადატრიალება არ მოახდინოს... მმართველი პარტიისთვის ყველაზე დიდი დარტყმა ის იქნებოდა, თუ არჩევნებში არც ერთი ოპოზიციური ძალა არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენს ოპოზიციას ცუდი პოლიტიკურლოგები ჰყავს ან სოციოლოგიური დასკვნების ტყვეობაში მოექცა.

— **დღეს ოპოზიცია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ერთიანად როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებენ ერთიანობის შენარჩუნებას ან რა შანსები ექნებათ, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნას გაითვალისწინებს და საპარლამენტო არჩევნებს თავიდან დანიშნავს?**

— ეს ერთიანობა დაგვიანებულია, ამაზე არჩევნებამდე უნდა ეფიქრათ. ოპოზიციამ უკანასკნელი შანსი გაუშვა ხელიდან და იმის მაგიერად, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად გაერთიანებულიყვენენ, დამარცხებულების გაერთიანება შექმნეს. რაც შეეხება არჩევნების ხელახლა დანიშნვას, ეს მხოლოდ ილუზიაა — ხელისუფლება ამაზე არავითარ შემთხვევაში არ წავა. ოპოზიცია, არჩევნების გაუქმებასთან ერთად, საარჩევნო კანონის შეცვ-



ჯადო და ეზოპიისაჟი სიფრუბი ანუ როგორ დაპატიმროთ თაჟი განსასლად

ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ადამიანი უჩივის უფუნებობას, ნევროზს, უბარაკობას და ა.შ. ახალგაზრდები ოჯახის წევრებს ვერ უფებენ, რაც ჩხუბის მიზეზი ხდება და შემდეგ, ბავშვები სახლიდან გარბიან ან სულაც, თავის მოკვლაზე ფიქრობენ. როგორც ქალბატონი ლინა ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ ექვსი ექვსიანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობით და შულოცებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან. მას უამრავი ადამიანი ემაღლიერება — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები მასთან რჩევის საკითხავად მიდიან.

— არასდროს აიღოთ ისეთი ნომრები (მანქანის, ტელეფონის და ა.შ.), სადაც სამი ექვსიანი ან სამი ნული ფიგურირებს. ეს ეშმაკისუფლი რიცხვებია. ის იპყრობს ჩვენს ტვინს, ფიქრებს. ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალხის დაკარგული აქვთ, შიში და უძლურება ეუფლებათ და ამ ყველაფრის ფონზე, ნევროზი უყალიბდებათ. სამწუხაროდ, მათ ექიმები ვერაფერს შევლიან. ზოგს ჰგონია, რომ თუ წამლებს დალევს, მისი პრობლემა მოგვარდება, მაგრამ მერწმუნეთ, წამალზე მეტად ლოცვა გიშველით.

— **ასეთ ადამიანებს როგორ ეხმარებით?**

— არსებობს ლოცვები, თილისმები, რომლებიც ადამიანებს ნევროზისგან ათავისუფლებს...

— **ვინ და რატომ აკეთებს ჯადოს?**

— არსებობენ მკითხავეები, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე მოაწერენ ხელს. ისინი დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანებს ჯადოს გაკეთებისკენ მოუწოდებენ და მათ

უმტკიცებენ, რომ ამით არავის ავნებენ. ბევრს უთქვამს ჩემთვის: მიშველე, სასაფლაოზე ვიყავი, მკითხავა რაღაც დამამარცხინა და ახლა, თავს ცუდად ვგრძნობო. საერთოდ, ვინც მსგავს რაღაცას აკეთებს, ადრე თუ გვიან, ჯადო უკან დაუბრუნდება, მისი შემადგენელი კი მერწმუნეთ, დაუსჯელი არ დარჩება... ფრთხილად იყავით, ვინმეს მსხვერპლი რომ არ გახდეთ, ამისთვის თავის დაცვა აუცილებელია. მაგალითად, ყველგან ნუ დაიჭირთ ფრჩხილს, ნუ დაივარცხნით თმას და ა.შ. ჩემთან მოსულ მოჯადოებულ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომელშიც სიზმარში ნასწავლი საიდუმლო ლოცვა წერია და ის პრობლემის მოგვარებაში ყველას ეხმარება... ერთხელ, ჩემთან მოვიდა ქალი, წინა, რომელმაც მითხრა: ჩემს შვილს ნევროზი აქვს. ჰგონია, რომ სულ რაღაც სტკივა. რამდენიმე წელია შეყვარებული ჰყავს, მაგრამ მათ დაქორწინებას სამუქელი არ დაადგაო. მას ვუთხარი, — მიდი, შენი ბალიში გახსენი და მიზეზს იქ იპოვი-მეთქი. ასეც მოიქცა და მასში შავი მინა და სხვა რაღაცებიც აღმოაჩინა. ჩვენ ეს საშინელება

გავანადგურეთ და აურა გავასუფთავეთ. ცოტა ხანში გოგო დანაწარდა და გათხოვდა კიდევ. დღეს ძალიან ბედნიერი არიან. სამწუხაროდ, ჯადო იმდენად მძიმე იყო, რომ შესაძლოა, ამან უშვილობა გამოიწვიოს. ამიტომაც, გირჩევთ, მსგავსი რაღაცებისგან დროზე გათავისუფლდით.

— **როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ოჯახში მსგავს რაღაცას აღმოვაჩინებ?**

— ჯერ მარდი უნდა დაასხათ, მევე — დანვათ, შემდეგ კი აურა გაისუფთავოთ! ზოგჯერ ადამიანის აურა საოცრად დაბინძურებული და ის აუცილებლად უნდა გაინმინდოს. თუ თქვენ ბინის ყიდვას გადამწყვეტთ, პირველ რიგში, უნდა იკითხოთ, ვინ ცხოვრობდა იქ. ადამიანები თავიანთ ცუდ აურას ბინაში ტოვებენ და ის აუცილებლად უნდა გაინმინდოს, შემდეგ კი ოჯახმა თავისი ფუძის ანგელოზი ახალ ბინაში უნდა მოინვიოს.

მის: **დ. გურამიშვილის №48, (მ. „ღრმბელესთან“), I სად, VI სართ. ბ.№40, ტელ: 69-60-00; 61-87-21; 8(93) 21-52-33 (წანერა წინასწარ). R**

ლას და დამკვირვებლების ჩამოყვანას ითხოვს. მერწმუნეთ, ევროპელი დამკვირვებლები აღარ ჩამოვლენ, გვეტყვიან, — ერთმანეთში თავად გამოჩნხეთ საერთო ენაო. ახლა მთავარია, ოპოზიცია დროზე გამოვიდეს შოკიდან და ახალი ბრძოლა დაიწყოს — ორ წელიწადში ადგილობრივი არჩევნებია ჩასატარებელი, რაც სახუმარო საქმე სულაც არ არის. ალბათ გახსოვთ, რომ სააკაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეობიდან დაიწყო ტრიუმფული სვლა. პრობლემა ის გახლავთ, რომ ოპოზიციურმა ძალებმა შეიძლება, თავიანთი შეცდომების გაანალიზება ვერ მოახერხონ და მიხურულ კარს მიღმა ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყონ. ყველაზე ძირეული თვითანალიზი „რესპუბლიკელებმა“ უნდა ჩაატარონ.

— „რესპუბლიკელებმა“ თავიანთი შეცდომები უკვე აღიარეს...

— აღიარება ერთია, გამოსწორება — მეორე. საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, „რესპუბლიკელები“ ყველაზე ინტელექტუალური პარტიაა, მაგრამ სერიოზული შეცდომების დაშვება მაინც მოახერხეს.

— მაინც, რა არის ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომა?

— ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ იანვარში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მათ რესურსების მობილიზაცია არ მოახდინეს და იმის სტრატეგია არ შეიმუშავეს, თუ რა ექნათ ქუჩაში გამოსული ორასი ათასი კაცი-სათვის. ოპოზიციის ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ შეიარაღებული დაპირისპირებისაკენ მოწოდება არ შეიძლებოდა, მაგრამ სხვა რაღაცები ვეღარ მოიფიქრეს და ამიტომაც, ხალხს უთხრეს: ახლა გაჩუმდით, სახლში წადით და მერე მოდითო.

ოპოზიციამ მასით მანიპულირება დაიწყო. ამასობაში, მავანმა ხმა გაავრცელა: — ოპოზიციამ ხალხი სახლში იმიტომ გაუშვა, რომ სააკაშვილთან გარიგება დაიწყოს. გადის დრო და გია მისასვილი ამბობს, — პრეზიდენტმა მითხრა, ოპოზიციასთან ქეიფით, „პახმელიაზე“ ვეღარ გამოვდივარო.

— რას ნიშნავდა მისასვილის ეს განცხადება?

— მისასვილს რა განზრახვა ჰქონდა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მან ოპოზიცია ყურებამდე ჩაუშვა... გულგატეხილი ადამიანების დიდმა ნაწილმა არჩევნებში საერთოდ აღარ მიიღო მონაწილეობა და ამით ოპოზიციამ სერიოზული რაოდენობის ხმები დაკარგა. მაშინ, როდესაც საზოგადოების მოთხოვნა ოპოზიციის გაერთიანება იყო, „რესპუბლიკელებმა“ ცალკე მოინდომეს გასვლა, ლეიბორისტებმა კი გაერთიანებული ოპოზიციის ლანძღვა დაიწყეს. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ოპოზიციამ სერიოზული მარცხი განიცადა.

— თუ ოპოზიციის მომხრეები იმდენად იმედგაცრუებულნი არიან, რომ არჩევნებშიც აღარ მონაწილეობენ, 26 მაისს, ოპოზიციონერმა ლიდერებმა როგორ მოახერხეს საპროტესტო აქციაზე იმდენი ხალხის გამოყვანა?

— ეს იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიცია და „ნაციონალები“ ერთმანეთს შეცდომებს პინგ-პონგით უცვლიან. ოპოზიციის შეცდომა ერთმანეთისაგან გათიშვა იყო, „ნაციონალებს“ კი ზომიერების გრძობის დაკარგვა და პარლამენტში ას ოცი ადგილი. ოპოზიციამ არჩევნების დასრულებისთანავე მოახერხა საპროტესტო აქცია, მაგრამ ხალხი არ გამოვიდა. ვინც მივიდა, ისიც მალევე გაიქცა, ფეხბურთის საყურე-

ბლად. როდესაც „ნაციონალები“ „დაუკრეფავში“ გადავიდნენ და ერთი კვირის შემდეგ არარეალური შედეგები დაგვიდეს, საზოგადოებაში კვლავ საპროტესტო მუხტი გაჩნდა. ხალხი უსამართლობამ კი არა, სუპერუსამართლობამ გააცოფა.

— ეს საპროტესტო მუხტი შენარჩუნდება?

— ეჭვი მეპარება, რადგან ოპოზიციის არც ამჯერად შეუშუალებია სტრატეგიული გეგმა.

— ოპოზიცია საპარლამენტო სხდომების ბლოკირებას გეგმავს. რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ხელისუფლება ძალას გამოიყენებს თუ არა, მაგრამ პარლამენტის სხდომა აუცილებლად შედგება და ამას ოპოზიცია ხელს ვერ შეუშლის.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა პრობლემებმა საქართველოს იმიჯზე უარყოფითად იმოქმედოს?

— საქართველოში დემოკრატია იქნება თუ არა, ამას მსოფლიო საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის ისიც საკმარისია, რომ ჩვენს ქვეყანას გეოპოლიტიკური ხიზლი და პროდასავლური კურსი აქვს.

— თუმცა, ბოლო დროს, ოპოზიციის ლიდერები ანტიდასავლურ განცხადებებს სწორად აკეთებენ.

— სწორად შენიშნეთ — ჩემი თვალით ვუყურე, „ენტევეს“ საინფორმაციოს წამყვანი როგორი სიხარულითა და ნიშნის მოგებით გადმოსცემდა დავით გამყრელიძის სიტყვებს და საზოგადოების ნაწილში გაჩენილ ანტიდასავლურ მუხტზე ლაპარაკობდა. ღმერთმა ნუ ქნას, ამ ყველაფერმა პერმანენტული ხასიათი მიიღოს. ■

არ გაპრობრჩეთ
მაისის
ნომერი

თქვენ სოციალისტური აკითხვები...

№5

პრობლემა

- პაპია სპეციალური-100

პრობლემა

- ნუგზარ მთავარი
- ზენაძე მუხომედი
- ვაჟაძე კახია
- შალვა ნემედი

პრობლემა

- პანაჩი ჩუგუაძე
- ნუგზარ მთავარი
- ქაიხარია ანდრეასი
- ულანაძე ულანაძე

თარგმანი

- ვაჟაძე ვაჟაძე
- ანა ვაჟაძე

ლიტერატურა ინტერვიუდან

- ზაქარია ულანაძე
- დიდი ულანაძე

„აუდის“ ახალი ჰერბეკი



ავსტრიულ საავტომობილო გამოფენაზე, — Worthseetreffen — „აუდი“ ჰერბეკის — A3-Clubsport Quattro — ახალ კონცეპტუალურ ვერსიას წარადგენს. ის ჩვეულებრივი A3-ისგან ძარას ორმაგი ფერით, სახურავზე სპოილერითა და ახალი დიზელის ძრავით განსხვავდება. სრულამძრავიანი ჰერბეკი — Audi A3 Clubsport ორლიტრიანი ტურბოდინამოთა ალტურვილი, რომლის სიმძლავრეც 224 ცხ.დ. შეადგენს. მოტორი 6-საფეხურიანი მექანიკური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მუშაობს. გერმანული კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, 100 კმ/სთ სიჩქარეს იგი 6,6 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია. ასევე, სიახლეს მოდერნიზებული გამომშვები სისტემა და Audi drive select-ის კომპლექსი აქვს, რომელიც მძღოლს ამორტიზატორების სიმყიდის, გამონაბოლქვის ხმის და ელექტროხელსაწყოების მუშაობის

ალგორითმების დონის რეგულირების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, Audi A3 Clubsport-ს კრამიკული დისკებით ალტურვილი მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმი და 20-დუმიანი ბორბლების დისკები აქვს. „აუდის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კონცეპტუალური ჰერბეკი მხოლოდ შოუმანქანაა და ანალოგიური ავტომობილის სერიულ წარმოებაში ჩაშვება არ იგეგმება.

მოსლის სანდალს სპეცფერაჟის კარიერა შეენიკა

ბრიტანეთის კონტრდაზვერვის — M15 — თანამშრომელი მას, შემდეგ, რაც მისი ცოლი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი, მაქს მოსლისთან ერთად სადამაზოხისტურ ორგანიზაციის ახსილეს, იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადაამდგარიყო. კონტრზვერავის მეუღლე, რომლის სახელიც არ მუღავნდება, მეძავი აღმოჩნდა. ის სხვა ქალებთან ერთად ლონდონის რაიონ ჩელსიში, მომსახურების მიზნით გამოიძახეს. შეგახსენებთ, მოსლის სექსუალური ცხოვრების წვრილმანები ტაბლოიდმა — News of the World — გაავრცელა. მან თავის საიტზე გამოაქვეყნა ორგანიზაციის ამსახველი ვიდეოკადრები, რომელიც ერთ-ერთი მეძავის გადაღებულია.

Thi Times-ის ანონიმური წყაროს მონაცემით, გამოცემის თანამშრომელს ჩანაწერი სწორედ M15-ის თანამშრომლის მეუღლემ გადასცა. ორგანიზაციის მონაწილეებმა ნაციტური საკონცენტრაციო ბანაკის სცენა გაითამაშეს. ამ გარემოებამ მოსლიზე აგრესიული თავდასხმების დაწყებას შეუწყო ხელი. საგულისხმოა, რომ მამამისი 1930-1940 წლებში ბრიტანეთის ფაშისტთა კავშირს ხელმძღვანელობდა. თავად FIA-ს პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ნაციტური ატრიბუტიკის გამოყენებით გადაღებული კადრები დამონტაჟებულია. გარდა ამისა, მოსლიმ News of The World-ს, პირად ცხოვრებაში ჩარევის ბრალდებით, სასამართლოშიც უჩივლა.

„სუბარუს“ შვიდაღილიანი უნივერსალი



კომპანია Subaru-მ უკვე ოფიციალურად დაამტკიცა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ახალი შვიდაღილიანი უნივერსალის — Exiga — სერიულ წარმოებაში ჩაშვებას გეგმავს. იაპონურმა მარკამ ამ ავტომობილის პირველი ოფიციალური ფოტოებიც გაავრცელა. უნივერსალი Subaru Exiga ამავე სახელწოდების კონცეპტ-ავტოს მოტივებზეა შექმნილი, რომელიც პირვე-



ლად გასული წლის ოქტომბერში, ტოკიოს ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. მანქანის სიგრძე 4780 მმ-ია, სიგანე — 1775 მმ, სიმაღლე — 1630 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა — 2750 მმ. Exiga-ს შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. სავარაუდოდ, მანქანა სრულამძრავიანი იქნება და ორლიტრიანი, ოთხცილინდრიანი ძრავით აღიჭურვება. მანქანის მსოფლიო პრემიერა 17 ივნისს შედგება.

ხართ თუ არა აგრესიული?

აგრესია და აუტოაგრესია (საკუთარი თავისადმი მიმართული აგრესია) ადამიანისთვის დამახასიათებელი ორი ინსტინქტი გახლავთ. პირველი მათგანი ჩხუბში, გაბრაზებასა და ვანდალიზმში ვლინდება; მეორე — ექსტრემის სიყვარულში, ალკოჰოლიზმში, ნარკომანიასა და სუიციდისაკენ მიდრეკილებაში. ეს ტესტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, რამდენად აგრესიული ბრძანდებით, რათა შემდგომ, ამა თუ იმ სიტუაციაში საკუთარი თავის ხელში აყვანა შეძლოთ.

1. ადვილია თუ არა თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
2. დარწმუნებული ბრძანდებით, რომ უხეში ძალა ყოველთვის უკეთესი არგუმენტია, ვიდრე ლოგიკა?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.



3. გიჭირთ თუ არა ჩხუბისგან თავის შეკავება, როცა რაღაც საკითხში ვინმეს კატეგორიულად არ ეთანხმებით?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
4. გახასიათებთ თუ არა (ზოგჯერ მანც), ვინმეს ჯინაზე რაღაცის გაკეთება?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ირგვლივ მყოფებს თქვენი შურთ?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
6. ადამიანებთან ურთიერთობისას ხშირად ხომ არ უხეშობთ?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
7. არსებობს თუ არა თქვენს ცხოვრებაში ადამიანი, ვინც ნამდვილად გძულთ?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
8. გახასიათებთ თუ არა სხვისი დაცინვა ან აბუჩად აგდება?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
9. ხშირად ხომ არ სჯით შეილებს, განსაკუთრებით ფიზიკურად?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
10. ხომ არ გრძნობთ, რომ ირგვლივ მყოფებს თქვენთან ურთიერთობა არ სიამოვნებთ?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
11. გიყვართ თუ არა დეტექტივების კითხვა, ბოევიკებისა და საშინელებათა ფილმების ყურება?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
12. ოდესმე, ისე ხომ არ განრისხებულხართ, რომ მტრევა-მსვრევაზე გადასულიყავით?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.
13. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სიკვდილით დასჯა გამართლებულია ზოგ შემთხვევაში მანც?
 - ა) დიახ;
 - ბ) არა.

დააჯამეთ ქულაჰი: ყოველ დადებით პასუხში დაიწერათ 5 ქულა, უარყოფითში — 0.

ტესტის შედეგები

0-25 ქულა: როგორც ჩანს, თავადაც კეთილშობილი ადამიანი ბრძანდებით და ირგვლივ მყოფთა კეთილშობილებაში ეჭვი არ გეპარებათ. სიყვარულისა და სამართლიანობისაც ღრმად გნამთ. სამწუხაროდ, საკუთარი კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლად სხვების აყოლიება გიჭირთ. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, თქვენ მიერ გამომჟღავნებული თავშეკავების უნარს, არასაკმარისი თავდაჯერებულობა უდევს საფუძვლად. ირგვლივ მყოფთა გამოთქმულ მოსაზრებებს ძალზე ხშირად და ადვილად ეთანხმებით. ასე რომ, არ არის გამორიცხული, თქვენ თავად იქცეთ სხვისი აგრესიის ობიექტად. გაითვალისწინეთ, თუ გინდათ, რომ მსხვერპლის როლში არ აღმოჩნდეთ, ზედმეტად არასოდეს არავის დაუღუწოთ თავი!

30-65 ქულა: აშკარაა, რომ მიდრეკილი ხართ აგრესიული გამოსდომებისკენ და ზოგჯერ თვითკონტროლის უნარსაც კარგავთ. თქვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებების ფორმა და შინაარსი, მიმიკა თუ უესტიკულაცია — ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ არ გსურთ საკუთარი ინსტინქტების შეკავება და ზოგჯერ შეგნებულადაც კი აყენებთ სხვებს ზიანს. ხშირ შემთხვევაში, როგორც ნაცნობების, ასევე უცნობების ნეგატიურად შეფასებაც, თავისებური აგრესიის გამოვლინებაა. კარგად დაუკვირდით საკუთარ საქციელს და გააანალიზეთ, რამდენად კონსტრუქციულია თქვენი ქმედება. ვფიქრობთ, შედეგი თქვენთვის არასასურველი აღმოჩნდება — ზედმეტად აგრესიულ ქმედებას ხომ არც კარიერასა და არც პირად ცხოვრებაში სიკეთე არავისთვის მოუტანია.

შრომისკოპი

(29 მაისი - 4 ივნისი)

ფაჩი:

ამ კვირაში როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებს უნდა დაუმტკიცოთ, რომ თქვენთვის ნებისმიერი ბარიერის გადალახვა იოლია. ამაში ინტუიცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაგეხმარებათ.

კუჩი:

კარგი იქნება, თუ საქმეებში ადრე მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებთ და შეცდომებს არ გაიმეორებთ. მნიშვნელოვანი საქმეები ჯობს, გადადოთ. ამ პერიოდში დაწყებული რომანი დიდხანს არ გასტანს.

ტყუცობა:

ახალი იდეებისა და გეგმების ხორცშესხმა გაგიადვილდებათ. მივლინებები ან დასასვენებლად გამგზავრება თქვენს განწყობილებაზე სასიკეთოდ აისახება. უქმე დღეები საყვარელი ადამიანის გვერდით გაატარეთ.

კიჩხობა:

ცვლილებების ნუ შეგეშინდებათ. კარგი დროა მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად. დრო დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობასაც, რადგან შესაძლოა, გარკვეულმა დაავადებებმა შეგანუხოთ.

ღიმი:

ყოველდღიური, დაულაღავი შრომის შედეგად მატერიალური პრობლემებს იოლად გაუმკლავდებით და ხელმძღვანელი პირებისა თუ მომავალი პარტნიორების ყურადღებასაც ადვილად მიიპყრობთ.

შადფობა:

მატერიალური საკითხების გადანყვეტისას კონსერვატიული მეთოდებით იხელმძღვანელოთ. მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბრის შედეგად მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიტყოთ.

სახსობი:

დროა, მიიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი გადანყვეტილება, რომელიც ცხოვრებას გაგიხალისებთ. პარტნიორებთან შეიძლება, პრობლემები გაგიჩნდეთ. ეცადეთ, მათი აზრებიც გაითვალისწინოთ და ისე იმოქმედოთ.

მობიფი:

მოსალოდნელია ოჯახური უთანხმოება. დროა, დაფიქრდეთ საკუთარ კარიერაზე, ჯანმრთელობასა და იმიჯზე. უქმე დღეები შოპინგზე სიარულს დაუთმეთ. კარგია, თუ სახლში ინტერიერს შეცვლით.

მშობიფი:

მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. კარგი იქნება, თუ საქმეს სხვებსაც გადაუნანილებთ. თავშეკავება ბევრ უსიამოვნებას აგაცილებთ, როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში.

ობიჩი:

ნებისმიერი საქმიანი ვიზიტი თუ მივლინება სასიკეთოდ ჩაივლის. ყურადღება მიაქციეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. მათ შეიძლება, თქვენი დახმარება დასჭირდეთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

მეჩხობა:

მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბევრი შრომა. არახელსაყრელი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად. ბევრი ადამიანი მოგმართავთ დახმარებისა და რჩევისათვის. შეეცადეთ, უარი არავის უთხრათ.

ოფიფი:

შესაძლოა, უცხოეთში გამგზავრებამ მოგიწიოს. ყურადღებით იყავით, რათა საბუთებთან დაკავშირებით პრობლემები არ შეგექმნათ. კვირის ბოლოს რომანტიკული თავგადასავალი გელით.

იაკონური სენსაცია
სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	9	8	2	3	1	5	4	6
2	4	1	8	5	6	9	3	7
5	3	6	9	7	4	2	8	1
1	6	7	4	9	3	8	5	2
3	2	9	5	1	8	7	6	4
8	5	4	7	6	2	3	1	9
6	1	5	3	2	7	4	9	8
9	8	2	1	4	5	6	7	3
4	7	3	6	8	9	1	2	5
6	1	5	8	3	2	4	9	7
2	8	3	9	4	7	1	6	5
9	4	7	6	1	5	2	3	8
5	7	2	1	9	8	6	4	3
8	6	9	3	2	4	5	7	1
4	3	1	7	5	6	9	8	2
7	2	4	5	8	9	3	1	6
1	9	6	2	7	3	8	5	4
3	5	8	4	6	1	7	2	9
5	6	7	9	3	1	2	4	8
2	8	1	4	7	6	3	5	9
3	9	4	8	5	2	7	6	1
1	2	9	6	8	4	5	7	3
8	5	6	3	1	7	9	2	4
4	7	3	5	2	9	1	8	6
6	1	2	7	9	8	4	3	5
7	4	5	1	6	3	8	9	2
9	3	8	2	4	5	6	1	7

*** მარტივი**

7			8	1	9
6		2			7
4	3	7	1		5
7	6		1		4
	3		6	2	1
2		3		5	9
8		7	9	6	1
3			8		5
	1	9	2		7

**** საშუალო**

4				1	3	7
2	1		8	7	4	
	7			9	1	
5		2	9			6
	8		3	5	7	
9			8		2	3
	9	7				2
		6	4	2	7	1
7	2		5			8

***** რთული**

	8			4		7
9			1			6
				5		4
	3		2			8
4				8		5
6			9	1		7
2		1				
	6			4		1
3		7				4

ფოტოკუჩიონები



ბეაუმონდი

BEAUMONDE

თვეში 5 ლარი

პერო
I JUST CARRY ON

ავტობრაუნი
ცხოვრებას
შეთათოსგან

უაქოვარ სავიცკი
რაფსოდია ბლუზის
ტონებში

ვლავა:
მარინა
ნიჩიკაშვილი

ირმა გიგანი
11 წლის სეზონი

თამაზ ჭილაძე
ვინს სეზონი
თავი შეიხრო

NATA MERKULOVA

BEAUTY & FASHION 60/70
დავით სულიკაშვილი

ISSN 1987-510X
0172987510104
SPECIAL PROJECT BY G. REGINI
ROBERTO BRAVO - EXCLUSIVE
SPRING/SUMMER

ივნისში წასაკითხი ჟურნალი